

კვირის პალიტრა

თემა — ქალების
უცნაურობები

63

1168
2006

გზა

N5 (295) 2/11-8/11.2006.

ფასი 60 თ.

ათენი —

მართულ მუნიციპალ დასახლებული
ანკვერულული მუნიციპალიტეტი



უქსუკ-აზიუკი


საფრანგეთი, პარიზი, 1906 წელი

მართველი „მის მუროვი“

ეკატერინე თარხან-მოურავი

მინი ვადაგიძე-შვანია:

„ზურა რომ დღეს სოცხალი იქოს...“



საბანძური

— რატომ



„სქინავს“ საწყობში

ეფსარეზიდანის-

გამოსახულვანიან


მარკას

კრიმინალი — 10 ყველაზე უცნაური სასამართლო პროცესი...



**365 საინფორმაციო
საკითხავი
ყოველი დღისთვის**


**2006 წლის კედლის
მოსახვევი კალენდრები**





მინიატურები	
გვერდელა, ხალხო, გვერდელა ანუ „მეზობლობა გზად და ხიდად“	3
ერთი კითხვა	4
კრიზისი	
ვინ რით თვაბოლა ენერგობლოკალის დღეებში...	6
რეპორტაჟი	
ტრადიცია და დღევანდელი საღროგორ ხვდებიან ბერიკებს...	9
გახსენება	
„შაქობრივად, ახალ ცხოვრებას ვიწყებ“... – ერთი წელი გურაბ ქვანიას ბარეში	12
კრიმინალი	
● „ეს საღიგმია და არა მხოლოდ გვერდელა“...	14
● წლის პირველ თვეს ჩაღნილი სასტიკი დანაშაულები	16
● ყველაზე უცნაური სასამართლო პროცესები	17
სამანქარი	
ქართული მარკა: კოჩრლიან – შვეიცარიის ბანკაჟი და მარკების რეპოლუსიამჟი	18
გზავნილები	
ტაბილი გინება, კასთროკულა ამოკალი და ვინ მოიპარა ბავშვების პენსია?	20
მოგზაური	
14 რეპორტი, 235 ქვეყანა, 4 ათასი დღე გზაში და... 5 ბალახული სვაზილენდელი განბი	24
ტანდემი	
ვის არტყვივინა თავი მაბილაგე ნინო ორღინიქიქი?	26
საზღვრებს მიღმა	
ქართული შემსრულებლები და ეროვნულ მუსიკას დანატრეხული, ასრემლებული ემიგრანტები	28
თემა	
ქალბის უცნაურობები	30
რეპორტაჟი	
ყველაზე მაღლები, ყველაზე ნორჩები, ყველაზე იღლიანები...	32
ჯანმრთელობა	
ნუ იქნები სიბარების მონა	34
შთამომავლობა	
პარიში სილამაგის კონკურსში ბამარჯვეხული, ბულსივი ეკატერინე თარხან-მოურავი	36
ასპარჯი	
ალისა ასიბაშვილი – ქართული ქალი, რომელიც „მის კალათხორთი“ გახდა	38

ერთი წელი ზურაბ ქვანიას ბარეში



„ახლა, როდესაც ზურა აღარ არის, ძალიან გამიჭიდა იმ თვალსაზრისით, რომ ვხედავ – ქვეყანაში ისე არ ვითარდება პროცესები, როგორც ის ფიქრობდა და როგორც მას სურდა. ამ ბოლო დროს, სულ მაწუხებს ეჭვი – გამოვა კი ეს ქვეყანა ისეთი, როგორც ზურას სურდა ყოფილიყო?..“

12

პარიში სილამაგის კონკურსში გამარჯვებული, ბულსივი ეკატერინე თარხან-მოურავი

„იმ დროს, პარიზში მონაწილეთათვის ყველგან ირთებოდა ეგლები, გოგონები სათითაოდ სხდებოდნენ ამ ეგლებში, თავად ეჭირათ საღაჯები და ასე უნდა ჩაეფლათ ქუჩაზე, რომლის ორივე მხარეს მაყურებელი შეგროვილიყო. კონკურსანტებს უკან მიპყვებოდნენ გოგონები ჩანთებით, საღაჯ მაყურებელი აგლებდა ბიულეგენს, რომელზეც საკუთარი რჩეულის სახელი ეწერა.“



36

მართალი შემსრულებლები დაკრძალულ მუსიკას დანატრეხული, ასრემლებული ემიგრანტები



„ათენში გამართულ კონცერტზე გამოსავალი ვიპოვეთ – მე და თამთამ დუგვივი ვიმღერეთ ლალიძის „თბილისო“ და მამუკა ჩარკვიანის „ორინოლა“. ქართული ემიგრანტები თამთათი კი ამყობდნენ, მაგრამ ქართულ ენაზე მისი შესრულებული სიმღერა მოსმენილი არ ჰქონდათ...“

28

4 ათასი დღე გზაში და... 5 ბალახული სვაზილენდელი ზანბი

„ვთიშავდი“ შიშს საკუთარ თავში, ამიგომაც დავასრულე წარმატებით ეს მოგზაურობა. იმ 500-ზე მეტ მოგზაურთაგან კი, ვისაც შევხვედრივარ, მოგზაურობა ვერ დაასრულა იმან, ვისაც შეეშინდა. მე არ მეშინოდა, საღაჯ საჭირო იყო, ვჩხუბობდი კიდეც.“



24

პარაკვლავები	
„კარკები კაკლის“ ახალი ბატანება	41
გომონდი	42
რომანი	
რუსულან ბერიძე.	
თქვენი (ბაბრკელაბა)	43
კოლორიტი	
იპოლიტა ხვიჩია „კალიასკაში“	
– ახალი წლის დღეს...	47
ავტო	49
სპორტული მოზაიკა	50
წმინდანები	
მასხვილი მენდისა – წმინდა მუჟა	
დავით ალბაშენაბელი	52
სიწმინდე	
მაქსიმე აღმსარებაელი და მის	
საფლავზე აღსრულდაული	
სასწაულები	53
ანტიდაპრესანტი	
ინფორმაციულ-შემდგენებითი კოლაჟი	
გორა ღვალის უბის წიგნაკიდან	54
აღმადგინი-ღებენა	
ლიტერატურით გამდიდრებული	
პირველი მილიონერი მწერალი	54
ავტო	
მომავალი დიპლომატი	
საპრეზენტაციო კონცერტზე	
„ახალშობილ“ ფირმას ახალ	
სიძველეს მიუძღვნის	58
პროგნოზი	
კაღვები და კაღლის წელი	59
სკანოტრი	61
იუმორი	62
ტესტი	
რამდენად აზარტული	
აღმადგინი ბრძანებებით?	63
...და გოლოს	64

გარეკანზე: ირმა ლიპარტიანიის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
 გამომცემი კვირის მფლობელი, სუბსტიტუტით
 გაზეთი „კვირის პალიტრი“ ღამაშობა
 ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
 რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
 მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
 რედაქტორი: ვინა ტყემელაშვილი
 მენეჯერი: მათე კბილაძე
 მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
 ტელ: 33-50-32 email: gza@kvispalitra.com
 ჟურნალი იბეჭდება გამოცემლობა „კოლორი“

იპოლიტა ხვიჩია „კალიასკაში“ – ახალი წლის დღეს...



„აბა, იპოლიტე რის იპოლიტე იქნებოდა, ეს თხოვნა რომ არ შეესრულებინა?! ავედით. კარში იპოლიტე დაფაყენეთ, მარი დაფრეკეთ და გაილო თუ არა კარი, ქენია დეიდამ შეკვილა – უიმე, ამას ვის ვხედავო?! იპოლიტემაც გაშალა ხელები და გულში ჩაისხუტა ქენია დეიდა“.

47

ვის არტყეპვინა თაბი მაგიდაზე ნინო ტრდენიკო?

„ახლა დავჭკვიანდი. მახსოვს, ერთხელ, სტამბოლში, სანამ მალიკოს ებინა, ქუჩაში გავედი, თან ჩვენი უკანასკნელი 100 ლოლარი წავიდე. მემობელი შემხვდა და ფული მთხოვა. მივეცი. მერე მათხოვრებსაც დავეხმარე... სახლში კი, 1 კილო აღუჩა მოვიტანე...“



26

„პერპეტი პაპლის“ ახალი გატანება



მიუხედავად ხანგრძლივი ხეწნა-მუღარისა, გარკვეული მიზეზების გამო, უილისმა ამ თხოვნაზე დაიანასგან უარი მიიღო. მაშინ, ბრიუსმა იმ სამოდელს სააგენტოზე („ნექსტ მოდელს“) მიიტანა იერიში, სადაც ამჟამად ნემცოვა მოღვაწეობს. მაგრამ ამ ფრონტზე ბევრს ვერაფერს მიაღწია.

41

თქუმი

– ფისო, ახლავე მითხარი, არაყი რა იქნა, თორემ, გადავირიე და ეგ არის! – ხმას აუწია თათამ.

– არაყი? – თათასკენ მთელი განით გადაიხარა ფისო და ცხვირწინ კარგა გვარიანი მუშიტი აუთამაშა: – აი, არაყი! უსუნე!.. ასდის არყის სუნი?..



43

გვეშველს, ხალხო, გვეშველს ანუ „მეზობლობა გზად და ხილად“



გავუძელით თუ არა ენერგოკრიზისს?! აბა, რა ეგონათ, ერთკვირიანი უგაზობა და უშუქობა შეგვაშინებდა?! თქვა კიდევ ჩვენმა პრეზიდენტმა, მიუხედავად სიცივისა, ქართველები არ დაიჩოქებენო... დაჩოქების რა მოგახსენოთ, მაგრამ დანო-ლილები მართლა ვიყავით: ამ მოლიპულ გზებზე რომ დავეცემოდით, ადგომას აზრი არ ჰქონდა,



რადგან მაინც დავეცემოდით. ჰოდა, დავხოსხავდით კიდევ მზვერავებივით მთელი ქალაქი...

ყოჩაღ თბილისის კეთილმონყოზის სამსახურის უფროსს, ძმაო! რა მარიფათი გამოიჩინა, გამოიტანა რაც კი მარილის მარაგი გვექონდა და სულ ქუჩებში მოაბნია. მოკლედ, თუ აქამდე ტელევიზიით რეკლამები გადიოდა — „თბილისი — სინათლის ქალაქი“, ახლა ყოველ დილა-საღამოს კლიპებია — დაყვარეთ 200 კილო მარილი, ახლა დაყვარეთ ნახევარი ტონა მარილი და ასე შემდეგ.

თუმცა, მოსახლეობის დიდი ნაწილი უმადურია და ამ დღეებშიც წუნუნებდა, — სიცივეა, არ გვაქვს შეშაო; სად არის ახლა მთავრობაო და ა.შ. არა, რა შუაშია მთავრობა?! თვითონ უნდა უშველო თავს. აგერ, მოიფიქრა ჩემმა მეზობელმა და მაგიდა თავისი ექვსი სკამით და სანოლები ლინინ-ლინინით გაუშვა ღუმელში (მაინც რა ხარისხიანი

ყოფილა რუმინული ავეჯი! ისეთი ლაკი აქვს, რომ დენთივით იწვის). მართალია, ახლა მთელ ოჯახს როიალში სძინავს, სამაგიეროდ, თბილად არიან და ბინაც უფრო დიდი და ნათელი გამოჩნდა.

ამასობაში ვილაცამ დაიძახა, — ანა-ბანა, ანა-ბანა, მერმა შეშა მოგვიტანაო და ყველას გვეშველა. მიყვარს, ახალგაზრდა ბიჭს მუშაობა რომ არ ეთაკილება. ხომ ამხელა ქალაქის მერია, მაგრამ ბირჟაზე დგომას, მუშაობა ურჩევნია: ფეხდაფეხ მოიარა უბნები და ზოგან შეშა მიიტანა, ზოგან — ნავთი. თუმცა, უნავთოდ არც ის შეშა იწვოდა და არც ის ნავთი — უშეშოდ. ამიტომ დაგწყვილდით უბნები, ჩვენ ჩვენი შეშა მივიტანეთ, იმათ თავიანთი ნავთი მოასხეს და ვისიყვარულეთ დილაშდე. ასეთი „მხიარული“ ზამთარი კარგა ხანია, აღარ გვექონია...

ჩვენს დღეში ჩავარდა ის, ვინც ამ დღეში ჩაგვაგდო და გაზი გაგვითიშა! „მეზობელი გაჭირვებაში იცნობაო“, მართალი ყოფილა. ერთი მეზობლის მიერ განწირულებს მეორე მეზობელი ამოგვიდგა მხარში, თვითონ მოიკლო და ჩვენ გვიზიარა თავისი გაზი. მერე იმის იქითა მეზობელიც დაგვეხმარა და ახლა ირანული გაზით ვთბებით. ზოგმა ესეც იუკადრისა, ირანი ჩვენი მტერი იყო და მაგათი გაზი არ გვინდაო. ირანული გაზი რომაა, რა, 2000 რჩელე ქალ-ვაჟს კი არ გვთხოვენ სანაცვლოდ.

ამასობაში რუსეთმაც შემოთვალა, შევაკეთე ის მილები და აჰა, ჩემი გაზიო. მოკლედ, კინოფილმ „მანანასი“ არ იყოს, საიდან აღარ მოაქვთ „რადიოლები“, ვეღარ გავიგეთ.

თურმე დალაგებულ ქვეყნებშიც არსებობს ასეთი სიტყვა — „პროფიციტი“, რაც იმას ნიშნავს, რომ რაღაც ძალიან ბევრი გვაქვს. მაგრამ ჩვენ საცოდავებს არასდროს არაფერი გვაქვს ბევრი კი არა, საკმარისიც კი და ამ სიტყვის შესახებ არც გვსმენია. მოკლედ, ყველაფრის დეფიციტის მქონეებს, ახლა გვაქვს გაზის პროფიციტი და სად ნავილოთ ამდენი გაზი, გასკდა თავი ამაზე ფიქრით. არადა, ეგ წყალი არაა, ცარიელ ჭურჭელში რომ მოიმარაგო; არც „ბამბანერკაა“, მაღლა რომ შემოდო, თავგმა და ბავშვმა არ მიაგნოსო... ისევ ფულად უნდა ვაქციოთ: რუსული გაზი ირანს მივყიდოთ, ირანული — რუსეთს, ჩვენ თვითონ აზერბაიჯანულით გავთბეთ და ვითვალოთ ფულები...

P.S. — დედა, რამსიგრძე რიგია!.. ბოლო ვინ არის?

- მე გახლავართ, ქალბატონო.
- ნავთი კიდევ არ მოვიდა?
- გეშვებათ, ქალბატონო, ნავთი აი, იმ რიგში არ მოვიდა; აქ კი შეშა არ მოვიდა...

პროვოკატორი

„ეს საქმე მიუჩირობელაა გამოძიებულაა უნდა დაასრულონ...“



— მთვიანი დუმისის შემდეგ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების გამო თქვენი ეჭვები საზოგადოებას გაანდევთ; ახლა კვლავ დუმისს არჩევთ; თუ გაქვთ იმის იმედი, რომ გამოძიება სიმართლეს დაადგენს?
ბობა ჰვანიას, ზურაბ ჟვანიას ძმა:

— დღეს უკვე დარწმუნებული ვარ, რომ ზურაბ მოკლეს, მაგრამ ისევ დუმისს ვამჯობინებ. ამ ეტაპზე, კვლავ მასალების შეგროვებით ვარ დაკავებული, თუმცა, დეტალებზე საუბრისგან თავს ვიკავებ, რომ საქმეში არსებული ლაფსუსების გამოსწორებას არ შეეცადონ. ამ საქმეში ზურას მეგობრებიც მხმარებია, მაგრამ მათ ვინაობას არ გავამხელ: ამ ადამიანების დარტყმის ქვეშ დაყენება არ მინდა. დღეს მთელი სახელმწიფო მანქანაა მობილიზებული და აბსოლუტურად ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ეს დანაშაული მიიჩქეპლოს. მაგრამ ხელისუფლებაში ყოველთვის ერთი და იგივე პირები ხომ არ იქნებიან. მოვა დრო, როცა ჩემი ინფორმაციისა და მტკიცებულებების შესახებ ჩვენებას მივცემ სამართალდამცავ ორგანოებს, რომლებსაც არ ექნებათ მიღებული სიმართლის დამალვის მითითება... ამ ეტაპზე, მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ პრემიერ-მინისტრს, ერთი რომელიმე ობიექტის ხელში ჩასაგდებად ან პრივატიზაციის ჩასატარებლად არ კლავენ. აქ უფრო ქვეყნის მართვის სადავეების ხელში ჩაგდებას სურვილი იყო. ძალაუფლების მოპოვება კი, დიდი ფულის შოვნასთანაა გადაჯაჭვული. მე კონკრეტულ ჯგუფებზეც მაქვს გარკვეული ინფორმაცია, მაგრამ ეს საქმე მანც მიუკერძოებელა გამოძიებულა უნდა დაასრულონ. იმედი მაქვს, ამის დრო მალე მოვა.

„რამიშვილი-კობხიძის საქმე მისთვის ჯოჯოხეთად იქნა“

— რამიშვილი-კობხიძის სასამართლო პროცესის პარალელურად, უმრავლესობის წარმომადგენლები აქტიურ მხარდაჭერას უცხადებდნენ კობა ბექაურს. თქვენი ვარაუდი, რომ მას მეგობრები განირაგებენ, არ გამართლდა?

ბობა კობხიძე, ტელეკომპანიის „202“-ის ხელმძღვანელი:

— ბექაურს თითქმის არც ერთ კითხვაზე პასუხი არა აქვს. მან უნდა მოიგონოს ის, რაც სინამდვილეში არ მომხდარა, ამიტომ თავს იზღვევს, რომ რაც შეიძლება ნაკლებ ტყუილში დაიჭირონ. დარწმუნებული ვარ, რამიშვილი-კობხიძის საქმე მისთვის ჯო-



ჯოხეთად იქცა. ბექაურის ერთადერთი საზრუნავი, საკუთარი ტყავის გადარჩენაა. ფაქტია, როცა ვილაც-ვილაცები მას გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდინეს დაინახვენი, უკან დაიხვეწი და სიბინძურეში გასვრილ ხელებს მთლიანად მას შეახოცავენ. როგორც ჩანს, ბექაურს სერიოზული გარანტიები ჰქონდა მიღებული იმ ადამიანებისგან, რომელთაც „202“-ის ჩაძირვა სურდათ, მაგრამ მას ძალიან სერიოზული შეცდომა მოუვიდა. მოვლენები სწორად ვერ შეაფასა და ვერ შეძლო ამ თამაშში პრობლემებისთვის თავი დაეღწია. ახლა მისთვის ერთადერთი გამოსავალი, სიმართლის თქმაა. ეს იქნება მისი მხრიდან კაცური საქციელი, თან იმასაც გააკრვევს, თუ ვის უნდოდა მისი ჩაძირვა და ამით საკუთარი საქმის გაკეთება. ბექაურმა ბევრი ადამიანი დაარწმუნა იმაში, რომ თუ მას გვერდით არ დაუდგებიან, მათაც სერიოზული პრობლემები შეექმნებათ. ამით მან შესაძლოა, დროებითი მოკავშირეები შეიძინა, მაგრამ სასამართლო პროცესზე ყველაფერი უნდა გაირკვეს, თუ ხელისუფლებას არ სურს, რომ ციხის კედლებში ახალი პოლიტიკური ფიგურები იბადებოდნენ, ამ შემთხვევაში — კობხიძისა და რამიშვილის სახით.

„ყურების ახავის“ მოლოდინი არ გაამართლდა“

— ოპოზიციის მოლოდინის მიუხედავად, ევროსაბჭოში ჩვენთვის, ვალდებულების შეუსრულებლობის გამო ყური არ აუწევიათ. თქვენი აზრით, ასე რბილად რატომ გავაკრიტიკებენ?

ლევან ბარბაქაძე, რესპუბლიკური პარტია:

— საქართველოს დღეულობის უნდა, საქმე ისე წარმოაჩინოს, თითქოს ევროსაბჭოში დიდი წარმატება გვქონდა. მაგრამ ნამდვილი წარმატება, ჩვენი ქვეყნის მონიტორინგის მოხსნა, შესაძლებელი სახელმწიფოთა სიიდან საქართველოს ამოშლა და შემოწმებული სახელმწიფოების სიაში გადაყვანა იქნება. მე მეგონა, უფრო მკაცრ განცხადებებს გააკეთებდნენ რეკომენდაციების შეუსრულებლობის გამო, მაგრამ „ყურების ახავის“ მოლოდინი არ გამართლდა. მათი განწყობილება ასეთი იყო: არ შეასრულეთ რეკომენდაციები?.. მერე, რა მოხდა?! მოდი, გავამხნევოთ საქართველო,

— მაგრამ მონიტორინგს არ გვიხსნიან. მთავარი პრობლემა კი ის არის, რომ სანამ ევროსაბჭო მონიტორინგს არ მოგვიხსნის, ნატოსა და ევროკავშირში განეკუთვნება ლაპარაკიც ზედმეტია. ევროსაბჭო ჩვენ მაგივრად პრობლემებს არ გადაწყვეტს. დასავლეთში გვეუბნებიან — გნებავთ, ასეთი ვითარება? კი, ბატონო, იყავით წლობით ევროსაბჭოში, ხან წინ წაინევთ, — ხან — უკან დარჩებით, მეტზე კი, არც იოცნებოთო. ასე იყო თურქეთის შემთხვევაშიც: ვიდრე არ მოეხსნა მონიტორინგი, ევროკავშირმა მასთან მოლაპარაკებებიც კი არ დაიწყო. რაც შეეხება შეუსრულებელ ვალდებულებებს: ჩვენი ქვეყანა არ არის მიერთებული ტრანსსასაზღვრო ხელშეკრულებასთან და ეროვნული უმცირესობის ენების დაცვის კონვენციასთან. აღნიშნული ხელშეკრულების რატიფიცირება პარლამენტს 2005 წელს უნდა მოეხდინა, მაგრამ ეს დღემდე შეუსრულებელი რჩება.

„...ირანიდან შემოსული გაზი სად უნდა წავიღოთ, გაუპკვევლია“

— რა საფრთხეს შეიცავს საქართველოსთვის ირანიდან გაზის მონოდება და რატომ არ ლაპარაკობს ხელისუფლება თერანში ხელმოწერილი კონტრაქტის დეტალებზე?

ბიკა სუხაშვილი, ეკონომიკური ექსპერტი:

— საქართველოს მთავრობის მიერ გაზის მონოდებასთან დაკავშირებით ირანთან გაფორმებული ხელშეკრულება ბუნდოვანია და შესაბამისად, გაურკვეველ პოლიტიკურ და ეკონომიკურ საფრთხეებს შეიცავს, ამიტომ კარგი იქნება, თუ მოსახლეობას ვინმე აუხსნის, რა კონტრაქტი გაფორმდა თეირანთან. „გაზექსპორტს“ ნაკისრი აქვს ვალდებულება, საქართველოს 2 მილიარდ 230 მილიონი კუბმეტრი გაზი მიანოდოს. მეტს ჩვენი ქვეყანა პრაქტიკულად, ვერ მოიხმარს. ამ პირობებში ირანიდან შემოსული გაზი სად უნდა

წავიღოთ, გაურკვეველია. ირანთან კონტრაქტის გაფორმებამ შესაძლოა, „გაზექსპორტს“ უზიდავს იმისკენ, რომ გადახედოს ჩვენთან დადებულ ხელშეკრულებას, რაც მისასაღებელი ნამდვილად არ იქნება. გარდა ამისა, არარეალურია ხელისუფლების განცხადება იმის თაობაზე, თითქოს ირანი 2 მლნ კუბმეტრ გაზს სიმბოლურ ფასად გვაძლევს. თუ ეს ფასი მართლაც სიმბოლურია, მაშინ ირანის კეთილგანწყობილებას საქართველოს მიმართ, პოლიტიკური ინტერესები უნდა ედოს საფუძვლად. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, ირანის გარშემო მსოფლიოში რა განწყობილებაა შექმნილი, ირანული გაზის შექენამ შესაძლოა, ახალი პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემები გაგვიჩინოს. თუ ეს ეჭვები უსაფუძვლოა, გაგვაცნონ კონტრაქტის პირობები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ირანული გაზი შეიძლება, ძალზე სახიფათო აღმოჩნდეს.

„ეს იყო პროვოკაცია, რათა პატიმრებს არკულოთ მოენყოთ“

— თქვენი აზრით, რით დასრულდება ციხეში დაწყებული შეტაკებები?

ლალი აფციაური, „საქართველოს პატიმართა თანამეგობრობა“:

— როცა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელი ციხეში შედის, პატიმრებს შარვლის ჩახდასა და დაწოქებას უბრძანებს, ფაქტია, რომ საქმე უკვე ძალიან რთულადაა... რუსთავის №1 საპყრობილეში ბაჩო ახალაია ლამის 3 საათზე შევიდა შემონუმების ჩასატარებლად — მაშინ, როდესაც კანონით დადგენილია, რომ მსგავსი შემონუმებები უნდა ჩატარდეს დილის 9 საათზე და საღამოს 18 საათზე. მაგრამ ახალაია თავს კანონზე მაღლა აყენებს: ის გალემილი შედის ციხეში. მისი ბრძანებით, პატიმრები მოედანზე გაჰყავთ და მათ ფიზიკურად უსწორდებიან. სპეცრაზმელებმა გამოიყენეს ავტომატის კონდახები, რეზინის ტყვიები, ხოლო თავად ახალაიამ „შამპანურის“ ბოთლით სცემა პატიმრები. ეს იყო პროვოკაცია, რათა პატიმრებს არეულობა მოეწყოთ

და შემდეგ, მათ დარბევას გამართლება ჰქონოდა. როგორც ჩანს, გარდა იმისა, რომ ახალაია კანონის სრულ იგნორირებას ახდენს, მას აქვს პათოლოგიური სიმთვრალე, რაც საფრთხეს უქმნის ასობით ადამიანის სიცოცხლეს. მართალია, ციხეში დამნაშავეები სხედან, მაგრამ მათაც ხომ აქვთ თავიანთი უფლებები. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ცემა-ტყვიით ან ადგილზე ჩაცხრილვით, ციხეში სრული წესრიგი დამყარდება, ძალიან ცდება. რას აკეთებს ამ დროს იუსტიციის მინისტრი?.. თუმცა, გაა ქვეთარაძე ფორმალური ფიგურაა. რეალური მინისტრი კი, ბაჩო ახალაია და მისი ოჯახური კლანი არიან...



„ამ ეტაპზე, ჩემ მიმართ მხოლოდ სიმპათიებს ააშლავნიან...“

— სანამ თქვენ ევროპული ტურნეით იყავით დაკავებული, ერთდროულად ამერიკის, რუსეთისა და ირანის აგენტობას გაბრალებდნენ. რა ინფორმაცია ჩაიტანეთ ევროპაში და რა გეგმებით დაბრუნდით უკან?..

სალომე ზურაბიშვილი, პოლიტიკოსი:

— ევროპისა და ამერიკის აგენტობაზე უარს არ ვამბობ, რადგან აქტიურად ვქადაგებ იმ დღეებზე, რაშიც დემოკრატიული ქვეყნებია მისაბაძი. რაც შეეხება ირანთან კავშირს — ჩემი პირველი ქმარი იქ არის დაბადებული; მიუხედავად იმისა, რომ დღეს მას ამ ქვეყანაში ჩასვლა აკრძალული აქვს, ირანთან ალბათ, სწორედ ამის გამო დამაკავშირებს (იციან)..
რუსეთთან ჩემი გვარის მიბმა კი, დისკრედიტაციის ბავშვური მცდელობაა. რა პროგნოზები გააკეთა იგორ გიორგაძემ ჩემს შესაძლო გაპრეზიდენტებასთან დაკავშირებით, ეს ნაკლებად მინტერესებს. საკვირველი ის არის, საქართველოს ტელეარხები რატომ უთმობენ ამხელა დროს გიორგაძის მსგავს განცხადებებს?! ეს ალბათ, საინფორმაციო ომის ნაწილია — თითქოს ჩემს ზურგს უკან რუსეთი დგას... ერთი მხრივ, ეს საინფორმაციო საშუალებების თავისუფლების პრობლემასაც უკავშირდება. დღეს, ამ ხმების გამო, ნაკლებად ვლევავ. უცხოეთში ყოფნის პერიოდში უფრო კარგად ჩამოვყალიბე ჩემი მიზნები და იმ გადანყვეტილებით ჩამოვედი, რომ გაძლიერდეს ჩემ მიერ დაარსებული მოძრაობა და თუ საჭირო იქნება, ჩამოვყალიბდეს პოლიტიკური პარტიაც. აუცილებლად უნდა მივიღოთ მონაწილეობა ადგილობრივ არჩევნებში. მანამდე კი, ხალხს უნდა გავაცნო სამოქმედო პროგრამა, რადგან ამ ეტაპზე, ჩემ მიმართ მხოლოდ სიმპათიებს ააშლავნიან, თუმცა, რატომ — თავადაც არ იციან...

ეპროპელ ჟანდაკითა სამშვიდობო კორკუსაა შესაძლოა, აფხაზეთში რუსი „სოსუპრიაფსუტინანაზი“ შეხვალს

— რამდენად რეალურია რუსი სამშვიდობოების ევროპელი ჟანდარმებით ჩანაცვლება და რა გადაწყვეტილებას მიიღებს გაერო?

შოთა ვალაშვილი, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კომისიის თავმჯდომარე:

— ასეთ პერსპექტივაზე ევროკავშირის უმაღლესმა კომისარმა, ხავერდ სოლანამ თბილისში ვიზიტისას გააკეთა განცხადება. მან აღნიშნა, რომ ევროკავშირი მზად არის საქართველოში არსებული კონფლიქტის ზონებში საკუთარი, ახალშექმნილი სამშვიდობო ძალების გასაგზავნად. საფარაუდოა, რომ რუსების ჩანაცვლებაზე ლაპარაკი აფხაზეთთან მიმართებაში იქნება, რადგან ცხინვალთან დაკავშირებით, ეს ვერ მოესწრება: 23 თებერვლამდე, ძალზე ცოტადროს დარჩენილი; ამ შემთხვევაში, მხოლოდ სამშვიდობოების გაყვანაზე იქნება ლაპარაკი. თავად ჟანდარმების შემოყვანას მხოლოდ ევროკავშირის სამშვიდობო მისია ვერ გადაწყვეტს — ჩანაცვლებისთვის, გაეროს თანხმობაა საჭირო. აქამდე, გაეროს სხვა ტიპის ფორმირებების შემოყვანაზე უარს იმიტომ ამბობდა, რომ გადასაწყვეტი იყო დაფინანსების საკითხი: — „ცისფერჩაფსუტიანების“ მსგავსად, ევროპულ კონტინგენტსაც მოსკოვი ხომ არ დააფინანსებდა?! ეს სამშვიდობო კორპუსი კი უკვე შექმნილია და მას ბიუჯეტიც აქვს. ჟანდარმებმა საკუთარი ქმედუნარიანობაც დაამტკიცეს: ეს კონტინგენტი სამშვიდობო მისიას ასრულებს კონგოსა და დნესტრისპირეთში. კარგი იქნებოდა, მათი შემოყვანის საკითხი გადაწყვეტილიყო ზაფხულში, როცა აფხაზეთში რუს სამშვიდობოებს მორიგი ვადა დაუმთავრდებოდა, მაგრამ მოესწრება თუ არა, ძნელი სათქმელია. მთავარია, რომ ამ მიმართულებით აქტიური მიუშაობა მიმდინარეობს.



მართალია, თითქმის მთელ ქალაქში გაზის მიწოდების პრობლემა თითქმის აღარ არსებობს, მაგრამ მოსახლეობას გასული კვირის უგაზობა-უშუქობით გამოწვეული სიმწარე ალბათ, კიდევ კარგა ხანს გაჰყვება... ხელისუფლება ცდილობდა, მდგომარეობა შეემსუბუქებინა მძიმე ყოფაში ჩავარდნილი ხალხისთვის. რამდენად ქმედითი იყო ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები? — ამ კითხვაზე მრავალგვარი პასუხი მიგვიღია იმ დღეებში, ქუჩაში გამვლელების ნათქვამისა თუ საინფორმაციო საშუალებებით გაფრცვლელული სახელდახელო ინტერვიუების მეშვეობით. ჩვენ შევეცადეთ, თავად გაგვჩვენულიყავით არსებულ სიტუაციაში და იმ დღეებში, რამდენიმე „ცხელი ნერტილი“ მოვიარეთ.

ვინ რით თბახოდა ენერგოზლოკადის დღეებში და ვის ეხადება უმართავლო კითხვები

ნათია ქვიციანი

როგორც ცნობილია, ცალკეულ ავტოგასამართ სადგურებზე შეიტანეს ნავთი, რომელიც 60 თეთრად იყიდებოდა. ჩვენც პირველ რიგში, ერთ-ერთი ასეთი სადგურისკენ ავიღეთ გეზი, რათა მთელი დღის განმავლობაში გაყინულ ასფალტზე მდგომი ადამიანების განწყობილება შეგვეტყო.

ძალბატონი მარინა, 50 წლის:
— ...რა გითხრა, აბა, შეილო?... დღის 8 საათიდან აქ ვდგავარ. შინ 6 და 9 წლის შვილიშვილები მყავს. ვარკეთილის დასახლებაში ვცხოვრობთ და არც გაზი გვაქვს, არც შუქი. ხომ არ გავყინავ ბავშვებს, ან ჭამა ხომ უნდათ?! სარდაფში გადაგდებული „პერანკა“ მოვნახე, რომელსაც 90-იან წლებში, გაჭირვების დროს ვიყენებდით ხოლმე და ახლა იმით ვთბებით, თუ ჰქვია ამას გათბობა... აჰა, უკვე საღამოს 5 საათია და სამი ადამიანის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს მომიწევს რიგი. მთელი დღის განმავლობაში ბავშვები ხომ გაიყინებოდნენ!.. ამიტომ, საჭმელი საწოლთან მივუტანე დავთხოვე, ჩემს მისვლამდე არ ამდგარიყვნენ. ჩემს სიცვივს ვინ ჩივის — მთავარია, ბავშვები იყვნენ კარგად...

ამ ჩვენმა მთავრობამაც რა ქნას?! შეგვიწყვიტა რუსეთმა გაზი და ჩვენი პრეზიდენტი ყველაფერს ცდილობს, რომ როგორმე დაგვეხმაროს და გაზი სხვა ქვეყნიდან შემოიტანოს.

ლეო, 18 წლის:
— ვაზისუბნის დასახლებაში ვცხოვრობთ. შინ მხოლოდ მე და ჩემი 24 წლის და ვართ, რომელიც მუშაობს და მთელი დღე სახლში არ არის. მამა არ გვყავს, დედა — საბერძნეთშია. დღის 12 საათიდან ვდგავარ ნავთის რიგში. პირველი პარტია გათავდა და არ შემხვდა. მართალია, ჯერ კიდევ შორს ვარ, მაგრამ ალბათ, ახლა მაინც შემხვდება. სადაცაა, ჩემი და სამსახურიდან მოვა და საჭმელი თუ არა, ცოტა სითბო მაინც ხომ უნდა დავახვედრო?!
„ოფიციალური ნავთის“ რიგიდან, „არაოფიციალურ“ — გადამყიდველების ნავთის რიგში გადავინაცვლე, მაგრამ დამაგვიანდა, რადგან იქ სანავი უკვე გათავებულიყო...

ძალბატონი დალი, 45 წლის:
— 6 საათი ვიდევნი ამ რიგში და ნავთი მაინც არ შემხვდა! ასეთ დროს, ადამიანი შეიძლება, ჭკუიდან შეიშალოს. ის ავტოგასამართი სადგურები, სადაც ნავთი 60 თეთრი ღირს, ჩვენს საცხოვრებელ ტერიტორიასთან ახლოს

არ არის. მარჯანიშვილზე ვცხოვრობთ. ამიტომ, იძულებული ვიყავი, ამ სიცივესა და ყინვაში, ამ რიგში ჩავმდგარიყავი, სადაც ერთი ლიტრი ნავთი 3 ლარი ღირს. ესეც არ შემხვდა. რა უნდა ვქნა ახლა?.. მეც და ჩემი ოჯახის წევრებიც იძულებული ვიქნებით მთელი საღამო ლოგინში გავატაროთ, მხოლოდ ეს არის გამოსავალი... აღარც მჯერა, რომ შესაძლებელი იქნება ჩვენს ქვეყანაში მდგომარეობის გამოსწორება...

შემდეგ, მე და ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა უშუქოდ და უგაზოდ დარჩენილი რამდენიმე ოჯახი მოვიარეთ, სადაც თითქმის ერთი და იგივე სიტუაცია დაგვხვდა. ჩვენი პირველი მასპინძლები, სამგორის რაიონში დაქირავებულ ბინაში მცხოვრები სტუდენტები, **თაფუნა გუზალაძე** და **სოფო მაისურაძე** იყვნენ.

თაფუნა:

— უკვე თითქმის ერთი კვირაა, არც შუქი გვაქვს და არც გაზი. არც გათბობის სხვა რაიმე საშუალება. ამიტომ ვცდილობთ, რომ მთელი დღის განმავლობაში, შინ არ შემოვიდეთ. ჯერ სამსახურში ვარ, მერე — რომელიმე მეგობარს ვსტუმრობ, ვისაც ოჯახში გათბობის საშუალება აქვს.

სოფო:

— ამას ის პრობლემაც ერთვის, რომ რამდენიმე დღეში, გამოცდა მაქვს და

სხვა ხელისუფლება. ესენიც რომ ყოფილიყვნენ მაშინდელი ხელისუფლები, მაინც ასე მოხდებოდა და ვერაფერს შეცვლიდნენ. დრო გადის და ყველაფერი იცვლება. ქვეყნის საკეთილდღეოდ ყველამ რაღაც უნდა გააკეთოს.


ახალგაზრდა ცოლქმარი — **თონა გედენიძე** და **მალხაზ გიორგაძე** ნუცუბიძის პლატოზე ცხოვრობენ. მათ 4 წლის ქალიშვილი ანი ჰყავთ.

თონა:

— პირველი დღიდანვე არ გვაქვს გაზი. სულ ცოტა ხანში, შუქის პრობლემაც შეგვექმნა. გრაფიკში ჩაგვსვეს, რის გამოც, ელექტროლუმებს ვერ ვიყენებდით. გვინდოდა, რომ ბალონი მაინც დაგვეტენა ბუნებრივი აირით, მაგრამ ისეთივე დიდი რიგი იყო, როგორიც ნავთზე. ჩემი მეუღლე მუშაობს და მთელი დღის განმავლობაში შინიდან გასულია, შესაბამისად, იმხელა რიგში ვერ დადგებოდა.

თონა:

— „კერასინკა“ სახლს მაინც ვერ ათბობს, ამიტომაც ბავშვი გაგვიცივდა და ახლა უამრავ წამალს ვასმევთ... დღეს (გიორგაძეებს 30 იანვარს ვესტუმრეთ. — ავტ.) გაზიც მოვიდა. ალბათ, აღარ ნავა და იმედი მაქვს, ბავშვი სითბოში მალე გამოჯანმრთელდება... გაზის გათიშვა ალბათ, იმის ბრალი იყო, რომ რუსეთს „ჯვარი და ვუსვით“ და ჩვენ მიმართ გაბოროტდნენ. ჩემი აზრით, არ ღირს მათთან ურთიერთობის გამწვავება...



„კერასინკა“ სახლს მაინც ვერ ათბობს, ამიტომაც ბავშვი გაგვიცივდა და ახლა უამრავ წამალს ვასმევთ.

მესამე ოჯახში გაცილებით უკეთესი მდგომარეობა დაგვხვდა, რადგან იქ გაზ-მომარაგების შეწყვეტის პირველ დღესვე მიხვდნენ, რომ ეს პრობლემა მალე ვერ

მოგვარდებოდა და მაშინვე, შეშის ღუმელი შეიძინეს.

ძალბათონი ლაბარა, 48 წლის:

— შინ ორი შვილი მყავს. უფროსი გოგონა გათხოვილია, მაგრამ ახლა, თავისი ოჯახის წევრებთან ერთად, ჩემთან გადმოვიდა, რადგან ისინი ქალაქის გარეუბანში ცხოვრობენ და იქ შუქის პრობლემა უფრო მწვავედ დგას. რა თქმა უნდა, არც გაზი აქვთ. ამიტომ აქ გადმოვიყვანეთ. პირველსავე დღეს, გაზი რომ შეწყდა, ჩემმა მეუღლემ თქვა — მოდი, შეშის ღუმელი ვიყიდოთო. ასეც მოვიქეციით. ღუმელში 40 ლარი მივეციით, სპეკულანტებმაც ისარგებლეს ხალხის გაჭირვებით და შეშა გააძვირეს: ერთ ტომარა შეშაში 5-6 ლარს ვაძლევთ. ძვირი კი ჯდება, მაგრამ რა ვქნა, შვილებს ხომ არ გავყინავ? სახელმწიფოს მსგავსი ჩავარდნები ყოველთვის აქვს და ალბათ, ახლაც ყველაფერს კარგად მოაგვარებენ. ამ სიცივეს კი, ცოტა ხანს გავუძლებთ.

სწორედ იმ კრიზისულ დღეებში, როცა თბილისი ჩაბნელებული და გაყინული იყო, პურის პრობლემაც შეიქმნა. საინფორმაციო საშუალებებმა გვაშინეს, რომ ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ გადაწყვიტა, ხალხისთვის მდგომარეობა შეემსუბუქებინა და მოსახლეობისთვის ჯერ შეშის, მოგვიანებით კი — პურის დარიგებას მიჰყო ხელი... რა თქმა უნდა, ყველა ოჯახს ვერ გასწვდებოდნენ. მაგალითად, ჩემი რესპონდენტებიდან ეს დახმარება არც ერთს არ მიუღია. იმის გასარკვევად, თუ რამდენად მასშტაბური გამოვიდა ეს აქცია და რა რესურსების მეშვეობით განხორციელ-

არ მომწონს, როცა ჩვენი ხელისუფლება თავს იმშვიდებს და აცხადებს — 90-იან წლებშიც ხომ იყო მსგავსი პრობლემებიო!..

იძულებული ვარ, ამ სიცივეში მაინც ვიჯდე და ვიმეცადინო.

თაფუნა:

— არ მომწონს, როცა ჩვენი ხელისუფლება თავს იმშვიდებს და აცხადებს — 90-იან წლებშიც ხომ იყო მსგავსი პრობლემებიო!.. მაშინ სხვა დრო იყო,

მალხაზი:

— ამის გამო, დიდი ჩანცობა დამჭირდა — ახლობლები ჩავრიე, რომ ნავთი მეშოვა. ვიშოვე კიდევ. მაგრამ ერთ ლიტრში 3 ლარი გადამახდევინეს — მაშინ, როდესაც ოფიციალური ფასი 60 თეთრია.

პრეპარატი **ფენსი** გაძლევთ უნიკალურ შანსს

ზსმრიაზი
მგზავს ენჯეტ **საუკუნოვან**
ნეიდოფორმით გამოწვილებას!

სეზონალური **ნიკიტინით**

იმპუნანალიტი **ნუთიაქაზი**

საუკუნოვანი გამოცდილების მქონე, ყველაზე ეფექტური, არაჰორმონალური ალამოს საშუალებით

სახელი ხაზი: 39 66 03

გაურანტორი

7 კვირის შემდეგ

გაურანტორის შემდეგ

და, — თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს **ზაზა ზაბაშვილს** ვეწვიეთ: — მას შემდეგ, რაც თბილისში ბუნებრივი აირი გაითიშა, ძალზე ბევრი ადამიანი მოვიდა ნაციონალური მოძრაობის ოფისებში და ითხოვდა, რომ ჩვენი დამოკიდებულება ამ მოვ-

ტერიუმებით გამოყოფდით მოსახლეობას?

— უკლებლივ ყველა ოჯახში ალბათ, ვერ მივიტანეთ, მაგრამ ვინც კი იმ დროს ეზოში ჩამოდიოდა, ყველას ვეხმარებოდით. წინა დღეებში, ტელევიზიითა და პრესით ვაცხადებდით, თუ რომელ უბანში მივიტანდით შეშას მეორე დღეს, რათა ხალხს ამის შესახებ სცოდნოდა და ეზოში ჩამოსულიყო.

ვინც კი იმ დროს ეზოში ჩამოდიოდა, ყველას ვეხმარებოდით. წინა დღეებში, ტელევიზიითა და პრესით ვაცხადებდით, თუ რომელ უბანში მივიტანდით შეშას მეორე დღეს



ლენის მიმართ დაგვეფიქსირებინა. ჩვენ გვინდოდა, რუსეთისთვის ჩვენს მოქალაქეებთან ერთად გვეთქვა, რომ ჩვენთან დივერსიებისა და აფეთქებების ენაზე ლაპარაკი გამოორიცხულია; რომ სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში უკვე არსებობს და რომ ადამიანებმა ჭირშიც და ლხინშიც ერთად დგომა ისწავლეს. ბუნებრივი აირის გათიშვის პირველსავე დღეს, რუსეთის შეიარაღებული ძალების შტაბთან აქციას რომ ვატარებდით, იქვე ძალიან ბევრმა ადამიანმა მოიტანა შეშა, დავანთეთ კოცონი და ვიმხიარულეთ, რადგან მტერს ჩვენი დაღვრემილი და მოწყენილი სახეები არ უნდა დაენახა. მათ უნდა იცოდნენ, რომ ნებისმიერ გაჭირვებაში ჩვენ მაინც ვახერხებთ ნორმალური, პატივმოყვარე ერისთვის დამახასიათებელი ყველა ნიშან-თვისების ჩვენებას. სხვათა შორის, ხალხს იქვე დაეხმარა იდეა, რომ მოსახლეობას დავხმარებოდით. ეს იდეა მართლა ხალხისგან მოდის და ჩვენ დაუყოვნებლივ დაუჭირეთ მას მხარი. ნაციონალური მოძრაობის ცენტრალურ ოფისში შეიკრიბა მთელი გუნდი და მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ქალაქის პერიფერიული რაიონებიდან მოყოლებული, შეშა დაგვერიგებინა. დავიწყეთ თბილისის ზღვიდან, სადაც კომპაქტურად არიან დასახლებული ლტოლვილები. თუ არ ვცდები, იმ ტერიტორიას „ოქროს სანმისი“ ჰქვია. იქიდან გამოვეყვით: თემქაზე, ნაძალადევში, დადიანის ქუჩაზე, გლდანის თითქმის ყველა მიკრორაიონი და უამრავ სხვა ადგილას მივიტანეთ შეშა.

— **უკლებლივ ყველა ოჯახს ურიგებდით შეშას თუ რაიმე კრი-**

— სავარაუდოდ, რა რაოდენობის შეშა მიჰქონდა ერთ ოჯახს?

— გვინდოდა, რომ თითო ტომარა მიგვეცა თითო ოჯახისთვის, მაგრამ ეს არ გამოვიდა, რადგან მოდიოდნენ ადამიანები, რომლებსაც მეტი სჭირდებოდათ და ვატანდით კიდევ. სხვათა შორის, უკმაყოფილება არავის გამოუთქვამს. ვგრძობდით, რომ მათ ჩვენი აქცია მოსწონდათ და კმაყოფილები იყვნენ.

— **როგორც ვიცო, თავიდან**

იდეთ, თორემ, შეშის დამზადებაზე იქ ჩვენები მუშაობდნენ, სატიკროთო მანქანები კი ზოგი, თავდაცვის სამინისტროსი გამოვიყენეთ, ზოგი — ადგილობრივი გამგეობის რაიონული მანქანა იყო. რაც შეეხება პურის აქციას — დანამდვილებით ვიცი, რომ რამდენიმე დღის განმავლობაში, თბილისის თითქმის ყველა პერიფერიულ უბანში პური უფასოდ რიგდებოდა. ამასთანავე, ნაციონალური მოძრაობა მაქსიმალურად ცდილობდა, რომ ნავთის ფასი არ გაზრდილიყო...

— **თუ იცით, რომ ერთი ლიტრი ნავთი ზოგიერთ ადგილას 3 ლარი ღირდა?**

— დიახ, მისი ფასი 3 ლარამდე ავიდა, ვიდრე ამ საკითხზე ზრუნვას დავიწყებდით. მაგრამ როგორც კი თბილისში გაჩნდა რამდენიმე წერტილი, სადაც ნავთი შედიოდა, მისი ფასი მხოლოდ 60 თეთრი გახლდათ.

— **ერთი-ერთი ჩემი რესპონდენტი ავტოგასამართ სადგურზე დიდ რიგში ვერ ჩადგა და სხვაგან 3 ლარად შეიძინა ნავთი...**

— ფინანსურმა პოლიციამ კატეგორიულად გააფრთხილა ხალხი, რომ ასეთ ფაქტს ადგილი არ უნდა ჰქონოდა. ვინც ეს გააკეთა და სხვის გაჭირვებაზე ხელი მოითბო, მას გარწმუნებთ, საკმაოდ სერიოზულად მიხედავენ... დაასახელოს შემნა რესპონდენტმა, რომელ ავტოგასა-

გაზის გათიშვა ალბათ, იმის ბრალი იყო, რომ რუსეთს „ჯვარი დაგუსვით“ და ჩვენ მიმართ გაბოროტდნენ. ჩემი აზრით, არ ღირს მათთან ურთიერთობის გამწვავება...

აპირებდით, რომ ერთი ტომარა შეშა სიმბოლურ ფასად — ლარად გაგეყიდათ...

— მართალია. პირველ ეტაპზე, ასე გადავწყვიტეთ, რადგან შეშა სამეგრელოდან უნდა ჩამოსულიყო და სამგზავრო ხარჯები რომ დაფარულიყო, ამიტომ ერთ ლარად გაგვეყიდა. მაგრამ მოგვიანებით გადავწყვიტეთ, რომ უფასოდ დაგვერიგებინა და ყველა ხარჯი საკუთარ თავზე აგვეღო.

— **ეს ხარჯები „ნაციონალებმა“ გაიღეს თუ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო?**

— არა, არავითარი ბიუჯეტი არ გამოგვიყენებია. ნაციონალური მოძრაობის ყველა წარმომადგენელმა საკუთარი ჯიბიდან გაიღო ეს ფული. რა ხარჯებზეა ლაპარაკი?! მხოლოდ საწვავი ვიყ-

მართ სადგურზე შეიძინა მან ეს ნავთი და გარანტიას გაძლევ, რომ იმ ფირმას დავხურავთ!.. იყო ისეთი ადგილები, სადაც ვერ მოხერხდა ნავთის ფასის დაგდება, ამიტომ, ისევ იმავე ფასში ვყიდდით — ერთი ლარსა და 40 თეთრად. ამის გამო რა დასკვნა გამოიტანეს?! საკრებულოს სხდომაზე ერთ-ერთმა ოპოზიციურმა პარტიამ, რომელსაც არ დავაკონკრეტებ, მომწერა ასეთი შინაარსის წერილი: სასწრაფოდ ვიმსჯელოთ, მთავრობა რას აკეთებს თბილისელებისთვის!.. როცა მთავრობის ყველა წევრი დაკავებული იყო, ზოგი გზებს წმენდდა, ზოგი — მარილს ყრიდა, ამათ ასეთი კითხვა მოუვიდათ თავში!.. ჩემდა საბედნიეროდ, ასეთი აზრები თავში ჩვენს მოქალაქეებს აღარ მოსდით...

ქართული თეატრის საწყისის გაცნობა ცხადყოფს, რომ ძველ ქართულ სანახაობას მდიდარი შინაარსი და განვითარებული ფორმები ჰქონდა. ამ სანახაობათა შორის, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ნიღბების თეატრს — ბერიკაობას, რომელიც განაყოფიერების კულტის სადიდებელ სანახაობას წარმოადგენს. ბერიკები ნიღბებით გამოდიოდნენ, ეს ნიღბები კი, ადამიანთა ტიპაჟების გარდა, წარმოსახავდა: ცხოველთა სამყაროს, მითოლოგიურ არსებებს, მცენარეებს, ნივთებს... ზუსტად როდის ჩაეყარა საფუძველი ამ სანახაობას, უცნობია, მაგრამ ცნობილია ის, რომ XVIII საუკუნეში იყვნენ მეფის კარის ბერიკები: ოთარ ნორიოელი, გიორგი მახათაძე, თარხანი და სხვები. ბერიკაობა, როგორც თეატრალურ სანახაობათა ტრადიცია, თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ასე რომ, სულაც არ უნდა გაგვივიწყრდეს, როცა ქალაქში ნიღბიან ადამიანებს დავინახავთ, რომლებიც ჯერ გვაცინებენ, შემდეგ — „ხარკის“ გადახდას გვთხოვენ. ესეც ერთგვარი ტრადიციაა — ბერიკები წარმოადგენს ნახვის საფასურს მაყურებლისგან კრებდნენ...



ბრადისია და დღევანდელი:

სად როგორ ხვდებიან ბერიკებს და რატომ უყრძლავს ჰატრული ერთ ადგილას დიდხანს გაჩერებას

ლიპა ქაჩია

კახეთიდან ჩამოსული ბერიკები თბილისის ქუჩებში მანქანებს აჩერებდნენ, მძღოლების გაცინებას ცდილობდნენ და მერე, ხელგაშლილობისკენ მოუწოდებდნენ. მათთან მისულმა, „ბერიკათინამძღვარი“ — იგივე მეთაური, „თამადა“ მოვიკითხე, მაგრამ დასის „მეფე-დედოფალმა“ მიპასუხა, რომ მათ ასეთი წინამძღვარი არ ჰყავდათ და სულერთი იყო, ვისთან ჩავნერდი ინტერვიუს. ამიტომაც, სწორედ მათ ვთხოვე დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა.

მეფე (გიორგი ძირვალაძე):

— ამ თვეში, ბერიკაობა იწყება. არ გვინდა, რომ ამ თეატრალურ სანახაობის ტრადიცია დაიკარგოს. ამიტომაც წამოვედით კახეთიდან.

დედოფალი (კოხა ლავაუნი):

— ბერიკაობა კახური ტრადიციაა!

მეფე:

— ეს ტრადიცია ჩვენ თუ არ შემოვიწინახეთ, მერე წინაპრებსაც არავინ გაისვენებს.

— დანამდვილებით იცით, რომ ბერიკაობა კახური ტრადიციაა?

დედოფალი:

— ამას ვერ დავიჩემებთ, მაგრამ მგონი, მარტო ჩვენ ვცდილობთ იმას, რომ ეს სანახაობრივი ტრადიცია მომავალ თაობას შემოვუნახოთ.

მეფე:

— ჩვენ ყვარლის რაიონიდან, სოფელ გავაზიდან ვართ, სადაც ყველა ქართული ტრადიცია, ადრე-ნერეუნიდან შენარჩუნებული გვაქვს.

— თქვენ ამბობთ, რომ სხვა კუთხის წარმომადგენლებმა ტრადიცია მიივიწყეს?

— ვფიქრობ, რომ ასეა. ზოგისთვის კი, იმის ახსნაც გვჭირდება, თუ ვინ იყვნენ ბერიკები და რატომ დავდივართ ნიღბებით.

დედოფალი:

— პრინციპში, ეს ზოგმა აქაურმაც იცის. ზოგიერთი მანქანით გამვლელი რომ დაგვინახავს, თვალები უბრწყინდება ხოლმე. ზოგი კი, ისეთი გაოცებული, პირდაპირილი შემოგვეყურებს, რომ მეშინია, პირში ბუზი არ შეუფრინდეს...

— როგორ ფიქრობთ — რატომ უბრწყინავთ თვალები თქვენს დასახვებზე?

მეფე:

— ალბათ უხარიათ, რომ კაცს ქალის ფორმაში ხედავენ. ისიც, რომ ყველას ნიღბი გვაქვს სახეზე მორგებული.

— იმას ხომ არ გულისხმობთ, რომ ამ ნიღბებში საკუთარი თავი ამოიცნეს?..

— შესაძლებელია.

— ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლა ხშირად გინევთ. თავს ხალხისგან აკრებილი „ხარკით“ ირჩენთ?

დედოფალი:

— კი. მაგრამ ზოგი ამას აგრესიულად ხვდება.

— რას გულისხმობთ?

მეფე:

— რას და იმას, რომ მოდის მანქანა, ხედავ — მძღოლს შენს დანახვებზე ეცინება, მანქანას აჩერებს, გიყურებს და როცა საქმე ფულზე მიდგება, აგრესიული ხდება...

დედოფალი:

— ვისაც რა ემეტება, იმას გაძლევს და ამისთვის მადლიერები ვართ.

მეფე:

— ეჰ, ნეტავ იმ დროს, როცა მეფეებთან შესვლა მარტო ბერიკებს შეეძლოთ!..

— თქვენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დადისართ. სად უფრო ხელგაშლილები არიან?

— ჩვენს მხარეს. აქ ადამიანებს არაფერი ემეტებათ. ზოგმა შეიძლება, 5 თეთრი მოგცეს. კარგია, თუ 50 თეთრს ან 1 ლარს გაიმეტებენ. კახეთში კი, თან გადაგყვებიან, შენი გულისთვის ყველაფერს გააკეთებენ.

— საშუალოდ, რამდენ ლარს შოულობთ დღეში?

დედოფალი:

— 1 საათი არ არის, რაც აქ ვდგავართ და უკვე ჩვენს გაგდებას ცდილობენ. როგორ ფიქრობ — რა უნდა ვიშოვოთ?..

მეფე:

— რა სასწაულები ხართ ეს ყურნალისტები! ისე მიყურებ, აუცილებლად უნდა გითხრა, თორემ, არ მომეშვები, ხომ?

— სწორად გამოიცანით...

— 50-60 ლარს. ჰა-ჰა, 100 ლარამდეც ავდივართ.

— შეიძლება ითქვას, რომ ბერიკები ამით ირჩენთ თავს?

— ბერიკაობა წელიწადში ერთხელაა. ის ყოველი წლის თებერვალში მეორდება და ამით თავის რჩენას როგორ შევძლებთ?!

დედოფალი:

— აქ ადებულ „კაპიკებით“ შესანიშნავს ვყიდულობთ, ბერიკაობის ბოლოს, ცხვარს, ძროხას და ა.შ.

— რომელ ეკლესიაში მიგაქვთ შესანიშნავი?

მეფე:

— ყვარლის რაიონშია ნეკრესის სალოცავი, რომელიც იღებს ყველაწარმო საკლავს — ღორს, ცხვარს, ძროხას და ა.შ.

— რატომ მინცდამინც ნეკრესის სალოცავში? ამასაც ენოჭება თუ არა რაიმე მწიგნულობა?

— ეს ტრადიცია არ არის — უბრალოდ, დაპირებაზეა: ნეკრესის სალოცავს საკლავს შევპირდით, უნდა დავკლავთ ბურვაკი და ვიქეიფოთ. ამისთვის ჩამოვედით.

დელოვალი:

— ისე, სალოცავიც, ტრადიციული ადგილია, ჩვენი წინაპრებისგან გადმოცემული.

მეფა:

— ომიანობის დროს, როცა ლეკები თავს გვესხმოდნენ, ჩვენი ხალხი ამ ეკლესიას აფარებდა თავს. იქ კლავდნენ ღორს და რადგან მუსლიმანები ღორის ხორცს არ ჭამდნენ, ახლოსაც ვერ ეკარებოდნენ იმ ადგილს. ადამიანების 40-50 პროცენტმა ამით გადაირჩინა თავი: ქალებს და ბავშვებს გარშემო ღორის ხორცს შემოუღებდნენ, რომ მათ მუსლიმანები არ მიჰკარებოდნენ...

— **თქვენ ამბობთ, რომ ბერეკობა ნელინადში ერთხელაა, მაგრამ ქალაქის ქუჩებში ბერეკები უფრო ხშირად რომ გამოდიან...**

დელოვალი:

— სხვა თვეებშიც?... ტყუილია. ისინი ნამდვილი ბერეკები არ არიან, თორემ, მარტო თებერვალში გამოვიდოდნენ.

— **ისინი წარმოდგენებს მართავდნენ ხოლმე. მაგრამ ვატყობ — თქვენ სხვა დატვირთვა გაქვთ. მაგალითად თქვენ, დედოფალს რა მოვალეობა გაკისრიათ?**

— ხალხის გამხიარულება მევალება...

— **ქალის განსახიერება არ გიჭირთ?**

— სულაც, არა, პირიქით — მგონი, მოვიხდინე კიდევც...

— **რა არის საჭირო იმისთვის, რომ ბერეკა იყო?**

მეფა:

— ფორმები, პარიკები. სხვა არაფერია საჭირო.

— **თქვენ მგონი, ყველაზე მნიშვნელოვანი დაგაფინყდათ — მასობრივი ნიჭი არაფერს ნიშნავს?**

დელოვალი:

— მთავარია, ისე მოიქცე, რომ ადამიანი გააცინო.

— **პროფესიით ვინ ხართ?**

მეფა:

— ისეთი მნიშვნელოვანი, არავინ.

— **რას გულისხმობთ?**

დელოვალი:

— თებერვალში, ბერეკები ვართ, სხვა დროს კი — სოფლის საქმეს ვაკეთებთ.

საუბარში, რომელიც „მითოლოგიური გმირი“ ჩაერთა, რომლის წარმომავლობაც ვერ დავადგინე. მას უბრალოდ ზაქროს ეძახდნენ.

ზაძრო:

— თქვენი ჭირიმე, მუშაობა გვაცალეთ, რა!

— **ჩვენ ხელს რაში გიშლით?**

— ბერეკები მეფე-დედოფლის ეშხით ვმუშაობთ, ჩვენი კლიენტებიც მათი სათრით „მუშაობენ“ და თქვენ ორივე წაგვართვით.

— **რას ნიშნავს — კლიენტები მუშაობენ?**

— რას და იმას, რომ დედოფლის

სათრით, ხელს ჯიბეში იყოფენ. შეხედე, რა ლამაზი დედოფალი გვყავს!

დედოფალი გაინაზა, ხელები გაშალა და ცეკვა დაიწყო.

ზაძრო:

— რას იცინით? მისი სილამაზით დაბრმავებულეს, ჩვენთვის დედოფლის წართმევა უნდოდათ, მაგრამ არ გამოუვიდათ...

მეფა:

— უარი ვგლიჯეთ „სიფათში“.

— **რატომ არ გააყოფეთ?**

— ჩემი დედოფალი ჩემთვის იმდენად ძვირფასია, რომ მის თავს ვერავის დავუტომობ.



ზაძრო:

— მასში ისეთ ფასს გვიხდინდენ, რომ „საუნა“ მიმიქარავს...

— **მიანც, რამდენს გთავაზობდნენ?**

— ასე ნუ დავკონკრეტდებით, რა!..

— **მაშინ, რამდენად გაყიდდით თქვენს დედოფალს?**

მეფა:

— 1.000 ლარში დავასაღებდით...

ზაძრო:

— საუნაში „დედოფალი“ იაფი ღირს — ეს უფრო ფასეულია!..

— **ბერეკების მოძრაობისთვის მუსიკა რამდენად მნიშვნელოვანია?**

მეფა:

— მუსიკა აუცილებელია.

დელოვალი:

— მუსიკის გარეშე ხელების გაშლას რა აზრი აქვს?!

მეფა:

— დოლ-გარმონიც ტრადიციებიდან მოდის. ჩვენ შეგვეძლო, სხვა საკრავები წამოგვედო, მაგრამ არ იყო საჭირო. ქართულ ტრადიციებს რაც შეეფერებოდა, ის წამოვიღეთ. ჩვენც ვერთობით და ხალხსაც ვართობთ.

— **თქვენ თქვით, აქ დგომას**

გვიშლიანო. ვინ გიშლით?

— ბევრი გვიშლის ხელს. პატრული გვიკრძალავს აქ დგომას.

— **რატომ?**

— რა ვიცი. ტრადიციების არაფერი გაეგებათ, ამბობენ — უფროსმა გვითხრა ნუ დააყენებთო და ჩვენც მოვალეობას ვასრულებთო.

— **თქვენ მინც გმირულად დგახართ, ხომ?**

— გმირულად — არა, მაგრამ ვთხოვეთ და დაგვტოვეს ცოტა ხნით.

— **თქვენი აზრით, ხელისუფლება ტრადიციების...**

— ...წინააღმდეგია. ასე გამოდის და რა ვენა?!

— **სადამდე აპირებთ გზის გაგრძელებას?**

— სადღაც, 5 საათამდე.

— **მე ვგულისხმობ იმას — გასცდებით თუ არა თბილისს?**

— არა, არა.

დელოვალი:

— არ გავცდებით, რადგან არაა საჭირო.

— **რატომ?**

— რა ვიცი, სხვა კუთხეში რა ხდება. იქაურ ტრადიციებს არ ვიცნობთ და იქნებ, არც მიგვიღონ. თანაც, ისეთი ზამთარი დაგვიდგა, შეიძლება, ვერც გავიღებთ, გავცივდეთ და რა ძალა გვადგას?!

— **ფიქრობთ, რომ დასავლეთში ტრადიციები არ არის?**

მეფა:

— კი, მაგრამ... იქნებ, მართლა გავაგრძელოთ გზა. ვნახოთ, ვნახოთ.

— **თქვენი წინაპრები მეფესთან თავისუფლად შედიოდნენ...**

— ჰო, ახლა, სააკაშვილთან ვერ შევდივართ. იქნებ, იმიტომაც, რომ ის მეფე კი არა, უბრალოდ პრეზიდენტიცაა.

— **რაიმე კურორულ შემთხვევას ხომ არ გაიხსენებდით?**

დელოვალი:

— ბერეკობა მთლიანად კურორია.

მეფა:

— რა გავიხსენო?... შარშან ერთი პიროვნება გვყავდა წამოყვანილი. ჩვენთან ერთი ქალი მოვიდა, თან პატარა ბავშვიც ახლდა. ამ ქალმა სთხოვა: შეილო, ძალიან გთხოვ, ნილაბი მოიხადე, ბავშვს შენი სახის ნახვა უნდაო. იმანაც მოიძრო ნილაბი და ქალმა კვიცილი, წყევლა-კრულვა ატეხა: შენ არ გაიხარე, ჩქარა, მოიხარე შენი ნილაბი, ბავშვი არ შემომინოო!..

დელოვალი:

— შარშან იყო მოსული ერთი „კლიენტი“ და კინალამ მომიტაცა. კურორია, აბა, რა ჯანდაბაა! ისე მოვეწონე, ბიჭები რომ არ დამხმარებოდნენ, რა მეშველებოდა, არ ვიცი.

მეფა:

— ახლა, თუ ღმერთი განმს, მოგვეშვი და ხელის გაშლა გვაცალე, თორემ, ერთ საათში გაგყვრიან და უფულოდ დავრჩებით...

„ჯეოსელმა“ „ჯეოარტის“ გამარჯვებულები გამოავლინა

ის, რომ მობილოგრავია სულ უფრო პოპულარული ხდება საქართველოში, კომპანია „ჯეოსელმა“ კიდევ ერთხელ დაამტკიცა. მან უკვე მეორედ შესთავაზა საზოგადოებას **MMS** ფოტოკონკურსი „ჯეოარტი“. 25 დეკემბრიდან 25 იანვრამდე, „ჯეოსელის“ აბონენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ, გამოეგზავნათ სურათები ნომერზე 555. დაწესებული იყო 3 ნომინაცია: „სახალწლო სუფრის შედეგები“, „მარიაჟი“ და „მე მიყვარს“. კონკურსში 4000-ზე მეტმა აბონენტმა მიიღო მონაწილეობა.

ორე ადგილი — **დალი გობიაშვილი**, რომელმაც სოფელში ყოფნისას, პლეიერიტა და ყურსასმენებით აღჭურვილი „მარიაჟი თხა“ გადაიღო, პირველი ადგილის მფლობელი კი, 4 წლის **მარია ლანაძე** გახდა, რომელსაც საკონკურსო ფოტოზე, შუბლზე გაკეთებული წარწერა — „მამაჩემი მინისტრია“ — ამშვენებდა. ამ სურათის გადაღების იდეა მარიამის დედას, შორენა გაბუნისა ეკუთვნის, რომელიც ფიქრობს, რომ დღეს ყველაზე მეტად, მაღალი თანამდებობით „მარიაჟობენ“.



შორენა გაბუნია:

— როდესაც „ჯეოსელმა“ ეს კონკურსი გამოაცხადა, არც მიფიქრია, რომ მასში აქტიური მონაწილეობა მიმეღო. ერთადერთი ფოტო გავგზავნე და გამარჯვების იმედი არც მქონია. ეს სურათიც მხოლოდ იმიტომ გადავიღე, რომ ძალიან არ მომწონს ქართველების გადაამეტებული „მარიაჟობა“ თანამდებობებით.

თავდაპირველად მინდოდა, ეს ფოტო საკუთარი თავისთვის გადამეღო, მაგრამ მარიამი მშვენიერი მსახიობი აღმოჩნდა. ასე რომც არ ყოფილიყო, ჩემი ფოტო არ იქნებოდა აქტუალური, რადგან მამა-

ნომინაციაშიც მოხვდა და ის, ვინც მიხეილ სააკაშვილთან ერთად ბაკურიანში თხილამურებზე სრიალის დროს გადაღებული სურათით „მარიაჟობდა“, გამარჯვებულთა მომდევნო შვიდეულში აღმოჩნდა. კონკურსის მესამე ნომინაციაში — „მე მიყვარს“ — ასევე 10 საუკეთესო ფოტო გამოვლინდა. მესამე ადგილი დაიკავა **ლელა შურვაშიძე**, რომლის ფოტოზეც შეყვარებული წყვილია ალბეჭდილი. სავაოდ ორიგინალური ხედვით გამოირჩეოდა მეორე საპრიზო ადგილის მფლობელი, **გიორგი დანდუაშვილი**. ქათმის გრიპის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟის მიუხედავად, გიორგიმ შესწავლავდა გამზადებული და შეყვარებული წყვილით ერთმანეთთან ჩახუტებული ქათმები გადაიღო... პირველი ადგილი კი, **ნინო ლაზაშვილს** ერგო, რომლის ფოტოც, სამშობლოს სიყვარულს გამოხატავს. დანარჩენ 7 საპრიზო ადგილზე ის სურათები მოხვდა, რომლებზეც ნაჩვენებია, თუ როგორ უყვართ საქართველოში „ჯეოსელი“, ღვინო და, რა თქმა უნდა, ერთმანეთი.

დათო მიხანდარი, „ჯეოსელის“

მარკეტინგის სამსახური:

— ნინა ფოტოკონკურსისგან განსხვავებით, წლეულს გაცილებით მეტი ფოტო მივიღეთ. საინტერესო ის არის, რომ ნინა კონკურსის გამარჯვებულები ამჯერადაც აქტიურობდნენ და კვლავ საპრიზო ადგილები ხვდათ წილად. ვფიქრობ, რომ მობილოგრავია სულ უფრო პოპულარული ხდება საქართველოში და ჩვენ ამას ხელს შევეწყობთ. „ჯეოარტის“ კონკურსს ჩვენ ყოველ სეზონზე შევთავაზებთ ქართულ საზოგადოებას. მოგესვენებთ, ალბათ, რომ ამ კონკურსის სახელწოდება „ზამთარი“ იყო, ხოლო გაზაფხულის დადგომისთანავე, სტარტს აიღებს ახალი ფოტოკონკურსი. მომავალ კონკურსზე 3 ნომინაციას გამოვაცხადებთ, თუმცა, თემები განსხვავებული იქნება.



ჩემის ასაკის მინისტრები საქართველოში არც გვყავს.

— სინამდვილეში, რა პროფესიასა მარიამის მამა?

— მარიამის მამას მინისტრობასთან არაფერი აქვს საერთო — ის მუსიკოსია, ჯანსუღ კახიძის სახელობის ორკესტრში უკრავს. სხვათა შორის, მან ამ ფოტოს შესახებ მხოლოდ მას შემდეგ შეიტყო, როდესაც „ჯეოსელიდან“ დაგვირეკეს და გამარჯვების ამბავი შეგვატყობინეს.

პრეზიდენტის პორტრეტი „მარიაჟის“

სურათების გამოფენა კინოთეატრ „ამირანში“ გაიმართა. იქვე შედგა ყველა გამარჯვებულის დაჯილდოება, ვისი ფოტოებიც „ჯეოსელის“ ჟიურიმ საუკეთესოდ ცნო.


ნომინაციაში — „სახალწლო სუფრის შედეგები“ — მესამე ადგილი დაიკავა **გიორგი რაზვიაშვილმა**, რომელმაც „ჯეოსელის“ წარმომადგენელთა თქმით, ისე შთამბეჭდავდა წარმოადგინა ფოტოზე ხიზკალი, რომ ნებისმიერს აღუძრავს მადას. მას საჩუქრად გადაეცა სიგელი, რომლის ფონადაც, მისივე ფოტოა გამოყენებული, ფოტოაპარატი და უამრავი სასაუბრო დრო „ჯეოსელისგან“. ამავე ნომინაციაში მეორე ადგილზე გავიდა **გილა გიორგაშვილი**, რომელმაც ფოტოზე აღბეჭდა, თუ როგორ „ქეიფობენ“ ერთად ძალი და მისი პატრონი. პირველი ადგილი კი, **დიმიტრი სუსიტაშვილმა** დაიკავა, რომელმაც სუფრაზე სიმთვრალისგან ჩამოძინებული მეგობრები აღბეჭდა. პირველ ადგილზე გასულს გადაეცა აგრეთვე, ფოტოკამერით აღჭურვილი, საუკეთესო მოდელის მობილური ტელეფონი — „ნოკია“. ამავე ნომინაციაში გამოვლინდა კიდევ შვიდი გამარჯვებული, რომლებსაც „ჯეოსელმა“ უმრავი სასაუბრო დრო აჩუქა. კონკურსანტებიდან ერთერთი, იმდენად მოხერხებული აღმოჩნდა, რომ საახალწლო სუფრასთან თვით საქართველოს პრეზიდენტის გადაღება მოუხერხებია.

ნომინაციაში — „მარიაჟი“ — მესამე ადგილი **ნინო ტყაშაძე** დაიკავა, მე-



ზუსტად ერთი წელი გავიდა საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ზურაბ ჟვანიას ტრაგიკულად დაღუპვის დღიდან, მაგრამ უპასუხოდ დარჩენილი კითხვა კვლავაც მრავლადაა. ზუსტად ერთი წლის წინ, ჟვანიას თანაგუნდელები და მეგობრები ირწმუნებოდნენ, რომ არაფერს დაიშურებდნენ ობიექტური გამოძიების ჩასატარებლად და იმ პოლიტიკური კურსის გასაგრძელებლად, რომელსაც ჟვანია პრემიერობისას მისდევდა...

ბუნებრივია, ყველაზე მტკივნეულად გასულ წელიწადს, მაინც ჟვანიას ოჯახი იხსენებს. მისი მეუღლე — ნინო ქადაგიძე-ჟვანია და შვილები, ახლა ბატონი ზურაბის დედასთან, ქალბატონ რემასთან ერთად ცხოვრობენ. მათ ბინაში, შარტავას ქუჩაზე, კედლებზე ზურაბ ჟვანიას ფოტოები კიდია. ასეც რომ არ იყოს, თითოეული წიგნი, რომელთანაც ნინო ქადაგიძეს შეხება უხდება, მის მეუღლესთან ასოცირდება და წარსულის მოგონებებს შლის...



„**თქვენი თქვენი, ხსოვს თქვენი ზინი...**“

ერთი წელი ზურაბ ჟვანიას გარეშე

შპს ბუნიანი

— მე და ზურაბ ერთმანეთი 1992 წელს, „მწვანეთა პარტიის“ ოფისში გავიცანით. იმ დროს, მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში ვმუშაობდი და პარალელურად, რამდენიმე თანამშრომელს კერძო კომპანია გვქონდა, სადაც ვიღებდით შეკვეთებს ფსიქოლოგიურ მომსახურებაზე. ერთ-ერთი პირველი ასეთი დამკვეთი, „მწვანეთა პარტია“ გახლდათ. კონკრეტულად რომ ვთქვათ, უნდა დაგვეგეგმა მათთვის წინასწარჩევნო კამპანია, გაგვეკეთებინა ამის ორგანიზება. სხვათა შორის, „მწვანეები“ პირველი პოლიტიკური პარტია იყო საქართველოში, ვინც დასახმარებლად ფსიქოლოგიურ სამსახურს მიმართა. ამავე დროს, ეს იყო ერთადერთი პოლიტიკური პარტია, რომელიც ჩემში სიმპათიას იწვევდა, თუმცა, მე თვითონ რომელიმე პარტიის წევრი არასდროს ვყოფილვარ. ჩვენი ახალგაზრდობის წლები საქართველოში მიმდინარე ეროვნული მოძრაობის ბოპოქარ პერიოდს დაემთხვა. მეც აქტიურად ვიყავი ჩაბმული ამ ყველაფერში, დავდიოდი მიტინგებზე...

— **გამოდის, რომ თქვენ და ბატონი ზურაბის გაცნობა საქმიანმა შეხვედრამ განაპირობა...**

— ეს საქმიანი შეხვედრა იყო, მაგრამ როგორც კი ზურაბი თავისი პირველი ფრაზა დაამთავრა, ამ ურთიერთობამ მაშინვე, არასაქმიანი მიმართულება მიიღო, რადგან მივხვდი, რომ შევხვდი სრულიად განსხვავებული აზროვნების მქონე ადამიანს და მოვიხიბლე მისით. შემდეგ, მოვლენები ძალზე სწრაფად განვითარდა. მეორე-მესამე შეხვედრის დროს, ზურაბი შემომთავაზა: ოფისში ძალიან ცხელა და სადმე გავისეირნოთო. ზაფხული იყო, ამ-

იტომ თბილისის ზღვაზე წავედით. ძალიან კარგად ვცურავდი და ძალიან ღრმად შევცურე. თავიდან, ზურა უკან მომყვებოდა, მაგრამ მერე უფიქრია: ვაიმე, ეს ვილადა ზვიადისტი ხომ არ გადამევიდა და რამეს ხომ არ მიპირებსო?!

— **თვითონ თქვენსავით კარგად ვერ ცურავდა?**

— შესაძლოა, არც კი დამიჯეროთ, მაგრამ როდესაც ზურას შევხვდი, მასზე უკეთ ვცურავდი კიდევ და გაცილებით უკეთ ვფლობდი ინგლისურ ენას. როდის მოახერხა, რომ ჩამომიტოვა ყველაფერში და ასე ვთქვათ, „ასტრალში გავიდა“, მართლა არ ვიცი... ძალიან სპორტული ოჯახი ვიყავით. შემდეგ, უკვე ბავშვები დაგვყავდა აუზზე და მათ ვასწავლიდით ცურვას. აუზი ზურას საყვარელი ადგილი იყო, დადიოდა და ცურავდა.

— **„სიყვარულის პოლიტიკაში“ როგორი იყო ბატონი ზურაბი?**

— ძალიან თავისებური იყო. ჩემთან ბევრი საუბარი არ უყვარდა. მაგრამ იყო ყურადღებიანი და მისი ურთიერთობიდან ყველაფერი ნათელი ხდებოდა. მახსოვს,

დიდ პასუხისმგებლობას გრძნობდა შვილების წინაშე ყოველ კვირადღეს, სამივე მიჰყავდა სასეირნოდ



პირველად რომ მომიყვანა ოჯახში და ჩემი თავი გააცნო მის წევრებს, იმდენად დაკავებული იყო, რომ დამტოვა და თვითონ საქმეზე წავიდა... მაშინ, მამამისი უკვე ავადმყოფობდა და ჩემი გაცნობა აინტერესებდა. შემთხვევა მოგვეცა და დიდხანს ვისაუბრეთ თითქმის ყველაფერზე. როდესაც წავედი, უთქვამს: სწორედ ასეთი ცოლი სჭირდებოდა ზურასო... მამა ოჯახში დიდ ავტორიტეტს წარმოადგენდა, მისი სიტყვა კი ზურასთვის ძალზე მნიშვნელოვანი გახლდათ.

— **დიდი ქორწილი თუ გადინა და მეჯვარეებად ვინ გაყვდა?**

— გია ბარამიძე და ოთარ ყარალაშვილი, ზურას მეჯვარეები იყვნენ, ჩემი მხრიდან კი — მაია საყვარელიძე და ხათუნა ბაქრაძე. იმ დროს გვეჩვენებოდა, რომ დიდი ქორწილი გვქონდა, ახლანდელი საზომით კი, 80 კაცი მოკრძალებულ სუფრად ითვლება. ქორწილში ზურაბი ძალიან იმხიარულა, იცეკვა, იმღერა, მე კი სიცხე მქონდა და მასავით ვერ მოვილხინე... ძალიან რთული და მძიმე პერიოდი იყო, ბევრს ვმრომობდით, რას არ ვაკეთებდით, რომ მინიმალური შემოსავალი გვექონოდა. ეს ის დროა, როდესაც ხშირად, არც ელექტროენერგია იყო, არც გაზი და არც წყალი. მახსოვს, ზამთარში, წყალს რომ ვერ ვაცხელებდით, ცივი წყლით ვიბანდით. ახლა ამის გაკეთებას ნამდვილად ვერ შევძლებ...

— **ადამიანების წარმატებას კარიერაში გარკვეულწილად, ოჯახში არსებული ვითარებაც განსაზღვრავს. როგორი იყო თქვენი როლი ამ ყველაფერში?**

— სულ ამაზე ვფიქრობ... ახლა, როდესაც ზურა აღარ არის, ძალიან გამიჭირდა იმ თვალსაზრისით, რომ ვხედავ — ქვეყანაში ისე არ ვითარდება პროცესები, როგორც ის ფიქრობდა და როგორც მას სურდა. ეეჰ, ზურა რომ ცოცხალი ყოფილიყო... ამ ბოლო დროს, სულ მანუხებს ეჭვი — გამოვა კი ეს ქვეყანა ისეთი, როგორც ზურას სურდა ყოფილიყო?.. შემდეგ, იმასაც ვფიქრობ, რომ ზურა თავადაც ამ საზოგადოების ნაყოფი იყო. ისიც ჩამოყალიბდა თავისი მშობლების, მასწავლებლების, მეგობრების შრომის ფასად. ამიტომ მგონია, რომ საზოგადოება, რომელიც თავის წიაღში ასეთ პოლიტიკოსს შობს, თვითონაც საკმაოდ ძლიერია. ამიტომ, შესაძლოა, რაღაც დროის განმავლობაში გაგვიჭირდეს, მაგრამ მოვა დრო და ყველაფერი თავის ადგილზე დადგება. ნებისმიერი მოვლენა, რომელიც ქართულ პოლიტიკაში ხდება, ჩვენს ოჯახში განსჯის საგნად იქცეოდა ხოლმე. მაგრამ ზურა არასდროს გვეკითხებოდა: ახლა როგორ მოვიქცე, რა მოვიმოქმედო?.. თუმცა, ისმენდა ჩვენს შეფასებებს და ალბათ, იყენებდა კიდევ. როდესაც 2002 წლის ნოემბერში ის პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადადგა, ჩვენ ძალიან შევუქეთ ეს საქციელი. შემდეგ, ამაზე ხუმრობდა კიდევ: თავმჯდომარეობიდან რომ გადავდექი, ოჯახში სიხარულით მილოცავდნენო.

ტიკაში ვყოფილიყავი ჩაბმული. არც ის სურდა, რომ ისეთი პოლიტიკოსის იმიჯი ჰქონოდა, რომლის საქმეებშიც ცოლი ერევა... პრემიერ-მინისტრობის პერიოდშიც, ძალზე დაკავებული იყო. მახსოვს, ავიღებდი ტელეფონს, დაფურეკავდი და მეკითხებოდა იქიდან: რა გინდაო?.. — არაფერი, მაინტერესებს, როგორ ხარ-მეთქი, — ვეტყოდი ხოლმე. მიპასუხებდა — კარგადო, — და ესეც მყოფნიდა... ალბათ, სიყვარულს სწორედ მაშინ უფრთხილდები, როდესაც მისი ფასი იცი.

— ოჯახში როგორი იყო? სამსახურიდან გამოყოლილი დაძაბულობა ხომ არ მოჰყვებოდა?

— საკმაოდ რთული ხასიათი ჰქონდა, რადგან მთელი მისი ხუმტურები და დაძაბულობა ჩემკენ იყო მომართული... მაგრამ მე ვხედავდი, რომ ეს იყო სულ სხვა მასშტაბის, მონოდების ადამიანი და მისი არსებობა მნიშვნელოვანი იყო საქართველოსთვის. ვცდილობდი, იდეალური ცოლი ვყოფილიყავი. არასოდეს, არაფერზე მქონია პრეტენზია და ვცდილობდი, მიმეცა ზურასთვის ის თავისუფლება, რომელიც სჭირდებოდა. როდესაც კარგ ხასიათზე იყო, ძალიან უყვარდა ქეიფი მამაჩემთან ერთად, თვითონ უყვარდა კერძების მომზადება...

— ვიცი, რომ საახალწლოდ გოზინაც ამზადებდა...

— მე მათ „უშედეგო გოზინაცებს“ ვეძახდი, რადგან მერე, სულ იშლებოდა. არადა, ნიგოზსაც დაჭრილს ვახვედრებდით, თავლსაც — გამზადებულს, მხოლოდ ერთი-ორჯერ უნდა მოერიო კოვზით ქვაბში; შემდეგ, ამ გოზინაციის დანებება და გამთელება მე მიხდებოდა... დიდ პასუხისმგებლობას გრძობდა შვილების წინაშე. ყოველ კვირადღეს, სამივე მიჰყავდა სასეირნოდ. საერთოდ, ბევრს დავდიოდით ერთად, საქართველოს თითქმის ყველა ეკლესია გვაქვს მოვილილი... მახსოვს, ერთხელ, მიშასთან (მიხეილ სააკაშვილი. — ავტ.) ერთად, ბავშვები მუშთაიდის ბაღში წავიყვანეთ. რატომღაც, ედუარდი არ იყო ჩვენთან ერთად. მიშამ და ზურამ იმდენი „იკატავეს“ ატრაქციონებზე, ყველა ბავშვს გადააჭარბეს...

— რამდენად ხელმისაწვდომია თქვენთვის, ბატონი ზურაბის ოჯახის წევრებისთვის, ყველა ის ინფორმაცია, რომელიც გამოძიებას ყოველ ახალ ეტაპზე აქვს? მახსოვს, გქონდათ მცდელობა, დამოუკიდებლად გენარმოებინათ გამოძიება... — ნაწილობრივ ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომია... მოვლენები ისე განვითარდა, რომ მთავარი მოწმეები, ზურას პირადი

ცია, რომელიც გამოძიებას ყოველ ახალ ეტაპზე აქვს? მახსოვს, გქონდათ მცდელობა, დამოუკიდებლად გენარმოებინათ გამოძიება...

— ნაწილობრივ ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომია... მოვლენები ისე განვითარდა, რომ მთავარი მოწმეები, ზურას პირადი



ვხედავდი, რომ ეს იყო სულ სხვა მასშტაბის, მონოდების ადამიანი და მისი არსებობა მნიშვნელოვანი იყო საქართველოსთვის. ვცდილობდი, იდეალური ცოლი ვყოფილიყავი


დაცვის თანამშრომლები, რომლებსაც გამოძიება სიტყვაზე ენდო და ყოველგვარი პასუხისმგებლობა მოუხსნა, ადვილი შესაძლებელია, მცდარ ინფორმაციას აწვდიდნენ მას. ორი კაცის მოსყიდვას ბევრი არაფერი უნდა, მით უმეტეს, რომ ის ხალხი, ვის ინტერესებშიც ეს შედის, ძალზე შეძლებულია და ერთი-ორი მილიონი მისთვის არაფერია... როდესაც განვაცხადე, რომ ზურას პირადი ნივთები იყო დაკარგული, არ იყო საბუთები, — ამას არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია...

— თქვენ ხომ იცნობდით ბატონი ზურაბის დაცვის წევრებს, რატომ არ სცადათ მათთან დაკავშირება?

— ზურას დაღუპვიდან ერთი კვირის შემდეგ ვნახე ეს ადამიანები; იმ დღიდან კი, თვალთ აღარ მინახავს. ვიცი, რომ ორივე დაცვის წევრი უცხოეთში აპირებდა წასვლას, მაგრამ უარი მიიღეს. კიდევ ის ვიცი, რომ ერთ-ერთმა მათგანმა მაღალი თანამდებობა მიიღო თბილისის მერიაში, მაგრამ როცა ამის გამო, ზურას მეგობრებმა ერთი ამბავი ატყეს, ის ამ თანამდებობიდან გაათავისუფლეს...

— რა შეიცვალა თქვენთვის ამ ერთი წლის განმავლობაში?

— ბევრი რამ შეიცვალა. ფაქტობრივად, ახალ ცხოვრებას ვიწყებ, რომელიც ადვილი ნამდვილად არ არის. ადრე, თუ ზურას ჩრდილში ვიყავი, ახლა იმათ, ვისაც ზურა უყვარდა, ჩემზე გადმოაქეთ ეს სიყვარული: დღე არ გავა, რომ სრულიად უცხო ადამიანებმა თანადგომა არ გამოხატონ ჩემ მიმართ. ყველას მაღლიერი ვარ. თუმცა, ამ ხნის განმავლობაში, ბევრ უმადურობასაც ნაწავყდი. მაგრამ ცხოვრება ხომ იცით, როგორია...



როდესაც ზურას შეეხდა მასზე უკეთ ვერავინ კიდევ და გაცილებით უკეთ ვფლობდი ინგლისურ ენას. როდესაც მოახერხა, რომ ჩამომიგოვა ყველაფერში და ასე ვთქვათ, „ასტრალში გავიდა“, მართლა არ ვიცი.

— მილოცვები იქნებოდა ნოემბრის რევოლუციის შემდეგაც, ასე არ არის?

— ძალიან ბედნიერები ვიყავით... ნოემბრის იმ დღეებში, სულ ზურას გვერდით ვიყავით. მე და ჩემს დედამთილს მორიგეობა გვქონდა დაწესებული: ის მიდიოდა ზურასთან დილის 6 საათზე, მე კი საღამოდან ვახერხებდი მის გვერდით ყოფნას. თუმცა, ზურას, ფაქტობრივად, ვერც ვნახულობდი — სულ რაღაცას თათბირობდნენ კაბინეტში, მე კი ამ ყველაფერს არ მაკარებდა. არ სურდა, რომ პოლი-

"ეს საღიზიანია და არა მხოლოდ მკვლელობა" აცხადიზინ სანდრო გირგვლიანის ოჯახის წევრები

„გაერთიანებული ქართული ბანკის“ სათავო ოფისის მენეჯერის მკვლელობა, დამარალელების ვერსიით, შეკვეთილია

თბილისში, 28 იანვრის ღამეს მომხდარმა შემზარავმა მკვლელობამ მთელი ქალაქი შეძრა. სასტიკ დანაშაულს თბილისელი, 28 წლის სანდრო გირგვლიანის სიცოცხლე შეენირა. ან გარდაცვლილი, „გაერთიანებული ქართული ბანკის“ საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების უფროსი გახლდათ. საქმეში ფიგურირებს მეორე დაზარალებულიც, ამავე ბანკის თანამშრომელი — ლევან ბუხაიძე. ბუხაიძე სიკვდილს, საბედნიეროდ, გადაურჩა.

შემთხვევის ადგილი, ოქროყანის სასაფლაოა, დრო — ღამის 3 საათი. დაზარალებული ლევან ბუხაიძის თქმით, ის და სანდრო გირგვლიანი უცნობმა პირებმა მუქარით ჩასვეს „მერსედის“ მარკის ჯიპში და სასაფლაოზე წაიყვანეს. იქ ორივე გააშიშვლეს და შემდეგ, ცემა დაუწყეს. დამნაშავეებმა (დაზარალებულის ჩვენების საფუძველზე ამბობენ, რომ ისინი სამნი იყვნენ) ცივი იარაღი — დანა გამოიყენეს. სანდრო გირგვლიანს მათ მთელი სხეული დაუსერეს დანით და სხვადასხვა ადგილზე ჭრილობებიც მიაყენეს. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტებმა მოკლულის სხეულზე დანით მიყენებული შემავალი ჭრილობა ყელის არეშიც დააფიქსირეს. ექსპერტების დასკვნა გამოძიებას ჯერჯერობით არ მიუღია, მაგრამ როგორც დაზარალებული ოჯახის ახლობლები ამბობენ, ექსპერტებმა ივარაუდეს, რომ სიკვდილის გამომწვევი ჭრილობა, სწორედ ყელის არეში იყო მიყენებული.

ჭრილობების მიუხედავად, სანდრო გირგვლიანმა შემთხვევის ადგილიდან გაქცევა მოახერხა. ყინვასა და თოვლში ფეხშიშველმა დაახლოებით 40 მეტრი გაირბინა. სიბნელეში, როგორც ჩანს, კარგად ვერ ხედავდა გარემოს, იქვე, სასაფლაოსთან მდებარე ხევიც ვერ შეამჩნია და გადაიჩიხა. ექსპერტების თქმით, ვარდისას მან თავი ძლიერად დაარტყა. თუმცა, ხევიდან ამოსვლა და გზის გაგრძელება მაინც შეძლო, კიდევ რამდენიმე მეტრი გაიარა, გზაზე გავიდა და ამის შემდეგ, იქვე უგონოდ დევს. ექსპერტები სიკვდილის სავარაუდოდ დროსაც ასახელებენ. აღნიშნავენ, რომ დაჭრილმა დაახლოებით სამი საათი იცოცხლა. მათი ვარაუდით, ის დილის 6 საათზე გარდაიცვალა. ამბობენ იმასაც, — დაჭრილი დროულად რომ ეპოვათ და მისთვის დახმარება აღმოეჩინათ, ის სიკვდილს გადაურჩებოდაო.

გაქცევა მოახერხა ლევან ბუხაიძემაც. ის ახლოს მდებარე ავტოგასამართ სადგურთან მივიდა. სადგურის თანამშრომელმა — ალექსანდრე საჯიამ მას თავშესაფარი მისცა, ჩააცვა, გაათბო და მომხდარის შესახებაც გამოეცხობა. საჯიას თქმით, ბუხაიძე ძლიერ ნაცემი იყო და თქვა, რომ უცნობებმა ის და მისი თანამშრომელი სცემეს და გააძრცვეს. მომხდარის შესახებ შეატყობინეს სანდრო გირგვლიანის ახლობლებსაც. მათ სანდრო უკვე გარდაცვლილი დახვდათ.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საქმე აღიძრა და დანაშაულის გახსნაზე ამაჟამად, ქალაქის პროკუ-

რატურა მუშაობს. მკვლელობის მოტივთან დაკავშირებით, რამდენიმე ვერსია არსებობს, მაგრამ როგორც დაზარალებული ოჯახის ახლობლები აღნიშნავენ, გამოკვეთილი არც ერთი არაა, ამიტომ რეალური საფუძველი აქამდე გავრცელებულ ვერსიებს არ გააჩნია. სამართალდამცველები დანაშაულის შესახებ არანაირ კომენტარს არ აკეთებენ და ამას გამოძიების ინტერესებით ხსნიან. დაზარალებული ოჯახის წევრები, ვერძოდ, მოკლულის მამა კი ამბობს, რომ სხვადასხვა ვერსია განგებ ვრცელდება, რათა კვალი აირიოს და ჩადენილი დანაშაულის ნამდვილი მიზეზი სულ სხვა რალაცით შეინიღბოს. მისი თქმით, ცხადია, რომ ამ საქმეში მაღალი წრის, გავლენიანი პირი ან პირები არიან ჩარეული და მკვლელობაც მათ შეუკვეთეს. ისინი კი, ვინც მისი შვილი და ლევან ბუხაიძე სასაფლაოზე წაიყვანეს, სავარაუდოდ, დაცვის წევრები — შეკვეთის შემსრულებლები იყვნენ. ამ ვერსიიდან გამომდინარე, შიშობენ იმასაც, რომ დანაშაული შესაძლოა, ჩაიფარცხოს და არც არასდროს გაიხსნას.

მოკლული სანდრო გირგვლიანი სამშაბათს დაკრძალეს. მომხდართან დაკავშირებით, ან გარდაცვლილის მამას — **ბურამ გირგვლიანს** ვესაუბრეთ.

— **ბატონო გურამ, როდის შეიტყვეთ მომხდარის შესახებ?**

— 28 იანვარს, დილით. იმდენად მოულოდნელი და ყოველად წარმოუდგენელი იყო, რომ ჯერ კიდევ ვერ ვაცნობიერებთ მომხდარს. აზრების დაწყობა და ჩამოყ-



ალიბება მიჭირს. ამ ამბავმა თავზარი დაგვცა და გაგვანადგურა. ერთადერთი შვილი გვყავდა და ასე უეცრად გაგვაუბედურეს — , უმოწყალოდ გამოასალმეს სიცოცხლეს. ეს საღიზიანია და არა მხოლოდ მკვლელობა. ყველაზე დიდი საშინელება ის არის, რომ ჩემი შვილი წამებით მოკვდა, იმ ყინვასა და თოვლში 3 საათი იბრძოდა სიცოცხლისთვის და მაინც განწირული აღმოჩნდა... წინაღულს, წინობა იყო. გვაცნობა — დღეს ბანკის თანამშრომლებთან ერთად ვარო. წინობა ერთად აღნიშნეს. ღამით ძალიან რომ დაავიანდა, რა თქმა უნდა, გადაეწყვიტეთ, მოგვეკითხა და ტელეფონით დაეურეკეთ. მობილურზე ვერ დაუკავშირდით, ავტომობილსაც გვპასუხობდა, მიუწვდომელიაო. მაშინ აფფორიაქდით. ყოველ ორ წუთში ვრეკავდით, მაგრამ ამაოდ — ვერა და ვერ ვუკავშირდებოდით. თურმე, იმ დროს, ტელეფონი უკვე გადაგდებული იყო სადღაც ხრამში და არ იჭერდა. მთელი ღამე, ასე ნერვიულობაში გავათენეთ. დილით შეგვატყობინეს, რომ სანდროს რალაც ინციდენტი შეემთხვა და ადგილი გვითხრეს, სადაც უნდა გვექებნა. ეს ამბავი დაზარალებული ბუხაიძისგან გახდა ცნობილი. შვილის მოსაძებნად ახლობლებთან და სანდროს მეგობრებთან ერთად წავედი. მაშინ ვიპოვეთ, უკვე გარდაცვლილი, საშინლად ნანაშები...

— **მკვლელობის მოტივთან დაკავშირებით რას ფიქრობთ?**

— ამ ამბავს ახსნას ვერ ვუძებნით. ძნელია იპოვო ისეთი ადამიანის მკვლელობის მიზეზი, როგორც ჩემი შვილი იყო: არასდროს ჰქონია ურთიერთობა კრიმინალებთან, შავი გაგების ხალხთან, ქუჩის ბიჭებთან. ამის გაფიქრება სასაცილოდაც კი მოეჩვენება ყველას, ვინც მას იცნობდა. ყოველთვის მშვიდი, საოცრად ხალისიანი და სიცოცხლით სავსე იყო. არასდროს დაინტერესებულა ქუჩური გარჩევებით, არ აინტერესებდა ფული, რადგან ძალიან მდიდარი სულიერი სამყარო ჰქონდა. ხშირად მოგზაურობდა საზღვარგარეთ

და როცა დაფურცავდით ხოლმე, იმ დროს, ან მუხუშეში აღმოჩნდებოდა, ან გალერეაში, ან კლასიკური მუსიკის კონცერტზე. არასდროს ჰქონია ვინმესთან კონფლიქტი. ერთადერთი შვილი იყო, მუდამ თვალყურს ვადევნებდი და ამის შესახებ აუცილებლად შევიტყობდი... მისი ბუნებიდან გამომდინარე, გამორიცხული იყო, ვინმესთან ეჩხუბა ან ვინმე გაელიზიანებინა. ამიტომაც მიკვირს და ვერაფრით ვხსნი, ვის და რატომ დასჭირდა მისი მოკვლა.

ერთ-ერთი ვერსია, რომელზეც გამოიძიება მუშაობს, ძარცვაა. რამდენად დამაჯერებლად გეჩვენებათ?

— ვერსიას ძარცვასთან დაკავშირებით გამოვირცხავ, რადგან ეს ლოგიკას არ ექვემდებარება. მართალია, ჩემს შვილს მაღალი ხელფასი ჰქონდა, მაგრამ არა მგონია, მისი დაყაჩაღება მოენდომებინათ, სანდროს საკუთარი ავტომობილსაც არ ჰყავდა. თანაც, არარეალურია, „მერსედეს ემ-ელის“ ჯიპით მისულიყვნენ კრიმინალები მათ გასაძარცვავად... სანდრო და მისი თანამშრომელი შარდენის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ კაფეში ყოფილან. იქიდან გამოსულები, ლესელიძეზე თურმე, ტაქსის აჩერებდნენ. ამ დროს გაჩერებულა მათ ნინ ჯიპი. გადმოსულან შეიარაღებული, „მენტის“ ტიპის ახალგაზრდა მამაკაცები, მუქარით ავტომობილში ჩაუსვამთ და წაუყვანიან. დაყაჩაღება რომ ნდომოდათ, იქვე გაძარცვავდნენ, რად უნდოდათ მათი სასაფლაოზე აყვანა?! ისიც გასათვალისწინებელია, რომ ლევან ბუნიაძის თქმით, ის პირები ჩასკვნილი, ახმახი და დაკუნთული ტიპები იყვნენ — ანუ პირადი დაცვის ნევრებს უფრო ჰგავდნენ, ვიდრე მხრებში მოხრილ, ნარკომან კრიმინალებს. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ისინი უბრალოდ შემსრულებლები იყვნენ, შეკვეთა კი უფროსისგან, დამქირავებლისგან მიიღეს და გაუსწორდნენ კიდევ ჯალათურად ჩემს შვილს.

ფიქრობთ, რომ უშუალოდ სანდროზე მოხდა შურისძიება?

— გამორიცხული არაფერია. შესაძლოა, უშუალოდ ჩემი შვილისკენ იყო მიმართული შურისძიება, შესაძლოა, ორივეს მიმართ. ისიც დასაშვებია, რომ ბუნიაძე შემთხვევით გადარჩა და მკვლელებს ის უკვე მკვდარი ეგონათ. დანაშაული უცებ, სპონტანურადაა დაგეგმილი და შესრულებული. ვიღაცამ შეცრადა, რაღაც გულში ჩაიდო და ზედმეტი ფიქრის გარეშე მოიყვანა განზრახვა სისრულეში. შესაძლოა, ყველაფერი უმნიშვნელო საბაბითაც მოხდა. აშკარაა ერთი რამ: შვილი მომიკლეს და თანაც, სადისტურად, ამას არაკაცობა ჰქვია, არაკაცებთან კი ჩემს შვილს ურთიერთობა არ ჰქონდა და ამიტომაც გამოვირცხავ რაიმე კონფლიქტის მომწიფების ფაქტსა და ამის საფუძველზე დაგეგმილ ანგარიშსწორებას.

გაგრძელდა ვერსია რაღაც სვანურ დაჯგუფებასთან კონფლიქტისა და ამასთან დაკავშირებული შურისძიების შესახებ.

ტიპსა და ამასთან დაკავშირებული შურისძიების შესახებ.

— ჩემს ყურამდეც მოაღწია ამ ვერსიამ. ეს გამორიცხულია, რადგან მართალია, სვანური გვარი გვაქვს და სვანეთში ნათესავეებიც გვყავს, მაგრამ იქ ერთი ლამეც არ გაგვითვისია. წმინდა ქალაქური ოჯახი გვაქვს. მე ვაკეში გაზრდილი ვატი ვარ, ჩემი მეუღლე ვერელი გახლავთ, სვანეთთან თითქმის არა გვაქვს შეხება. ასე რომ, სვანებთან რაიმე კონფლიქტს ან მათგან შურისძიებას გამოვირცხავ. ჩემი აზრით, ეს ვერსიები განგებ ვრცელდება, რათა კვალი აირიოს და რეალური მიზეზს ვერ მივაგნოთ. ძარცვასთან, ისევე, როგორც სვანურ დაჯგუფებასთან დაკავშირებულ ვერსიებს საფუძველი არ გააჩნია.

პირად ურთიერთობებში უთანხმოებასაც გამორიცხავთ?



სამღვარდართ, მეგობართან ერთად

— არანაირი კონფლიქტის შესახებ არ მსმენია არც მე, არც ჩემს მეუღლეს. მეგობრებიც ამბობენ, რომ სანდროს რაიმე პრობლემის შესახებ მათთან არ ულაპარაკია. ახალი ჩამოსული გახლდათ გერმანიიდან. მეგობრებს შეხვდა, მშვენიერ ხასიათზე იყო, სულ იცინოდა, ხუმრობდა. ამბობდა, ძალიან გავსუქდი, დიეტაზე უნდა დავჯდეთ. არც აფორი აქება და არც ნერვიულობა მისთვის არ შეგვიმჩნევია. რამე პრობლემა რომ ჰქონოდა, აუცილებლად დაეტყობოდა ან იტყოდა. საერთოდ, ძალიან გულლია ადამიანი გახლდათ, არასოდეს ყოფილა გულჩათხრობილი და ყოველთვის ყველაფერს გვიმხელდა. მეტსახელად ღამურასაც კი ვეძახდით, რადგან სიცოცხლითა და ენერჯით საცხე იყო, უყვარდა ღამის ცხოვრება, მეგობრებთან ერთად გართობა; ცოლ-შვილი არ ჰყავდა და საამისოდ იცლიდა. ყოველთვის ვამაყობდი მისი სამეგობრო წრით. არაჩვეულებრივ, განათლებულ და ინტელექტუალურ ახალგაზრდებთან ჰქონდა ურთიერთობა. თბილისის 53-ე სკოლა დაამთავრა, შემდეგ — პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ფაკულ-

ტეტი; მაგისტრის დიპლომიც მიიღო. სწავლობდა კავკასიის ბიზნესსკოლაში და კვლევითი კამპანიის ასამაღლებლად, ინგლისსა და ამერიკაშიც გაიარა კურსები. „გერთიანებულ ქართულ ბანკშიც“ თავისით მიაღწია ყველაფერს. სულ დაბალი საფეხურიდან დაიწყო და ბოლოს, მენეჯერის თანამდებობაზეც მუშაობდა. იქ მას მფარველი არ ჰყოლია, ჩვეულებრივად, კონკურსში მიიღო მონაწილეობა და მხოლოდ საკუთარი ცოდნის წყალობით გაიკაფა გზა. ძალზე პერსპექტიული იყო, ამას ვხედავდით და გული სიამაყით გვევსებოდა მე და ჩემს მეუღლეს. მაღალი, წარმოსადეგი, სიმპათიური ახალგაზრდა იყო. ეს აქამდე ხმამაღლა არსად მითქვამს, პირველად ახლა ვამბობ. ვერიდებოდი შვილის ქებას, თუმცა საქებარი ნამდვილად იყო. ამის ნაცვლად, სულ ჭკუას ვარიგებდი. ჯანსაღ ცხოვრებას ეწოდება, ჩოგბურთით იყო გატაცებული, შესანიშნავი მოთხილამურე გახლდათ და ნადირობა უყვარდა. ყველაფერი თავად შევასწავლე. მუდამ მის განათლებაზე ვზრუნავდი და ბავშვობიდან დამყავდა თეატრებსა და მუხუშუმებში. მართლაც, ისეთი ვაჟკაცი გაიზარდა, როგორც მე მინდოდა...

სანდრო გირგვლიანს „გერთიანებული ქართული ბანკის“ თანამშრომლებიც დადებითად ახასიათებენ. ისინი ბანკთან და ფინანსებთან მკველლობის კავშირს გამორიცხავენ:

ნინო ჭკუასალი, საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მენეჯერი:

— სანდრო დაახლოებით 4 წელი მუშაობდა ჩვენთან. საოცრად მხიარული და კომუნიკაბელური ახალგაზრდა გახლდათ. ყველასთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა და ყოველთვის თბილი და ყურადღებიანი იყო. ამიტომაც, მომხდარმა ძალზე იმოქმედა თითოეულ ჩვენგანზე, სანდრო ყველას ძალიან დაგვაკვლდა. იმდენად მშვიდი და უკონფლიქტო ადამიანი იყო, რომ ყველაზე ნაკლებად სწორედ მასთან დაკავშირებით მოველოდით ასეთ შემთხვევას. იმ დღესაც, სამსახურში ჩვეულებრივად მოვიდა, შესანიშნავ განწყობილებაზე გახლდათ. არავის შეუშინებია მისთვის დაძაბულობა, არც საქმის გარჩევაზე გვსმენია რაიმე. იმდენად მოულოდნელი იყო ეს ამბავი, რომ აქამდე შოკურ მდგომარეობაში ვიმყოფებით.

მძიმე მდგომარეობაშია დაზარალებული ლევან ბუნიაძეც. როგორც მისმა თანამშრომლებმა და ახლობლებმა გვითხრეს, მომხდარის შესახებ მას ლაპარაკი ძალიან უჭირს და ბუნებრივია, ამას თავს არიდებს. გამოიძიებამ ის უკვე დაჰკითხა, მაგრამ მისი ჩვენებიდან ბევრ დეტალს ჯერჯერობით არ ახმაურებენ. რაც შეეხება მოკვლევის ოჯახის ნევრებს, ისინი, ისევე, როგორც ბანკის თანამშრომლები, ჯერჯერობით არ დაუკითხავთ.

წლის პირველ თვეს ჩადენილი სასტიკი დანაშაულები

სადისტუქი მკვლელობას ქრისტიანებსა და მუსლიმანებს შორის უმთავრესი მოხუცა

2006 წლის 14 იანვარს, ნიუ-ჯერსის შტატში სასტიკი მკვლელობა მოხდა. სადისტმა მკვლელმა (თუ მკვლელებმა) ქალაქ ნიუ-ჯერსისში მცხოვრები ერთ-ერთი ქრისტიანული ოჯახის ოთხივე წევრი დახოცეს. 47 წლის ხასან არმანიუსის, მისი ცოლის — 37 წლის ამაღ გარასისა და მათი ორი ქალიშვილის — 15 წლის სილვიასა და 8 წლის მონიკას დასახიზრებული და სასტიკად ნანაშები გვამები პოლიციელებმა მათ საცხოვრებელ ბინაში აღმოაჩინეს. ოთხივე გვამი თოვებით დაბეჭდილი, ნაცისი და ყელგამოჭრილი იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ მოკვლელებს, დანით მიყენებული ჭრილობები თავის არეშიც ეტყობოდათ.

მომხდარ მკვლელობას საზოგადოების მხრიდან დიდი გამოხმაურება და საყოველთაო აღშფოთება მოჰყვა. დანაშაულთან დაკავშირებით არსებობს რამდენიმე ვერსია. ერთ-ერთის თანახმად, ეს ქრისტიანული ოჯახის მიმართ მუსლიმანთა მიერ ჩადენილი შურისძიება იყო. ტაძართან, სადაც ცხედრები ჰყავდათ დასვენებული, საჭმოდ მრავალრიცხოვანი დემონსტრაცია გაიმართა. მონაწილეებს ანტიისლამური ლოზუნგები და პლაკატები ეჭირათ ხელში და პროტესტს ყვირილითა და შეძახილებით გამოხატავდნენ. ბევრმა ეს ფაქტი მიცვალებულებისა და ჭირისუფლების უპატივცემულობად შეაფასა. სხვათა შორის, დაქვრძალავი ბიურის თანამშრომლებთან ოცამდე მუსლიმანიც მისულა და მწუხარებას გამოუთქვამს მომხდარის გამო. ამ დელეგაციას ისლამური ცენტრის პრეზიდენტი — ახმედ შადედი ხელმძღვანელობდა.

მუსლიმანთა მხრიდან შურისძიების შესახებ გამოითქმული ვარაუდის საფუძველად იქცა ჩანაწერი, რომელშიც ან გარდაცვლილი ხასან არმანიუსის სასტიკად აკრიტიკებდა ერთ-ერთ მუსლიმან ფუნდამენტალისტს. საერთოდ, არმანიუსი მუსლიმანებსა და ქრისტიანებს შორის გამართულ პოლემიკაში ხშირად მონაწილეობდა. ვერსიის თანახმად, სწორედ ამის გამო მოკლეს არმანიუსი და მისი ოჯახის წევრები. თუმცა, გამოძიება ყაჩაღური თავდასხმის შესაძლებლობასაც არ გამორიცხავს. ამ ვერსიას ამყარებს ის გარემოება, რომ არმანიუსების საცხოვრებელ სახლში სამართალდამცველებმა ვერც ფული და ვერც ძვირფასეულობა ვერ იპოვეს. „ცოლ-ქმარი განუწყვეტლივ თავის რწმენაზე ლაპარაკობდა. ისინი გამუდმებით მოუწოდებდნენ მუსლიმანებს, უარი ეთქვათ ისლამურ სარწმუნოებაზე და ქრისტიანობა მიეღოთ“ — ხაზგასმით აღნიშნავენ ოჯახის ნაცნობები, რომლებიც პირველ ვერსიას ემხრობიან.

„ვიცი, რომ ახლო აღმოსავლეთში მუსლიმანებს რადიკალური ქმედებები ახასიათებთ. მაგალითად, ინდონეზიისა და ეგიპტის ტერიტორიებზე ხშირად არბევნენ ქრისტიანთა ოჯახებს და ზოგჯერ, სასტიკადაც უსწორდებიან მათ. მაგრამ როცა ასეთი რამ ამერიკაში ხდება, ეს ნამდვილად შემაშფოთებელია“ — აღნიშნა შტატის პოლიციის უფროსმა.

ნოჩი ყაჩაღი გოგონები მოხუც ქალს დაესხნენ თავს

ორმა არასრულწლოვანმა გოგონამ ძვირფასეულობის, კერძოდ, ოქროს სამკაულების დასაკუთრების მიზნით, საშინელი დანაშაულის ჩადენა გადაწყვიტა. მათ მეზობლად მცხოვრები, ხანდაზმული ქალბატონის მოკვლა განიზრახეს. განზრახვა იმავე დღეს მოიყვანეს სისრულეში. როგორც ამბობენ, მათგან ასეთ ქმედებას არავინ მოელოდა.

მკვლელობა მოსკოვში, ძერჟინსკის ქუჩის №1-ში მოხდა. საცხოვრებელ ბინაში 63 წლის ქალის გვამი იპოვეს. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტების თქმით, სიკვდილის მიზეზი, ყელის არეში მიყენებული შემავალი ჭრილობა გახდა. მოზარდი ბოროტმოქმედები სისხლის სამართლის სამძებროს თანამშრომლებმა იმავე დღეს, ცხელ კვალზე დააკავეს. დაკავებულები ჩადენილ დანაშაულში მალე გამოტყდნენ. მათ მკვლელობა აღიარეს და სამართალდამცველებს დეტალურად მოუყვანენ, თუ როგორ ჩადინეს სადისტური დანაშაული. გოგონებმა ისიც აღნიშნეს, რომ მკვლელობა მათ მხოლოდ და მხოლოდ სამკაულების დაუფლების მიზნით განიზრახეს. მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე ანგარებით ჩადენილი განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა.

უსახიჯაო და მიუსაფარო მსახური

უკვე რამდენიმე თვეა, ფლორიდის შტატში ზედიზედ ფიქსირდება უმწეო მოხუცებსა და უსახიჯარო ადამიანებზე თავდასხმისა და მათი მკვლელობის ფაქტები. შემოფოთებულია არა მარტო მოსახლეობა, არამედ შტატის პოლიციის ხელმძღვანელობაც. სამართალდამცველები აცხადებენ, რომ ძალ-ღონეს არ იშურებენ და განსაკუთრებული აქტიურობით მიმართავენ სათანადო ზომებს, რათა როგორმე ახსნან, თუ რასთან აქვთ საქმე და უკლებლივ ყველა დანაშაულზე პირის ვინაობა დაადგინონ. ერთ-ერთი ვერსიით, შტატში ბანდა მოქმედებს. მისი წევრები ვერ იტანენ „ბომებს“ და მათი განადგურება და ამოხოცვა აქვთ მიზნად დასახული. თითქმის ყველა დანაშაული ერთი ხელწერილთაა ჩადენილი: ბანდის წევრები თავს ესხმიან უსახიჯარო, მიუსაფარ ადამიანებს, ასევე, მოხუცებსა და უპატრონო, მანანადა ბავშვებს; უმოწყალოდ სცემენ მათ და როცა სიკვდილის პირას მიიყვანენ, თავს ანებებენ და შემთხვევის ადგილიდან გარბიან.

სასწაულებრივად გადარჩენილი რამდენიმე დაზარალებულის ჩვენებების მიხედვით, ბანდის წევრები ახალგაზრდები არიან და მათ ძირითად იარაღს, ბეისბოლის ჯოხები წარმოადგენს. თავდასხმები ძირითადად, დილით ადრე ან გვიან ღამით ხდება. ბოლოს, მსგავსი ფაქტი ქალაქ ფორტ-ლოდერდეილში დაფიქსირდა. დილის 8 საათისთვის, ქალაქის საავადმყოფოში ორი დაზარალებული მიიყვანეს. ორივე სასტიკად იყო ნაცემი. ერთ-ერთი მათგანი იმდენად მძიმე მდგომარეობაში გახლდათ, რომ საავადმყოფოში

მიყვანისთანავე გარდაიცვალა. ის 45 წლის ნორის გინორი აღმოჩნდა. რაც შეეხება მეორე დაზარალებულს, ექიმების თქმით, მისი მდგომარეობაც კრიტიკულია, თუმცა საგარეუდოდ, მისთვის სიცოცხლის შენარჩუნებას შეძლებენ. ამ დაზარალებულის ვინაობა დადგენილი არ არის, თავად კი ჯერჯერობით, ლაპარაკი არ შეუძლია.

შტატის პოლიციის ინფორმაციით, ჩვენებების თანახმად, თავდასხმელები თერთმეტი წლის არიან. სამართალდამცველები აღნიშნავენ, რომ თავდასხმები შესაძლოა, მართლაც ერთი და იმავე ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუმცა დაბეჯითებით ამას ვერ ამბობენ.

მთხილმა ახახუნლოვანმა მეგობარი მალე სახითიდან გადმოაგო

მეთერთმეტეკლასელმა მოსკოველმა გოგონამ ჩხუბისას, თავისი მეგობარი ბიჭი, 1988 წელს დაბადებული, პედაგოგიური კოლეჯის სტუდენტი მალალსართულიანი სახლის ფანჯრიდან გადმოაგდო. როგორც ამბობენ, გოგონა იმ დროს, ძალზე მთვრალი გახლდათ, თუმცა გამოძიების ინფორმაციით, მეგობარი მას მეთერთმეტე სართულის ფანჯრიდან შემთხვევით არ გადაუგდია. ჩვენებების მიხედვით, ბიჭს მან განგებ ჰკრა ხელი. ფაქტი 2006 წლის 5 იანვარს დაფიქსირდა. გოგონა უკვე დაკავებულია. მან დანაშაული აღიარა.

„აი მახსოვს, მამა ხოგოხ მოვკალი, მე ელის გადაჩენა მინდოდა“ — განუცხადა პოლიციელებს 15 წლის დანაშაულმა გოგონამ

რუსეთის ფედერაციის ჩეხოქსარის რაიონში საშინელი ტრაგედია დატრიალდა. ყველაფერი ოჯახურ დავას მოჰყვა. 2006 წლის 11 იანვარს ღამით, ნასვამმა ქმარმა შინ მისვლისთანავე, ცოლს ჩხუბი დაუწყო. მიზეზი, როგორც ამბობენ, ოჯახში არსებული საყოფაცხოვრებო პრობლემები იყო. ჩხუბის დროს, ქმარმა საკუთარ თავზე კონტროლი დაკარგა, ხელი დაავლო იქვე, მაგიდაზე დადებულ დანას და ცოლს მოსაკლავად მივარდა. ამ დროს, სახლში მათი 15 წლის ქალიშვილიც იმყოფებოდა. ეღვდამის მორიგ ჩხუბს ისიც შეესწრო. ივლა თუ არა დანამ, ის მამინე მამას მივარდა და ხელში ჩააფრინდა. რამდენიმე წამში, იარაღი მის ხელში აღმოჩნდა. შეეშინდა, რომ დანას მამამისი ისევ წაართმევდა და იარაღი მოიქნია. ამის შედეგად, მამამ სასიკვდილო ჭრილობა მიიღო და ადგილზე გარდაიცვალა.

მომხდარი ფაქტის შესახებ ადგილობრივმა მილიციამ მამინე შეიტყო. გოგონა იმ დღესვე დააკავეს. „არ მახსოვს, მამა როგორ მოვკალი, მაგრამ მე დედის გადაჩენა მინდოდა. ძალიან შემეშინდა და მეგონა, რომ მამა მას აუცილებლად მოკლავდა“ — უთხრა მან სამართალდამცველებს დაკითხვისას. გარდაცვლილი 39 წლის გახლდათ. გამოძიების ინფორმაციით, მკვლელობა ავტოტურ მდგომარეობაშია ჩადენილი.

ყველაზე უხეირო სასამართლო პროცესები

ექსპერტებისა და სტატისტიკოსების თქმით, ბოლო დროს, სულ უფრო გახშირდა და ფესს იკიდებს გამდიდრების ახალი მეთოდი — ამ მიზნის მიღწევის სურვილით შეპყრობილი ადამიანები სასამართლოში უჩივიან მსხვილ კომპანიებს, სხვადასხვა მიზეზით მათგან მორალური კომპენსაციის სახით მილიონებს ითხოვენ და ხშირად, სანადელს აღწევენ კიდევ. ზოგჯერ, საჩივარი ძალზე უცნაური და სასაცილოც კია. ამ თვალსაზრისით მსოფლიო მასშტაბით ყველაზე უცნაური სასამართლო პროცესის ათეულიც კი შეადგინეს.

მათე ადგილზე, 56 წლის სიზარბარბერის საჩივარი მოხვდა. ის ნიუ-იორკელი, პროფესიით სანტექნიკოსი გახლავთ. სასამართლოში ერთ-ერთ მსხვილ რესტორნების ქსელს უჩივლა იმ მოტივით, რომ იქაურმა კვებამ გაასუქა. ბარბერის თქმით, საკვები მეტისმეტად კალორიულია. „სიმსუქნის გამო, ორჯერ გადავიტანე ინფარქტი და დიაბეტიც დამემართა“, — განაცხადა პროცესზე უკმაყოფილო მომჩივანმა. ბარბერი 180 სმ სიმაღლისა და 120 კგ-ს იწონის. მისი ადვოკატების თქმით, პროცესის მოგების შემთხვევაში, თანხის რაოდენობას, რომელსაც რესტორნის ქსელის მენეჯერები მოსარჩელეს გადაუხდიან, მსაჯულები განსაზღვრავენ.

მეცხრე ადგილი დაიკავა კალიფორნიის მკვიდრმა ქალბატონმა — ბეტი ბულოკმა. მან სიგარეტის მწარმოებელ ცნობილ კომპანიას — „ფილიპ მორისს“ უჩივლა. ბულოკის თქმით, 47 წლის მანძილზე, სისტემატურად ეწევა „ფილიპ მორისს“. რამდენიმე ხნის წინ აღმოჩნდა, რომ ის ფილტვების კიბოთია დაავადებული. ამაში მან სიგარეტის ფირმა დაადანაშაულა. მოსარჩელეს სასამართლომაც დაუჭირა მხარი. მან ბულოკის სასარგებლოდ ფირმას, მისთვის მატერიალური ზარალის ასანაზღაურებლად, 750 ათასი დოლარის გადახდა დააკისრა. რაც შეეხება მორალური კომპენსაციას, სასამართლოს გადაწყვეტილებით, „ფილიპ-მორისი“ ბულოკს 128 მილიონ დოლარს გადაურიცხავს.

მერვე ადგილი დაიკავა სიგარეტის თაობაზე აღძრულმა სარჩელმა. ერთ-ერთმა ამერიკელმა ადვოკატმა ძვირად ღირებული და იშვიათი სიგარეები შეიძინა და

თითოეული კოლოფი დააზღვია. იმ შემთხვევაში, თუკი სიგარეები შემთხვევით დაზიანდებოდა ან ხანძრის შედეგად განადგურდებოდა, სადაზღვევო კომპანიას ეს ზარალი უნდა აენაზღაურებინა. რა თქმა უნდა, ადვოკატმა სიგარეები მშვიდად მოსწია და ამის შემდეგ, საჩივრი ხელში სასამართლოსკენ გაემართა. ის სადაზღვევო კომპანიას უჩიოდა იმის გამო, რომ მან ზარალის ანაზღაურებაზე უარი უთხრა. ადვოკატი ირწმუნებოდა, რომ მისი სიგარეები ხანძარმა გაანადგურა. მისი სარჩელი სასამართლომ დააკმაყოფილა.

მეშვიდე ადგილზე მოხვედრილი საქმე ლუდს ეხება. რიჩარდ ოვერტონმა ლუდის მწარმოებელ კომპანიას რეკლამის გამო უჩივლა. როგორც თავად ახსნა, რეკლამაში კომპანია მას ჰპირდებოდა, რომ ამ ლუდის სმა მას ზედნიერსა და ილბლიანს გახდიდა. მომჩივნის თქმით, ასე არ მოხდა და ის მწარედ მოტყუებული

მოებელ ფირმას უჩივლა. მოხუცმა ლუმელში თავისი საყვარელი კატა დაწვა. როგორც თავად ახსნა, მას სურდა, განუწული ცხოველი გაეშრო, ინსტრუქციაში კი არ ეწერა, რომ ამის გაკეთება არ შეიძლებოდა(!). კომპენსაციის სახით, მან 2 მილიონი დოლარი მოითხოვა.

მესამე ადგილზე აღმოჩნდა ახალგაზრდა ქალბატონის სარჩელი, რომლის მიხედვითაც, მან კონტრაცეპტული გელი არადანიშნულებისამებრ გამოიყენა: ქალს ის საკვები ეგონა, მისგან ბუტერბროდი დაამზადა და შეჭამა. ახლა მოსარჩელე, კონტრაცეპტივის მწარმოებლებს არასრულყოფილი ინსტრუქციის გამო უჩივის.

მეორე ადგილი დაიკავეს იტალიელებმა. შეყვარებულმა წყვილმა იმ ავტომანქანის მძღოლს უჩივლა, რომლის მიზეზითაც, მათ წინ გზა ჩაიკეტა. ისინი შეყოვნდნენ, ამ დროს, ბიჭმა თავი ველარ შეიკავა და საკუთარ მანქანაში თავის შეყვარებულ გოგონასთან სექსუალური კავშირი დაამყარა. გოგონა დაფხმძიმდა. შვილის გაჩენა არც ერთ მათგანს არ უნდა და მომხდარში ზემოთ ხსენებულ მძღოლს ადანაშაულებენ. მათი თქმით, მას რომ გზა არ ჩაეკეტა, არაფერი მოხდებოდა.



და იმედგაცრუებული დარჩა. საქმეს სასამართლო ამჟამად განიხილავს.

მექვსე ადგილი დაიკავებს ბილ და მარში ბოიკერებმა. მათ 180 ათასი დოლარი მოუგეს კეტჩუპის მწარმოებელ ფირმა „ჰაინსს“. ბოიკერებმა შეამოწმეს და დაადგინეს, რომ ყველა ბოთლში 42 გრამით ნაკლები კეტჩუპი იყო ჩასხმული.

მეხუთე ადგილზე აღმოჩნდა მიჩიგანის შტატის სასამართლოში მიმდინარე პროცესი. საჩივარი ქვრივმა ქალბატონმა შეიტანა. მისი თქმით, მას ძალზე ეშინია თავისი ყოფილი ქმრის, რისთვისაც კომპენსაციის სახით, მისი ქონებიდან მილიონი დოლარი უნდა მიიღოს. სარჩელის უცნაურობა იმაში მდგომარეობს, რომ ამ ქალბატონს ქმარი 2000 წელს გარდაეცვალა. მოსარჩელის განმარტებით, მას სწორედ ან გარდაცვლილი კაცის ეშინია.

მეოთხე ადგილზე მოხვდა საქმე, რომლის მასალების თანახმად, მოხუცმა ქალბატონმა ელექტროლუმის მწარ-

კურობული ათეულის პირველი ადგილი დაიკავა საჩივარმა, რომელშიც განზრახ მკვლელობაში ბრალდებულმა რობერტ ლი პროკმა საკუთარი თავი მოიხსენია, როგორც მოსარჩელეც და მოპასუხეც. ის საკუთარ თავს იმაში ადანაშაულებდა, რომ დაარღვია საკუთარი მოქალაქეობრივი უფლებები და რელიგიური მოძღვრება, როცა ალკოჰოლის ხშირი მომხმარებელი გახდა. „მთვრალმა, მოპასუხე რობერტ ლი პროკმა მაიძულა მე — მოსარჩელე რობერტ ლი პროკი, ჩამედინა დანაშაული, რის შედეგადაც, 5 წლით თავისუფლების აღკვეთით დავისაჯე. ამჯამად, მოვითხოვ, რომ მორალური კომპენსაციის სახით, საკუთარ თავს 5 მილიონი დოლარი გადავუხადო. მაგრამ ვინაიდან ვიმყოფები ციხეში და არა მაქვს საშუალება, გამოვიმუშაო ეს თანხა, ვითხოვ, აღნიშნული თანხის გადახდაზე იზრუნოს შტატის ხელმძღვანელობამ, რომლის მეურვეობის ქვეშაც, კანონის თანახმად, ამჟამად ვიმყოფები“. სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა, მაგრამ შტატის ხელმძღვანელობას პროცესის წარმოებისთვის გათვალისწინებული ხარჯების გადახდა მანაც მოუხდა.



ქაჩიორი მაჩკა: კოჩიორან - შეეიცაიის ბანკამცე რა ვაჩიების ჰეოროციაძე

რატომ „სძინავს“ საწყობში მარკას ექსპრეზიდენტის გამოსახულებით

ლისტები დღესაც ეძებენ ამ მარკებს, მაგრამ ისინი არც რუსეთსა და არც საქართველოში არ გვხვდება. ამის გამო, პირველი ქართული მარკის უამრავი გაყალბებული ვარიანტი არსებობს, მაგრამ ფილატელისტებს ვერ მოატყუებ. მასხოვს, ამ მარკების აღმოჩენის სურვილით ჩემი მეგობრებიც იყვნენ შეპყრობილი. მაშინ, სამხატვრო აკადემიის სტუდენტები ვიყავით. 70-იანი წლები იყო და ის ავადსახსენებელი კომუნისში ჯერჯერობით, მყარად იდგა ფეხზე. შევნიშნე, რომ ჩემი მეგობრები ქალაქის ძველი რუკებით ინტერესდებოდნენ, ეძებდნენ ძველი საფოსტო კანტორების განყოფილებებს — იმ იმედით, იქნებ, ამ შენობების სხვენზე მაინც ეპოვათ ძველი კორესპონდენცია, რომელზეც პირველი ქართული მარკა იქნებოდა დაკრული.

— შემდეგ, როგორ ვითარდებოდა ქართული მარკების ისტორია?

— ქართული მარკების ბეჭდვის მომდევნო ეტაპი, საქართველოში ნოე ჟორდანიას მთავრობის პერიოდს ემთხვევა. ისევე, როგორც მაშინდელმა დამოუკიდებლობამ, მარკების ისტორიამაც მხოლოდ ორი წელი გასტანა. ცნობილია, რომ დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მარკები 1919 წელს თბილისში, წერეთლის სტამბაში დაიბეჭდა. ქართული მარკების ისტორია მხოლოდ 1993 წელს გრძელდება. 1992 წლის 31 ივნისს, საქართველო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი გახდა. ზუსტად ერთი წლის შემდეგ, მიმოქცევაში შემოვიდა ქართული მარკები, რომლებიც სწორედ ამ მოვლენას ეძღვნება. ამ პირველი, თანამედროვე ქართული მარკების ავტორი, ჟურნალისტი პაატა ნაცვლიშვილი გახლავთ. საქართველოს სადღეისოდ უკვე 400 დასახელების მილიონამდე მარკა აქვს გამოცემული. 1993 წლის შემდეგ ქართული მარკები იბეჭდებოდა: საფრანგეთში, ამერიკაში, გერმანიაში, საბერძნეთში. მარკების ბეჭდვა ტექნოლოგიურად რთული პროცესია და ქვეყნისთვის პრესტიჟული გახლავთ. თვით გერმანელებიც კი, საკუთარ საფოსტო მარკებს საზღვარგარეთ ბეჭდავენ. რაც უფრო მდიდარია ქვეყანა, მით უფრო მეტის უფლებას აძლევს თავს, საფოსტო მარკების შექმნისას. ზოგი, მარკის დიზაინში ოქროსაც იყენებს.

მაგალითად, 2 წლის წინ, როდესაც რუსებმა ჩოგბურთში დევისის თასი მოიპოვეს, ამ მოვლენის აღსანიშნავად გამოუშვეს მარკები, რომლებზეც როლან გაროსის კორტებიდან აღებული, გაფხვიერებული მინაა ჩაჭანებული. ცოტა ხნის წინ, ჩვენ დიუმას მარკა გამოვეცით. დიდი სურვილი გვქონდა, რომ მისი შექმნისას, ვერცხლი გამოგვეყენებინა — კომპოზიციურად ძალიან მოუხდებოდა, — მაგრამ უსახსრობის გამო იძულებული ვიყავით, ნაცრისფერი საღებავის გამოყენებით შემოვფარგულყავით. სხვათა შორის, ფილატელისტთა ინფორმაციაზე დაყრდნობით შემიძლია გითხრათ: ქართულ მარკებს დსთ-ის სივრცეში ხარისხითა და დიზაინით მეორე საფეხური უკავია.

— რა შეგიძლიათ უთხრათ მკითხველს საფოსტო მარკის მნიშვნელობის შესახებ?

— ის წერილის გაგზავნის ღირებულების ეკვივალენტია. სახელმწიფოსთვის კი, საკუთარი საფოსტო მარკის ქონა ისეთივე აუცილებლობაა, როგორც სახელმწიფო მნიშვნელობის სხვა ატრიბუტები. მაგალითად, თქვენ ვერაფრით გაგზავნით საქართველოდან წერილს გერმანული საფოსტო მარკით. საფოსტო მარკა გარკვეულწილად, ქვეყნის სახესაც წარმოადგენს. საკუთარი მარკები ე.წ. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებულმა რესპუბლიკებმაც დაბეჭდეს. სანყენია, რომ ისეთი დიდი კულტურული წარსულის მქონე მხარემ, როგორც აფხაზეთია, საკუთარ საფოსტო მარკაზე ჯიმი პენდრიქსი აღბეჭდა... მათი საფოსტო მარკები არ არის ალიარებული მსოფლიო საფოსტო კავშირის მიერ. ისინი ფილატელისტთა შორისაც, არ სარგებლობს პოპულარობით.

— როგორ იქმნება საფოსტო მარკა?

— თემატური, შინაარსობრივი შეზღუდვა საფოსტო მარკის შექმნისას არ არსებობს. მეტიც, მისი შექმნის პროცესში ნებისმიერ ჩვენს თანამემამულეს შეუძლია მონაწილეობა, — რა თქმა უნდა, იდეის, ესკიზის დონეზე. სხვათა შორის, გვინდოდა, რომ ვალენტინის დღესთან დაკავშირებითაც გამოგვეცა საფოსტო მარკა, მაგრამ ვერ მოვახზით თავი. მინდა, თქვენი საშუალებით მივმართო სა-

ისევე, როგორც ჰიმნი, გერბი და დროშა, ყველა სრულფასოვან სახელმწიფოს საკუთარი საფოსტო მარკაც უნდა ჰქონდეს. ამის გარეშე, თქვენი წერილი თუ კორესპონდენცია ვერაფრით მიაღწევს ადრესატამდე. დღეს საქართველო 400-მდე დასახელების საფოსტო მარკას ფლობს, რომელთა ტირაჟი მილიონს უტოლდება. პირველი ქართული მარკის ისტორია კი, ჯერ კიდევ XIX საუკუნეში იწყება და დღესაც გრძელდება შვეიცარიის ბანკში, სადაც, "Тифлисская городская марка"-ს ორი ეგზემპლარია დაცული და თითოეული ნახევარ მილიონ ევროდ ფასობს.

უმა ტუხიაშვილი

გია გუგუშვილი, „ქართული მარკის“ დირექტორი:

— პირველი ქართული მარკა, რომელიც ამავე დროს, რუსეთის იმპერიის პირველი საფოსტო მარკაც გახლდათ, 1857 წლით თარიღდება. ცნობილია, რომ ამ დროს, მეფის ნაცვალის კოფორში ისვენებდა და პირველი საფოსტო მარკაც კოფორსა და თბილისს შორის მოძრაობდა. ის 6 კაპიკი ღირდა, რაც მაშინ არცთუ ისე მცირე თანხა გახლდათ. ეს იყო პანანინა ფურცელი წარწერით — "Тифлисская городская марка", რომელიც შეზღუდული ტირაჟით, რუსეთში დაიბეჭდა. მაშინდელი მარკები არ იყო თემატურად მდიდარი. დღეს მსოფლიოში მხოლოდ ორი ასეთი მარკა შემორჩენილი. ეს უნიკალური მარკები მფლობელს შვეიცარიის ბანკში აქვს შენახული და თითოეული ნახევარ მილიონ ევროდაა შეფასებული. ფილატე-

ზოგადოებას, რომ სასიყვარულო თემატიკის მარკის იდეები, ესკიზები შემოგვთავაზონ, ჩვენ კი, ჩვენი მხრივ, ჰონორარის ოდენობაზე ვიფიქრებთ... დიზაინერების, ჩვენი ქვეყნის სასიქადულო მამულიშვილებისგან შემდგარი კომისიისა და ფილატელისტების გარდა, ყოველი საფოსტო მარკის თემატიკას განიხილავს სპეციალური სახელმწიფო კომისია, ეკონომიკური განვითარების მინისტრის თავმჯდომარეობით. უკვე გამოცემული მარკის 500 ეგზემპლარი მსოფლიოს საფოსტო კავშირს ეგზავნება, რომელიც თავის მხრივ, ამ მარკის გამოცემის შესახებ მთელ მსოფლიოს ამცნობს. მარკების ღირებულებასა და გამოცემის ტირაჟს საქართველოს ფოსტა ადგენს. დღევანდელი მონაცემებით, საქართველოში ყოველწლიურად, მილიონიდან 2 მილიონამდე წერილი ტრიალებს, მაშინ, როდესაც იმ ავადსახსენებელ, კომუნისტების დროს, 100-200 მილიონი წერილი ბრუნავდა. საფოსტო მარკების ტირაჟირებაც ამ მონაცემების მიხედვით ხდება. რაც შეეხება ღირებულებას — ქართული მარკების ფასი დღეს 10 თეთრიდან 5 ლარამდე მერყეობს. არსებობს ასევე საერთაშორისო კონვენცია, რომელზეც არის მიბმული ჩვენი სახელმწიფო კანონი მარკების შესახებ. ამ კანონის თანახმად, დაუშვებელია გამოიცეს მარკა, რომელზეც ამჟამად ცოცხალი ადამიანი იქნება გამოსახული. იყო ერთი ასეთი შემთხვევა: აზერბაიჯანში, ჰეიდარ ალიევის სიცოცხლეშივე გამოუშვეს მარკა მისი პორტრეტით. მეტსაც გეტყვით, ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდშიც დაიბეჭდა ქართული მარკა მისი გამოსახულებით, მაგრამ შევარდნაძემ არ მოისურვა ამ მარკის მიმოქცევაში გაშვება და მთელ ტირაჟს ახლა სანყობში „სძინავს“... იმავე კანონის თანახმად, საფოსტო მარკაზე, რომელიმე პიროვნების გამოსახვა მხოლოდ მისი გარდაცვალებიდან 5 წლის შემდეგაა დასაშვები.

— **რამდენად იოლია საფოსტო მარკის გაყალბება და რა დაცვის მექანიზმებს იყენებენ მისი ბეჭდვისას?**

სახელმწიფოსთვის კი, საკუთარი საფოსტო მარკის ქონა ისეთივე აუცილებლობაა, როგორც სახელმწიფო მნიშვნელობის სხვა აგრიბუტები

მივედით და ფოტოებიც გადავიღე. ამით იმის თქმა მინდა, რომ მათ გარეშე, ვერაფერს მივიდოდა ფრესკასთან, მის დასაზიანებლად... არსებობს აგრეთვე, საქართველო-უკრაინის ერთობლივი მარკა, რომელზეც გამოსახული არიან ტარას შევჩენკო და აკაკი წერეთელი. თურმე, ახალგაზრდობაში, აკაკის, შევჩენკოს ნაწარმოები უთარგმნია. მარკის შექმნის საფუძველიც ეს გახდა. ახლა, საქართველოს ფოსტის ხელმძღვანელობა მოლაპარაკებებს აწარმოებს რამდენიმე ქვეყნის შესახებ მისი სამსახურებთან, მათ შორის — რუსეთთან, ჩინეთთან, თურქეთთან. არ არის გამორიცხული, რომ მომავალში, ერთობლივი საფოსტო მარკების გამოცემა სწორედ ამ ქვეყნებთან მოხდეს.

— **რამდენად იოლია საფოსტო მარკის გაყალბება და რა დაცვის მექანიზმებს იყენებენ მისი ბეჭდვისას?**



— **ჯერ გეტყვით იმას, თუ რა დეტალები უნდა იყოს მარკაზე: უნდა ეწეროს „საქართველო“ ქართულად, ლათინურად ან ინგლისურად, ასევე უნდა იყოს მითითებული, თუ რა ან ვინ არის აღბეჭდილი მარკაზე და მარკის ნომინალი.** არ არის აუცილებელი, მასზე მითითებული იყოს გამოცემის წელი, რადგან ყველა მარკას ახლავს ანოტაცია, რომელზეც მის შესახებ დეტალური ინფორმაციაა მოცემული. საქმარისია, რომელიმე ზემოთ თქმული დეტალი არ აღმოჩნდეს მარკაზე, ის მარკად აღარ ჩაითვლება. რაც შეეხება გაყალბებას — დღეს ისეთი მაღალი პოლიგრაფიის ქსეროქსის აპარატები არსებობს, რომ თქვენც შეგიძლიათ, ნებისმიერი მარკის ასლი გააკეთოთ, მაგრამ რას მოუხერხებთ პერფორაციას და ქალაქს, რომელზეც ის არის დაბეჭდილი?.. როდესაც ერთი რომელიმე მარკის გამოცემა სრულდება, იქმნება სპეციალური კომისია, რომლის თვალწინაც ნადგურდება და ინება ყველა ის ფირი, პროდუქტი, რითაც ეს მარკა დაიბეჭდა და დგება განადგურე-

ბის აქტი. ასე რომ, მისი გაყალბება, ტირაჟის გაზრდა ფაქტობრივად, შეუძლებელი ხდება.

— **თუ შეიძლება რომ საფოსტო მარკის თემად გამოიყენოთ იუმორი?**

— სხვათა შორის, ესეც ბატონ პაატა ნაცვლიშვილის იდეა იყო და შარშანწინ, გიგლა ფირცხალავას კარიკატურების მიხედვით გამოვეცით მარკა ქართველი ფეხბურთელების — მიხეილ მესხის, სლავა მეტრეველის, ბასა დოლობერიძისა და დავით ყიფიანის კარიკატურებით.

— **პოლიტიკური მოვლენები რამდენად ხშირად ფიგურირებს ქართულ მარკებში?**

— ერთ-ერთი ქართული მარკა ვარდების რევოლუციას მიეძღვნა. ეს არის ბლოკი, რომელიც ორი მარკისგან შედგება. ერთ მხარეზე ასახულია ბათუმის მოვლენები — კერძოდ, სუთჯვრიანი დროშა, რომელზეც წყლის ჭავლია მიშვეული; მეორე მხარეს თბილისის მოვლენების ამსახველი სურათია, სადაც წინა პლანზე მიხეილ სააკაშვილი, ნინო ბურჯანაძე და ზურაბ ჟვანია არიან აღბეჭდილი. სხვათა შორის, ამ მარკაზე ხალხის დიდი რაოდენობაა აღბეჭდილი, ამიტომ არაა გამორიცხული, მასზე ვინმემ საკუთარი თავიც იცნოს...

— **როგორც ვიცო, ცოტა ხნის წინ, პირველად დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, ქართული მარკები ჩვენს ქვეყანაში დაიბეჭდა...**

— როგორც უკვე გითხარით, მარკების ბეჭდვა ტექნოლოგიურად რთული პროცესია, მაგრამ ერთ-ერთი ქართული საგამომცემლო სახლი ამას მშვენივრად გაუმკლავდა. ბევრი სირთულე შეგვცვდა. მარკას არ უყვარს ექსპერიმენტები. თუმცა საქართველოში საფოსტო მარკის ბეჭდვა მაინც ექსპერიმენტის დონეზე მოხდა. დენი არ იყო და ბეჭდვის პროცესი დიზელგენერატორის მეშვეობით მიმდინარეობდა. საერთო ჯამში, 21 დასახელების მარკა დაგებულა. თემები ასეთია: ქართული ბალეტი, ფუნიკულორის 100 წლისთავი, ოლიმპიური თამაშები, ქართული ორქიდები და მრავალი სხვა. ძალიან მომწონს საფოსტო მარკა, რომელზეც პირველი ევროპელის თავის ქალაა გამოსახული (მოგვსენებათ, ეს არქეოლოგიური მონაპოვარი 1700000 წლით თარიღდება). როდესაც სადმე განსაკუთრებით მნიშვნელოვან წერილს ვგზავნი, ყოველთვის, კონვერტზე ამ მარკას ვაკრავ.



მაცნე ჩვევა

ტკბილი გინება, კაცთმოძულე ამორძალი და ვინ მოიპარა ბავშვების პენსია?

„მარი, ძმაკაცი მყავს, რომელიც სულ დიეტაზეა, მაგრამ ერთი მაცნე ჩვევა აქვს: ხინკალი უყვარს. რა ვუშველო? ვასო“. გამოგიტყდებით, რომ ეს „ძმაკაცი“, სულ დიეტაზე რომ არის, მე ვარ. ვასო კი ჩემი თანაკლასელი და ბავშვობის მეგობარია, რომელიც ამავე დროს ჩემი ყველაზე ერთგული მკითხველიც გახლავთ. ეს მესიჯი კი სწორედ იმ მკითხველების გულის გასახარად გამოგზავნა, რომლებიც მთხოვდნენ, რომ ჩემი მაცნე ჩვევაც გამეზილა. თუმცა, დიეტაზე ყოფნა და ხინკლის სიყვარული არაფერია იმასთან შედარებით, რაც ახლა მინდა, მოგიყვებ. ამბავი პატრულის მაცნე ჩვევას ეხება და საკუთარი თვალთ მამქვს ნანახი: ამ რამდენიმე ხნის წინ ჩემს მეზობელ ცოლ-ქმარს, სწორედ მაშინ, როდესაც შინ სტუმრები ჰყავდა, ჩხუბი მოუვიდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ქმარმა ცოლი ეზოში გამოიყვანა და სულ თმით ათრია. მათ გასაშველებლად ოჯახის სტუმრები და მეზობლები გამოცვიდნენ; ვილაცას რაღაც არ მოეწონა და ახლა გამშველებლებს შორის გაიმართა მუშტი-კრივი. რომელიღაც საზრიანმა კი პატრული გამოიძახა და ვინაიდან ჩხუბი ძალზე „მასშტაბური“ იყო, პატრული 2 ავტომობილით მოგრიალდა. გადმოცვიდნენ მანქანებიდან და ცდადეს, რომ მოჩხუბრები გაეშველებინათ. ამ დროს, ორივე მანქანის ოთხივე კარი ღია დარჩა. როგორც ჩანს, რადიომიმღები ორივე „შემადგენლობას“ რადიო „არ დაიდარდოზე“ ჰქონდა მომართული და მანქანებიდან „შალახოს“ ჰანგები მალალ ხმაზე იღვრებოდა. აქ კი ფანტაზია უნდა მოიშველიოთ და წარმოიდგინოთ, როგორ ჩხუბობდა 15 ადამიანი „შალახოზე“. საბოლოოდ კი ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ სტუმრები და რამდენიმე მეზობელი სადაც ჯერ არს, იქ მიაბრძანეს, ხოლო უკვე შერიგებული ცოლ-ქმარი კი ისევ სუფრას მისჯდომოდა და ჭიქას ჭიქაზე უჭახუნებდა. ასე შევიტყვე, რომ პატრულის „მაცნე ჩვევა“ „შალახოს“ მოსმენა ყოფილა. ახლა კი ჩვენი პირველი მკითხველის მესიჯი:

მარი ჯაშარიძე

„ასჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერი...“

„მინდა, იმ გოგონას შევეხიანო, რომელიც წერდა, რომ პატიმარი შეუყვარდა. მას ჩემს მწარე გამოცდილებას გავუზიარებ და

გაითვალისწინებს თუ არა, ეს უკვე მისი ნებაა. 3 წლის წინ ტელეფონით გავიცანი პატიმარი. ლევანი ყველანიარად ცდილობდა, რომ შევები. გაცნობის დღიდანვე სასიყვარულო მესიჯებს მიგზავნიდა. მეუბნებოდა, რომ ძალიან ვუყვარდი და უჩემოდ აღარ შეიძლო. 18 წლის გოგოს მეტი რა უნდა?! — და მეც თავდავინწყებით შემყვარდა ადამიანი, რომელიც ნანახიც კი არ

მყავდა. გაცნობიდან რამდენიმე თვის შემდეგ მივედი და ვნახე. ფიზიკურადაც მომეწონა. მეუბნებოდა: 1 წელიწადში გამოვალ და ცოლადაც მოგიყვანო... მე მისი მჯეროდა. ერთი წლის შემდეგ შემთხვევით გავიგე, რომ თურმე ცოლ-შვილი ჰყოლია. მე თვითონ რომ არ გამეგო, ვინ იცის, რამდენ ხანს დამიმალავდა ამ ამბავს. უკვე ისე მიყვარდა, რომ ამაზეც თვალი დავხუჭე. ყოველკვირა მივდიოდი და ვნახულობდი. მეუბნებოდა, ხშირად ვთამაშობ და „ლაი-ლაი“ ბარათებსა და სიგარეტს ვაგებო. მირეკავდა და აღელვებული ხმით მთხოვდა, რომ ბარათი და სიგარეტი მეყიდა და მიმეტანა. ყველაფერს ვიკლებდი, რომ ფული მომეგროვებინა. ჩემს ოჯახს მატერიალურად უჭირდა, მაგრამ მაშინ ამაზე არ ვფიქრობდი. ძალიან ბევრჯერ ვმდგარვარ ციხის კართან სიცივეში, ლევანისთვის სიგარეტი რომ შემეგზავნა. ეს ყველაფერი დაახლოებით ორწელიწად-ნახევარი გრძელდებოდა. რამდენიმე თვის წინ მთხოვა, რომ მასთან ღამით დავრჩენილიყავი. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ასეთი რამ მოხდებოდა, მაგრამ მასთან მთელი ღამე დავრჩი, დილით კი ციხიდან წამოვედი. 2 დღის შემდეგ ლევანმა დამირეკა და მითხრა: კარგად იყავი, მე მეძავი საცოლე არ მჭირდება, თავიდანვე უნდა გეთქვა, ქალწული თუ არ იყავიო. ამას საშინელი სიტყვები მოაყოლა. არადა, ის ჩემთვის პირველი მამაკაცი იყო. აი, ეს გააკეთა პატიმარმა. მე რომ დღე „გზავნილებში“ ასეთ მესიჯებს ვკითხულობდი, ლევანსაც ვაკითხებდი ხოლმე. ის კი მეუბნებოდა: ყველა პატიმარი ერთნაირი არ არისო... დამიჯერეთ, ყველა პატიმარი ერთნაირია. ის, რასაც ჩვენ სიყვარულს ვეძახით, მათთვის უბრალოდ, გართობაა. იცოცა შეყვარებული ვიყავი, ეს ყველაფერი ჩემთვის ვინმეს რომ ეთქვა, გამეცინებოდა და ალბათ ყურადღებასაც არ მივაქცევდი. ვიცი, რომ გაგიჭირდება მასთან განშორება, რადგან დარწმუნებული ვარ, მართლა ძალიან გიყვარს. როგორც დას, ისე გირჩევ, რომ დაშორდე. ჯობს ახლა გეტკინოს გული, ვიდრე მერე, როცა გამოუსწორებელ საქციელს ჩაიდენ. პატივისცემით, მაკო“.

რატომ იყო რევოლუციამდელი ბავშვი გონებაჩლუნგი? იმიტომ, რომ არ ჰქონდა სათამაშო... ჩვენს „ტერორისტ“ მკითხველს კი მამამ მშვენიერი სათამაშო აჩუქა, ბავშვი მშვენივრად გაერთო და ეროვნულ გამოცდებზე გრანტიც მოიპოვა. არსენა ოძელაშვილს ისეთივე მოწყობილობა რომ ჰქონოდა, როგორც ჩვენს მომდევნო რესპონდენტს, მერწმუნეთ, მტერი ვერაფერს დააკლებდა. იმიტომ, ვერც ჩვენს ახალგაზრდა მკითხველს დააკლებს ვინმე რამეს...

ჯამში თუ დაქირავებული კილერი?

„მაწენ ჩვევა საკუთარმა მამამ გამო- მიმუშავა, როცა სახლში სამხედრო დურბინდი მომიტანა. თავიდან ჩვენი აივნის ხედით ვტკებობოდი, მერე ჩვენს უბანში მცხოვრებ ხალხს დავუწყე თვა- ლიერება. ერთი „სასტავი“ ავირჩიე და დავუწყე თვალთვალი. კარგი გასარ- თობი იყო. ჭიანჭველებივით გადი-გამო- დიდნენ, მაიმუნობდნენ, ერთმანეთს ეძ- იძგილავებოდნენ... თითოეულ მათგანს ვცნობდი არა მარტო სახით, არამედ „სტოიკით“, სიარულითა და მანერე- ბით. თითოეულს თავისი მეტსახელი შევარქვი. მიუხედავად იმისა, რომ მა- ლალ სართულზე ვცხოვრობ, მაინც შემ- ნიშნეს და მერე დაიწყო, რაც დაიწ- ყო... პოზებისა და მანერების გამოგ- ონებაში უსახლვრო ფანტაზია გამოაფ- ლინეს. თან, ვითომ არ იცოდნენ, რომ ვუთვალთვალებდი. არც მე შევიმჩნიე და ჩემი საქმიანობა მშვიდად განვაგრძე. მერე უკვე შემრცხვა და აივანზეც კი აღარ ვჩნდებოდი. ეზოში ჩასვლაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. მერე ეროვნუ- ლი გამოცდები ჩავაბარე და გრანტიც მოვიპოვე. ამის შემდეგ უკვე გავთამაშ- დი. ეზოშიც ჩავდიოდი და მეგო- ბრებთან ერთად, მათ თვალწინ ვსერირობდი კიდეც. ახლა უკვე მათი დაკვირვების ობიექტი გავხდი. სტუ- დენტობასთან ერთად, საქმეც მო- მებადა და იმდენად ვეღარ ვაკონ- ტროლებ მოვლენებს, მაგრამ მაინც ყველა „პრიცელზე“ მყავს და მათ ეს იციან. რა ვქნა? თავს ვერ ვანებებ ამ საქმეს. ამას ისევ ფრჩხილები მეკვნიტა, არ სჯობდა? წინაკას ნავ- ისვამდი და გადავეჩვეოდი. ახლა კი, დურბინდს ხომ არ ნავუხსვამ წინა- კას? დედაჩემი დამცინის: ვინ იცის, დაქირავებული კილერი ჰგონიხარ, პოლიცია არ დაგვაყენონ თავზეო. მე მჯერა მათი კეთილგონიერების და იმედი მაქვს, რომ სამართალ- დამცავ ორგანოებამდე ეს ამბავი არ მივა. კიდეც იმის იმედი მაქვს, რომ ამ მესიჯს არც ერთი მათგანი არ ნაიკითხავს... თუმცა, ალბათ უკვე ტყუილად. პრინციპში, რაღა მნიშ- ვნელობა აქვს? ეჰ, ბიჭებო, თქვენ აზრზეც არ ხართ, როგორ შარში გაეხ- ვიეთ. ჰა, ჰა, ჰა, ჰააა! ტერორისტა სნაიპერი“.

ადამიანთა უმეტესობას (განსაკუთრე- ბით ქართველ ვარსკვლავებს) მოსწონს, როცა ცნობილი სახე ხდება და ქუჩაში ცნობენ. რომ ჰკითხოთ, ამას დიდ მნიშ- ვნელობას არ ანიჭებენ, მაგრამ სინამდ- ვილეში, თუ ვინმემ ვერ იცნო, სახეზე ლურჯი ფერი გადაჰკრავთ ხოლმე. სამ- ნუხაროდ, არ ვიცი, უცხოელი ვარსკვ- ლავებიც ასე მწვავედ რეაგირებენ თუ არა ასეთ ფაქტზე. რა ეგონა, პიერ რიშარს, როცა ფილმში გადასაღებად საქართველოში ჩამოდიოდა? ვერაფ-

რით წარმოიდგენდა, რომ შესაძლოა, ზოგიერთს ვერც კი ეცნო. ასე რომ, ჩვენ ჩვენი ვარსკვლავებიც გვეოფნის. პიერი წავიდეს და სამშობლოში იყოს ვარსკვლავი, ჩვენს გულებში კი სამ- უდამოდ მამის მეგობრად დარჩება.

„ტუბ ჰომნიუ, ტუბ ნე ჰომნიუ...“

„ერთი უცნაური თვისება მაქვს, რის გამოც ხშირად ჩავვარდნილვარ უხერხ- ულ მდგომარეობაში. უმეტეს შემთხ- ვევაში, ახალგაცნობილ ადამიანს გარ- ეგნულად ვერ ვიმახსოვრებ. ყოფილა შემთხვევა, როდესაც ჩემს ოჯახში მო- სული სტუმარი მეორე დღეს ვერ მიც- ნია. სახეზე რომ ვუყურებ, მეცნობა, მაგრამ ვერ ვიხსენებ, სად მინახავს. იმ დღესაც ასე დამემართა. ჩემი და და სიძე ავსტრიაში მიფრინავდნენ. მთელი ოჯახი ვაცილებდით. ჩემს სიძეს ძალიან ეშინია ფრენის და ამიტომ დიდი მონ- დომები თი ვგულშემატკივრობდით. აეროპორტის მოსაცდელ დარბაზში ვილაცის დაფინებული მზერა შევნიშნე. ვხედავ — ძალიან ნაცნობი სახე აქვს. გავუღიმე. თვითონაც გამიღიმა. — გამ- არჯობა-მეთქი, მივესალმე. უფრო ფარ- თოდ გამიღიმა და სალაშზე სალმით მიპასუხა. — როგორ ბრძანდებით-მეთ-



ყველას უყვება, როგორ მეგონა პიერ რიშარი მამაჩემის მეგობარი და როგორ ველაპარაკე ქართულად...

ქი? — შევეკითხე ჟესტის საშუალებით. იმანაც თავი დამიქნია იმის ნიშნად, რომ კარგად იყო. ასე, ათიოდე მე- ტრის მანძილედან გავესაუბრეთ ერთ- მანეთს, მაგრამ ვერაფრით გავიხსენე, სად მყავდა ნანახი. ახლოს მისვლა არც მიფიქრია... მსგავსი რამ თუ მოგსე- ლიათ, გეცოდინებათ, როგორ იცის აკვიატება ფიქრმა — ნეტავ, ვინ იყო?.. დავაპირე, ჩემი ქმრისთვის მეკითხა, მაგრამ სახუმარო ამბების თხრობით იყვნენ დაკავებული და აღარ მოვაც- დინე. გარეთ, მანქანაში დედა გველო- დებოდა. მასთან გავედი და კვითხე: თეთრი წვერით, მხრამდე თმით, შე- ლახული ჯინსის შარვლითა და „რუგ-

ზაკით“ ვილაც კაცი მომესალმა, მგონი მამას მეგობარია, ხომ არ შეგინიშნავს, იქნებ შენ მაინც გაიხსენო, რა ჰქვია- მეთქი... ამ დროს, ჩემი ქმარი მანქანას მოუახლოვდა და „პოლაროიდით“ გა- დაღებულ სურათი გამომიწოდა. ფოტოზე, თვითონ და მისი მეგობარი სწორედ იმ კაცთან ერთად იყვნენ გა- მოსახლენი, რამდენიმე წუთის წინ გულიანად რომ მოვიკითხე. ჩემი ქმარი კი მეუბნება: ნახე, პიერ რიშართან ერთად სურათი გადავიღეთო. მაინც ვერ მოვედი აზრზე და ვუმტკიცებდი, რომ ეს კაცი პიერ რიშარი კი არა, მამაჩემის მეგობარი იყო. ამაზე გული- ანად იცინეს და ამის შემდეგ ჩემი მეუღლე შანსს არ უშვებს ხელიდან, რომ ამის გამო არ დამცინოს. ყველას უყვება, როგორ მეგონა პიერ რიშარი მამაჩემის მეგობარი და როგორ ველა- პარაკე ქართულად. პიერს კი თურმე ფილმში იღებდნენ და ამისთვის ყოფი- ლა თბილისში ჩამოსული. პატივისცე- მით, თამრიკო“.

ვინ სულხანი, ყაცო

„ერთი მეგობარი მყავს, რომელიც წვეთი წყალივით ჰგავს სულხან მო- ლაშვილს. ხშირად უცხო ადამიანები მას სულხანად მიიჩნევენ და ამის გამო ბევრი კურობოც გადახდენია თავს. როცა სულხან მოლაშვილი დაჭერ- ილი არ იყო, მაშინ მისი დანახვა არავის უყვირდა, მაგრამ... ახლა კონ- ტროლის პალატის ყოფილი უფრო- სი ციხეშია, ჩემს მეგობარს კი მაწენ ჩვევად ექცა ერთი ხუმრობა. ამას წინათ, ტაქსით ვმგზავრობდით. ჩემი მეგობარი მძლოლის გვერდით იჯდა. მძლოლმა კარგა ხანს უყურა, უყურა, მაგრამ ვერ გახედა, რაიმე ეკითხა. „სულხანი“ კი მიუბრუნდა და ეუბნება: — მიცანი, ხომ? ასეა, ძმაო, მე მართლა ციხეში კი არ ვზივარ, ფული გადავიხადე, გამო- მიშვეს, მაგრამ ისე იქცევიან, ვით- ომ ისევ ციხეში ვზივარ. აბა, ხალხს ხომ არ ააბუნტებენო... ტაქსის მძლოლმა კარგა ხანს აქნია თავი და მთავრობას „მაგარ-მაგრებიც“ შეუთვალა: ვის ატყუებენ, მაგათი ასე და ისეო. აი, ასეთი მაწენ ჩვევა აქვს ჩემს მეგობარს და ასე ავრცელებს ჭორებს...“

„ვეძებ და-ძმას...“

„გამარჯობა. მე ამჟამად ათენში ვიმე- ოფები. უკვე სოლიდური ასაკი მაქვს. სადაცაა, 40 წლის გავხდები. ის, რაც ახლა მინდა გითხრო, ყველაზე ახლო- ბელი ადამიანებისთვისაც კი არ მითქ- ვამს. ნაშვილები ვარ. გავიზარდე საუცხოო ოჯახში და საუკეთესო მშობ- ლები მყავდა. არაფერი დაიშურეს საი- მისოდ, რომ ჩემთვის ნორმალური პირობები შეექმნათ. უმაღლესი გა-

ნათლებაც მიმაღებინეს და სიცოცხლის უკანასკნელ ნუთამდე ჩემით სუნთქავდნენ. მე ვიცი, ვინ არიან ჩემი ნამდვილი მშობლები. არასოდეს მომიძებნია ის ადამიანები, რომლებმაც წლინახევრის გამაშვილეს. დედა გახლდათ თინა ბინოვეა და ცხოვრობდა ქარელის რაიონში, სოფელ ბალთაში, ხოლო მამა — ნოდარ შავლობოვი, რომელიც იმავე რაიონში, სოფელ თიღვაში ცხოვრობდა. მე კი ვიდრე გამაშვილებდნენ, ინგა ბინოვეა ვიყავი. ჯერჯერობით არ მინდა ჩემი ახლანდელი სახელისა და გვარის გამჟღავნება. ჩემი მიზანია, მოვძებნო და ძმა და მქონდეს მათთან კავშირი. უკვე დიდი შვილები მყავს და მინდა, იცნობდნენ თავიანთ ნათესავეებს. ასე რომ, თუ ვინმემ იცის ჩემი ნამდვილი მშობლების ასავალ-დასავალი ან მათი შვილების შესახებ აქვს რაიმე ინფორმაცია, აუცილებლად დამიკავშირდეს. მარი, თუ ვინმე გამოეხმებოდა ჩემს განცხადებას, გთხოვ, ჩემი ნომერი მიეცი. პატივისცემით...“

ახლა კი მოკლე მესიჯების ჯერი დადგა

რატომ ყვეს მეზობლის ქალი?

„რუსთაველ სოფიკო ხუბაშვილს: ჩემო ხუჭუჭა ანგელოზო, გთხოვ, მაპატიე. დამიბრუნდი! უშენოდ ცხოვრებამ აზრი დაკარგა. მარი, ჩემი მომავალი ამ მესიჯზეა დამოკიდებული. ჩემი სისულელის გამო ოჯახი და დავანგრეე. გამომიქვეყნე ეს მესიჯი და სიკეთისთვის უფალი შეგენევა. ზურა“.

„არ ვიცი, მავნა თუ არა, „გზაჯინალებზე“ რომ „ჩავიცვიკლე“. რაც ფული მაქვს, ამ ჟურნალში ვხარჯავ და მერე ვრჩები გზის ფულის გარეშე. აი, ასე გამაკოტრე, მარი... ახლაც, ბოლო 6 თეთრს ვხარჯავ. ყველანი მიყვარხართ, ვინც მარის უმესიჯებთ! ტუკი, კახეთი“.

„მყავდა შეყვარებული, რომელზეც მზე და მთვარე ამომდიოდა, მაგრამ თავისი დიდი სისულელის გამო დაკვარა. დღე და ღამე კაიფობდა. ავდექი და ჩემს ძველ თაყვანისცემელთან გავიზიარე სარეცელი. ამას ძალიან ვნანობ. არ შეიძლება, რომ გაბოროტებულმა რაიმე ნაბიჯი გადადგა. ეს არასოდეს იქნება ჭკვიანური საქციელი. თ.მ“.

„მინდა გამოვეხმაურო იმ გოგონებს, რომლებიც გნერენ, რომ პატიმრებზე არიან შეყვარებული. არ აჰყვებთ გრძნობებს. მე ძმა მყავს პატიმარი და ხშირად მათრთხილებს, რომ არ შევცდებ, რადგან თურმე პატიმრები ტელეფონით გოგონებს აბამენ, თავს აყვარებენ, მერე ციხეში ეპატიჟებიან და... ცხოვრება არ დაინგრიოთ, გოგონებო! მარი. დ“.

„უჰ, მარი, მავნე ჩვევები ჩემი მოგონილია. სკოლაში ერთი მოხუცებული მასწავლებელი მყავდა, რომელიც მაღალი ნიშნის სანაცვლოდ არაყს ითხ-

ოვდა. მერე სარდაფში ჩადიოდა და ჩუმ-ჩუმად ყლურწავდა ხოლმე. ერთხელ, მე და ჩემმა დაქალმა „სიურპრიზი“ მოვუწყვეთ და არაყში ძილის ნაშალი ჩავუვრეთ. უნდა გენახათ, გაკვეთილზე რას „ყვინთაობდა“, ჩვენ კი სიცილით ვიხოცებოდით. ერთხელ კიდეც, სასწავლო ნაწილის გამგე საპირფარეოში ჩავკეტეთ და მთელი გაკვეთილის განმავლობაში იქ ვაყურყუტეთ, რადგან მისი გაკვეთილი გვექონდა და არავინ ვიცოდით. ასე გადავრჩით „პუტკუნაორებს“. აბაა! მის მავნე“.

„მავნე ჩვევა ის მაქვს, რომ ადამიანებს მალე ვეჩვევი და იოლად ვენდობი ხოლმე. ჩემს თავს ვლუპავ ჩემსავე სიალალთა და გულახდილობით. შევიყვარე პატიმარი, რომელიც სიყვარულს მეფიცება. მე კი ამ ბოლო დროს არ ვუჯერებ. მგონია, რომ მატყუებს. უკვე აღარ ვიცი, რა ვქნა. ტანჯულა ევა“.

„ჩემი მავნე ჩვევა ის არის, რომ ფულს უაზროდ ვანიავებ. მგზავრობისას ისეთი ადამიანებისთვის გადამიხდია ფული, ვისაც საერთოდ არ ვიცნობ. ძუნწი ადამიანები არ მიყვარს. სიძუნწეც ხომ მავნე ჩვევაა?!“

„საქმე იმაშია, რომ მე და დათოს ძალიან გვიყვარს ერთმანეთი, მაგრამ დედამისს აქვს მავნე ჩვევა: თავის შვილებს ვერაფრისთვის იმეტებს. მიუხედავად ამისა, ერთმანეთს ვერ დაგვაშორებს. ჩემს პატარა პოლიციელს კი მინდა ვუთხრა, რომ ძალიან მომიენატრა. თამო“.

„სწორედ მესიჯების წერაა, რისთვისაც დედა ხშირად მეჩხუბება. ამის გამო ბევრჯერ მომხვედრია. მარი, თუ ამ მესიჯს გამომიქვეყნებ, დედაჩემს ვეტყვი, რომ ეს უკვე ჩემი მავნე ჩვევაა. მაკუნა. გ“.

„ჩემს დას საშინელი მავნე ჩვევა აქვს: მთელი დღე ზის და წამწამებს ისწორებს. მინდა ეს მესიჯი წაიკითხოს და გაიგოს, რომ მალე წამწამები სულ გასცივდება და აღარ ექნება ლამაზი თვალები. ნათია, ფოთიდან“.

„სულ ცოტა ხნის წინ შევნიშნე, რომ ჩემი მავნე ჩვევა სიცილია. დილიდან აღამებამდე გაუჩერებლივ ვიციანი. ჩემი ახლობლები ისე მიეჩვივნენ ამას, რომ თუ სერიოზული სახით ვზივარ, შეშინებული კითხულობენ, — ცუდად ხომ არ არისო? შესაძლოა, გაკინდეთ კითხვა: სად დაიბადა და გაიზარდა, საწუხარი რომ არაფერი აქვსო? არადა, სერიოზული პრობლემები მაქვს, მაგრამ ასეთი ტიპი ვარ. საკმარისია, ქუჩაში გავიდე, მაშინვე კარგ ხასიათზე ვდგები. თითოეულ ადამიანს ვაკვირდები და მათი სახეების გამომეტყველებით ბევრ რამეს ვხვდები. მერწმუნეთ, ეს მართლაც მავარი გასართობია. ჩემმა მეგობრებმა კი იციან, რომ ასეთი ჩვევა მაქვს, მაგრამ ხანდახან მაინც სწყინთ, როცა ჩემს გაცინებულ სახეს ხედავენ. ვხვდები, რომ ეს საშინელი ჩვევა და მინდა, რომ გადავეჩვიო. თიკო“.

„ერთი მეზობელი ქალი მყავს. „ყვეფას“ რომ დაიწყებს, უნდა ნახოთ, რა ამბავი ატყდება ხოლმე. უბნის ძაღლებიც ბანს რომ მისცემენ, მათ მოსმენას არაფერი სჯობს. ამ ქალს წყნარად ლაპარაკიც კი არ შეუძლია. წარმოიდგინეთ, რომ გაიგოს, მაგაზე მოგწერეთ, რა ამბავს ატყებს. ახლა ღამის 5 საათია და არ მეძინება. ამაზე კარგი რა უნდა გავაკეთო? მესიჯს გწერთ. მარი, ამ დროს ტელეფონი გამორთული რატომ არ გაქვს? შენუხებული იქნები უკვე... ლაშა“.

„დედაჩემს აქვს მავნე ჩვევა: ყოველთვის, ყველაფერში მართალია და არასოდეს აღიარებს თავის ელემენტარულ შეცდომასაც კი. ამ თავისი ფილოსოფიით, საყვარელი დედა ორჯერ „დამეხმარა“ ოჯახის დანგრევაში“.

„ჩემი მავნე ჩვევის გამო „მორბენალი ცოდვა“ დამარქვეს. დავრბივარ და ხან ერთ ცოდვას ჩავდივარ, ხან — მეორეს. ტყუილებს ვამბობ, ოღონდ — კეთილ ტყუილებს, რომ არც სხვა დავაზარალო და მეც გავერთო. ჩემო სიხარულს, ჩემო სიცოცხლეს/ ჩემო ღიმილს და სევდაც/ ალბათ, რომ იცოდე, როგორ მენატრები/ ირგვლივ დაივიწყებ ყველას/ ეს ლექსი იძღვება „მოგონინის“ ანუ 3931-ს. ნათია“.

„ისე მენატრები, უკვე მეღანდები/ შენთვის თავს გავწირავ/ შენს თავს გეფიცები/ ყველგან გამოგყვები/ თუნდაც ჯოჯოხეთში/ ოღონდ ვიცოდე, რომ/ მუდამ გეყვარები.../ ეძღვნება ლანჩხუთელ საკო ნარიანშვილს, დიდი ბიჭისაგან“.

„ჩემი და თამუნას მავნე ჩვევაა შუალამისას ადამიანების გაღვიძება, ტელეფონით. მარი, შენც ჩვენი ერთ-ერთი მსხვერპლი ხარ. გკოცნით, ვერიკო“.

„ერთი უაზრო ჩვევა მაქვს: ძილის წინ ყოველთვის ვიყურები სანოლის ქვეშ. რომ დავრწმუნდები, არავინაა, მერე მშვიდად ვიძინებ. წარმოიდგინეთ, როცა გავთხოვდები, ასე რომ მოვიქცე, ჩემი ქმარი რას იფიქრებს?“

„მავნე ჩვევაო? ჰოჰ, სიგარეტის გასაფუჭებელი ვარ ანგელოზივით გოგო? მაგრამ რას იზამ?“

„ერთი მავნე ჩვევა მაქვს: როგორც კი დედაჩემი ტელეფონზე დეპოზიტს შემეცებს, მაშინვე შენ გიმესიჯებ, ჩემო მარი... შენი სენია, მარი ობოლაშვილი“.

„ჩემი მავნე ჩვევა ის არის, რომ ხშირად ვიტყუები, თანაც უმიზეზოდ. ძალიან მივეჩვიე და ხანდახან ჩემი ტყუილის მე თვითონვე მეჯრა. მარი, ახლა მთვარელი ვარ და ისე გიმესიჯებ. მაპატიე, რომ ასოები ზუსტად ვერ დავაღაგე... მაგრამ იქნებ ამასაც ვიტყუები? რას არ გავაკეთებ, რომ ჩემი მესიჯი „გზაჯინალებში“ მოხვდეს... მარი, ვითომ სხვანაირი, ყველასგან განსხვავებული მესიჯი მოგწერე, არა? არა, მოგატყუე,

მე საერთოდ არ ვიტყუები, დედალლს გეფიცები... გუშინ, როგორც იქნა, „ცრუ ბიჭის“ კითხვა დავამთავრე. ისე, შენ თუ წაგიკითხავს? ოღონდ, არ მომატყუო... ეჰ, ხვალ აფრიკაში მივდივარ, „ჩერეზ“ ვარკეთილი. ვიცი, პირამიდებს ვნახავ, დახრილი პიზიდან კი მესიჯს გამოვაფრენ და ემოციებს გაგიზიარებ... აბა, ჰე! ახლა ბრიფინგი მაქვს, მეჩქარება. მიყვარხართ ყველა, ოღონდ — მართლა!!! თქვენი „მიშა სააკაშვილი“.

„ჩემი მანე ჩვევა ის არის, რომ ვარსებობ. არ ვიცი, რა გზა მაქვს ცხოვრებაში და რა გავაკეთო, რომ უშიშვლად ტირილის სურვილი აღარ გამიჩნდეს. ცხოვრების მიზეზი მჭირდება. მარი, არ გადამაგდო, რა!“

„მარი, საჩივრის სვეტი რატომ „მოტყეხე“? მინდა, პატრულს ვუჩივლო: სიხარულო, ნუ მანერვიულებ, თორემ მოგიტაცებ, სვანეთში წაგიყვან და კოშკში გამოგკეტავ. გკოცნი, შენი ეშმაკუნა“.

„ჩემი მანე ჩვევა ბუტიკობაა, რითიც ადვილად შემიძლია ადამიანების დამორჩილება. ხშირად მასწავლებლსაც ვებუტები და ისეთ „როჟებს“ ვუკერავ, რომ თავადაც მეშინია. დეკა“.

„ჩემი მანე ჩვევა ის არის, რომ დღეს ერთი მიყვარს, ხვალ — მეორე. ამას ვერაფრით გადავეჩვიე. მაკაკო“.

„ჩემი მანე ჩვევა კბენაა. ამის გამო შეყვარებულს სამჯერ დავშორდი. ვერა და ვერ გადავეჩვიე. მარი“.

„სვანი ვარ, მაგრამ სვანური არ ვიცი. ამიტომ „პატენტ“ სვანს მეძახიან. რამდენიმე მანე ჩვევა მაქვს. მაგალითად, ღამე მარტო სერირობა მიყვარს, უზომოდ ბევრს ვჭამ და ამის გამო მეგობრები მეკითხებიან ხოლმე: გაბზარული ხომ არ ხარ, არაფერი რომ არ გეტყობაო? კიდევ ის, თუ ვინმე ჩემს ტელეფონზე ზარს გამოუშვებს, მაშინვე ვურეკავ და მერე იწყება — შენი გაცნობა მინდა და კაიყბა... სულ ეს არის. პატივისცემით, „სვანჩიკა“.

„ჩემი მანე ჩვევა ბიჭების წვალება და ფულის უაზრო ფლანგვა. საკო“.

„არ ვიცი, რა ეწოდება ნარკოტიკს, მანე ჩვევა თუ უფრო მეტი... ერთი ახლობელი მყავს, მალალი, ახოვანი, ვაჟკაცური, კეთილი ახალგაზრდა და თავს იკლავს ნელი სიკვდილით. მართლა მენანება. ამას წინათ, ბარში ინციდენტი მოხდა. მიმტან გოგონას რალაც აკადრეს და ამ ჩემმა ახლობელმა დაიცვა, ძმასავით დაუდგა გვერდით, საკუთარ ახლობელს დაუპირისპირდა... განა უსამართლობა არ იქნება, ასეთი კარგი ადამიანი უდროოდ რომ ამოეფაროს მინას? ნეტავ გაჩვენათ, რომ გაიკეთებს, რას ჰკავს. ტირილი მოგინდება მის დანახვაზე. შორს წაშალი! არ საჯობია ღვინო, დუღუკი, ქალღობი?“

„ჩემი მანე ჩვევა ის არის, რომ სულ მარტო ვარ. ვისაც მე ვუყვარვარ, ის მე არ მიყვარდება, ხოლო ვინც მომეწონება, იმას თავს ვაყვარებ და მერე ინტერ-

ესიც მეკარგება. ასე მოვარგოვე ბიჭების „კოლექცია“. ახლა ვცდილობ, ის ადამიანი შევიყვარო, ვინც ძალიან მაფასებს. კუსი“.

„ჩემი მანე ჩვევა ის არის, რომ ყოველთვის ისეთ ადამიანს ვიყვარებ, ვისი შეყვარებაც არ შეიძლება. ახლაც ჩემი დაქალის შეყვარებული მიყვარს, მაგრამ ამას ვერავინ გაიგებს. მაკო“.

„ვეხმაურები ლიზის. მას აინტერესებდა, როგორი გოგონები მოსწონთ ბიჭებს. პირველ რიგში, ბიჭებს არ მოსწონთ იოლად ხელმისაწვდომი გოგონები. თავიდან მათთვის მისაღებია, როდესაც ქალი წინააღმდეგობას არ უწევს, მაგრამ ასეთი ქალი მალე ჰბეზრდებათ. ასევე, არ უნდა იყო ძალიან სერიოზული, რადგან ასეთ ქალებთან ურთიერთობისას მამაკაცებს არასრულფასოვნების კომპლექსი უჩნდებათ. მხიარული უნდა იყო, ოღონდ, ტუტუცი არა. ასეთი ქალები მხოლოდ გასართობად უნდათ. ლიზი, არ უნდა იყო ასევე ძალიან მიამიტი, რადგან ყოველთვის ეცდებიან შენს მოტყუებას. არ ენდო ყველას. უნდა მოძებნო საშუალო პოზიცია. თუ ასეთი გახდები, აუცილებლად მოახერხებ საყვარელი ადამიანის გულის მოგებას. გისურვებ წარმატებას. დაჩი“.

„იმ კაცს ვენაცვალე, რომელმაც საყვარლის მიცემული ფულით ცოლს საჩუქარი უყიდა. აბა, ჩემი ქმარია კარგი? ბავშვების პენსია მომპარა და ქალთან ისე წავიდა. თუმცა, მაგის შემდეგ 7 ნელი გავიდა, მაგრამ რომ მახსენდება, გული მიკვდება. სწორედ ეს არის ჩემი მანე ჩვევა, რომ ვერ ვივინყებ ამ ამბავს და კიდევ სხვა მრავალ გულისტკენას. ისე, ამხელა ქალისთვის „მესიჯომანიაც“ მანე ჩვევაა. მარტო ამით ვერთობი და ერთ კარგ ადამიანს გულისცვატკინე — ცრუსახელით ვმეგობრობდი მასთან“.

„მარი, გამარჯობა. ძალიან მომენატრა შენთან დამესიჯება. იცი, ვინ ვარ? ქუთაისელი ნინი. გარკვეული პერიოდი ვერ გიმესიჯებდი, რადგან პრობლემები მქონდა. არადა, დედას გეფიცები, ძალიან მომენატრა მესიჯების გამოგზავნა. მანე ჩვევა იცი, რა მექცა? ტელეფონომანია. რალაც ნომერს ავკრებ და ზარს ვუშვებ ხოლმე. როცა გადმორეკავენ, ზრდილობიანად ვებოდიშები: ნომერი შემეშალა-მეთქი. ვიცი, ერთ დღეს ვილაღ მაგრად მეჩხუბება, მაგრამ რა ვქნა? ვერ ვეღვევი ამ ჩვევას. მეშველება რამე? ნინი“.

„სწორედ საჩემო თემა შეგირჩევიათ. მანე ჩვევას რა დაღვეს? მაგრამ ერთი განსაკუთრებით მტანჯავს. სამსილად ფეთქებად ჩასივითი მაქვს. არადა, ყველას წყნარი ვგონივარ. ისეთი „გაიჟებები“ მემართება, რომ შესაძლოა, ყველაფერი დავლენო. რა მაგიუებს? ეჰ, ახლა კი ვნანობ — როცა შევნიშნე, ასეთი ხასიათი მქონდა, თავის

დროზე რომ არ გამოვასწორე... ისე, ერთი მანე ჩვევა კიდევ მაქვს — „გზავნილების“ „ლომკა“ ავიკიდე და ველარ „ვაგდედ“.

„მე და ჩემს საქმროს ერთნაირი მანე ჩვევა გვაქვს — ვენევით, თანაც ბევრს. აქ რა გვიჭირს, მის სამშობლოში რომ წავალთ, მერე რა გვეშველება? ალბათ ორივე მალულად მოვწვევთ ხოლმე, თორემ მისი მშობლები გადაირვეიან და მე დამაბრალებენ — ამან გაგვიფუჭა პატიოსანი შვილიო“.

„ჩემი მანე ჩვევა ის არის, რომ როცა დავთვრები, ძილში ვიგინები ხოლმე. შარშან ჩემი დის დაბადების დღეზე მაგრად გამოვთვერი, შევედი მეორე ოთახში, წამოვწექი დივანზე, დავიძინე და „ტრადიციულად“ დავიწყე გინება. თურმე ამ დროს ჩემი დის დაქალი შემოსულა ტელეფონზე დასარეკად (არ იცოდა, იქ რომ ვიყავი). როცა ჩემი „ტკბილი“ სიტყვები გაუგონია, ჰგონებია, რომ მას ვაგინებდი და ოთახიდან გასვლა მოუნდომებია, მაგრამ კარი ჩაპკეტვია და ვერ ალღება. სუფრასთან რომ აღარ გამოჩნდა, მოუსაკლისები-ათ და ძებნა დაუწყიათ. ბოლოს მოაგნეს, კარი წვალებით გაუღეს და გაიყვანეს აღრიალებული გოგო. ძლივს დაარწმუნეს, რომ მას ეს არ ვაგინებდი, უბრალოდ ჩვევა მქონდა ასეთი. მე, რა თქმა უნდა, მომხდარის შესახებ მეორე დღეს გავიგე და მაგრად შემეცხვა. ნიკა. თელავი“.

„არ ვიცი, რამდენად მანე ჩემი ჩვევა, მაგრამ ძალიან მიყვარს ისეთ კაცებზე ექსპერიმენტები ჩატარება, ვისაც სერიოზული და ერთგული მეოჯახის რეპუტაცია აქვს. შედეგი არ მკითხოთ: ისე ადვილად ეგებიან ანკესზე, რომ ზოგჯერ მგონია, ცოლის ერთგული ქართველი კაცი საერთოდ არ არსებობს. ყველას ჰგონია, რომ ცხოვრებისგან გაცილებით მეტის ღირსია. არადა, ვუყურებ ამ „არსებებს“ და მიკვირს: როგორ აჩერებენ სახლში ცოლები? კაცთმოძულე ამორძალი“.

„ჩემი მანე ჩვევა ის არის, რომ შემოიძლია, ადამიანს მოულოდნელად ხელი დავარტყა. მაგალითად, დღეს, ბიჭმა გუნდა მესროლა. მე კიდევ, მივტრიალდი და ხელი გავარტყი. ახლაც ვფიქრობ და ვერ ვხვდები, ეს როგორ მომივიდა. თანაც, ის ბიჭი მიყვარს. ილონა“.

„ჩემმა ქმარმა ძალიან „აუშვა“. სულ მთვრალია და ძალიან ხვრინავს. იქნებ, ამას რომ წაიკითხავს, შერცხვებს? მინდია, ძალიან დამლაღე. შენი მეუღლე, გიორგვენა“.

დღეს „გზავნილებს“ ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემადა კი გთავაზობთ: ასე მოუხდება!.. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომრზე: 8(77) 45.68.61. გვიამბეთ, ვისზე შეგიძლიათ, ნიშნის მოგებით ილაპარაკოთ და რატომ? ველი თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომავალ სუთშაბათამდე.



ჩემი რესპონდენტი საბჭოთა წლებში რესპუბლიკის კურატორი იყო — კომპიუტერზაციისა და პროგრამების განვითარების საკითხებში. სახელმწიფო პრემიაც აქვს მიღებული — რესპუბლიკაში სახელმწიფო სტატისტიკის მართვის ავტომატიზებული სისტემის გამართვა-დანერგვისთვის, მაგრამ მან საქართველოსა და მსოფლიოს ყურადღება უცნაური მოგზაურობით მიიქცია. **წმწმ-ბერ ლეშაშვამ 10 წლის განმავლობაში, 235 სახელმწიფო გაიარა და მსოფლიოსა და გინესის 14 რეკორდი დაამყარა. ეს ველომოგზაურთა მიერ ნაჩვენები ყველაზე დიდი შედეგია. მეორე ადგილზე მყოფ მოგზაურს 158 ქვეყანა აქვს გავლილი.**

14 რეკორდი, 235 ქვეყანა, 4 ათასი დღა ზღაუბი და... 5 ზანახუნი სპარტანული ზანგი

ნათია თენიეშვილი

ბატონი ჯუმბერი მოგზაურობისას, ყოველდღიურად აკეთებდა ჩანაწერებს. დაახლოებით 4 ათასი დღის განმავლობაში, 12 ათასამდე თაბახის ფურცელი აქვს შეესებული და 60 ათასამდე ფოტოსურათი — გადაღებული. ეს ყველაფერი, „დალაგებული“ და მოწესრიგებული, „მოგზაურის დღიურების“ 33 ტომს შეავსებს, რომელიც დამფინანსებელს ელის. ბატონი ჯუმბერი ახლა კიდევ ერთი დიდი მოგზაურობისთვის ემზადება. ინტერვიუზე მისულს, ჩოხა-ახალუხით დამხვდა. აღმოჩნდა, რომ ჩოხოსანთა საზოგადოების წევრიც ყოფილა.

საუბარიც სწორედ ამ თემით დავიწყეთ. — ყველანაირი ჩემი საქმიანობა საქართველოს კეთილდღეობას უკავშირდება. ვცდილობ, რაც შეიძლება მეტი გავაკეთო მისთვის. იმ ორი, დიდი მოგზაურობის შემდეგ განვიზრახე, საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაებმულიყავი და ასე მოვმსახურებოდი ჩემს ქვეყანას. გადაწყვიტე, გავწევრებულიყავი ჩოხოსანთა საზოგადოებაში. ეს არის ორგანიზაცია, რომელიც გამსჭვალულია პატრიოტული გრძნობებით. აღიარებს ათ მცნებას, იბრძვის საქართველოს ერთიანობისა და სინდისისთვის. ჩემი ცხოვრების მიზანიც ეს არის. ვარ ერთ-ერთი დამფუძნებელი სრულიად საქართველოს რაინდთა დასისა და ჩოხოსანთა კავშირის გამგეობის წევრი. ჩვენი მიზანია, ახალგაზრდები დაადგინო სწორი გზა. შექმნილი გვაქვს საერთაშორისო ველომოგზაურთა ლიგა, სადაც გაწევრება შეუძლია ნებისმიერი ასაკისა და სქესის ადამიანს. ამ საქმით ვწერავთ ჯანმრთელი ცხოვრების წესს. ლიგაში ვერ გაწევრდება: სიგარეტის მწველი, ალკოჰოლის მსმელი და უზრდელი

ადამიანი, ლიგის საუკეთესო წევრები ერთიანდებიან ჩოხოსანთა კავშირში და — პირიქით. ჯანმრთელი ცხოვრების წესისკენ უნდა შემობრუნდეს ხალხი. დამტკიცებულია, რომ ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობამ შესაძლებელია 170 წელს მიაღ-

რო სამხრეთ პოლუსი. ის ფინანსები, რომელიც ამ მოგზაურობას სჭირდება, მე არასდროს მექნება. ეს არის 40 ათასი დოლარი. მივმართე რამდენიმე ადამიანს. მიღებული მაქვს დაპირება, მაგრამ — ნილობრივი და ნაწილობრივი. მაინც

მე მჭამს თილისმის. მოგზაურობის დროს, ყოველთვის გულზე მიკერებული მაქვს ცისფერი თვალი...



წიოს. სამწუხაროდ, ჩვენს ეპოქაში ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 72 წელია, ბოლო პერიოდში კი, სულ 57 წელი გახდა. ამის გამოსასწორებლად აუცილებელია ცხოვრების ჯანსაღი წესი.

— მოდი, თქვენს უცნაურ მოგზაურობას დაუფრუნდეთ. კიდევ თუ აპირებთ რაიმე რეკორდის დამყარებას?

— კი, ჩემი მიზანი და ამოცანაა, კიდევ ერთხელ გავუთქვა სახელი საქართველოს. ოლონდ, ამას სხვების მხარდაჭერის გარეშე ვერ მოვახერხებ: ვაპირებ დავიპყ-

მაქვს იმედი, რომ დამეხმარებიან...

— დაახლოებით რა დრო დასჭირდება ამ მოგზაურობას, გამოთვლილი თუ გაქვთ?

— დროც დათვლილი მაქვს და საერთოდ, ყველაფერი — თითოეული დღე და საათი. მომზადების გარეშე, ბრმად რომ მივიდოდე, 10 წლის განმავლობაში 235 ქვეყნის გავლას ვერაფრით მოვახერხებდი.

— მოკლედ, უშრეტო ენერჯია გაქვთ.

— უშრეტო ენერჯია არასდროს არა



მე ფსიქოლოგიურად ვემზადებოდი, და „ვითიშავდი“ შიშს საკუთარ თავში

აქვს ადამიანს. პერპეტუუმ მობილედ არ არის ადამიანი, რადგან 170 წელია ზღვარი, ე.ი. სადღაც ცვდება ადამიანის მთავარი, მამოძრავებელი ორგანოები. მე უბრალოდ, ვცდილობ, მაქსიმალურად დიდი ხნით შევინარჩუნო აქტიურობა. არ მინდა დავარდნილი ვარსებობდე. მინდა, ყოველთვის აქტიური ვიყო. სადაც ველარ ვიქნები აქტიური, იქ ჩემი სიცოცხლეც შეწყდება. ეს აუცილებლად, სადღაც გზაზე მოხდება...

— სიგარეტს არასდროს ეწეოდი?

— არც გამისინჯავს და ყველას ვურჩევ, თავი დაანებოს სიგარეტს. რაც შეეხება სასმელს — ქართველი ვარ და რა თქმა უნდა, ღვინო ჩემთვის უცხო არ არის. მაგრამ ბოროტად არასდროს გამომიყენებია. ბოლო 20 წლის მანძილზე, კი, ნამდვილად არ დავმთვრალვარ. ერთადერთხელ, გამბინაში მომინია დალევა, რუსეთის საელჩოს თანამშრომლებთან ერთად. არაყი და ლუდი დავლიეთ და დავთვერი. საერთოდ, გზაზე არც ერთ წვეთ ალკოჰოლს არ ვიღებ.

— მოგზაურობის დროს, რაიმე თილისმა ხომ არ მიგაქვთ ხოლმე თან?

— კი. მე მნამს თილისმის. მოგზაურობის დროს, ყოველთვის გულზე მიკერებული მაქვს ცისფერი თვალი. თან

მაქვს წმინდა გიორგის ხატი, ლოცვები და „ვეფხისტყაოსანი“. ამ წიგნს 235 ქვეყანა აქვს შემოვლილი. ეს არის წიგნის „მოგზაურობის“ ერთადერთი შემთხვევა! კატის გადარბენას, ძაღლის გადარბენას, პიროვნებასთან შეხვედრას და ა.შ. — მნამს, ყველაფერს მნიშვნელობა აქვს...

— ე.ი. თუ კატამ გადაგიბინათ, ჩერდებით?

— ამ შემთხვევაში, გზის გადაკვეთის რიტუალი მაქვს. საერთოდ, კატა ძალიან მიყვარს, მყავდა კიდევ სახლში ციმბირული კატა, მაგრამ დამეკარგა.

— მოგზაურობისას, ყველაზე მეტად რა გენატრებათ ხოლმე?

— მოგზაურობისას ფიქრისთვის ბევრი დრო მაქვს. ვცდილობ, ნოსტალგიას არ შევუყო — ამ კუთხით ფიქრს „ვითიშავ“ ხოლმე... ისე, ყველაფერი მენატრება: შვილები, შვილიშვილები, მეგობრები და ჩემი ქვეყანა. გზაზე ვმღერი ხოლმე. ხან ვჩერდები და ვცეკვავ... ხშირად, მე თვითონ მეცინება ჩემს საქციელზე: გეყოფა სისულელეები-მეთქი! — ვიტყვოდი და ვაგრძელებდი გზას.

— ამ მოგზაურობისას ერთი ველოსიპედით მოძრაობდით?

— არა, 9 ველოსიპედი მყავდა. გზადაგზა ვცვლიდი. მათ შორის, 6 — საქართველოშია, ერთი — დაკარგულია, ვერსად ვპოულობ. ორი ჩამოსატანი მაქვს: ერთი — მექსიკიდან, ერთი — ტაივანიდან.

— თბილისში დადინართ ხოლმე ველოსიპედით?

— კი. ახლა განსაკუთრებული რეჟიმში ვვარჯიშობ: დილით და საღამოს 7-7 კილომეტრს ტვირთიანად დავრბივარ. ველოსიპედით კი, კვირაში ორჯერ ვვარჯიშობ. ანტარქტიდაზე, გზის 90% ფეხით სიარული და ჩემი ველოსიპედის თრევა მომიწევს. ამიტომ, ახლა უფრო მეტად, ტვირთიანად სიარულში ვვარჯიშობ. ყოველ დილით, 7 საათზე გამოვდივარ ტვირთოკიდებული, უნივერსიტეტის აღ-

მართზე.

— ყველაზე მეტად რომელი ქვეყნის გავლა გაგიჭირდა?

— მონღოლეთში გავიყინე. დავნექი და ვიფიქრე — აქ დავასრულე მოგზაურობაც და სიცოცხლეც-მეთქი, — მაგრამ გადავრჩი. ჩემს მოგზაურობაში სირთულე იმანაც შეიტანა, რომ ზამთრის ქვეყანას ზამთარში გავდიოდი და ზაფხულისას — ზაფხულში. ალასკა, კანადა, გრენლანდია, ისლანდია, ნორვეგია, შვეცია, ფინეთი, რუსეთი, ციმბირი მთლიანად, ჩრდილოეთ ჩინეთი — ყველა ეს ქვეყანა გავიარე ზამთარში, 29-გრადუსიან ყინვაში. ორჯერ გავიყინე, ერთხელ ფეხების მოკვეთასაც მიპირებდნენ, მაგრამ გადავრჩი იმიტომ, რომ ღმერთი ჩემთან ერთად მოგზაურობდა. მან დამაყენა ამ გზაზე და მანვე დამაბრუნა უკან.

— არ გეშინიათ ხოლმე?

— შიშის შეგრძნება ყველა ნორმალურ ადამიანს აქვს. მაგრამ თუ სულ შიშზე იფიქრე, მაშინ აუცილებლად ცუდად დაასრულებ მოგზაურობას. მე ფსიქო-




9 ველოსიპედი მყავდა გზადაგზა ვეცვლიდი. მათ შორის, 6 — საქართველოშია ერთი — დაკარგულია, ვერსად ვპოულობ. ორი ჩამოსატანი მაქვს

ლოგიურად ვემზადებოდი, და „ვითიშავდი“ შიშს საკუთარ თავში, ამიტომაც დავასრულე ნარმატებით ეს მოგზაურობა. იმ 500-ზე მეტ მოგზაურთაგან კი, ვისაც შევხვედრივარ, მოგზაურობა ვერ დაასრულა იმან, ვისაც შევმინდა. მე არ მეშინოდა, სადაც საჭირო იყო, ვჩხუბობდი კიდევ. ჩხუბი რომ არ მცოდნოდა და არ მეჩხუბა, ან მომკლავდნენ, ან მოგზაურობაზე ხელს ამალებინებდნენ, მაგრამ ვერსად გამტყენს...

— ჩხუბი რის გამო გინევდათ ხოლმე?

— ან ჩემი გაძარცვა უნდოდათ, ან — პოლიტიკური მიზეზით. სვაზილენდში 5 ზანგი დამესია კეტებით. მათი მიზანი იყო, როგორმე ჩემი მოგზაურობა ჩაეშალათ. ორი თუ სამი დავაწვინე მინაზე, დანარჩენები გაიტყენენ. დამიზიანეს ფეხი, ყური და ა.შ., მაგრამ ვერ გამაჩერეს. ეს არის მთავარი...



გზაზე ვმღერი ხოლმე. ხან ვჩერდები და ვსეკვავ...



შეიძლება თუ არა, მეგობრობა ოჯახურ ურთიერთობებზე მაღლა დააყენო? რას ნიშნავს მეგობრობა მათთვის, ვისაც ისიც კი არ ახსოვთ, თუ სად გაიცნეს ერთმანეთი. „ზალიკო არა მარტო მეგობარი, არამედ ჩემი ოჯახის წევრია, ძმაა, რომელიც ყველაფერში გამოცვადა“, — ამბობს მოდელი ნინო ორდენიძე. როგორ შეიძლება გამოცვალოთ მეგობარი და დასჭირდეთ თუ არა ცნობილ მოდელსა და დიზაინერს 1 ფუთი მარილის ჭამა, ამაზე ზალიკო ბერგერგმა საკმაოდ მოკლე პასუხი გამცა: „აღბათ ზოგჯერ, 1 კი არა, 100 ფუთი მარილიც არ გეყოფა, მაგრამ ჩვენ ეს არ დაგვჭირდა, რადგან ვართ მონათესავე სულები, რომლებმაც ერთმანეთი ადვილად იპოვეს“.

ვის არტემევინა თავი მაგიდაზე ნინო ორდენიძემ?

100 დოლარად ნაყიდი 1 ჯილო ალუჩა და გვერდზე ღარჩენილი „კაალონიხი“

ლიპა ქაჩიაი

ნინო:

— მეგობრობა კარგი რამეა. მეგობარია ადამიანი, რომელიც ჭირსა თუ ლხინში შენ გვერდითაა, რაღაცას გიზიარებს, რჩევებს გაძლევს, განყნარებს.

ზალიკო:

— მე მეგობრობის უფრო გამძაფრებულ გრძნობა მაქვს, რადგან არც ძმა მყავს და არც და. მეგობრობას ოჯახურ ურთიერთობებზე მაღლა ვაყენებ-მეთქი, რომ ვთქვა, მთლად მართალი არ იქნება, მაგრამ ჩემთვის ეს ერთი და იგივეა. მეგობრობას ისე აღვიქვამ, როგორც სისხლით ნათესაობას.

— **ნინო, შენ რჩევების მიცემა ახსენე ერთმანეთს რჩევებს ხშირად აძლევთ?**

ნინო:

— კი, ერთმანეთს ძალიან სერიოზულ რჩევებს ვაძლევთ ხოლმე. მიუხედავად იმისა, რომ ზაალს კარგი იუმორის გრძნობა აქვს და ყველაფერს მხიარული თვალებით უყურებს. არის მომენტი, როცა...

ზალიკო:

— ...რა მომენტი? რა უბედურებას ამბობ?!

ნინო:

— არის მომენტი, როცა სერიოზული რჩევების მოცემა შეგიძლია და ვცდილობ, მეც ეს მომენტი დავიჭირო. წინასწარ ვიცი, როდის რა უნდა გკითხო და როდის რას მეტყვი.

ზალიკო:

— რომ გითხრათ — როცა რჩევა დამჭირდება, მაშინვე ნინოსთან გამოვრბივარ-მეთქი, — მოგატყუებთ, მაგრამ მეგობართან ერთად რომ ხარ, არის მომენტები, როცა მისგან რჩევას იღებ. სხვათა შორის, ერთმანეთის აზრს ვითვალისწინებთ ხოლმე.

— **რამდენი ნელია, რაც ერთმანეთს იცნობთ?**

ნინო:

— ალბათ, 10 ნელია, ხომ?

ზალიკო:

— მეტი.

— **სად გაიცანით ერთმანეთი?**

ნინო:

— უიშე, ზალიკო, სხვათა შორის, რა გავიხსენე, იცი?

ზალიკო:

— რა?

ნინო:

— ერთმანეთი რესტორან „კოსმოსში“ გავიცანით, მერე — „ელიტ-კლუბში“ შევხვდით.

ზალიკო:

— „კოსმოსში“?.. „კოსმოსში“ ერთად არ მივედი? მოკლედ, არ გვახსოვს.

ნინო:

— დედა მომიკვდეს, თუ მახსოვდეს.

ზალიკო:

— თითქოს ბავშვობიდანვე ერთად ვიზრდებოდით. ისე ორივე 80-იანელები ვართ, მაგრამ სხვადასხვა სკოლაში ვსწავლობდით.

ნინო:

— და მაინც, მგონია, რომ ერთმანეთი „ელიტ-კლუბში“ გავიცანით.

ზალიკო:

— მახსოვს, „ელიტ-კლუბში“ რომ გნახე, ძალიან პატარა იყავი.

ნინო:

— გახსოვს, როგორ დავდიოდი? „შლაქსებით“ და ზურგმოსხილი მაისურით.

ზალიკო:

— ჰო.

— **როგორ დამეგობრდით?**

ნინო:

— ეს უცებ მოხდა. „ელიტ-კლუბში“ ერთმანეთს ტელეფონის ნომრები მივეცი. ზაფხული იყო. ერთხელ, ზალიკომ დამირეკა: სად ხარო? ვუპასუხე: წყნეთში ვარ და ამოდი-მეთქი. ამოვიდა და ჩვენი მეგობრობაც იმ დღიდან დაიწყო. მერე თითქოს რაღაც ტური უნდა გაგვეკეთებინა — ჩვენი ჭკუით, სან-ტროპეში ვაპირებდით წასვლას. მთელი სასტავი (40-კაციანი ჯგუფი)

შეყარეთ და... რაღაცებს ვიგონებდით.

ზალიკო:

— ეს ბავშვობაში იყო. მაშინ „ლიმოსში“ მქონდა ჩვენება და ნინო პირველად გამოვიდა პოდიუმზე. ისე, მაშინ უფრო „ძველი გოგო“ იყო (იცინის)..

ნინო:

— ზალიკოს რომ არ ეთქვა, პოდიუმზე არასდროს გავდიოდი. პოდიუმი ჩემთვის სხვა რამე იყო. ცოტა ბიჭური ტიპი ვიყავი.

— **ეი, დღეს ცნობილი მოდელი რომ ხარ, ეს ზალიკოს დამსახურებაა?**

— ნამდვილად. მან მითხრა: კარგი გოგო ხარ და გეხვეწები, გამოდიო. თან იმ ჩვენების სპონსორიც ჩვენი მეგობარი იყო, ისიც შემომიჩნდა, ტვინი წაიღეს და...

ზალიკო:

— მაშინ სიარულიც კი არ იცოდა.

ნინო:

— დიდი ნაბიჯებით მოსიარულე ტიპი



მაშინ „ლიმოსში“ მქონდა ჩვენება და ნინო პირველად გამოვიდა პოდიუმზე. ისე, მაშინ უფრო „ძველი გოგო“ იყო...

ვიყავი. სხვათა შორის, „სიარული“ მალე ვისწავლე.

ზალიკო:

— პირველსავე გასვლაზე ყველა დარდი-ლა. მაშინ ამერიკიდან იყვნენ სტუმრები ჩამოსული. ისინიც გაგიჟდნენ — ყველას ეს გოგო სჯობდა! ყველაზე ეშხიანი იყო.

— **ამას იმიტომ ხომ არ ამბობ, რომ შენი მეგობარია?..**

— არა, როცა ადამიანს კარგი გარეგნობა აქვს, მას ჩანს ყოველი ან რაღაც მაგდაგვარი რაში სჭირდება?!

— **თუ შეიძლება ითქვას, რომ ნინო ორდენიძე, გარდა იმისა, რომ შენი მეგობარია, შენი შემოქმედების სახედაც ითვლება?**

— ამის თქმა თამამად შემიძლია.

ნინო:

— ჩემთვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს ის, გავხსნი, დავხურავ პოდიუმს თუ სადღაც შუაში გამოვალ, ან მეც-მევა თუ არა საუკეთესო კაბა... მინდა გითხრა, რომ ზალიკო ჩემთვის არა მარტო მეგობარია, არამედ ოჯახის წევრი, ძმია, რომლის გარეშე ყოფნა ვერ წარმომიდგენია. ეს ადამიანი ყველაფერში გამოვცადე.

— **რას გულისხმობ?**

— უცხო ქვეყანაში ერთ ჭერქვეშ ვცხოვრობდით და მივხვდი, რომ უზომოდ ერთგულია.

— **კადევ რა დადებითი თვისებები აქვს ზალიკოს?**

— ის გენიალური ადამიანი, საინტერესო მოსაუბრე, დიდი ინტელექტის პატრონია, აქვს არაჩვეულებრივი იუმორის გრძნობა.

ზალიკო:

— ვა-ი-მე... ეს რა დღეში ჩამავდო!.. ნინო ძალიან კეთილი, გულუხვი, გახსნილია. ამ ადამიანს შეიძლება, ყველაფერში ენდო. ის ძალიან კარგი ოჯახის შვილია.

— **ერთმანეთის უარყოფით თვისებებზე რას იტყვით?**

ნინო:

— ზალიკო სამინელი ძილისგუდაა. რაღაც ამოჩემებები სჭირს.

— **„ამოჩემებებში“ რას გულისხმობ?**

— აი, შეიძლება, უეცრად ვიღაც ამოიჩემოს და უეცრადვე განითვლდეს. ამ დროს ვხვდები, რომ რაღაც არ მოეწონა, ვიღაც ეზიზილება.

— **ზოღს განითვლებით გამოხატავს?**

— კი და შეიძლება, უეცრად წამოხტეს და იმ ვილაცას დაეტაკოს, რაღაც უთხრას. მაგრამ საკმარისია, 1-2 ჭიქა ლეინო დალიოს, ის ადამიანიც კი შეუყვარდება (იციინან)..

ზალიკო:

— ნინოს უარყოფითი თვისება ისაა, რომ არასერიოზული და „არაბიზნესური“.

— **ოდესმე ერთმანეთთან სერიოზული კონფლიქტი ხომ არ გქონათ?**

— ჩვენი კონფლიქტებიც კი იუმორში გადადის ხოლმე, ისე, სერიოზულად არასდროს გვიჩხუბია.

ნინო:

— მე ადრე მეღვიძება ხოლმე, თუმცა ამ ბოლო დროს, ძილი შემიყვარდა. მე და ზალიკო სტამბოლში ერთ ბინაში ვცხოვრობდით. ყოველ დილით, 9 საათზე, დედაჩემი მირეკავდა და მას ხმაბლა ვუყვებოდი ყველაფერს — სტამბოლში როგორი ამინდი იყო, იმ დღეს რას ვაპირებდით და ა.შ. ზალიკო ლოგინიდან თავს წამოყოფდა და მეჩხუბებოდა: ორდენიძე, გათიშე ტელეფონი, — და ამაზე ავაგებდით ხოლმე რაღაცებს.

— **ძილი ზალიკომ შეგაყვარა? ზალიკო:**

— ძილი მე კი არა, ცხოვრებამ შეაყვარა (იციინან)..

ნინო:

— ზაფხულში, ყოველთვის ადრე ვიღვი-



ორდენიძე ოთახიდან გაეარდა, სასკუპროს კიბეზე ჩამოვდა და გირილი დაიწყო.

ძებ. ზამთარში, როცა საქმე არ მაქვს, 12 საათამდე „ვქაჩავ“ და ლოგინიდან არ ვდგები. ეს ჩემთვის ბევრია. მგონია, როცა მძინავს, რაღაც საინტერესო მოხდება და მე იქ არ ვიქნები...

— **რადგან საკმაოდ განვითარებული იუმორის გრძნობა გაქვთ, თავს გადამხდარ კურორტებსაც გაიხსენებთ...**

ნინო:

— იმდენი კურორტი გადაგვხდენია თავს, რომელი ერთი მოვყვე, არ ვიცი. მაგალითად, ნუხანდელი ლამე...

ზალიკო:

— არა, არ მოყვე.

ნინო:

— კარგი. ყველაზე სასაცილო იცი, რა იყო?.. სტამბოლში ვიყავით და ტარკანის კონცერტზე კიბრში უნდა წავსულიყავით. იქიდან დაბრუნების შემდეგ, ზალიკოს სტამბოლში „პაკაზი“ უნდა გაემართა. კონცერტს დავესწარით, მაგრამ გავვრთეთ,

პაპარაცები კუდში დაგვედევნენ... მოკლედ, „ზვიოზდები“, სტამბოლში ვბრუნდებით, სადაც ერთი თაყვანისმცემელი ფეხბურთელი მყავდა, რომელიც აეროპორტში გველოდებოდა და... აღმოჩნდა, რომ ჩვენს ვიზას ვადა გაუვიდა. ამიტომ საქართველოში უნდა დავბრუნებულიყავით. მხოლოდ ამის შემდეგ გვექნებოდა უფლება, ისევ ჩავსულიყავით სტამბოლში. მოკლედ, გვერდზე დაგვრჩა „პაკაზი“ და „პაკლონიკი“. ეს კურორტია, მაგრამ თქვენ უნდა გენახათ ჩვენი ტირილი, როცა თვითმფრინავში ჩავსვენდებოდა.

ზალიკო:

— რაკი ნინომ თურქეთი გაიხსენა, მეც მოვყვები კურორტს. ანტალიაში ვიყავით. მე და ნინომ ნომერში რაღაცაზე ისე ვიჩხუბეთ, იშვიათად რომ გვიჩხუბია ხოლმე. ორდენიძე ოთახიდან გავარდა, სასტუმროს კიბეზე ჩამოვჯდა და ტირილი დაიწყო.

ნინო:

— ჩემს დასამშვიდებლად, ვიღაც გერმანელი ქალი მოვიდა და მეუბნება: ნუ ტირი, მე და ჩემი ქმარი სულ ასე ვზოცავდით ერთმანეთსო... ყვირილი ავტყე: ეს დამპალი, ჩემი ქმარი არ არის, დეგენერატივით.

— **რატომ იჩხუბეთ?**

— სისულელის გამო — ზალიკოს კრემი ნავისვი და ფაქტზე დამიჭირა (იციინან).

ზალიკო:

— მაგას სჯობია, რაიმე საინტერესო მოვყვეთ. მაგალითად, ის, თუ სად დადის მაია კვიციანი.

ნინო:

— ჩვენ გვყავს მეგობარი — მომღერალი მაია კვიციანი, რომელიც ქალი-კურორტია. ერთხელ, ბათუმში წავედით. ქუჩაში ჩვენს პრეზიდენტს უნდა ჩაველო ნაზარბაევთან ერთად. მათ გამოვლას ჩვენც ველოდებოდით და მაიას ვთხოვე: აბა, ბაბუ დაიყვირე-მეთქი. იმანაც, არც აცია, არც აცხელა და — ბაბუ! — იყვირა... მერე გავვლადავეთ — ვითომ ვიღაცამ დამირეკა და მითხრა: ნინო, სახლი დატოვე, ბუღვარში წადი — მაიას დასაჭერად მოდიან, რადგან „ბაბუ“ დაიყვირაო. მაია გაგიჟდა, უზროდ დარბოდა, თან ყვიროდა: „ნახ-ალკებს“ მტენიანო!. მერე უეცრად, შამპუნს წაავლო ხელი და რატომღაც თავზე დაისხა... ისე ინერვიულა, რომ ბოლოს, კორვალით მოვაბრუნეთ.

— **ერთმანეთს ხშირად ატყუებთ?**

— მე ტყუილის თქმა საერთოდ არ მეხერხება.

ზალიკო:

— ორდენიძისგან განსხვავებით, არასდროს ვიტყუებ.

ნინო:

— ზალიკო მომიტყუებია, მაგრამ ბოროტი ტყუილები არ მიყვარს.

ზალიკო:

— სანყენ ტყუილს არ მოიგონებს, მაგრამ ნამდვილი „ფანტაზიორმა“. პირველ აპრილს (როცა ჩვეულებისამებრ, მეძინა) დამირეკა და ჩვენს საერთო მეგობარზე მეუბნება: მოიტაცეს, ჩანთა ჩაალაგე, ჩაქვში უნდა ჩავავითხოვო. ისეთი ძილისგუდა ვარ, სახლში რომ მომავითხავენ, მერე ვფიზილდე-

ბი და ვინყებ ჩანთის ჩალაგებას. ნინომ სხივისი გაცურებაც მოინდომა და იგივე ტექსტი უთხრა კიდევ ერთ ახლობელს.

ნინო:

— ...როცა მივხვდი, რომ ის უკვე ჩაქვში წასასვლელად ემზადებოდა, მერე ვუთხარი, მოგატყუე-მეთქი...

— **რას ვერ აპატიებდით ერთმანეთს?**

ნინო:

— ლალატს. მაგრამ ვიცი, რომ ჩემსა და ზალიკოს შორის ეს გამორიცხვულია. ისე, ჩემთვისაც უღალატიათ, მაგრამ მგონია, ვინც მე მილაღატებს, ის ავტომატურად ლალატობს საკუთარ თავს. მასსოვს, ბავშვობაში, ერთი ბიჭი მომწონდა. ჩვენი მეგობრის ქორწინებაში მას ჩემი დაქალი გაეპრანჭა. რესტორან „ნიკალაში“ ვიყავით. ის გოგო ისე ვცემე, სულ მაგიდაზე ვარტყმევიყვი. თან არც ვუბნებოდი, რატომ ვურტყამდი. მასთან აღარ გამიგრძელებია მეგობრობა და არც ვიცი, დღეს როგორ ცხოვრობს... ამ ჩემს ფეხებს, თუ კიდევ მილაღატებენ.

ზალიკო:

— ალბათ, მეც მქონია ერთი შემთხვევა, მაგრამ არ მასსოვს, რომ ამის გამო, მეგობარი დამეკარგოს. უბრალოდ, ბავშვობის ასაკში გვყავს მეგობრების რაღაც წრე; რომ იზრდები, წრეს იცვლი და ვიღაც გეკარგება.

ნინო:

— მყავს ძალიან ბევრი მეგობარი, რომლებიც გათხოვდნენ. 5-6 წლის წინ, სულ ერთად ვიყავით, მაგრამ დღეს მათ ოჯახი აქვთ, შვილები ჰყავთ. მე უფრო თავისუფალი ვარ. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ერთმანეთი დავკარგეთ — დათქმული გვაქვს გარკვეული დღეები, როცა ყველანი ვიკრიბებით ხოლმე.

— **რა შეიძლება დაუმალეთ ერთმანეთს?**

— ზალიკოს ძალიან არ უყვარს, როცა უაზროდ ვხარჯავ ფულს. საშინელი მფლანგველი ვარ.

ზალიკო:

— აღარ არის — იყო...

ნინო:

— ჰო, ახლა დავჭკვიანდი. მასსოვს, ერთხელ, სტამბოლში, სანამ ზალიკოს ეძინა, ქუჩაში გავედი, თან ჩვენი უკანასკნელი 100 დოლარი წავიდე. მეზობელი შემხვდა და ფული მთხოვა. მივეცი. მერე მათხოვრებსაც დავემხარე... სახლში კი, 1 კილო ალუჩა მოვიტანე. ზალიკოს რომ გაეღვიძა და ალუჩა ნახა, გაუხარდა და გემრიელად მიირთვა.

ზალიკო:

— გაღვიძებისთანავე, ალუჩის გემრიელად ჭამა არ გამიგონია...

ნინო:

— ჭამა და მერე გავუმხილე: მეტი ფული არა გვაქვს, ალუჩა ვიყიდემეთქი... სხვა რა უნდა დავუმალო?.. თუ ვინმე მომეწონება, მინდა, რომ პირველად ზალიკომ ნახოს.

ზალიკო:

— არა, ხანდახან რაღაცებს მიმა-

ლავენ. მაგალითად, ეს ქალბატონი და ჩვენი საერთო მეგობარი ირა, აუზზე (გასაძლო-მად) დადიოდნენ და ამას მიმაღავდნენ, მაგრამ ბოლოს მაინც გამომიტყდნენ.

— **ზალიკო, ნინოს თავყანასმცემელს ხშირად უწუნებ?**

— უმეტეს შემთხვევაში, კარგი თავყანასმცემელები ჰყავს.

— **დაბოლოს, რას ურჩევდით მეგობრებს?**

ნინო:

— უყვარდეთ ერთმანეთი და იყვნენ ერთგულები. რაც უფრო მეტი მეგობარი გყავს, მით უფრო ბედნიერი ხარ. ყველას ვუსურვებ, გყავდეთ ისეთი მეგობარი, როგორც ჩემთვის ზალიკოა.

— **ბევრი მეგობრის ყოლა შესაძლებელია?**

— ჩვენ ძალიან ბევრი მეგობარი გვყავს, მაგრამ ის ურთიერთობა, რომელიც ზალიკოსთან მაქვს, შეიძლება, ძალიან ბევრ მათგანთან არ მქონდეს. თუმცა, მე არ მჩვევია ლიმიტი ურთიერთობებში: შეიძლება ითქვას, რომ გამცემი ვარ.

ზალიკო:

— მეგობრობა ერთგულებაზე, ერთმანეთის ნდობაზე, გახსნილობაზე დამოკიდებულია. ეს იგივე ოჯახური, სისხლისმიერი ურთიერთობის ტოლფასია. როცა ე.წ. მეგობარს რაღაცას დაუმალავ, ე.ი. ნამდვილი მეგობრები არ ხართ.

— **იმისთვის, რომ მეგობარი ბოლომდე ამოიცნო, 1 ფუთი მარილის ჭამა აუცილებელია?**

— ხშირად, 1 კი არა, 100 ფუთი მარილიც არ გეყოფა. მაგრამ არსებობენ ადამიანები, მონათესავე სულები, რომლებიც ადვილად პოულობენ ერთმანეთს.

ნინო:

— ზალიკოს 1 ფუთი მარილი კი არა, 1 ჭიქა ღვინო დააღვინე და „ვისიო“ — უკვე მეგობარი ხარ (იცინიან!).

ზალიკო:

— შეიძლება შეცდე და უღირს ადამიანს დაუმეგობრდე. ამიტომ, უნდა იცოდდე პიროვნების ამოცნობა. ამისთვის კი აუცილებელია, გქონდეს მეგობრული ურთიერთობის გამოცდილება.



მე არ მჩვევია ლიმიტი ურთიერთობებში: შეიძლება ითქვას, რომ გამცემი ვარ...



რამდენიმე კვირის წინ, მომღერალი ნიკა სემსრულიძე და „სტილის დედოფლად“ წოდებული, ქალბატონი მზია კვირიკაშვილი საბერძნეთში მიიწვიეს, სადაც ქართველი ემიგრანტებისთვის გამართულ კონცერტში უნდა მიეღოთ მონაწილეობა. მათთან ერთად სცენაზე გამოვიდა ასევე თამაზ გონდუაძე, რომელიც უკვე რამდენიმე წელია, საბერძნეთში ცხოვრობს და ქართულად სიმღერის უფლება არა აქვს (მისი წარმატებების შესახებ „გზის“ ფურცლებზე ამ ცოტა ხნის წინ ვწერდით). „კონცერტები, რომლებიც ათენსა და სალონიკში ჩატარდა, იმდენად წარმატებული იყო, რომ მის ორგანიზატორს ასეთივე მასშტაბის ახალი კონცერტის ჩატარების სურვილი გაუჩნდა“, — ამბობს ნეკა სემსრულიძე, რომელიც კინალამ საბერძნეთში დატოვდა.

qarTveli Semsrulebi da erovnul musikas danatrebuli, acremlebuli emigrantebi

ლიკა ქაჩია

— 12 იანვარს, მე და მზია კვირიკაშვილი საბერძნეთში გავემგზავრეთ, საიდანაც რამდენიმე დღით ადრე, მიწვევა მოგვივიდა მამუკა ლიპარტელიანისაგან. მამუკა რამდენიმე წელია, რაც საბერძნეთში ცხოვრობს. ის სამშობლოდან წასვლამდე, ქართულ შოუბიზნესში ტრიალებდა და არაერთი კონცერტის ორგანიზატორად მოგვევლინა. საბერძნეთში კი მამუკას გამართული პირველი კონცერტი იყო.

— **მამუკა ლიპარტელიანთან დიდი ხნის ნაცნობობა გაკავშირებს?**

— ამ ადამიანთან შეხება მხოლოდ

ათენში გამართულ კონცერტზე გამოსავალი ვიპოვეთ — მე და თამთამ დუგტში ვიმღერეთ ლალიძის „თბილისო“



ერთხელ მქონდა — მის მიერ ორგანიზებული ერთ-ერთ კონცერტში ვმონაწილეობდი. მას შემდეგ წლები გავიდა და მისი არსებობაც კი არ მახსოვდა. თურმე, 4-5 წელია, რაც საბერძნეთში ცხოვრობს.

სამაგიეროდ, თურმე, იმას ახსოვდა როგორ ფიქრობ — მაინც-და მაინც შენ რატომ მიგიწვია?

— როგორც თვითონ თქვა, ჩემზე არჩევანი ჩემი რეპერტუარისა და სასიმღერო ჟანრის გამო შეაჩერა. რაც შეეხება მზია კვირიკაშვილს — ის ყველგან უყვართ, რადგან არაჩვეულებრივ პაროდიებს აკეთებს. მოკლედ, ჩემი და ქალბატონი მზიას შემოქმედებითი ტანდემი წარმატებული აღმოჩნდა.

კონცერტი საბერძნეთში მცხოვრები ქართველებისთვის ჩატარდა?

— რა თქმა უნდა. პირველი კონცერტი 15 იანვარს, ათენში, თეატრ „არგოს“ შენობაში გაიმართა. ეს იყო ორსაათიანი პროგრამა, სადაც დაახლოებით 19 სიმღერა (როგორც ახალი, ისე ძველი რეპ-

ად ურეკავდნენ მამუკას და საყვედურობდნენ — კონცერტი უფრო დიდ დარბაზში რატომ არ გაიმართაო?!

ათენში მხოლოდ ერთი კონცერტი გქონდათ?

— დიახ. 22 იანვარს კი, კონცერტი (იმავე პროგრამით) სალონიკში ჩავატარეთ. თუმცა, გავითვალისწინეთ, რომ ეს საკლუბო კონცერტი იყო და რეპერტუარში ცვლილებები შევიტანე — უფრო ენერგიული სიმღერები დავამატე... ეს კონცერტები იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ იქაურებს გაუჩნდათ სურვილი, კონცერტები გაზაფხულზე ჩავატაროთ და საორგანიზაციო საკითხებზე ზრუნვაც უკვე დაიწყეს.

თქვენ გარდა, კონცერტში კიდევ ვინ მონაწილეობდა?

— მონაწილეობდა აგრეთვე (თუმცა, პრინციპში, სტუმრის სტატუსით იყო მიწვეული) ქართველი მომღერალი თამთა გონდუაძე, რომელიც ჩემი ბავშვობის მეგობარია. ჩვენ ანსამბლ „ნერგებში“ ვმღეროდით ერთად. მერე, თამთამ სიმღერას თავი დაანება და შვილთან ერთად, საბერძნეთში წავიდა საცხოვრებლად. იქ 2 წლის წინ, ძალზე სერიოზულ პროექტში სატელევიზიო შოუში — „სუპერ აიდოლი“ მიიღო მონაწილეობა, სადაც 50 კონკურსანტს შორის, მეორე ადგილი დაიკავა. პირველ ადგილზე ერთი კვიპროსელი ბიჭი გასულა. მათ ერთად ჩანერეს დუეტი, გამოვიდა მათი საერთო ოქროს დისკი, რომელიც საკმაოდ დიდი ტირაჟით გაიყიდა. ამის შემდეგ, თამთამ, ბერძნულ კომპანიასთან გააფორმა 3-წლიანი კონტრაქტი. ის ყოველ საღამოს, მუშაობს ერთ-ერთ ცნობილ კლუბში — „აპოლონა“, სადაც უფროსი თაობის ცნობილ მომღერლებთან ერთად ასრულებს ბერძნულ სიმღერებს. ჩემთვის ნამდვილი სიურპრიზი იყო, როცა ქუჩაში თამთას ყველა ცნობდა და უღიმოდა... მოკლედ, თამთას, გამომდინარე იქიდან, რომ ბერძნულ კომპანიასთან აქვს გაფორმებული კონტრაქტი, უფლება არა აქვს, სხვა ენაზე შეასრულოს სიმღერა. ამას ძალიან განიცდის — ქართველებმა არ იფიქრონ, რომ მშობლიურ ენაზე სიმღერას არ ვკადრულობო... მოკლედ, ათენში გამართულ კონცერტზე გამოსავალი ვიპოვეთ — მე და თამთამ დუგტში ვიმღერეთ ლალიძის „თბილისო“ და მამუკა ჩარკვიანი „იირინოლა“. ქართველი ემიგრანტები თამთათი კი ამაყობდნენ, მაგრამ ქართულ ენაზე მისი შესრულებული სიმღერა მოსმენილი არ ჰქონდათ. სამწუხაროდ, თამთა ჩვენთან ერთად სალონიკში ვერ წამოვიდა, რადგან იმავე დღეს, ათენში ჰქონდა კონცერტი დაგეგმილი.

მზია საბერძნეთიდან ამერიკაში გაემგზავრა. ის გადალლილც კი ყველაფერს იუმორით უყურებს



ერთხელ მქონდა — მის მიერ ორგანიზებული ერთ-ერთ კონცერტში ვმონაწილეობდი. მას შემდეგ წლები გავიდა და მისი არსებობაც კი არ მახსოვდა. თურმე, 4-5 წელია, რაც საბერძნეთში ცხოვრობს.

მსმენელმა როგორ მიგიღოთ?

— ძალიან კარგად და ეს გასაკვირი არც იყო. რადგან ქართველი მსმენელი და მაყურებელი (თან, მშობლიურ მუსიკას მონატრებული) ყველგან კარგია. „არგოს“ დარბაზი 250 ადამიანს იტევს, მაგრამ იქ გაცილებით მეტი ხალხი მოვიდა. ზოგმა თავისი სკამი მოიტანა, ზოგი ფეხზე იდგა, უამრავი ადამიანი, უბილეთობის გამო, გარეთ დარჩა. ისინი ხშირ-ხშირ-

შენ თქვი — ქართველი მსმენელი და მაყურებელი ყველგან კარგიაო. ამ სიტყვებში მართო ოვაციას და ტაშს გულისხმობ?

— როცა სიმღერებს აპლოდისმენტებით სვდებიან, ეს მომღერლისთვის დიდი სტიმულია. კონცერტის შემდეგ, დარბაზში მსხდომმა ყველა მაყურებელმა ისურვა ჩვენთან შეხვედრა, რათა გაეზიარებინათ თავიანთი ემოციები, ბევრ მათგანს თვალეზი ცრემლით ჰქონდა სახე (კინალამ ჩვენც ვიტყვით). ისინი თავიანთ ემოციებს ტკბილი სიტყვებით, საჩუქრებით და შინ მიპატიუებით გამოხატავდნენ, მაგრამ სამწუხაროდ, ვერაფრით მოვახერხებდით 300-400 ადამიანთან სტუმრობას. რამდენიმე მათგანს ვესტუმრეთ და ისინი ბედნიერები იყვნენ. თბილისი გაგვახსენდაო, — ამბობდნენ... ზოგი გვეუბნებოდა: ჩვენთან დარჩით, აქ იცხოვრეთო.

საბედოც ხომ არ გამოვიწინდა?

— არა, მაგდაგვარი არაფერი მომხდარა.

ქალბატონ მზიასთან ერთად ალბათ, არ მოინწყენდი, არა?

— მზია საბერძნეთიდან ამერიკაში გაემგზავრა. ის გადალლილც კი ყველაფერს იუმორით უყურებს. ძალიან ხალისიანია. თუმცა, თვალეზი მასაც უცრემლიანდებოდა, როცა იმ ქართველებს ხედავდა, ვინც წლების განმავლობაში არ ყოფილან სამშობლოში და არ უნახავთ თავიანთი შვილები...

ინფორმაციული ცენტრი
822-006-008
822-006-088
822-006-108
(წარი ფასიანია)
18 წლიდან



ქალების

ქსენოფობია

ჩვენ, ქალები, რა თქმა უნდა, ვერ ვამჩნევთ, რომ რაღაც უცნაურობა გვჭირს. მაგრამ მამაკაცები სულ სხვაგვარად ფიქრობენ. მართალია — გვიყვარს ტელეფონზე საუბარი, მაგრამ ამით რა შავდება? არც არაფერი... ან იქნებ, ავეჯის გადაადგილებაა უცნაური საქციელი?... თუ ამას ავეჯის მალაზიაში განვიზრახავთ, მართლაც, უცნაურობად მოეჩვენება კაცს, მაგრამ საკუთარ ბინაში ამის გაკეთება ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი მოვლენაა... ფსიქოლოგი მარინა რეხვიანიშვილი უკვე დიდი ხანია, რაც ქალების უცნაური ქცევების შესწავლას მისდევს. თუმცა, თვითონაც აღიარებს, რომ ის, რაც მამაკაცებს უცნაურად ეჩვენებათ, ქალისთვის ყოველდღიური, ჩვეულებრივი ცხოვრების ნაწილია. მოდი, ქალბატონო მარინას მეშვეობით ვცადოთ იმის გარკვევა, თუ რას მიიჩნევენ მამაკაცები ქალის უცნაურ ქცევად და სწორად მსჯელობენ თუ არა ისინი...

მეგობარ ქალბატონს და ეს პრეტენზიები რამდენიმე პუნქტად დავაჯგუფებ.

— **იქნებ, დანვრილებით გვიამბოთ, რა მიაჩნიათ მამაკაცებს ქალის უცნაურ ქცევად?**

— დანვრილებით ამ ყველაფრის მოყოლა ძალზე შორს წაგვიყვანდა; ვეცდები, ძირითად საკითხებზე გავამახვილო ყურადღება. დავიწყეთ იმით, რაც მამაკაცებს ყველაზე მეტად ალაშფოთებს.

სამინელი აზრები

— თუ ქმარი შინ მოსვლას აგვიანებს, სამსახურიდან კი მთელი საათის წამოსულია, მაშინ ქალი ინყვებს ნერვიულობას და ავეჯიატება საშინელი აზრები. როგორი ეჭვიანიც არ უნდა იყოს ქალი, პირველ რიგში, მინც იმას იფიქრებს, რომ მის ქმარს მანქანა დაეჯახა ან ბანდიტები დაესხნენ თავს და ახლა, სადღაც, დასისხლიანებული, უპატრონოდ წევს, კენესის და შველას ითხოვს... თუ მის შესახებ მთელი 3 საათის განმავლობაში ვერაფერი შეიტყო, მზადაა, დაურეკოს არა მხოლოდ მის ყველა მეგობარს, არამედ დაიწყოს ძებნა საავადმყოფოებში, პოლიციასა და მორგშიც კი. როგორც კი მეუღლე შინ საღ-საღამათი დაბრუნდება, ქალს მაშინვე გულზე მოეშვება და უკვე ეჭვიანობას იწყებს: რადგან პრობლემები არ ჰქონია, გამოდის, რომ სადღაც გასართობად იყო წასული... ამის შემდეგ, ქალი, რომელსაც 5 წუთის წინ შეეძლო, ქმრის გულისთვის საკუთარი სიცოცხლეც კი გაეღო, უკვე მზად არის, მას ეჭვიანობის სცენები მოუწყოს და თვალბეჭდვით დასთხაროს... უცნაურობაა, მაშ, რა არის?!

— **მამაკაცები თუ აფასებენ ქალების ასეთ ნერვიულობას? თუ ცდილობენ, დაუყვავონ ცოლებს?**

— ასეთ შემთხვევაში, მამაკაცთა უმეტესობას სასაცილოდაც არ ჰყოფნის ცოლის განცდები. ხომ უვინებლად მოვედი? რა განერვიულებდა? პატარა ბავშვი ხომ არ ვარ, რაიმე რომ დაშემართოსო?! — ასე იმართლებენ ხოლმე თავს და უკვირთ, რატომ არიან ქალები ასეთი

უცნაურები, რატომ ფიქრობენ მაინცდამაინც ცუდს... ერთი ანეკდოტი მასხენდება: ქმარმა სამსახურიდან დაიგვიანა. ცოლი ძალზე ნერვიულობს და დედას ურევავს, რომ თავისი სანუხარი შესჩივლოს: — იცი, დედა, ძალიან ვნერვიულობ, ნეტავ, საყვარელი ხომ არ გაიჩინა და მასთან ხომ არ არის? — შეილო, რატომ ფიქრობ მაინცდამაინც ყველაზე ცუდს? იქნებ, საყვარელთან კი არ არის, მანქანა დაეჯახა და საავადმყოფოშია?! — აი, ასეთი უცნაურები ვართ ქალები!..

ტელეფონი

— ქალებს ერთი უცნაურობაც გვჭირს: ძალზე გვიყვარს ტელეფონით ლაპარაკი. თითქოს ცუდი არაფერია იმაში, რომ სამსახურისა და საოჯახო საქმეების გამო მოუცლელმა, ბავშვობის მეგობარს დაურეკო და ახალი ამბები გამოჰკითხო. ესეც ხომ ქალის ცხოვრების ნაწილია! აბა, როგორ არ უნდა გავარკვიოთ, ვისგან გააჩინა შვილი მეზობელმა, სად იშოვა მდიდარი საყვარელი მეგობრის დაქალმა ან ახალი, მოდური დიეტა არ ჩავინეროთ?... თანაც, ნუ დაგვავიწყდება, რომ ასეთი სანგრძობივი ჭორაობის დროს, ქალების უმეტესობას ცალ ხელში ტელეფონის ყურმილი უჭირავს, მეორით კი ქვაბში წვნიანს ურევს...

— **მამაკაცების უმეტესობა, რა თქმა უნდა, ვერ იტანს, როდესაც ცოლი ტელეფონით ლაპარაკობს.**

— დიას და სწორედ ამიტომ მიიჩნევენ ამას უცნაურობად. თუმცა, ჭორაობა ქალებზე ნაკლებად მათ როდესაც უყვართ, მაგრამ ტელეფონით ლაპარაკი ისე არ ხიბლავთ. მათ მეტი დრო აქვთ, რომ მეგობრებს შეხვდნენ და პირისპირ განისილონ ჭორები.

მაკიეი

— ცნობილია, რომ ქალებს თავის ტკივილი მამაკაცებზე სამჯერ უფრო ხშირად აწუხებთ. ეს სამინელი შეგრძნებაა. ამ დროს გინდა, განცალკევდე და შენთვის ჩუმად „მოკვდე“, რადგან თითქოს თავზე ცეცხლი გიკიდია, თვალები გიჭრელდება და ნებისმიერი სუნი

მარი ჯაშარიძე

— **ქალბატონო მარინა, რატომ მოგივიდათ აზრად, რომ მაინცდამაინც ამ თემით დაინტერესებულიყავით?**

— რამდენიმე წლის წინ, ჩემთან მოვიდა ახალგაზრდა მამაკაცი, რომელსაც ოჯახი ახალი შექმნილი ჰქონდა. მას დედა ადრე გარდაცვლია და მამას ორი ვაჟი მართოს გაუზრდია. სამი მამაკაცი ერთად, ქალის გარეშე, წლების განმავლობაში ცხოვრობდა. ამიტომ, ჩემს პაციენტს გაუჭირდა მეუღლესთან შეგუება და ერთად ცხოვრების პირველსავე დღეებიდან, მათ შორის კონფლიქტმა იჩინა თავი. ცოლი ცდილობდა, ოჯახი კალაპოტში ჩაეყენებინა, სახლი ძირისძირობამდე დააღაგა, სადილ-ვახშამიც თავის დროზე იყო მზადა... ქმარი კი ვერა და ვერ გადაეწყო ახალ ყაიდაზე. ცოლის ნებისმიერი საქციელი უცნაურად ეჩვენებოდა. ჩემთან კი იმისთვის მოვიდა, რომ მოეყოლა ცოლის უცნაური ქცევების შესახებ და მიეღო რჩევა, ჰქონდა თუ არა მის ცოლს ფსიქიკასთან დაკავშირებული რაიმე პრობლემები... როდესაც მას მოვუსმინე, გავოცდი, რადგან ქალის ქცევაში უცნაური ვერაფერი აღმოვაჩინე. მიგვხვდა, რომ მამაკაცს თვითონ ჰქონდა რაღაც პრობლემა... როდესაც ყველაფერი ავუსხსენი, ცოლ-ქმარს შორის სიტუაცია მოწესრიგდა. მერე დავინტერესდი, მსგავსი პრობლემები მის ძმასაც ხომ არ ჰქონდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ძმის ოჯახში ყველაფერი ნორმალურად იყო. ამის შემდეგ გადავწყვიტე, ეს თემა უფრო საფუძვლიანად შეემსწავლა. ყველა მამაკაცს, პაციენტი იყო ის, ნაცნობი თუ ნათესავი, ვეკითხებოდი, რა უცნაური ქცევა ჰქონდა მის მეუღლეს ან თუნდაც,

გულის რევას იწვევს. მამაკაცები კი ფიქრობენ, რომ ეს არის კიდევ ერთი მიზეზი საიმისოდ, რომ ცოლმა ვახშამი არ მოამზადოს და იმ ღამეს, მარტო დაიძინოს...

შვილები

— ქალი მზად არის, საკუთარ შვილებს აპატიოს ყველა დანაშაული. ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ დედამ, თუნდაც იცოდეს, რომ მისი შვილისთვის ტკბილეული მანებელია, უარი უთხრას კანფეტზე. თუ ბავშვი იწყებს ტირილს და რაღაცას ითხოვს, დედას გული ეკუმშება და ყველანაირად ცდილობს, სურვილი შეუსრულოს. თუნდაც შვილი უკვე საბუნსიო ასაკის იყოს, დედა ყოველთვის ინტერესდება, თბილად აცვია თუ არა მას, დანაყრებულა თუ არა და სად მიდის; ღამღამობით, უსმენს მის სუნთქვას, რადგან ყოველთვის ეშინია, შვილს „არ დაავიწყდეს“, რომ უნდა ისუნთქოს... შესაძლოა, ცოტას ვაჭარბებ, მაგრამ ამ სიტყვებს რომ წაიკითხავს, ბევრ დედას გაეცინება და საკუთარი ქცევა გაახსენდება. განსაკუთრებით, ქართველ დედებზე გავაკეთებ აქცენტს, რადგან ხშირად, 60 წლის შვილზე 80 წლის დედა ისევე ზრუნავს, როგორც 59 წლის წინ ზრუნავდა. ვიცნობდი დედა-შვილს, რომელიც მარტო ცხოვრობდა; შვილი უკვე 47 წლის იყო და ოჯახი არ ჰქონდა. დედა ვერავისთვის იმეტებდა თავის ერთას და ყველაზე საოცარი ის იყო, რომ ყოველ საღამოს, საკუთარი ხელით აჭმევდა; ისიც, ბახალასავით უღებდა პირს და ერთი წლის ბავშვივით, მორჩილად ყლაპავდა ლუკმებს.

— მამები ამაზე, როგორც წესი, უარყოფითად რეაგირებენ, არა?

— უმეტეს შემთხვევაში, ისინი ასეთ ქცევას აპროტესტებენ და ცოლს საყვედურობენ: ნუ ანებივრებ ბავშვს, ის ხომ ვერასოდეს მიეჩვევა დამოუკიდებლობას, დედიკოს ბიჭი გაიზრდებაო, — მაგრამ დედა-შვილი ისე კარგად უგებს ერთმანეთს, რომ ასეთ შემთხვევაში, მამა ხშირად, ვერაფერს აღწევს...

ჭორები

— ეჭვი არ მეპარება, რომ ქალების უცნაურობებს შორის, ჭორები „საპატიო“ ადგილს დაიკავენ...

— დამასწარმო. ახლა სწორედ მაგ თემაზე გადასვლას ვაპირებდი, მაგრამ ჩვენ ხომ სხვისი ცხოვრების განხილვას ჭორობას არ ვემბახით?! უბრალოდ, გვინტერესებს, რატომ ღალატობს ქმარი ჩვენს მეზობელს, ასეთ მახინჯ ქალთან... რას ეზიდება ჩვენი მეორე მეზობელი უზარმაზარი ჩანთებით, უკვე მთელი თვის მანძილზე... ქალის ცნობისმოყვარეობას ხომ საზღვარი არა აქვს! ჰოდა, გვიჩნდება სურვილი, რომ განვიხილოთ ესა თუ ის საკითხი ჩვენს მეგობრებთან ერთად. მამაკაცები კი მიიჩნევენ, რომ ჩვენ ჭორიკანები ვართ და უაზრო ლაპარ-

აკში ვკარგავთ დროს. თუმცა, როდესაც ცოლები ახალ ჭორებს უყვებიან, მოსმენაზე უარს არასოდეს ამბობენ, ხშირად მზად არიან, რომ კამათშიც ჩაერთონ და პოლემიკა გამართონ უბრალო საკითხზეც კი...

აღნაგობა

— ქალების კიდევ ერთი უცნაური თვისება ის გახლავთ, რომ ძალზე განიცდიან ნახევარი კილოგრამის მომატებასაც კი. როგორც კი ქვედაბოლოს ან შარვლის შეკვრა გაუჭირდებათ, მაშინვე პანიკაში ვარდებიან. ასევე აღვლევებთ ნაცეცის გაჩენა მუცელზე და ცელულიტი თქოებზე. სიცოცხლე დამთავრებულია, თუ სასწორი უჩვენებს 4-5 კილოგრამით მეტს, ვიდრე ერთი თვის წინ: მორჩა, დიეტაზე ვჯდები და ვარჯიშს ვინწყებ! — აცხადებენ ასეთ დროს ქალები და თან ნამცხვრის მსუყე ნაჭერს მიირთმევენ, რადგან — დიეტას ხომ ხვალდიან იწყებენ!.. რამდენიმეხინიანი უშედეგო დიეტის შემდეგ კი ინტერესდებიან, რა ღირს ლიპოსაქციის ოპერაცია. თუმცა, ქალების უმეტესობა ამ ოპერაციაზე დისტროფიის (არაბუნებრივი სიგამხდრე) უკანასკნელ სტადიაშიც კი დათანხმდება. ეს ხომ მართლაც უცნაურია?! მამაკაცი კი ხშირად, ვერც ამჩნევს ამ ზედმეტ კილოგრამებს, ხოლო თქვენი დიეტა იმის საფუძველს აძლევს, რომ ოჯახისთვის ნაკლები პროდუქტი იყიდოს და მიაჩნია, რომ გამუდმებით დიეტაზე ყოფნა ყველაზე დიდი უცნაურობაა მათ შორის, რომლებიც თქვენ გახასიათებთ. ხშირად, ისტყვა „ცელულიტის“ მნიშვნელობას ის სწორედ თქვენგან იგებს და დიეტის წინააღმდეგ პროტესტის გრძნობაც უჩნდება, რადგან მიაჩნია, რომ რამდენიმე კილოგრამა სექსუალურობა და მიმზიდველობა შეგმატათ.

ავტომობილი

— ვერც ერთი ქალი ვერასოდეს შეეგუება იმას, რომ საყვარელი მამაკაცი ვინმესთან „სახიაროდ“ ჰყავდეს. მით უმეტეს, თუ ეს „ვინმე“ — ავტომანქანაა. ქალი მზად არის, თავი მოიავადმყოფოს და ქმარი მთელი დღით საკუთარ ლოჯინთან მიაჯაჭვოს, ვიდრე საყვარელმა მამაკაცმა მთელი დღე ავტომობილის მონწესრიგებას დაუთმოს... ერთხელ, მქონდა შემთხვევა, როდესაც ჩემმა პაციენტმა ქმრის მანქანა ქვით დაჭეჭყა. როდესაც მიზეზი ვკითხე, აღმოჩნდა, რომ ეჭვიანობდა — მთელი დღე მანქანის ქვეშ უნდა გაატაროს, საღამოს კი შინ დადლილი, მშვიერი და დასვრილი მოვა და ოჯახისთვის აღარ ივარგებსო, — ასეთი ახსნა მოუძებნა მან თავის საქციელს... რაც უფრო მეტ დროს ატარებს მამაკაცი მანქანაში, მით უფრო ეჭვიანობს ცოლი „მეტოქეზე“. ქმრებს ამაზე მხოლოდ ეცინებათ და ქალის ასეთ ქმედებას უცნაურს უწოდებენ, რადგან მათ ავტომობილი იმისთვის სჭირდებათ, რომ ოჯახისთვის გამოიყენონ. უცნაურია ისიც, რომ თუ ქალს თვითონაც ჰყავს მანქანა, მაშინ ეჭვიანობა მისთვის უცხო ხილია.

ნესრიგი

— ქალის თვალსაზრისით, ნესრიგისკენ ლტოლვა ჩვეულებრივი ქალისთვის აბსოლუტურად ჩვეულებრივი მოთხოვნილებაა და არა უცნაური თვისება. ბოლოს და ბოლოს, ბინა ის ადგილია, სადაც ოჯახი ცხოვრობს და არა საღორე. ამიტომ, ქალი ცდილობს, მტვერი გადაწმინდოს იმ ადგილებშიც კი, სადაც მას უცხო თვალი ვერ შენიშნავს. თუმცა, ზოგიერთი ქალი მართლაც ავადმყოფურად განიცდის, თუ 2 წუთის წინ მის მიერ დადებული ნივთი იმავე ადგილას არ დახვდება ან საბაზანოს იატაკზე წყლის გუბეა. ამის გამო, შესაძლოა, ნამდვილი ომი ატეხოს. რაც შეეხება მამაკაცებს — მათ ყოველთვის მოსწონთ ნესრიგი, მაგრამ თავად არასოდეს იცავენ მას. ნივთებსა და ტანისამოსს ყრიან იქ, სადაც მოეხასიათებათ და შესაძლოა, ჩხუბიც კი ატეხონ, თუ წინდას ან ჰალსტუხს ვერ მიაგნებენ იქ, სადაც დატოვეს, თან წუნუნებენ ცოლების უცნაურობის გამო... აქვე კიდევ ერთ უცნაურობაზე გავამახვილებ თქვენს ყურადღებას: ქალების უმეტესობა ბედნიერია იმ დღეს, როდესაც ბინაში ავეჯს გადაადგილებს და ოთახებს ახალიერს შესძენს. სულ არ ადარდებს, თუ ამას მათი ქმრები უცნაურობად აღიქვამენ.

ტელესერიალები

— სერიალებით ქალების დაინტერესებასაც მამაკაცები უცნაურობას უწოდებენ. იმის გამო, რომ ცოლს სურვილი აქვს, გაიგოს, ბოლოს და ბოლოს, დაქორწინდებიან თუ არა ფილმის გმირები, ხოლო ქმარს სხვა არხზე საინფორმაციო გადაცემის ყურება სურს, შესაძლოა, მათ შორის სერიოზული ჩხუბი გაჩაღდეს. მამაკაცები ვერ მიმხვდარან, თუ რა არის ასეთ ფილმებში საინტერესო და რატომაა მისი ყურება უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ამსახველი სიუჟეტებისა. მამაკაცების უმეტესობას უკვირს ისიც, თუ როგორ ახერხებს ქალი, უსმინოს ქმრის საყვედურებს, იყოს ჩუმად და მეორე დღეს, მაინც იგივე გააკეთოს, რის გამოც, წინააღმდეგ უსაყვედურებს...

— თქვენ მიერ ნათქვამიდან ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მამაკაცები გაცილებით უცნაურები არიან, ვიდრე ქალები...

— ეს უკვე სხვა საუბრის თემაა და თუ დაინტერესდებით, შემოიძლია, ამის შესახებაც გიაშობთ.

იმედი, მამაკაცებმა ყურადღებით წაიკითხეთ ეს წერილი და სასარგებლო დასკვნებზე გამოიტანეთ. მაგრამ თუ მაინც ჩათვლით, რომ ქალები უცნაური არსებები არიან, ალბათ, მათდამი თქვენი ლტოლვის საიდუმლო სწორედ აქ უნდა ვეძებოთ...

ყველაზე მაღლა, ყველაზე ნორჩად, ყველაზე იზგლიანად...



ყველაზე მასობრივი

ჩაის სმად

2004 წლის 11 ივნისს, დიდი ბრიტანეთის სხვადასხვა ქალაქში, ფონდის — „დაცულ საცხოვრებელში გადარჩენა“ — მიერ ორგანიზებულ ჩაის სმადში 11760 ადამიანი მონაწილეობდა.



ბრუქოს ნილაბაფარებული ჯგუფი

2003 წლის 23 მაისს, მიჩიგანის შტატის ქალაქ ისტ-ლანსინგის სკოლის მოსწავლეებმა, პედაგოგებმა და თანამშრომლებმა ენ. სათამაშო ნილებები აიფარეს და ამით რეკორდი დაამყარეს: ასეთი რაოდენობის — 937 — ნილაბაფარებული ადამიანი ადრე, არასდროს შეყრილა ერთად.

ყველაზე ძვირად ღირებული ომლატი

უცნაური სახელწოდების — „ზილიან დოლარ ლობსტერ ფრიტატა“ — 1.000 დოლარი ღირს, ის ნიუ-იორკში მდებარე ოტელის — „ლე პარკერ მერიდიენ“ — რესტორნის მენიუს ამშვენებს. ამ ომლეტის შემადგენლობაში შემდეგი კომპონენტები შედის: კვერცი, ნაღები, ვისკი, ენ. ტომილის სანებელა, შავი ხიზილალა, კარტოფილი და ხამანჯვები.

ყავა

„კობი ლუვაკის“ ჯიშის ყავის ნლოური მოსავალი სულ 227 გრამს შეადგენს და ერთი გირფანს (4095 გ) 300 დოლარი ღირს. ამ ფასში ყავის აღნიშნული ჯიშის გადაუმუშავებელი გათვლისწინებული მარცვლებს არევენ ენ. პალმის ცივების (მოძრო მტაცებელი) ექსკრემენტებში, რომელიც ინდონეზიაში, ირიან-ჯაიას მიწებში ბინადრობს (ცივები ყავის ხეზე აღიან და მის მნიფე ნაყოფს ქაფენ. მონელებს შემდეგ ცხოველის ექსკრემენტებში, გადაუმუშავებელი მხოლოდ ყავის მარცვლები რჩება.



ნაყინი


2004 წლის სექტემბერში, სავაჭრო ქსელის — „სერენდიპიტი“ — დაარსებიდან 50 წლისთავის აღსანიშნავად, ნიუ-იორკის 3 რესტორნის მენიუში გაჩნდა ნაყინის სახეობა — „სერენდიპიტი გოლდენ ოპიულენს სანდი“, რომლის ფასი 1.000 დოლარს შეადგენდა. მის შემადგენლობაში შედიოდა: მოოქრული ყვავილები — საკვებად ვარგისი ოქროს შრით დაფარული, დამაქრული ყვავილები, ხიზილალა, კონიაკი, წითელი ფორთოხლის წვენი, დამაქრული ხილი. ოქროს დრაჟე (მოოქრული მინის თხილი), შოკოლადი.

უხანგძლივესი

კინოსეანსი

2003 წლის 16-დან 19 დეკემბრამდე, გერმანული კომპანია „სინემიქსის“ მიერ მოწყობილ ლონისძიებაზე, გერმანელმა ტიმოთი ვებერმა 70 საათისა და 1 წთ-ის განმავლობაში 32 ფილმი ნახა. უჩვეულო კინოსეანსი 33-ე ფილმის 49-ე წუთზე შეწყდა.

კოსმა



ეს რეკორდი ამერიკელ წყვილს — ლუიზა ალმედოვარსა და რიკი ლენგლის ეკუთვნის. ნიუ-იორკის შტატის ქალაქ რიკი-ლეიკის ტელესტუდიაში 2001 წლის 5 სექტემბერს, მათ 30 სთ-ის, 59 წთ-ისა და 27 წმ-ის მანძილზე არ შეუწყვეტიათ კოცნა. ამასთანავე, წყვილი ფეხზე იდგა.


ლაქსია

ზიმბაბველი ეროლ მუზავაზი 62 სთ-ისა და 30 წთ-ის მანძილზე უკითხავდა ლექციას დემოკრატიის თემაზე პოლონეთის ქალაქ ვროცლავის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებს 2003 წლის 12-დან 15 დეკემბრამდე.

პოქარი

2004 წლის 10-13 ივნისს, ამერიკელი ლარი ოლმსტედი შეუსვენებლივ თამაშობდა კარტს 72 სთ-ისა და 2 წთ-ის განმავლობაში. ეს მოხდა კონექტიკუტის შტატის ქალაქ მანსანტუკეტის კაზინოში — „ფოქსვუდზ რეზორტ ენდ კაზინო“.

ნაკეთობის/ მცირე ზომის ნიმუში	ცხენების ჯოგი	ახალშობილი	მსახიობი უან ...	მოდულელებული კომიდიორი	სისხლნაკლებობა	იურისტ სიდა
საქონელი, რღმელიც ნამატა-ფლის	სასვენი ნიშანი — პორიზონტა-ლური ხაზი	მტაცებელი კვერნისე-ბრთა ოჯახიდან	სახელმწიფო გაერთიანება	იტალიელი ფაშის-ტი ... მუსოლინი	ისტორიული მოვლენების ისტორიული ჩანანერი	გამის ნოტი



სსოველთა ყველაზე მასობრივი განადგურება

დაახლოებით 248 მლნ წლის წინ, ე.წ. პერმის გეოლოგიური პერიოდის დასასრულს, მოხდა ცხოველთა სამყაროს მასობრივი განადგურება, რომლის დროსაც, ზღვის ბინადარ სახეობათა 90% და ხმელეთზე მცხოვრებ ცხოველთა 70% აღიგავა პირისაგან მიწისა.

იმ ფაქტორებს შორის, რომლებსაც შეიძლება იყოს, ეს კატასტროფა გამოწვევა, მეცნიერები ასახელებენ: დედამიწასთან მეტეორიტის ან კომეტის შეჯახებას; გარემოში კონტინენტების გადაადგილების შედეგად მომხდარი მასშტაბური ცვლილებები; მსოფლიო ოკეანის ქიმიური შემადგენლობის შეცვლა.

ყველაზე მალე კოშკურა... შაქრის ნატეხებისგან

2003 წლის 30 სექტემბერს, ბრიტანელმა ანიტა კეშმა ქალაქ შრუსბერიში, ჟურნალის — „კ-ზონ“ — რედაქციაში, შაქრის ნატეხებისგან 140,5 სმ სიმაღლის კოშკურა ააგო.



პირველი მიკროპროცესორი

პირველი მიკროპროცესორული ჩიპი 4004, ამერიკელმა კორპორაცია „ინტელმა“ 1971 წლის იანვარში შექმნა. ის ადამიანის თითის ფრჩხილის ტოლი იყო და სიმძლავრით, პირველ ელექტრონულ კომპიუტერს — ENIAC-ს უდრიდა, რომელიც მთელ ოთახს იკავებდა. 4004 ჩიპის შემადგენლობაში შედიოდა 2300 ტრანზისტორი, რომელიც 1 წმ-ში 100000 ოპერაციის ჩატარებას უზრუნველყოფდა.


უმაღლესი კოვითარი

2004 წლის ნოემბერში, კორპორაცია „აი-ბი-ემში“ აიგო სუპერკომპიუტერი — Blue Gene/L, რომელიც 1 წმ-ში 1 მლრდ ოპერაციას ახორციელებს.

ყველაზე მოსაო რიტი

ეს გახლავთ ე.წ. კოლიბრი-ფუტკარი (Mellisuga helenae) რომელიც კუბასა და სამხრეთ კუნძულებზე ბინადრობს. მამრი კოლიბრის წონა 1,6 გ-ს, სიგრძე კი — 57 მმ-ს შეადგენს; ამასთან, მისი ნახევარი, ნისკარტსა და კუდზე მოდის. მდედრი ზომებით რამდენადმე სჭარბობს მამრს.

უმცირესი ბუდე



ჯუჯა კოლიბრი-ფუტკრის (Mellisuga minima) ბუდე ზომებით, ჩვეულებრივ კაკლის ნახევარს უახლოვდება. მასზე რამდენადმე ღრმა და ვიწროა კოლიბრი-ფუტკრის (.helenae) ბუდე.

ყველაზე დიდი მოსულობის მესხიარების მქონე მობილური ტელეფონი

სამხრეთკორეული კორპორაცია „სამსუნგის“ წარმოების მობილური ტელეფონს — SPH V5400, — რომელიც 2004 წლის სექტემბერში შეიქმნა, 1,5 გმ მესხიერება აქვს. ეს მობილური ტელეფონის პირველი მოდელია, რომელსაც სამარაგო მოწყობილობა მყარ დისკებზე აქვს.

იგივეა, რაც მეტსახელი	ტაილანდის ძვ. სახელწოდება	„იგივეა... და...“	ქუჩა, ანუ ...	საყოველთაო ლოცვა	ზეთში შემწვარი კარტოფილი	ავეჯი ტანსაცმლისათვის
მისი	მისი	მისი	მისი	მისი	მისი	მისი
ტიფი	ტიფი	ტიფი	ტიფი	ტიფი	ტიფი	ტიფი
ვალზე	ვალზე	ვალზე	ვალზე	ვალზე	ვალზე	ვალზე
საქონ-გაყიდვა	საქონ-გაყიდვა	საქონ-გაყიდვა	საქონ-გაყიდვა	საქონ-გაყიდვა	საქონ-გაყიდვა	საქონ-გაყიდვა
დედამიწის ზედა ფენა (ზოგადად)	დედამიწის ზედა ფენა (ზოგადად)	დედამიწის ზედა ფენა (ზოგადად)	დედამიწის ზედა ფენა (ზოგადად)	დედამიწის ზედა ფენა (ზოგადად)	დედამიწის ზედა ფენა (ზოგადად)	დედამიწის ზედა ფენა (ზოგადად)
რკინიგზის სადგური	რკინიგზის სადგური	რკინიგზის სადგური	რკინიგზის სადგური	რკინიგზის სადგური	რკინიგზის სადგური	რკინიგზის სადგური
სხეული ხელ-ფეხის გარეშე	სხეული ხელ-ფეხის გარეშე	სხეული ხელ-ფეხის გარეშე	სხეული ხელ-ფეხის გარეშე	სხეული ხელ-ფეხის გარეშე	სხეული ხელ-ფეხის გარეშე	სხეული ხელ-ფეხის გარეშე
კონტინენტი	კონტინენტი	კონტინენტი	კონტინენტი	კონტინენტი	კონტინენტი	კონტინენტი
უკრაინის პარლამენტი	უკრაინის პარლამენტი	უკრაინის პარლამენტი	უკრაინის პარლამენტი	უკრაინის პარლამენტი	უკრაინის პარლამენტი	უკრაინის პარლამენტი

ნუ იქნები სიგარეტის მოწა

რუბრიკას უძღვება ექიმი

თამარ მამაცაშვილი

თანამედროვე მწველისთვის, შესაძლო დაავადებების (ბრონქიტის, კიბოს, ინფარქტის, განგრენის) საერთო სურათის აღწერილობა მხოლოდ ირონიული ღიმილის მომგვრელია. ამასთან დაკავშირებით, მას წლების განმავლობაში ჩამოუყალიბდა ღრმა ფსიქოლოგიური დაცვა. სიგარეტზე უარის თქმა მწველისთვის კომფორტის დაკარგვასა და დისკომფორტში ცხოვრებას ნიშნავს. ეს კი საშინელებაა. სინამდვილეში, მონევის დაუოკებელი სურვილი, რომელიც სიგარეტისათვის თავის დანებების შემდეგ ჩნდება, შეიძლება დაძლეულ იქნას.



რომ თქვენთვისვე იქნება უმჯობესი, თუ ჩვეულ მდგომარეობას დაუბრუნდებით. მონევის სურვილი დაუძლეველი ხდება და გრძნობთ, რომ საცაა მოთმინების ფილა აგვესებათ. მწველთა 87%-ში ასეთი ლტოლვის პიკი მესამე დღეს ვითარდება, შემდგომში კი მონევის სურვილი თანდათანობით კლებულობს. ამ პიკის დამოუკიდებლად დაძლევის უნარი ასიდან მხოლოდ 5-7 ადამიანს აქვს.

ერთი კოლოფი – ნიკოტინის 600 „დარტყმა“ დღეში

მონევისას, სისხლში არსებული „შიშის ჰორმონების“ დაშლა ხდება. ამიტომ ადამიანს იგი ნაწილობრივ იცავს სტრესებისგან, აღუწებს, ამცირებს ტკივილის შეგრძნებას. ამ მხრივ, ნიკოტინის მოქმედება მორფინის, ამფეტამინის, დიაზეპამის მოქმედებას ჰგავს. მაგრამ არც ერთ წამალს არ მოიხმარს ადამიანი ასე ხშირად და ასეთი რაოდენობით: ერთი სიგარეტი საშუალოდ 30 ნაფაზია, ერთი კოლოფი კი — ნიკოტინის 600 „დარტყმა“ დღეში. როდესაც ადამიანი მონევას იწყებს, ორგანიზმი წუხს შეუთავსებლობის გამო და ყოველ მოწეულ ღერზე, თავბრუსხვევით, გულისრევითა და სისუსტის შეგრძნებით რეაგირებს. მაგრამ შემდგომში ორგანიზმი ცდილობს, შეეგუოს ასეთ ცხოვრებას.

ნიკოტინის მუდმივი არსებობის პირობებთან შესაგუებლად, ცვლილებები ხდება ყველა ორგანოში, პირველ რიგში — სისხლძარღვებში. ნიკოტინი ნივთიერებათა ცვლაში მუდმივ ელემენტად ჩაერთვება და როგორც კი მის ამოგლეჯას ეცდებით, დამკვიდრებული წონასწორობის შესანარჩუნებლად, მთელი ორგანიზმის არსებული რეზერვები ამუშავდება, რასაც მალევე შეიგრძნობთ — დაგნეყება აგრესია, უძილობა, გაღიზიანება; შესაძლოა, დღისით ძილის სურვილი მოგეძალოთ; დაგუფლოთ შიშის, შინაგანი სიცარიელის გრძნობა და გაგიჩნდეთ პირის სიმშრალე. ეს სიგნალები მუდმივად იჭრება თქვენს ცნობიერებაში და განგავით გახსენებთ,

მოსწიე – დააყოლე ლიმონი

ასე რომ, თუკი მონევა საკუთარი სურვილით დაიწყეთ, ნიკოტინის რეგულარული მოხმარებისაგან თავის დაღწევა უკვე დამოკიდებული იქნება არა თქვენს სურვილზე ან ცნობიერებაზე, არამედ თქვენს ორგანიზმზე. ამიტომ სპეციალისტები გვირჩევენ, ჯერ ვასწავლოთ მას უნიკოტინოდ ცხოვრება და შემდეგ შევუძვიროთ დოზა. მაგალითად, ყოველდღიურად უნდა მიიღოთ 4 გ-მდე საჭმელი სოდა (2 გ ანუ ჩაის კოვზის წვერზე ალბულები სოდა უნდა გახსნათ ციფ ნყალში და მიიღოთ დილით უზმოზე და საღამოს 6 საათისთვის). საჭმელს ის გახლავთ, რომ თითქმის ყველა დასავლური სიგარეტი ზრდის სისხლში მჟავიანობას, სოდა კი იმისთვისაა საჭირო, რომ აღდგეს მჟავა-ტუტოვანი წონასწორობა.

მონევისას ორგანიზმში იშლება ვიტამინები, უპირველეს ყოვლისა — C ვიტამინი. ერთი ღერი მონეული სიგარეტი გვაკლებს 0,1 მგ C ვიტამინს. მის გარეშე კი დანარჩენი ვიტამინებიც „ვერ იმუშავებს“. ამიტომ კარგი იქნება, თუ ამ დანაკარგს ლიმონით ავინაზღაურებთ. თამბაქოზე დამოკიდებულების სამკურნალოდ რეკომენდებულია 200-300 მგ C ვიტამინის მიღება ყოველდღიურად 5 კვირის განმავლობაში. B ჯგუფის ვიტამინები კი მწველებს არამწველებთან შედარებით 20-ჯერ მეტი ესაჭიროებათ.

ორგანიზმში ნორმალური ქიმიური ბალანსის აღსადგენად, აუცილებელია სრულფასოვანი კვება. შეზღუდვით კოფეინის შემცველი პროდუქტები (ყავა, მაგარი ჩაი, შოკოლადი). კოფეინი აქვეითებს შაქრის შემცველობას სისხლში, რაც თავის მხრივ, ზრდის „სწრაფვას“ არა მხოლოდ ნიკოტინისადმი, არამედ ალკოჰოლისა და ტუბილულისადმიც. ნიკოტინური დამოკიდებულების მკურნალობის პროცესში რეკომენდებულია, მაგალითად, ასეთი დიეტა: საუზმე — ხილი და წვენი; სადილი — ბოსტნეულის სალათა ან მოხარშული ბოსტნეული; ვახშამი — მოხარშული თევზი, კვერცხი, ტომატი. რაციონში შეამცირეთ ან გამორიცხეთ პური, ბრინჯი, კარტოფილი, ტუბილულები. ამ დროს სასარგებლოა კაკალი, თაფლი, მზესუმირა. კვებასა და ვიტამინებთან ერთად, საჭიროა ფიზიკური ვარჯიში (სიარული, სირბილი 3-5 კმ მანძილზე, სეირნობა) სუფთა ჰაერზე.

რატომ ვენევით

მონევა აისბერგის წვერია. მისი წყალქვეშა ნაწილი კი ღრმად, ადამიანის ფსიქიკაშია დამალული.

სპეციალისტები მონევის ფსიქოლოგიური მიზეზების ოთხ ჯგუფს გამოყოფენ:

1. მწველს სჯერა, რომ სიგარეტს მატონიზებელი ეფექტი აქვს — მოუხსნის დაღლილობას, გამოუსწორებს განწყობილებას.
2. მწველს მოსწონს საკუთარი თავი მწველის როლში. სიგარეტის დაჭერის საკუთარი მანერა. თუ ირგვლივ მყოფები პროტეტს გამოთქვამენ — არ ენევა.
3. მონევა სიამოვნებს. აუცილებლად უნდა მოსწიოს სამუშაოს დაწყებამდე, ჭამის შემდეგ, უთავსებს სიგარეტის ნევას სხვა საქმიანობას.
4. „ავტომატური“ მონევა. მონევა ჩართულია ქცევაში, როგორც მეორე საქმიანობა (ერთ ხელში კალამი უჭირავს, მეორეში — სიგარეტი). თამბაქოს ნარკომანებს ამ „სიამოვნებისთვის“ თავის დანებებიდან პირველ ორ საათშივე უვითარდებათ ფსიქიკური მოშლილობა: პანიკა, გაღიზიანებულობა. ხშირად ამას თან ერთვის ცხელება, ყურადღების კონცენტრაციის დაქვეითება, გულისცემის სისხიროს დაქვეითება, წნევის დაქვეითება, თავის ტკივილი. სწორედ ამიტომ, რომ ნიკოტინისადმი ძლიერი დამოკიდებულების მქონე მწველს არ შეეძლოს მონევის სანინაღმდეგო აბები, ნებოვანი ფირფიტები თუ საღებავი რეზინები. ეს საშუალებები მხოლოდ ფიზიკურ დამოკიდებულებას ხსნის, ფსიქიკური კი, რომელიც გაცილებით უფრო

ძლიერია, ისევე რჩება. მაგალითად, სიგარეტის მოსრესვის, მოკიდების, ბოლის შესუნთქვისა და გამოშვების პირობითი რეფლექსები უკვალოდ არ ქრება და მოწვევის სრულფასოვანი რიტუალის გარეშე, მწვევლი თავს კარგად ვერ გრძნობს — საქმეში ნერვები ებმება. ამიტომ მათ-

თვის, ვინც სიგარეტს ანებებს თავს, საჭიროა ხელეხის ვარჯიში პერიოდულად (მოწვევის სურვილის გაჩენისას) ან ისეთი საქმიანობა, სადაც ხელის თითები აქტიურადაა ჩაბმული (მზესუმზირის გარჩევა, მეგობართან დარეკვა და სხვა).
დასკვნა: უნდა დავადგინოთ, რა

დაუკმაყოფილებლობის გრძნობას გივსებთ სიგარეტი და უნდა შეძლოთ დაძაბულობის მოხსნა, გამოფხიზლება თუ აზრების მოკრება არა თამბაქოს მეშვეობით, არამედ სხვა ხერხით. ამის სანაცვლოდ კი ჯილდოდ, გადარჩენილ ჯანმრთელობას მოიპოვებთ.

დავარწმუნოთ თუ არა

ბავშვები



ავსტრალიის კვინსლენდის შტატის ქალაქ ბრისბენში მეცნიერებმა შექმნეს ბავშვის მოდელი, რომელზეც ე.წ. ჩვილის რწვევის სინდრომს — მკვეთრი რწვევის ტვინზე ზემოქმედებას — შეისწავლიან.

პატარა ბავშვებს მთელი რიგი ასაკობრივი ფიზიოლოგიური თავისებურებები აქვთ, მაგალითად: კისრის უნთების სისუსტე, სხეულთან შედარებით დიდი თავი, ქალას ფართო ნაკერები, ღია ყიფლიანდები, რბილი და სწრაფად მზარდი ტვინი, ქალის სათუთი ძვლები, ტვინის სითხის მოჭარბებული რაოდენობა ყოველივე ეს, ხელს უწყობს იმას, რომ ჩვილები თავის ტვინის ტრავმებისკენ არიან მიდრეკილნი.

ტერმინით „ჩვილთა რწვევის სინდრომი“ ძლიერი რწვევის იმ შედეგებს აღნიშნავენ, რომელთაც თავის ტვინის ტრავმებამდე მიყვავართ. ამერიკაში ყოველწლიურად რწვევისას მიღებული ტვინის ტრავმის 50 ათასამდე შემთხვევა აღინუსხება. მათი 25% ლეტალურად მთავრდება.

სწორედ ეს სინდრომი იქცა ავსტრალიაში მრავალი სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მიზეზად. ბრიტანეთში ოთხ ადამიანს ოფიციალურად დასდეს ბრალი ბავშვის მიმართ სასტიკ მოპყრობაში.

კვინსლენდის უნივერსიტეტის ინჟინერთა და პედიატრთა ჯგუფმა თვენახევრის ახალშობილის მოდელი შექმნა. კვლევის პროცესში მოხდება თოჯინის თავისა და კისრის მოძრაობის და დაზავებული ბავშვების ტვინის სკანირების მონაცემთა შედარებითი ანალიზი. პროექტის მონაწილეები ვარაუდობენ, რომ შეძლებენ, დაადგინონ ტვინზე მოქმედი ძალა და ამის კვალობაზე შეაფასონ მისი დაზიანება მოდელის მეშვეობით განისაზღვრება ბავშვთან მოპყრობის ზაზისური პრინციპიც.

კასიინებაი ასნივებან?

თურმე ავადმყოფები, რომელთაც გულისა და ფარისებრი ჯირკვლის ზოგერთი დაავადება აქვთ, რენტგენოგრაფიის შემდეგ, მცირე ხნით რადიაქტიური გამოსხივების წყაროდ იქცევიან. გამოსხივება იმდენად ძლიერია, რომ მან შეიძლება რადიაქტიული დეტექტორის ჩართვაც კი გამოიწვიოს.

რადიაქტიურ იზოტოპებს მედიცინაში ფართოდ იყენებენ. მათი მეშვეობით ყოველწლიურად 18 მილიონი გამოკვლევა ტარდება. ფარისებრი ჯირკვლის დაავადებების მკურნალობის დროს იზოტოპებს დამატებით იღებენ.

აშშ-მა გადაწყვიტა, უსაფრთხოების ზომები გაამკაცროს, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში კი რადიაციის გამოსავლენი დანადგარები დადგას, რომლებიც „მოსიარულე“ ბომბების აღმოჩენისთვის არის გამიზნული, მაგრამ მათზეც მოახდენს რეაგირებას, ვინც რადიაქტიური იზოტოპებით მკურნალობს.

თუ რომელიმე დასხივებული პაციენტი აპარატურამ ტერორისტად მონათლა, საქმის არსში გარკვევის შემდეგ, ვითარება იოლად მოგვარდება, მაგრამ გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, მათ მაინც დაუფრთხილებენ მოწმობებს, სადაც აღნიშნული იქნება, რომ მათ იზოტოპური გამოკვლევა ან მკურნალობა ჩაიტარეს. დოკუმენტში მითითებული იქნება, რა პროცედურა გაიარა პაციენტმა, იზოტოპის ნახევარდაშლის პერიოდი და დოკუმენტის გამცემი ორგანიზაციის მისამართი.

ბად-ები აიკრძალა

ევროპის უმაღლესმა სასამართლომ ბიოლოგიურად აქტიური დანამატების (ბად) გაყიდვა აკრძალა. ამიერიდან ბაზარზე მხოლოდ ის პროდუქცია გავა, რომელიც ვიტამინებსა და მინერალებს შეიცავს და შეტანილია სპეციალურ რეესტრში. ევროკავშირის ამ გზით თავისი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა აქვს განზრახული. გამონაკლისი მხოლოდ იმ ბიოაქტიურ დანამატებზე დაიშვება, რომლებიც ბაზარზე აღნიშნული კანონის მიღებამდე გამომჩნდა.

ვერდიქტის მონინალმდეგეები ამტკიცებენ, რომ ასე მომხმარებელი 5 ათასი დასახელების ბად-ის შექმნის საშუალებას დაკარგავს, მომხმარებელთა დაცვის ევროპის ბიურო კი, სასამართლოს გადაწყვეტილებას მიესალმა. ბიუროს ხელმძღვანელმა ჯი მიურეიმ აღნიშნა, რომ ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შეზღუდვა სწორედ მომხმარებლის ინტერესებიდან გამომდინარეობს.

თუ თავი გჰკივათ

● ერთ ჩ/კ კულმუხოს ფესვს დაასხით ერთი ჭიქა ცივი წყალი, დააყენეთ 10 საათის განმავლობაში და გადანურეთ. მიიღეთ ყოველდღიურად, 1/4 ჭიქა, დღეში ოთხჯერ, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.

● ერთ ს/კ კრაზანას დაასხით ერთი ჭიქა ადუღებული წყალი, 15 წუთის განმავლობაში ადუღეთ და გადანურეთ. მიიღეთ 1/4 ჭიქა დღეში სამჯერ.


● სისტემატური თავის ტკივილისას სასარგებლოა კარტოფილის ახალგა-მონურული წვენი. მიიღეთ დღეში 1/4 ჭიქა.

● ძლიერი თავის ტკივილის დროს ეფექტურია შავი მოცხარის ახალგამონურული წვენი. მიიღეთ 1/4 ჭიქა, დღეში სამჯერ.

● ერთ ს/კ წითელ სამყურას დაასხით ერთი ჭიქა ადუღებული წყალი, დააყენეთ 30 წუთის განმავლობაში და გადანურეთ, მიიღეთ 1/2 ჭიქა, სამჯერ დღეში.

● შემანუხებელი შაკიკისმაგვარი ტკივილის მოსახსნელად აუცილებელია ჭამის დროს 1 ჩ/კ თავ-ლისა და 1 ჩ/კ ვაშლის ძმრის მიღება.

● შაკიკის დროს ეფექტური საშუალებაა ორთქლის აბაზანა. აიღეთ თანაბარი რაოდენობის ვაშლის ძმარი და წყალი, დადგით ცეცხლზე და წამოადუღეთ. ორთქლი 70-ჯერ მაინც შეისუნთქეთ. ამის შემდეგ, ჩვეულებრივ, ტკივილი ქრება, უკიდურეს შემთხვევაში, მცირდება მაინც.



ყველა დროში, ქალის სილამაზე განსაკუთრებული ყურადღების არეში იყო მოქცეული. იცვლებოდა მხოლოდ ამ სილამაზის შეფასების კრიტერიუმები და მისი დემონსტრირების მასშტაბები. დღეს, ლამაზ ქალს მთელი მსოფლიოს დასანახავად შეუძლია, მიაბოვოს „მის სამყაროს“ ტიტული და ამით საკუთარი სახელი პლანეტის ლამაზმანთა სიაში ჩაწეროს. მაგრამ ამჯერად, ერთი, გაცილებით მოკრძალებული სილამაზის კონკურსის შესახებ გიამბობთ, რომელიც გასული საუკუნის დასაწყისში, პარიზში მოეწყო და რომლის გამარჯვებულიც, ქართველი თავადის ქალი — ეკატერინე თარხან-მოურავი გახდა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ეკატერინესთან ერთად, ამ კონკურსში ავსტრიის მეფის ასული და იტალიელი მილიონერის ქალიშვილიც მონაწილეობდნენ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ახალგაზრდა ქალბატონები „მის ვეროპის“ ტიტულისთვის იბრძოდნენ.



ამ ოქროსფერი გრძელი თმის გამო, მან პარიზში კიდევ ერთ კონკურსში გაიმარჯვა

პარიზში სილამაზის კონკურსში გამარჯვებული, გულსივი ეკატერინე თარხან-მოურავი

უბა ტუნიავილი

ელია თარხანიშვილი, ეკატერინე თარხანიშვილის შვილიშვილი:

ჩვენ გიორგი სააკაძის პირდაპირი შთამომავლები გახლავართ. ბებია, სააკაძის მეათე თაობას ეკუთვნოდა, მე შესაბამისად, მეთორმეტე თაობის წარმომადგენელი გახლავართ. ჩვენი შორეული წინაპრები დაღესტნიდან არიან წამოსული, შემდეგ ისინი სომხეთში ცხოვრობდნენ, მოგვიანებით კი — ქართლში, ფრონეს ხეობაში დასახლდნენ. გიორგი სააკაძე კასპის რაიონში, სოფელ ნოსტეში ცხოვრობდა, ბებიაჩემი კი, მის მახლობლად, სოფელ ახალქალაქში გაიზარდა. მამამისი, გრიგოლ თარხან-მოურავი სამხედრო სამსახურში გახლდათ და პოლკოვნიკის ნოდება ჰქონდა. ეკატერინეს დედა, ეფემია კი, ცნობილი კრიტიკოსის, იაკობ მანსვეტაშვილის და იყო. იაკობ მანსვეტაშვილი ილია ჭავჭავაძესთან ერთად „ივერიაში“ მუშაობდა. მშობლები ბებიას ისე ზრდიდნენ, როგორც ნამდვილ თავადიშვილს და განსაკუთრებით ანებივრებდნენ იმის გამო, რომ რამდენიმე დედამიწვილს შორის, ცოცხალი

მხოლოდ ის დარჩა. ეკატერინეს დაძმები, სხვადასხვა ავადმყოფობის გამო, სხვადასხვა ასაკში გარდაიცვალნენ. როდესაც ეკატერინე წამოიზარდა, მშობლებმა ის კულტურის, კარგი მანერების ასათვისებლად და ფრანგული ენის შესასწავლად, პარიზში წაიყვანეს. თარხან-მოურავების ოჯახი



ბებია 88 წლის ასაკში გარდაიცვალა და დღემდე ორ საათს მხოლოდ თავისი გრძელი თმის მოვლას ანდობებდა.

საფრანგეთში 1903-1907 წლებში ცხოვრობდა. ქართველი თავადები უმეტეს დროს, პარიზში ატარებდნენ, ზაფხულობით კი იქვე ახლოს, პა-დე-კალეს სრუტე-

ესთან მიემგზავრებოდნენ დასასვენებლად. ეკატერინეს ძალიან ჰყვარებია წყალში ყოფნა. ამის გამო, ფრანგმა მეგობრებმა მას გედი შეარქვეს. იმ დროს, პარიზში თურმე, ყოველ წელს, ყვავილებს დღესასწაულს აღნიშნავდნენ, სადაც სილამაზის კონკურსის მსგავსი ღონისძიება იმართებოდა. ერთხელ, ამ კონკურსში ბებიასაც მიუღია მონაწილეობა. მონაწილეთათვის ყვავილებით ირთებოდა ეტლები, გოგონები

სათითაოდ სხდებოდნენ ამ ეტლებში, თავად ეჭირათ სადავეები და ასე უნდა ჩაეველოთ ქუჩაზე, რომლის ორივე მხარეს მაყურებელი შეგროვილიყო. კონკურსანტებს უკან მიჰყვებოდნენ ახალგაზრდა გოგონები ჩანთებით, სადაც მაყურებელი აგდებდა ბიულეტენს, რომელზეც საკუთარი რჩეულის სახელი ეწერა. შესაბამისად, ვინც ყველაზე მეტ ხმას მოიპოვებდა, კონკურსის გამარჯვებულად იცხადებოდა. ბებიას ეტლი ცისფერი ყვავილებით ყოფილა მორთული, თავდაც ცისფერი კაბა სცმია ეკატერინეს, რომელიც ცისფერთვალეა, ქვერთმიან ქალბატონს განსაკუთრებულ ხიბლს სძენდა. ან კი, რა ქალბატონს? ეკატერინე ამ დროს, 15 წლისაც არ იქნებოდა.. მასთან ერთად,

ამ კონკურსში ავსტრიის მეფის ასული და იტალიელი მილიონერის ქალიშვილიც მონაწილეობდნენ. მაგრამ მაყურებელმა გამარჯვება კავკასიელი სამხედრო პირის ქალიშვილს მიანიჭა. ამის გამო, ეკატერინესთვის საჩუქრად, ბრილიანტის თვლებით მოოჭვილი გულსაბნევი მიურთმევიათ. ბებია ამ თბილისში ჩამოსვლისთანავე დაკარგა. ევროპულ მანერებს მიჩვეულმა ქალბატონმა, თბილისის რკინიგზის სადგურზე ბარგი და სავიზიტო ბარათი მუშებს დაუტოვა: ამ მისამართზე მომიტანეთო. ამ ბარგთან ერთად გაქრა კონკურსში მიღებული გულსაბნევი და ვინ იცის, რა ბედი ეწია.

— მისი სილამაზის წყალობით, ეკატერინეს ალბათ, ბევრი თავყვანობცემელი ჰყავდა...

— დიას. ბებია ამ მასზე შეყვარებული ბევრი ყმაწვილი დატოვა საფრანგეთში, მათ შორის, პარიზის გავლენიანი ადამიანების შვილებიც იყვნენ. მამამისს სასიძოდ მხოლოდ



გოგონები სათითაოდ სხდებოდნენ ამ ეტლებში, თავად ეჭირათ სადავეები და ასე უნდა ჩაეველოთ ქუჩაზე...

ქართველი უნდოდა. თუმცა, ბებია ორჯერ იყო გათხოვილი და არც ერთი მისი ქმარი ქართველი არ ყოფილა. პირველად, 1908 წელს, ცოლად გაჰყვა ფრანგ სტუდენტს, მიშა სეგალს. სეგალის მშობლები ჯერ განჯაში ცხოვრობდნენ, მოგვიანებით კი, თბილისში გადმოვიდნენ საცხოვრებლად. ეკატერინე შინიდან გაიპარა და მშობლების დაუკითხავად დაინერა ჯვარი სეგალზე. სწორედ მასთან შეეძინა ერთადერთი ვაჟი-ვილი — მამაჩემი ნიკოლოზი. გრიგოლ თარხან-მოურავმა იმდენად აითვალწუნა ფრანგი სიძე, რომ 2-3 წელიწადში აიძულა, წასულიყო ბებიჩემისგან, მამაჩემი კი, თავის გვარზე დაწერა. ბებია მეორედ გათხოვდა და ამჯერად, გვარად მოროზოვს გაჰყვა ცოლად...



ეკატერინე თარხან-მოურავი საცურათო კოსტიუმში

ვეროპოული აღზრდის ბრალი იყო თუ იმ ეგოიზმის, რომელიც დედისერთებისთვის არის დამახასიათებელი, მაგრამ ბებიჩემი ძალზე გულცივი ქალი იყო. მას შემდეგ, რაც მეორედ გათხოვდა, მამაჩემის აღზრდა პაპი დამ იტვირთა. ეკატერინე ამბობდა კიდევ: მამინაცვალი არაა ვალდებული, გერი არჩინოსო... ბებია მშ წლის ასაკში გარდაიცვალა და დღე-ღამე ვიყავი მეთუქვა, რომ ამ ოქროსფერი გრძელი თმის გამო, მან პარიზში კიდევ ერთ კონკურსში გამიარჯვალა. მამაჩემი, მაგრამ გულცივი ეკატერინე შვილის — მამაჩემის გარდაცვალებასაც მოესწრო.

მასსოვს, პანაშვიდზე ცნობილი ლოტბარი, მარო თარხნიშვილი მოვიდა და ეკატერინე რომ ვერ ნახა ჭირისუფლებს შორის, ძალიან გაუკვირდა. ბებიასთან სახლში ნათესავი გავგზავნეთ, ვიფიქრეთ, რამე ცუდი ხომ არ ხდებოდა. აღმოჩნდა, რომ ჭირისუფალ ბებიას ფხალეულის ქამა მოჰბეზრებოდა, ამიტომ, მოროზოვი კატლეთს უწევდა, ეკატერინე კი, ნამოლილიყო და წიგნს კითხულობდა... საყვარელი ძალღიპა — ტრეზორი. იმ დროს, ფოტოს გადაღება დიდ ფუფუნებად ითვლებოდა, ის კი ფოტოგრაფს ტრეზორის გადასაღებად იწვევდა!... ტრეზორი



ელერ თარხნიშვილი ჯორჯ სეგალთან ერთად

— **საქართველოში რას საქმიანობდა ეკატერინე თარხან-მოურავი?**
— თბილისში, სამხედრო ჰოსპიტალში მოწყალეების დად მუშაობდა. სწორედ იმ პერიოდში, ნოე ჟორდანიასთან კავშირშიც დასდეს ბრალი და ადანაშაულებდნენ იმაში, რომ ეკატერინე მას ბათუმამდე გაჰყვა, მაგრამ საზღვარგარეთ აღარ წავიდა და უკან დაბრუნდა... ბებია ამ ბრალდებას კატეგორიულად უარყოფდა. საერთოდ, ძალიან მიკვირს, როგორ გადაურჩა ჩვენი ოჯახი 1924 და 1937 წლების რეპრესიებს. 1937-ში, ბებიჩემის მამა, გრიგოლი, ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და სულ იმის მოლოდინში იმყოფებოდა, რომ დაიჭერდნენ. საბედნიეროდ, ეს არ მოხდა. ალბათ, სწორედ ამის წყალობით, ოჯახის არქივი სრულყოფილი სახით შემოგვრჩა, მათ შორის — უძველესი ფოტოები, ჩანაწერები, საქმიანი ქაღალდები და ა.შ. გრიგოლი ალბათ, კიდევ დიდხანს იცოცხლებდა, რომ არა მისი მეორე ცოლის ვერაგული საქციელი: ქონების გატაცების მიზნით, მან ქმარს ცხელი უთო ჩაართყა თავში და მოკლა...



თბილისში, სამხედრო ჰოსპიტალში მოწყალეების დად მუშაობდა...

— **ეკატერინე ალბათ, კარგად ფლობდა ფრანგულს. თქვენ თუ გასწავლიდათ ამ ენას?**
— ფრანგული ენა ბებიას არც ჩემთვის უსწავლებია და არც მამაჩემისთვის. არ ვიცი, ეს

რომ მოკვდა, ეკატერინემ ახალქალაქში „ქელეხი“ გადაუხადა და ამ „ქელეხზე“ მეზობლების ძაღლებიც „დაპატიჟა“. რა თქმა უნდა, ტრეზორი საპატიოდ „დაიკრძალა“.
— **რაიმე საინტერესო ნეფი თუ შემოგრჩათ ბებიისგან?**
— რამდენიმე ოქროს სამკაული, ჯვრები, ხატი და იმ დროისთვის უჩვეულოდ „აჟურული“ ღამის პერანგი. ჩვენი წინაპრებისგან კი, დაგვრჩა სახლი ახალქალაქში, რომელსაც მართალია, ძალზე მცირე რეკონსტრუქ-

ცია ჩაუტარეთ, მაგრამ ძველებური სიდიადე მინც აქვს შემორჩენილი. სხვათა შორის, თარხან-მოურავებს ახალქალაქში ბევრი თვალსაჩინო სახლი ჰქონდათ. ერთერთ მათგანში სარკეებისანი დარბაზიც კი იყო. ჩემი წინაპრებისგან მსმენია, რომ ამ სახლში ალექსანდრე დიუმა იყო ნამყოფი.
— **მამათქვენს, ნიკოლოზს შესაბამისად მამაზე რაიმე?**
— მამა განათლებით იურისტი გახლდათ, მაგრამ მწერლობითაც იყო გატაცებული. 1935 წელს, დრამატურგიაში მეორე ხარისხის პრემია მიანიჭეს. ცოტა ჯიუტი კაცი იყო. მარჯანიშვილის თეატრის მესვეურებს სურდათ, მისი პიესა დაედგათ, ოღონდ, რაღაც დეტალების შეცვლა სურდათ. მამაჩემი უარზე დადგა: ჩემ მიერ დაწერილ პიესას მე თუ ვერ ვიცნობ, მაგისთან არაფერი მინდაო... მამა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ჰოლანდიაში, ტექსელის კუნძულზეც მუშაობდა.
— **როგორც ვიცი, ცოტა ხნის წინ, საფრანგეთიდან თქვენი ნათესავები გამოგვამაურნენ, რომელთა არსებობის შესახებ თითქმის**

არაფერი იცოდით...
— როგორც უკვე გითხარით, მამაჩემის მამა გვარად სეგალი გახლდათ. მასსოვს, ერთხელ, დედაჩემის მეგობარმა, რომელმაც დედა და მამა ერთმანეთს გააცნო, მითხრა: ოდესღაც, მიშას ძმა ვალენტინი აუცილებლად მოგძებნითო. მაშინ ბავშვი ვიყავი და ამისთვის ყურადღება არც მიმიქცევია. ცოტა ხნის წინ კი, თბილისის მერიამი საფრანგეთიდან მოვიდა წერილი, სადაც ფრანგი სეგალები ითხოვდნენ, მათი გვარის წარმომადგენლები საქართველოში მოეძებნათ. ბედად, ქალაქის მერიამი ჩვენი ნათესავი გოგონა მუშაობდა, რომელმაც ჩვენი ოჯახის ისტორია იცოდა. ასე გავიცანი ჩემი ნათესავი ჟორჟ სეგალი და დავადგინეთ, რომ მამაჩემის მამა და მისი მამა ძმები იყვნენ. ჟორჟი შვილთან ერთად საქართველოშიც იყო ჩამოსული და კასპში, სააკაქოებზე დასწრების შესაძლებლობაც მიეცა...

ალისა ასიტაშვილი – ქართველი ქალი, რომელიც «მის კალათბურთი» ბასდა

საქართველოში ვაჭი კალათბურთელები ისეთ სავალალო დღეში იმყოფებიან, რომ ფაქტობრივად, არავის ახსოვს, თუ ოდესმე, ჩვენში ქალები კალათბურთის თამაშობდნენ და საბჭოთა კავშირის პირველობაზე საკმაოდ წარმატებით ასპარეზობდნენ. არადა, საქართველოს პოლიტიკური ინსტიტუტს ჰყავდა გუნდი, რომელმაც ქვეყნის ჩემპიონატში ორჯერ მოიპოვა ვერცხლის მედლები, ხოლო მისმა კაპიტანმა — ალისა ასიტაშვილმა საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში ორჯერ მოიგო ევროპის პირველობა. სხვათა შორის, ქალბატონი ალისა ერთადერთი ქართველი კალათბურთელი ქალია, რომელსაც ასეთი წარმატებისთვის მიუღწევია. ალბათ, სწორედ ამიტომ, ის XX საუკუნის საუკეთესო ქართველ კალათბურთელ ქალად დაასახელეს.

სამწუხაროდ, კარიერის დასრულების შემდეგ, სახელოვან სპორტსმენს ამ სფეროში მოღვაწეობა აღარ გაუგრძელებია, რადგან მისი განმარტებით, შვილები ჰყავდა გასაზრდელი. ამჟამად, ქალბატონი ალისა შვილიშვილებს დასტრიალებს თავს, მაგრამ ჩვენთან სასაუბროდ დრო მაინც გამოწახა და თავის ბინაში მივიღო.

გიორგი ლანჩავა


კალათბურთი, მამისგან მალულად

— ბავშვობაში, რუსულ სკოლაში ვსწავლობდი და კალათბურთითაც მამის დაინტერესდით, რაშიც დიდი წვლილი ჩემს ფიზკულტურის მასწავლებელს მიუძღვის. ამის პარალელურად, მძლეოსნობაშიც ვვარჯიშობდი, რაც შემდგომ, ძალზე გამოამდგა კალათბურთის თამაშისას. სხვათა შორის, მამაჩემი — რუსთაველის თეატრის მსახიობი გოგი ასიტაშვილი — წინააღმდეგი იყო, რომ სპორტის ამ სახეობას გავეყოლოდი: ამბობდა — ჩემი შვილი მოედანზე ტრუსებში როგორ უნდა გამოვიდესო?! სკოლაში გაკვეთილები მეორე ცვლაში მენწყებოდა და ვიდრე მამა სამსახურში წავიდოდა, სავარჯიშო ფორმას ჩემს მეგობარს ფანჯრიდან გადავუგდებდი ხოლმე... როდესაც მამა მკითხავდა — სად მიდისარო? — ვპასუხობდი — ამხანაგთან-მეთქი, — და ამ დროს, ვარჯიშზე მივდიოდი. ერთხელ, ჩვენი სკოლის სახელით, რაიონის პირველობაზე გამოვდიოდი და მამას ვილაცამ ამბავი მიუტანა — შენი შვილი ამა და ამ დარბაზში კალათბურთის თამაშობსო. როცა მამა დარბაზში შემოვიდა, იმ მომენტში, თამაშს ვიგებდით და თანაგუნდელმა მითხრა — გაიხედე, ვინ მოვიდაო. ამან შემაცბუნა და უნებლიეთ, თამაში შევწყვიტე, თან თვალებით მშობელს ვეძებ-

დი. ბოლოს და ბოლოს, მამა რომ დავინახე და ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდა, მან ხელით მანიშნა — არ ინერვიულო, ითამაშეო. მისმა შესტმა საკმაოდ გამამხნევა და ჩვენი გუნდის გამარჯვებაში დიდი წვლილი შევიტანე. იმ დღიდან მოყოლებული, მამას ჩემთვის კალათბურთის თამაში აღარ დაუშლია, პირიქით — აინტერესებდა ჩემი შედეგები: მწვრთნელებს ჩემზე ეკითხებოდა — როგორ იქცევაო?

შავციფერბლატიანი შვეიცარიული საათი

— სკოლას რომ ვამთავრებდი, საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებთან ერთად, მოსკოვში საბჭოთა კავშირის პირველობაზე გავემგზავრე. ჩვენს ქვეჯგუფში მასპინძელი — მოსკოვის გუნდი მოხვდა, რომელსაც ყველა, ტურნირის ჩემპიონობას უწინასწარმეტყველებდა. ჯგუფში ყველა თამაში მოვიგეთ, მოსკოველებიც დავამარცხეთ ორი ქულის სხვაობით — რის გამოც, რუსი გოგონები ცხარე ცრემლებით ტიროდნენ — და პირველი ადგილი დავიკავეთ. თუმცა, მანამდე, მასპინძლებმა, რომელთაც, მწვრთნელით დანეყებული, კალათბურთელებით დამთავრებული, თავი ქედმაღლურად ეჭირათ, გვითხრეს — ფინალში თქვენგან ქვას ქვაზე არ დავტოვებთო!.. სხვათა შორის, მათთან შედარებით, ჩვენ საკმაოდ მოკრძალებულად გამოვიყურებოდით, რადგან ცუდად ჩაცმულები და



ნახევრად მშვივები ვიყავით. ფინალში ძალიან კარგად ვითამაშეთ და მეტოქეს 18 ქულით მოვუგეთ. აბა, ამ თამაშის შემდეგ უნდა გენახათ მოსკოველი კალათბურთელების ცრემლების ღვრა!.. ეტყობა, ჩემპიონატის ორგანიზატორები დარწმუნებული იყვნენ, რომ მათი გუნდი გაიმარჯვებდა და პრიზად შვეიცარიული საათები ჰქონდათ დაწესებული. დაჯილდოების ცერემონიაზე ტურნირის მთავარმა არბიტრმა თავისთან მიმიხმო და მითხრა — რომელიც გინდა, ის საათი აირჩიეო. კარგად მახსოვს, შავციფერბლატიანი საათი ავიღე, რომელიც ყველაზე მეტად მომეწონა. ჩვენი წარმატება საქართველოს კალათბურთელ ქალთა ისტორიაში პირველი გახლდათ და მამის გუნდს გერონტი ბაბახანიდისთან ერთად, თამარ გეგელაშვილი წვრთნიდა. თბილისში დაბრუნების შემდეგ, მე და ჩემს რამდენიმე თანაგუნდელს სამედიცინო ინსტიტუტში ჩაბარება გვსურდა, სადაც დაგვიპირდნენ, უგამოცდოდ მიგიღებთო, მაგრამ პოლიტიკური ინსტიტუტის კალათბურთელ ქალთა გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ლევ ძეკონსკიმ განზრახვაზე ხელი აგვადებინა. სწორედ მან დაგვარწმუნა, რომ მისაღები გამოცდები პოლიტიკურში ჩაგვებარებინა. ასე იმიტომ მოიქცა, რომ სურდა, თავისი გუნდი გაეძლიერებინა. აქვე გეტყვით, რომ ძეკონსკის ჩვენი გული რომ მოეგო, ხან თავისი ავტომანქანით

გვასეირნებდა, ხან — მოტოციკლებით. მაშინ, ერთიც და მეორეც საკმაო იშვიათობა იყო და ახალგაზრდა გოგონებს სეირნობა ძალიან მოგვწონდა... პოლიტექნიკურში საქართველოს ნაკრებიდან ოთხი კალათბურთელი მოვხვდით და ავტობატურად, ინსტიტუტში გუნდთან ერთად, საბჭოთა კავშირის პირველობაზე ასპარეზობაში ჩავერთეთ. სხვათა შორის, ამ კალათბურთელებიდან ერთ-ერთი — ლალი ტოტიაშვილი შემდგომში, ძეკონსკის ცოლი გახდა.

საავადმყოფოში – გიყვებთან ერთად

— თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდთან ერთად, რომლის კაპიტანიც გახლდით, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში ორჯერ დავიკავეთ მეორე ადგილი. პირველ შემთხვევაში, გადაამწყვეტი ორთაბრძოლა რიგის ტე-ტეტესთან გვექონდა, რომელიც თბილისში 14 ქულის სხვაობით დავამარცხეთ. განმეორებითი თამაში, წესით, რიგაში უნდა ჩაგვეტარებინა, მაგრამ საკავშირო ფედერაციის გადაწყვეტილებით, მატჩი მოსკოვში გაიმართა. მიკერძოებული მსაჯობის გამო, დაპირისპირება 18 ქულით წავაგეთ და ოქროს მედლებს დავემშვიდობეთ. სიმწრისგან იმდენი ვიტყვი, რომ მწვრთნელს ჩვენი დაწყნარება გაუჭირდა. მეორედ, ოქროს მედლები-სთვის ბრძოლა მსტალინგრადში (დღეს — ვოლგოგრადი) მოგვინია. მე ამ მატჩებში მონაწილეობა არ მიმიღია, რადგან სახის წერვის ანთება დამემართა და საკმაოდ ცუდ მდგომარეობაში ჩავეარდი. იძულებული ვაგხდი, ადგილობრივი საავადმყოფოში დავწოლილიყავი, სადაც ყველა კატეგორიის პაციენტი იყო მოთავსებული, მათ შორის — ფსიქიკურად დაავადებულები... იქ 10 დღე გავატარე და ახლაც კარგად მახსოვს, როგორ იდგნენ ჩემი პალატის წინ გიჟები, რომლებიც მიმღეროდნენ, მე კი მემინოდან...კიდევ კარგი, რომ გამოცდილი ნევროპათოლოგი — ფრანგი დოქტორი შემხვდა, რომელმაც სათანადო ყურადღება მომაქცია... ჩემ გარეშე, გუნდმა კვლავ ვერცხლის მედლები მოიპოვა.

აღიარება ბელგრადში

— 1953 წლის დასაწყისში, საბჭოთა კავშირის ნაკრების მაშინდელმა მთავარმა მწვრთნელმა ივან ლისოვმა ქვეყნის პირველ გუნდში მიმინვია, რომელიც შეკრებას სერებრიანი ბორში გადიოდა. იმ პერიოდში, ჩემთან ერთად, გუნდში კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა კალათბურთელი აიყვანეს. პირველი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ნაკრებთან ერთად ვმონაწილეობდი, ბუქარესტში გამართული, ახალგაზრდობის საერთაშორისო ფესტივალი გახლდათ, სადაც პირველი ადგილი დავიკავეთ. ერთი წლის შემდეგ, ნაკრების შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონატზე ბელგრადში გავმზავრე. მაშინ საბჭოთა კავშირსა და იუგო-

სლავიას შორის დაძაბული პოლიტიკური ურთიერთობა იყო, ამიტომ მასპინძლები საკმაოდ ცუდად შეგვხვდნენ. ჩვენი გუნდი ერთ ბნელ ოთახში მოათავსეს, რომელიც უფრო სარდაფს ჰგავდა. მიუხედავად სიბნელისა, ნაკრების ერთ-ერთი წევრი — ნინა არციშევსკაია მინც ახერხებდა „12 სკამის“ კითხვას და ისე იცინოდა, რომ არ გვაძინებდა... ჩვენი გუნდის პირველ ვარჯიშზე საკმაოდ ბევრი ხალხი მოვიდა, რომელიც მთელი კვირის მანძილზე, საბჭოთა ნაკრების წვრთნას არ აცდენდა. სხვათა შორის, მატჩები ღია სტადიონზე იმართებოდა, რომელზეც 20 ათასი ქომაგი ეტეოდა და იგი ყოველ მატჩზე სავსე იყო. პირველ თამაშზე მწვრთნელმა სასტარტო შემადგენლობაში გამოცდილი კალათბურთელები დააყენა, მაგრამ შეხვედრის მსვლელობისას, ტრიბუნაზე მსხმომმა გულშემმატიკორებმა ერთხმად დაიწყეს ყვირილი: „აღისა, აღისა!“ — რითიც მწვრთნელს მოუწოდებდნენ, მოედანზე გამოეყვანენ. როგორც შემდეგ გაირკვა, ბევრი მათგანი თურმე, ჩვენი გუნდის ვარჯიშზე ჩემს სანახავად მოდიოდა. ეტყობა, მათ იმით მოვეწონე, რომ ამდენ ქერა გოგონას შორის, ერთადერთი შავგვრემანი ვიყავი... მოედანზე რომ გამოვედი, მაყურებელმა ტაშით დამაჯილდოვა და შემდგომშიც, ყოველი თამაშის დროს იგივე ხდებოდა. ჩემპიონატის ფინალში ბულგარელები დავამარცხეთ და ოქროს მედლები დავისაკუთრეთ. საბჭოთა ნაკრების გამარჯვების გამო დაბოლოებულ იუგოსლავიელებს დაჯილდოების ცერემონია არ ჩაუტარებიათ და შესაბამისად, არც მედლები მიგვიღია... როცა საფინალო მატჩი დამთავრდა, თან-აგუნდელებისგან განსხვავებით, დარბაზში მეტხანს შევყოვნედი. იქიდან რომ გამოვიდოდი, მომიახლოვდა ერთი კაცი, რომელიც მთელი ტურნირის განმავლობაში, მთავარი მსაჯის გვერდით იჯდა (მისი გვარ-სახელი დღემდე არ ვიცი),



გამომელაპარაკა და ასეთი რამ მაუწყა — უნდა მოგილოცოთ, თქვენ გულშემატიკორებსა და კალათბურთის სპეციალისტებს შორის ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, ევროპის ჩემპიონატის „მის კალათბურთად“ ანუ ყველაზე მომხიბვლელ კალათბურთელ ქალად გალიარესო... ბელგრადიდან მატარებლით ვბრუნდებოდი და ადგილობრივმა გულშემატიკორებმა სადგურზე გაცილება მომიწყვეს, თან ბევრი საჩუქარიც მმართვეს... ევროპის ჩემპიონატში მეორედ 1956 წელს, ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქ პრაღაში ვმონაწილეობდი. როცა ადგილზე ჩავედი და სასტუმროში მოვთავსდი, ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელმა მითხრა — თქვენთან ერთ ახალგაზრდა კაცს სურს ლაპარაკიო. როგორც გაირკვა, ეს, ადგილობრივი ურნალისტი გახლდათ და მცირე სიუჟეტის გადაღება სურდა: აინტერესებდა, როგორი იყო საბჭოთა კალათბურთელი ქალის ერთი ჩვეულებრივი დღე ნაკრებში და ამისთვის მე ამირჩია. ეს რომ გაიგეს, გუნდის გამოცდილი კალათბურთელები დაიბოლმნენ: როგორ?... ფილმს ასიტაშვილზე იღებენ და გუნდის კაპიტან ალექსეევზე — არაო?! სხვათა შორის, ალექსეევს საკმაოდ მძიმე ხასიათი ჰქონდა და მან შემდეგ, იმდენი ქნა, რომ ნაკრებიდან მწვრთნელი ლისოვი გააშვებინა!.. ბოლოს და ბოლოს, სიუჟეტი კი გადაიღეს, მაგრამ იგი არ მინახავს... პრაღაში ფინალში კვლავ ბულგარელები დავამარცხეთ და ევროპის ჩემპიონები მეორედ ვაგხდით.

არშემდგარი წვლახება წულაქსთან

— 1956 წელს, საბჭოთა კავშირის ქალ და ვაჟ კალათბურთელთა ნაკრები საფრანგეთში წავედით ამხანაგური თამაშების ჩასატარებლად. ეს პირველი საბჭოთა სპორტული დელეგაცია გახლდათ, რომელსაც ამ ქვეყანაში ჩასვლამ მოუწია. სხვათა შორის, დიდი შანსი იყო, საფრანგეთში ვერ მოხვედრილიყავი: საქმე ისაა, რომ წასვლის წინა-დღეს, ამხანაგურ მატჩს ვატარებდით ბულგარელებთან და არცთუ ისე კარგად ვგრძნობდი თავს. როდესაც მწვრთნელმა შემეცვალა, ჩვენი გუნდის ექიმმა მითხრა — აღისა, სახზე ძალიან განითლებული ხარო. მან ტემპერატურა გამიზომა და აღმოჩნდა, რომ 40,5 გრადუსი სიცხე მქონდა. ექიმმა ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელ პონომარიოვს, რომელიც ცენტრალურ კომიტეტში ერთ-ერთი მდივანი იყო, მოახსენა — აღისას სიცხე აქვს და საფრანგეთში ვერ წამოვაო. შეიძლება, ზოგს გაუკვირდეს, მაგრამ ცეკას მდივანმა ავტომანქანით თავის სახლში წამიყვანა, სადაც მისმა ცოლმა, ჟოლოსმურაბიან ჩაისთან ერთად, წამლები დამალეკინა და ღამის გასათევად მათთან დამტოვა. პონომარიოვის მეუღლის მცდელობამ შედეგი



ალისა ასიკაშვილი (მარჯვნივ) ნადეჟდა დელიმბერტაშვილი

გამოიღო და მეორე დილას, ტემპერატურა აღარ მქონდა, ამიტომ საფრანგეთშიც უპრობლემოდ წავედი. ადგილზე ჩასულები, შეხვედრებს ღია სტადიონზე ვატარებდით და ჩვენს თამაშს თვალყურს ადევნებდნენ ფრანგული კინოს ისეთი ვარსკვლავები, როგორებიც იყვნენ სიმონა სინიორე და ჟან მარე. ერთ-ერთი მატჩის დროს, ბურთი აუტში რომ გადავიდა, იგი გადმომიგდო მამაკაცმა, რომელმაც ქართულად მითხრა — ინებეთო!.. ეს, ლანა ლოლობერიძის დეიდაშვილი — გურამ წულაძე აღმოჩნდა, რომლის შესახებაც ვიცოდი, რომ ოჯახთან ერთად, საფრანგეთში ემიგრაციაში იმყოფებოდა... გურამი და მისი ძმა ჯიმშერი ერთ-ერთ იქაურ გუნდში რაგბის თამაშობდნენ. საფრანგეთში ჩვენი ყოფნისას, გურამი გვერდიდან არ მოგვეცილებია, ხოლო დედამისმა, საბჭოთა ნაკრების როგორც ვაჟი, ასევე ქალი კალათბურთელები სადღილზე დაგვპატიჟა. ამის თაობაზე პონომაროვის დავეკითხე — გაგვიშვებდა თუ არა წვეულებაზე? მან მირჩია — თავი შეიკავეთო, — და ჩვენც წულაძეებთან აღარ წავსულვართ...

საკალათბურთო შოუს მსაჯი

— ბუდაპეშტში 1954 წელს გამართული, მცირე ოლიმპიური თამაშების შემდეგ, ტურნირის ორგანიზატორებმა საჩვენებელი საკალათბურთო მატჩის მოწყობა გადაწყვიტეს, რომელშიც გუნდების მწვრთნელები, დელეგაციების ოფიციალური წარმომადგენლები და მსაჯები უნდა დაპირისპირებოდნენ ერთმანეთს. ეს ერთგვარი შოუ გახლდათ და მასში იმ დროს ბუდაპეშტში მყოფი საერთაშორისო საკალათბურთო ასოციაციის პრეზიდენტი ამერიკელი ჯონსონიც მონაწილეობდა. მატჩის მსაჯობა მე და ერთ დანიელ კალათბურთელ გოგონას დაგვაგაღეს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ის უკვე წასული იყო უნგრეთიდან. ამის გამო, ორგანიზატორებმა მითხრეს — მეორე არბიტრად, ვინც გინდა, ის აირჩიეთ. ნაკრებში ჩემს მეგობარ ლიტუნი დიდრა უსტუპეს შევთავაზე მსაჯობა და ის სიამოვნებით დამთანხმდა. სხვათა შორის, თამაშის დაწყებამდე, ორივეს, კონიაკით გაგვიმასპინძლდნენ. ვინაიდან შეხვედრა შოუს ხასიათს ატარებდა, წუთშესვენების დროს, ორივე გუნდის კალათბურთელები დას-

ხდებოდნენ და ბანქოს თამაშობდნენ ან კიდეც, რაიმე ორიგინალურს მოიფიქრებდნენ ხოლმე მაყურებლის გასამხიარულებლად. ყველაზე მეტად, ჯონსონი ოხუნჯობდა. მატჩის მსვლელობისას კი, ისე, რომ

არც მე და არც დიდრას არ შეგვიძინებია, ორივე გუნდს თითო კალათბურთელი დაემატა; შემდეგ — კიდეც თითო და როდესაც მესამედაც იგივე განმეორდა, საბოლოო ჯამში, ყოველი გუნდის რიგებში 8-8 მოთამაშე აღმოჩნდა და ამის შემხედვარე, თამაში გავაჩერე. შოუს მონაწილეთაგან ერთ-ერთმა პროტესტი გამოთქვა და გამეხუმრა — მოედანზე ხუთნი ვართ, მაგრამ თამაშის დაწყებამდე კონიაკი რომ დალიეთ, ერთი კაცი ორად გეჩვენებართო...

მეხვედრა ნიკიტა ხრუშჩოვთან

— საქართველოს ნაკრებთან ერთად, 1956 წელს, საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადში ვმონაწილეობდი. ეს ასპარეზობა მოსკოვში, სტადიონ „ლუჟნიკზე“ უნდა ჩატარებულიყო, რომელიც ამ მოვლენისთვის საგანგებოდ ააშენეს. სპარტაკიადის გახსნის ცერემონიის მიხედვით, ყველა რესპუბლიკის დელეგაციიდან თითო გოგონას სტადიონის ტრიბუნაზე მყოფი საკავშირო პოლიტიბიუროს წევრებისთვის უნდა მიერთმია ყვავილების თაიგული. ქართველებიდან ამის გაკეთება მე დამევალა. ცერემონიისთვის ორი კვირის მანძილზე, საგანგებოდ გავავარჯიშებდნენ, რამაც ძალზე დამალა, რადგან ამ ხნის განმავლობაში, დღეში რამდენჯერმე მიხდებოდა ტრიბუნაზე ასავლელ საკმაოდ გრძელ კიბეზე არბენა. სპარტაკიადის გახსნის დღე რომ დადგა, ჩვენი სპორტსმენები მეუბნებოდნენ — იცოდე, თაიგული ნიკიტა ხრუშჩოვს არ მიართვა, თორემ, ცოცხალი თავით, უკან აღარ დაბრუნდებო: მოგესხნებათ, ეს ის პერიოდი გახლდათ, როდესაც ხრუშჩოვმა პიროვნების კულტი დაგმო და ქართველების მიმართ საკმაოდ ცუდად გახლდათ განწყობილი. საგანგებოდ აღნიშნული ცერემონიისთვის, გოგონებს ფეხსაცმელი შეგვიკერეს, მაგრამ ის ჩემთვის ერთი ზომით პატარა აღმოჩნდა. სპარტაკიადის გახსნის დღეს, კიბეზე ყვავილებით რომ ავრბობდი, ფეხსაცმელმა ძალზე შემანუხა და მოულოდნელად წავიქეცი. სიმწრისგან ტირილი დავინწყე და სირცხვილით თავს მალა ვერ ვწვედი... პოლიტიბიუროს წევრებს ყვავილები რომ გადასცეს, ამ დროს, ხრუშჩოვის ხმა მომესმა — „ა გდე პეტნადცატი?“ — ე.ი. მე-15 რესპუბლიკის


წარმომადგენელი სად არისო? — მოგესხნებათ, საბჭოთა კავშირი 15 რესპუბლიკისგან შედგებოდა... ამის გაგონებაზე, ყვავილები წამოკვრიბე, წამოვდექი და ხრუშჩოვს თაიგული გადავეცი. მან თავისი პუტკუნა ხელი ხელზე მომიკიდა და მითხრა — „ახ ტი მაია დუშეჩკა!“ — თან შოკოლადის კანფეტების შეკვრა გადმომცა, რომელზეც იდო სუნამო — „კრემლი“. ეს სუნამო საგანგებოდ სპარტაკიადისთვის დაამზადეს... ქართულ დელეგაციასთან რომ დავბრუნდი, ჩემს საქციელზე ხმა არავის ამოუღია, მათ შორის, არც გივი კარტოზიას, რომელიც ყველაზე მეტად აქტიურობდა, როცა მეუბნებოდნენ — ყვავილები ხრუშჩოვს არ მისცეო! ხოლო შოკოლადი ისე სწრაფად შეჭამეს, თვალის დახამამებაც კი ვერ მოვასწარი...

სპორტის დამსახურებული ოსტატი – უნიგნაყო

— პირველი შვილი რომ შემეძინა, კალათბურთის დროებით დავანებე თავი, მაგრამ გიორგი სიხარულიძემ (სპორტკომიტეტის მაშინდელი თავმჯდომარე. — ავტ.) მითხვა, რომ ვარჯიში დამეწყო, რადგან თბილისში საქართველოს ნაკრებთან სათამაშოდ, ჩინეთის, საფრანგეთისა და ამერიკის ქალ კალათბურთელთა ეროვნული გუნდი უნდა ჩამოსულიყო. მართალია, ჩემი შვილი მხოლოდ 8 თვის იყო, მაგრამ სიხარულიძეს ხათრი ვერ გაუტეხე და წვრთნას შევუდექი. თბილისის პირველად, ფრანგები ესტუმრნენ, რომლებსაც 4-დან ოთხივე თამაში მოვუგეთ. ამერიკელებმა, საქართველოში ჩამოსვლამდე, საბჭოთა კავშირის რამდენიმე ქალაქში ითამაშეს და მეტოქეები დიდი ანგარიშით დაამარცხეს. ოკეანისგალმელებს ყველაზე სოლიდურად ჩვენ დავუპირისპირდით და მხოლოდ 5 ქულით წავაგეთ. რაც შეეხება ჩინელებს, ისინი თბილისში არ ჩამოსულან. ამ მატჩების გამართვის შემდეგ, ცოტა ხანში, როგორც ევროპის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატის ნოდებაზე წარმადგინეს, მაგრამ ბავშვი ავად მყავდა და ამიტომ, მოსკოვში, ოსტატობის დამადასტურებელი ნიგნაკისთვის საჭირო ფოტოს გაგზავნა დამავიწყდა. როცა შემდეგ დავაპირე საკავშირო სპორტკომიტეტისთვის ფოტოს მიწოდება, მაშინაც რალაც პრობლემა შემექმნა და ამის გაკეთება კვლავ თავიდან ამომივარდა. ბოლოს და ბოლოს, სპორტის დამსახურებული ოსტატი კი გავხდი, მაგრამ ნიგნაკი არა მაქვს... კალათბურთის თამაშს 1961 წელს დავანებე თავი, როდესაც მეორე შვილი შემეძინა. აქვე გეტყვით, რომ თავის დროზე, უარი ვთქვი ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში ჩემს შეყვანაზე, მაგრამ ამის მიზეზს არ დავაკონკრეტებ...

„კერკეტი კაკლის“ ახალი გატაცება

ბრიუს უილისი ახალგაზრდა ტოპმოდელის გულის დაპყრობას ცდილობს



მასზე საგრძნობლად უმცროსი
ლაშაშვიანის მოსახილველად
ბრიუსმა 50 ათასი დოლარიც
კი არ დაიშურა, მიუხედავად
იმისა, რომ მას არაფრის
გარანტია არ ჰქონდა.

ჰოლივუდის 50 წლის სექსიმბოლოს ასე დაჟინებით არასოდეს უცდია სუსტი სქესის წარმომადგენლის გულის მონადირე... ყოველ შემთხვევაში, მას შემდეგ მაინც, რაც დემი მურს გაეყარა (შეგახსენებთ, რომ ჰოლივუდის ორმა სუპერვარსკვლავმა — ბრიუს უილისმა და დემი მურმა 1987 წელს იქორწინეს. 13-წლიანი ოჯახური თანაცხოვრების მანძილზე, მათ 3 ქალიშვილი შექმინათ. 2000 წელს ისინი გაიყარნენ. 2005 წელს კი, დემი მური თავის ახალგაზრდა საყვარელს, ემტონ კატჩერს ოფიციალურად გააჰყვა ცოლად). ამ ცოტა ხნის წინ, გაზეთ „ნიუ-იორკ პოსტში“ გამოქვეყნებულ სტატიაში დაწვრილებითაა მოთხრობილი უილისის ახალი გატაცების შესახებ. თურმე, ნუ იტყვით და, ჰოლივუდის 50 წლის სექსიმბოლო, 26 წლის ტოპმოდელის — პეტრა ნემცოვას გულის მოსანადირებლად უკან არაფერზე იხევს. წარმოშობით ჩეხი ლაშაშვიანის ტელეფონის ნომერს დღისით-მზისით, სანთლით დაეძებს და ცდილობს, პაემანი დაუნმოოს მას. ვარსკვლავთან ძალზე დაახლოებული ნყაროს ინფორმაციით, უილისმა პეტრას მეგობარს, მანეკენ დაიან სოიერს დაურეკა და ნემცოვას ტელეფონის ნომერი სთხოვა. მიუხედავად ხანგრძლივი ხვეწნა-მუდარისა, გარკვეული მიზეზების გამო, უილისმა ამ თხოვნაზე დაიანსაგან უარი მიიღო. მაშინ, ბრიუსმა იმ სამოდელს სააგენტოზე („ნექსტ მოდელს“) მიიტანა იერიში, სადაც ამჟამად ნემცოვა მოღვაწეობს. მაგრამ ამ ფრონტზეც ბევრს ვერაფერს მიაღწია: სააგენტოში ყურადღებით მოისმინეს ვარსკვლავის თხოვნა, ჩაინერეს მისი კოორდინატები, რომლის გასაგებადაც

პლანეტის სუსტი სქესის წარმომადგენელთა ნახევარი ალბათ არაფერს დაიშურებდა და ალუთქვეს, რომ ყველაფერს სიტყვასიტყვით გადასცემდნენ პეტრას. მაგრამ როგორც ჩანს, ლაშაშვიანს ბრიუსის ტელეფონის ნომრის აკრება აზრადაც არ მოსვლია.

ბრიუსმა პეტრას მოხიბვლა გულუხვობითაც სცადა

უილისი ვერც ამ წინააღმდეგობამ გატეხა და მან საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ნემცოვას დევნას მიჰყო ხელი. როცა მან შეიტყო, რომ ტოპმოდელი ნიუ-იორკის რესტორან „კიპრიან დაუნთაუნში“ საქველმოქმედო ვაშაშზე — „გულის სინათლე“ — გახლდათ მინწველი, თავადაც იზრუნა იმაზე, რომ მინწველ სტუმართა სიაში მისი სახელიც მოხვედრილიყო. კარდიოქირურგიის დარგის შემდგომი განვითარების მიზნით მონყობლ საქველმოქმედო საღამოზე მისულმა კი, ფონდის დასახმარებლად გულუხვი შესანიერი — 50 ათასი დოლარი გაიღო. „ბრიუსი იმედოვნებდა, რომ გულუხვობით შთაბეჭდილებას მოახდენდა პეტრაზე და არც შეეცდარა, — აცხადებს ვარსკვლავთან დაახლოებული პირი. — უილისის ეს შესტი ნემცოვამ მართლაც დადებითად შეაფასა. მსახიობმა ტოპმოდელთან ორიოდ სიტყვით გასაუბრება მოახერხა და როგორც ჩანს, მისგან სანუკვარი ტელეფონის ნომრის გაგებაც შეძლო“. მომხდართან დაკავშირებით, ვარსკვლავის ოფიციალური წარმომადგენლები საკუთარ ვერსიას ავრცელებენ. მათი თქმით, მსახიობი და პროდიუსერი ბრიუს უილისი ტოპმოდელთან დაკავშირებას იმ მიზნით ცდილობდა, რათა ფილმში („იდეალური უცნობი“), რომლის გადაღებასაც ის უახლოეს მომავალში აპირებს, მისთვის როლი შეეთავაზებინა. ეს იყო და ესო... თუმცა, ვარსკვლავის ოფიციალურ წარმომადგენლებს ეტყობა მხედველობიდან გამორჩათ ის ფაქტი, რომ ჰოლივუდში კასტინგის აგენტები ჯერ კიდევ არ გადასუნებულან!

როგორც ჩანს, ცოტა ხნით ადრე, „იდეალური უცნობი“ როლის შეთავაზებით, უილისი ჰოლივუდის ვარსკვლავის, ჰოლი ბერის მოხიბვლასაც ცდილობდა. ხანმოკლე დროის მანძილზე ჰოლი და ბრიუსი მეზობლები იყვნენ — მალიბუში ისინი ერთ

ქუჩაზე ცხოვრობდნენ. „ჩემი მომავალი ფილმი „იდეალური უცნობი“ ფსიქოლოგიური ტრილერია. სურათში თავადაც ვაპირებ თამაშს და ამასთან ერთად, მისი პროდიუსერიც მე გახლავართ. ერთ-ერთი მთავარი როლი ჰოლი ბერსაც შევთავაზებ და ძალზე გამიხარდა, როცა მან აღმითქვა, რომ დეტალების განსახილველად შინ მესტუმრებოდა. გულწრფელად ვაღიარებ, რომ მისი სტუმრობისას საქმეზე კონცენტრირება, ცოტა არ იყოს, გამიჭირდა — ჰოლი ხომ საოცრად ლამაზი ქალბატონია!“ — განაცხადა სატელევიზიო ინტერვიუში უილისმა. საბოლოოდ, ბრიუსმა შეძლო ჰოლის დაყოვლიება... მან მშვენიერი ქალბატონი „იდეალურ უცნობში“ მონაწილეობაზე დაითანხმა. ფილმს პირველი კვარტალის ბოლოს ჩაუშვებენ წარმოებაში და მისი რეჟისორი ჯეიმს ფოული იქნება.

გულთამყრობელ ბრიუს უილისის სახელობის ქალთა კლუბი

ბოლო 2 წლის მანძილზე ბრიუსმა 4 ღირსეული ქალბატონის მიტოვება მოასწრო: ის დანიშნული გახლდათ სერიალ „მალიბუს მამულების“ 27 წლის ვარსკვლავ ბრუკ ბერნსზე; გახმაურებული რომანი ჰქონდა ბრუკის თანატოლ ინგლისელ ლაშაშვიანთან — ლუიზ გრიფიტსთან; არც 18 წლის მსახიობ ლინდსი ლონთან ფლირტზე დაუხვეია უკან; დაბოლოს, უიმედოდ გულგატეხილი დატოვა 24 წლის მსახიობი ნად ბიორლინი, რომელთან განშორების შემდეგაც ბრიუსმა ინტერვიუში განაცხადა: „უახლოეს მომავალში, არც სერიოზულ ურთიერთობას ვეგემა ვინმესთან და არც ოჯახის შექმნას. კმაყოფილი ვარ ჩემი მდგომარეობით, მომწონს ქალებთან ფლირტი და ცხოვრებით ტკბობა“... ამჯერად ის პეტრა ნემცოვაზე ოცნებობს და როგორც ჩანს, ცხოვრებაში პირველად იტანჯება გაუზიარებელი სიყვარულის გამო. ტოპმოდელი ხომ ამჟამად კინოპროდიუსერ მეთ პალმერს ხვდება. იმას კი, საბოლოოდ შეძლებს თუ არა ჰოლივუდის აღიარებული სექსიმბოლო პალმერისთვის მეტოქეობის განცეას და მშვენიერი პეტრას გულის დაპყრობას, მომავალი გვიჩვენებს.



ტოპმოდელი პეტრა ნემცოვა იდეალური პროპორციებით გამოირჩევა: სიმაღლე — 177,5 სმ, მკერდის გარემოწერილობა — 87,5 სმ, წელის — 60 სმ, თეძოების — 87,5 სმ

„ჩემპიონი“ შემთხვევით მსახიობებს შორის

ტომ კრუზი იმ მსახიობთა ათეულის სათავეში მოექცა, რომლებმაც 2005 წელს, ყველაზე დიდი შემოსავალი მოუტანეს კინოთეატრებს. ეს რეიტინგი, კინოგამქირაველთა გამოკითხვებზე დაყრდნობით, სააგენტომ — Quigley Publishing Co — შეადგინა. მეორე ადგილი აღნიშნულ ათეულში ჯონი დეპმა დაიკავა, მესამე — ანჯელინა ჯოლიმ და ბრედ პიტმა გაიყვეს. ეს უკვე მეშვიდე შემთხვევაა, როდესაც ტომ კრუზი ამ რეიტინგს სათავეში მოექცა. აღსანიშნავია, რომ 1932 წლიდან მოყოლებული, ასეთი შედეგისთვის არც ერთ სხვა მსახიობს არ მიუღწევია. Quigley-ს ათეულის პირველი ადგილი ხუთ-ხუთჯერ დაუკავებიათ: ტომ ჰენქესი, კლინტ ისტუდსი, ბერტ რეინოლდსი და ბინგ კროს-

ბის, ოთხ-ოთხჯერ — ჯონ უეინს, დორის დეისა და შირლი ტემპლს. გამოკითხვის მონაწილეებმა დაასახელეს აგრეთვე, ორი ყველაზე იმედის მომცემი მსახიობი — ჯეკ ბლეკი და დაკოტა ფენინგი.

ზემოთ მოყვანილ ინფორმაციასთან ერთად, დასავლეთის მასმედია ავრცელებს კიდევ ერთ საინტერესო ცნობას ტომ კრუზის შესახებ: კინოვარსკვლავი წარდგენილია „ანტიოსკარად“ ცნობილი, „ოქროსი ჟოლოს“ ორ ნომინაციაზე — როგორც 2005 წლის ყველაზე სუსტი მსახიობი და როგორც ყვითელი პრესის ყველაზე მოსაწყენი პერსონაჟი. „ოქროსი ჟოლოს“ დამფუძნებლებს მიაჩნიათ, რომ „ომების სამყაროში“ კრუზის მიერ განსახიერებული მტვრითავის, რეი ფერიუს



სახე ძალზე არადამაჯერებელი გახლდათ... ამ ჯილდოსთვის „ბროლისას“, ტომ კრუზს, უილ ფარელი, ჯეიმი კენედი, დუეინ როკ ჯონსონი და რობ შნიდერი გაუწევეს კონკურენციას. „ოქროსი ჟოლოს“ ფინალისტების ვინაობა 2006 წლის 4 მარტს — „ოსკარების“ გადაცემის ცერემონიის წინაღობა გამოცხადდება. ■

„სანდენსმა“ ლაქტაციამ გამოაცხადა

იანვრის დამლევს, აშშ-ში ჩატარდა გამოჩენილი მსახიობის, რობერტ რედფორდის მიერ დაარსებული, დამოუკიდებელი კინოს ფესტივალი „სანდენსი“, რომლის ლაურეატებიც, მხატვრული ფილმი „15 წლისთავი“ (რეჟ. უოშ უესტმორლენდი) და დოკუმენტური ფილმი — „ღმერთი ჩვენგან დაიღალა“ (რეჟ. კრისტოფერ ქუინი) გახდნენ. ფესტივალის 22-წლიანი არსებობის მანძილზე პირველად, ყოფილი და მყოფობის შემთხვევაში თავიანთი მთავარი პრიზები ერთსა და იმავე ფილმებს მიანიჭეს.

„ღმერთი ჩვენგან დაიღალა“ — მოგვიტანს 3 სუდანელი დენილის შესახებ, რომლებიც ამერიკაში მოხვდნენ. კრისტოფერ ქუინს ამ ფილმის გადაღების იდეა 2003 წელს დაეხადა, როცა ნაიკიტხა დოკუმენტური დრამა — „გზააპნული

სუდანელი ბიჭები“, რომელშიც აღწერილია ომის ცეცხლში გახვეული სუდანელები, კენიაში გაქცეული და შემდეგ, აშშ-ში მოხვედრილი ახალგაზრდების თავგადასავალი.

რაც შეეხება უოშ უესტმორლენდის „15 წლისთავს“ — ეს გახლავთ ლოს-ანჯელესის ესპანურენოვანი კვარტალის მკვიდრი 15 წლის გოგონას ცხოვრების ამბავი, რომელზეც მისმა ოჯახმა თქვა უარი...

საუკეთესო რეჟისურის ნომინაციაში გაიმარჯვა რეჟისორმა დიტო მონტიელმა, ავტობიოგრაფიული ფილმისთვის — A Guide to Recognizing Your Saints — რომელშიც მთავარ როლს რობერტ დაუნი-უმცროსი ასრულებს. ამ სურათს მიენიჭა აგრეთვე სპეციალური პრიზი საუკეთესო სამსახიობო ანსამბლისათვის. ■

ესპანური „სიკატი“ ინგლისურენოვან ფილმს ებრძოდა



ესპანეთის კინოაკადემიამ 4 პრემია მიანიჭა ინგლისურენოვან ფილმს — „სიტყვების იდუმალი ცხოვრება“ („The Secret Life of Words“), რომელიც რეჟისორ ქალს, ისაბელ კოიშეტს ეკუთვნის, მთავარ როლებს კი მასში ტიმ რობინსი და სარა პოლი ასრულებენ. საუკეთესო ევროპულ ფილმად, რეჟისორ ჯუდი ალენის „მატრიონტი“ აღიარეს.

„სიტყვების იდუმალი ცხოვრება“ — წლის საუკეთესო ფილმად დასახელეს; ისაბელ კოიშეტი, როგორც საუკეთესო რეჟისორი და სცენარისტი დააჯილდოეს; მეოთხე პრემია ამ ფილმის პროდიუსერს, ესტერ გარსიას მიანიჭეს.

ეს ესპანელი ისაბელ კოიშეტის რიგით მეოთხე ფილმია. მისი წინამორბედი სურათი — „ჩემი ცხოვრება უჩემოდ“ — 2004 წელს, რამდენიმე პრესტიჟული ევროპული პრემიით, მათ შორის — „გოიათი“ (საუკეთესო სცენარისთვის) დააჯილდოვდა.

2005 წელს, პრემია „გოიას“ დაჯილდოების ცერემონიაზე, 14 ნომინაციაში გაიმარჯვა რეჟისორ ალესანდრო ამენაბარას ფილმმა — „ზღვა შინით“, რომელსაც იმავე წელს, როგორც საუკეთესო უცხოურ ფილმს, „ოსკარ“ მიენიჭა. ■

გილდის ჯილდოები

აშშ-ის კინომსახიობთა გილდიის მთავარი ჯილდოები ერგოთ: რიზ უიზერსპუნს ფილმში — „ზღვარს მიღმა“ („Walk the Line“) და ფილიპ სეიმურ ჰოფმანს ფილმისთვის — „კაპოტი“.

უიზერსპუნმა ამ ფილმში განასახიერა ქანთრის მომღერალი — ჯონი კემის ცოლი, ჯუნ კარტერი, რომლისთვისაც მსახიობმა უკვე მიიღო „ოქროსი გლობუ-

სი“ და კინოკრიტიკოსთა პრემია. ფილიპ სეიმურ ჰოფმანმა ბიოგრაფიულ ფილმში, ამერიკელი მწერლის, ტრუმენ კაპოტის როლი ითამაშა და კრიტიკოსთა და მსმედიის წარმომადგენელთა აზრით, „ოსკარის“ რეალური პრეტენდენტი იქნება. ფილიპი, რიზის მსგავსად, წლეუანდელი „ოქროსი გლობუსით“ დაჯილდოვდა.

კინომსახიობთა გილდიის პრემიის სხვა ლაურეატებს შორის არიან: რეიჩელ ვაისი (ქალის საუკეთესო მეორეხარისხოვანი როლი ფილმში — „ერთგული მებაღე“) და პოლ ჯამატი (მამაკაცის საუკეთესო მეორეხარისხოვანი როლი ფილმში „ნოკდაუნი“). მსახიობთა საუკეთესო ანსამბლად, ფილმის — „შეჯახება“ („Crash“) — მონაწილენი აღიარეს.

სატელევიზიო ნომინაციებში გილდიის ფავორიტებად მოგვევლინნენ: პოლ ნიუმენი (მამაკაცის საუკეთესო როლი მინისერიალში „იმპერიის დაცემა“); კიფერ საზერლენდი (დრამატული სერიალის საუკეთესო მსახიობი მამაკაცი, ფილმი „24“); სანდრა ო (საუკეთესო მსახიობი ქალი, ფილმი „გრეის ანატომია“). ■



რუსულან ბერიძე

(დასაწყისი იხ. გზა №42-4)


ახალგაზრდა ექიმი ლანა მესხი კოლეგის, გიზო ვაშაკიძის მეგობრის, გიგი გიგაურის ფარმაცევტულ ფირმაში მუშაობს. გიგის სურს, ლანას ბებიის, რაჭაში ცნობილი სახალხო მკურნალის რეცეპტებით დამზადებული წამლები გამოუშვას. ლანა სოფელში ბებიის სახანავად მიდის... მანამდე, მის ცხოვრებაში ახალგაზრდა ბიზნესმენი ლევან ქართველიშვილი გამოჩნდება, რომელიც მალე გერმანიაში სტაჟირებაზე მიდის. ლევანი ქვრივია (მისი მეუღლე მძარცველებს შემოჰკვდომიათ) და 6 წლის ქალიშვილი ჰყავს...

ბებიას, ლანა თავისი საქმის გამგრძელებლად ეგულება. ის შვილიშვილს დამხმარედ, ჭკუასუსტ ყმანვილს — იონას შესთავაზებს, რომელიც სამკურნალო ბაღახებში კარგად ერკვევა. სოფელში ლანას მოულოდნელად, გიზო მიადგება კარზე, მაგრამ ვერც ლანას და ვერც ბებიაშის გიგის წინადადებაზე ვერ დაითანხმებს...

ლანა თბილისში ბრუნდება. გიგის მდივანი, თინკო მას გაუზიარებს ეჭვს, რომ გიგაური ნარკოტიკებით ვაჭრობას მისდევს. ცოტა ხანში კი, თინკოს მიეცემა შესაძლებლობა, შეფის წამლების საცავში შევიდეს და მობილური ტელეფონით გადაიღოს იქ შენახული ყუთები. ამ მასალის ლანასთვის საჩვენებლად, თინკო დაქალს შინ ესტუმრება და ქორწილისთვის საკუთარ სამზადისზე მოუყვება: საზღვარგარეთიდან ჩამოსული მისი ძველი მეგობარი, ლაშა მალევე სთხოვს თინკოს ხელს... დაქალების ვარაუდით, გიგი გიგაურის ბედი ბენჭზე კიდეა და შესაძლოა, ძალიან იოლად ჩავარდეს...

თუმცა, სიტუაცია სულ სხვანაირად შემობრუნდება: გიგაურის კვალში ჩამდგარი პოლიციელები ნარკოტიკებს რატიმლაც, მის კაბინეტში შემთხვევით დარჩენილ ლანას პიჯაკში იპოვიან და ქალიშვილს ქალაქის პოლიციის სამმართველოს წინასწარი დაკავების საკანში ამოაყოფინებენ თავს.

საკანში ლანას, სხვადასხვა დანაშაულში ეჭვმიტანილი სამი ქალი ხვდება. მათგან ყველაზე ძლიერი და გავლენიანი — ფისო თავიდანვე



მტრად მოეკიდება, ყველაზე სუსტი და მიუსაფარი — ლიზი კი, მეგობრობის ხელს გაუნდის...

ლანას დაცვას ლევანის ფირმის ადვოკატი, ირაკლი იაშვილი მოჰკიდებს ხელს. მას თინკოს საქმრო, ლაშა ინკირველიც ეხმარება. იაშვილი ლანას, პირველ რიგში, ჩვენების შეცვლას მოსთხოვს: სასამართლოზე უნდა თქვა, რომ წამლის ფირფიტა გიგაურმა ჯიბეში ქურდულად კი არ ჩაგიდო, თავად გამოართვი, რადგან ტკივილგამაყუჩებელი გეგონაო, რაც ლანას აღაშფოთებს, მაგრამ იაშვილი აუხსნის, რომ პატიმრობიდან მისი დახსნა მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი და ისიც დაყაბულდება.

ამასობაში, ლანას საკანში საშინელი ფაქტი ხდება: მოძალადე ქმრის მკვლელობაში ეჭვმიტანილი ლიზი ლამით ვენებს გადაიჭრის...

ადვოკატი იაშვილის სიტყვები ახდა და ლანა მართლაც გამოუშვეს იზოლაცორიდან. თუმცა, მოსამართლემ იმასაც საგანგებოდ გაუსვა ხაზი, რომ ამ ეტაპზე, ეჭვმიტანილს გირაოს გადახდის გამო ათავისუფლებდა, საქმის გამოძიება კი ჩვეულებრივ გაგრძელდებაო.

სასამართლო სხდომის შემდეგ, ლანა, საკუთარი ნივთების წამოსაღებად, საკანში დააბრუნეს. იქ დილანდელი უბედურების კვალი უკვე ნაშლილი იყო, ფისო და თათა კი ლიზის ცარიელ საწოლთან ჭირისუფლებივით ჩამომსხდარიყვნენ. კარის გაღების ხმაზე მათ თითქმის ერთდროულად ასწიეს თავები და ლანა უხალისოდ შეათვალიერეს.

— რაფაა საქმე? — უჩვეულოდ ყრუსბით ჰკითხა მას ფისომ.

— ნორმალურად, — მშვიდად უპასუხა ლანამ და ჩანთაში საკუთარი ნივთების ჩალაგება დაიწყო.

— გაგიშვეს? — ახლა თათამ გამოიჩინა ინტერესი.

— აქედან გამიშვეს, მაგრამ საქმის გამოძიება ისევ გაგრძელდება.

— აქედან გასვლაც საქმეა, — ფეხზე მძიმედ წამოდგა ფისო და ხვნეშით მიუჯდა მაგიდას, რომელზეც ალუმინის თევზით ყველი, პური და მწნილი ეწყო. იქვე სამი ფინჯანი და სანახევროდ დაცლილი „ბორჯომის“ პლასტმასის ბოთლიც იდგა. ლანა მაგიდასთან საკუთარი ფინჯნის ასაღებად მივიდა.

— მაიცა! — ფინჯანს ხელი დააფარა ფისომ, თან, თათას ანიშნა, შენც აქ მოდიო.

თათა მაშინვე ფისოს პირდაპირ დასკუბდა:

— ფისო, იქნებ, ეს რომ წავა, მერე „იმასგვექნა“... — ქვეშ-ქვეშ გახედა მან ლანას. — ხომ შეიძლება, ჩაგვაგირაოს — სვამდნენო...

— მოკვტე! — შეუღრინა მას ფისომ. — ვიცი, რასაც ვაკეთებ, — დაუმატა მან შემდეგ, — ცოტ-ცოტა „ბორჯომი“ ფინჯნებში ჩამოასხა და ლანას თავისი ფინჯანი გაუწოდა: — ლიზის შესანდობარად დაგვიღიე...

— შესანდობარი?! — ხმა აუკანკალდა ლანას.

— ჰო... — ამოიოხრა ფისომ და ცრემლები მოერია. — ჩიტვივით გოგო იყო და ამ დამპალ ცხოვრებასაც ჩიტვივით დაუძვრა მახიდან... ზოგიც ახლა სდიონ ნაბოზარმა პროკურორებმა და გაუხურონ საქმე!.. — თქვა და თავისი ფინჯანი ლანასას მიუჭახუნა. — იმ გაუხარელი გოგოს ხსოვნა იყოს, ვისი სულიც ჯერაც აქ ტრიალებს...

— ლიზის გაუმარჯოს!.. — ფინჯანი პირთან ბოლომდე არც მიუტანია, უკან ისე დადგა ლანამ.

— დალიე, ნალდი ჭაჭაა! — შეაგულიანა ფისომ, თან, თათას უჩუმრად, თვალიც ჩაუკრა, თავად კი ფინჯანი ბოლომდე გამოცალა და პირიდან ორთქლიც გამოუშვა.

ლანამ ფინჯანი უსიტყვოდ მოიყუდა და მაშინვე მიხვდა, რომ ჩვეულებრივ წყალს სვამდა, თუმცა მინც ბოლომდე გამოცალა და მაგიდაზე ფრთხილად დადგა:

— ახლა კი, უნდა წავიდე.

— მაიცა! — ისევ შეაჩერა ფისომ და დანარჩენი „არაყი“ ფინჯნებში ისევ თანაბრად გაანაწილა: — ეს კიდევ, შენ გაგიმარჯოს!

— მე-ე? — გაუკვირდა ლანას.

— ჰო... „ჩვენიანი“ ყოფილხარ... მე კი მეგონა, „ნადზორთან“ ჩამიშვებდი, რომ მის დანა ჩემი იყო...

— ამით ლიზის დაბრუნება რომ შემძლებოდა, არც კი დაფიქრებოდი, ისე ჩაგიშვებდი, — ალაღად აღიარა ლანამ.

— ფისო! გესმის, რას გიბედავს! — მაშინვე წამოეთნო თათა.

— მოკვტე! — დაქალს თვალები დაუბრიალა ფისომ და ისევ ლანას მოუბრუნდა: — ლიზის დაბრუნება რომ შემეძლოს, ჩემს თავს თვითონვე ჩაუშ-



ვებდი... — და უეცრად, ლაპალუპით წამოსცვივდა ცრემლები.

— კარგი, რა, ფისო, რა მოგივიდა?.. — წამოიძახა თათამ. — უბედურ მკვდარს ტირილით უშველი?

— ლიზის კი ეშველა, მაგრამ შენ რა გეშველება, შე მართლა უბედურო?! — შეუტია მას ფისომ. — დარდი შენ არ იცი და სიხარული!

— სამაგიეროდ, დალევ ვიცი. — თითქმის პირამდე საცხე ფინჯანი მოიყუდა თათამ, ის სულმოუთქმელად გამოცალა და ტუჩები უშნოდ დაბრიცა: — ეს ხომ უბრალო წყალია!

— სალოლ!.. იგრძნო, აი!.. — ჩაიქირქილა ფისომ.

— ფისო, ახლავე მითხარი, არაყი რა იქნა, თორემ, გადავირიე და ეგ არის! — ხმას აუწია თათამ.

— არაყი? — თათასკენ მთელი ტანით გადაიხარა ფისო და ცხვირწინ კარგა გვარიანი მუჭით აუთამაშა: — აი, არაყი! უსუნე!.. ასდის არყის სუნი?.. გაჯახებ მაგ დინგში და ერთი საათით მაინც „გამოირთვები“... არაყი მოუნდა დამპალს!.. ის არაყი უკვე აი, აქ და აქ არის! — ჯერ მუცელზე და მერე საფეთქელზე იტაცა კოტიტა საჩვენებელი თითი ფისომ.

— მეც არ გამიკვირდა, მართლა ლიზის სიკვდილი ეწყინა-მეთქი!.. — ჩაიღმუჭა თათამ. — თურმე, არაყი გამოუყურნავს ბოლომდე და ის არ აბლავლებს?!

ლანამ ერთმანეთს წაკიდებულ ვაიდაქალებს ცოტა ხანს კიდევ უყურა და შემდეგ, პირი კარისკენ იბრუნა...

პოლიციის სამმართველოდან გამოსულს, გახარებული თინიკო ხელგაშლილი მიეგება, ჯერ გულში ჩაიკრა, შემდეგ კი გულმოდგინედ შეანჯღრია:

— ჰა, რას შვრები?.. ხომ ხარ სტამბოლის კაუვივით?!

— ვარ, რა... — მხოლოდ ტუჩის კუთხებით გაიღიმა ლანამ და ირგვლივ მიმოიხედა.

— აქ არის, აქ, ნუ ლელავ! — თვალები ეშმაკურად მონკურა თინიკომ.

— ვინ გითხრა, რომ ვლელავ?! — იწყინა ლანამ, მაგრამ სწორედ იმწუთას, მოშორებით მდგარი მანქანის წინა კარს მიყრდნობილი, გულხელდაკრეფილი ლევანი დაინახა და გაოცებისგან კინალამ პირი დაალო: — ეს აქ საიდან გაჩნდა?

— პირდაპირ გერმანიიდან, — უპასუხა თინიკომ. — თუმცა, არა — მგონი, თბილისში „ჩერეზ“ მოსკოვი ჩამოფრინდა, — უპასუხა მან შემდეგ.

— პროცესზე რომ არ დამინახავს?

— არ ყოფილა და როგორ დაინახავდი?.. დღეს დილით ჩამოფრინდა და მას შემდეგ, გიგაურის კაბინეტში ზის.

— გიგაურთან რაღა უნდოდა? — გაუკვირდა ლანას.

— მორალს უკითხავდა. თუმცა, ალბათ ერთი სული ჰქონდა, ყბები მოენგრია... — მხიარულად გადაიკისკისა თინიკომ.

ამასობაში, ლევანი ქალიშვილებს მიუახლოვდა, ლანას წინ უხერხულად შედგა და ხმადაბლა ჰკითხა:

— როგორა ხარ?

— არა მიშავს, — თავადაც ხმა ჩაუწყდა ლანას. — როდის ჩამოხვედი?

— ამ დილით.

— სულზე ჩამოგისწრია...

— სასამართლოს კი ჩამოვუსწარი, მაგრამ იმდენი საქმე გამომიჩნდა, რომ აქამდე ძლივს მოვალწიე...

— ჯობს, გვიან, ვიდრე არასდროს...

— ჰა, ახლა!.. — საუბარში ჩაერია თინიკო. — დიდხანს აპირებთ „პინგ-პონგის“ თამაშს?.. ამ საშინელ შენობას მაინც გავეცალოთ და მერე ილაპარაკეთ.

— მართალი ხარ, — დაეთანხმა ლანა.

— დროზე წავიდეთ აქედან.

ლევანმა ქალიშვილებს ოდნავ წინ გაუსწრო და მანქანის უკანა კარი გამოალო. თინიკო მასწინვე სავარძელზე მოკალათდა. ლანაც მის გვერდით აპირებდა დაჯდომას, მაგრამ თინიკომ არ დაანება:

— წინ დაჯექი! ეს კაცი ტაქსის მძღოლი კი არ არის...

— თინიკო მართალია, — ახლა წინა კარი გამოალო ლევანმა, ლანას დაჯდომაში მიეხმარა და დასძინა: — თუმცა, ერთ დროს, ტაქსისტიც ვიყავი... უფრო სწორად, სამუშაოს მერე „ვტაქსაობდი“ ხოლმე...

— მაშინ ახლაც „ნაიტაქსავე“ და ჩვენ ჩვენს სახლებამდე მიგვარბენინე! — წაკბინა ლანამ.

— გააჩნია, რამდენს და რით გადამიხდით, — ვალში არ დარჩა ლევანიც...

როგორც კი მანქანა ადგილიდან დაიძრა, თინიკო უმალ ლანას ეცა:

— ჰა, ახლა... მოგიყვები, როგორ იყავი იქ?

— მოსაყოლი არაფერი მაქვს, — თავი შორს დაიჭირა ლანამ.

— კარგი, რა!.. იზოლატორის ამბები მაინც...

— ...იზოლატორის ამბები თუ გაინტერესებს, იქ თვითონ უნდა მოხვედე! — გაანწყვეტინა ლანამ. — არ იცი, ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი რომ სჯობს?!

— კარგი, ჰო, რა მოგივიდა?! — მოიბუზა თინიკო. — გეხუმრე.

— მეც გეხუმრე, თორემ, იზოლატორში შენ რა გინდა?! დღეს არა, ხვალ — სამთავრობო წრეებში მიღებული და დაფასებული ადვოკატის მეუღლე გახდები...

— გოგონებო! — დაქალების კინკლაობაში ჩაერია ლევანი. — სადმე კაფეში ხომ არ შეგვევლო?

— რატომაც არა! — სასწრაფოდ აიტაცა ლევანის წინადადება თინიკომ.

— თქვენ შეიარეთ, ოლონდ, მანამდე, სახლში მიმიყვანეთ, დედა მომენტრია, — გამოაცხადა ლანამ.

— უშენოდ არც მე ვარ სადმე წამსვლელი, — გაჯიქდა თინიკოც.

— მაშინ სხვა დროისთვის გადავდოთ, — ისევ სცადა სიტუაციის განმუხტვა ლევანმა. — სიმართლე გითხრათ, ძალიან დაღლილი ვარ. თანაც, ჯერ ბავშვიც არ მინახავს.

— ჰო, სულ დამავინწყდა, რომ ბავშ-

ვიც გყავს... — ახლა ლევანს გაჰკრა კბილი ჩხუბის ხასიათზე დამდგარმა ლანამ.

— სამაგიეროდ, მას არ დავინწყინებარ, — მშვიდად უპასუხა ლევანმა.

— ვის? — ვითომ ვერ მიუხვდა ისე ჩაეძია ლანა.

— თამუნას... — კვლავ მშვიდად უპასუხა ლევანმა. — გგონია, არ ვიცი, რომ რაჭაში ყოფნისას, მთელი ჩემი ოჯახი გაიცანი?

— ოჰო! — ყურები ცქვიტა თინიკომ. — ეს რა მესმის?!

მაგრამ, არც ლევანმა და არც ლანამ ამ საკითხზე საუბრის გაგრძელება აღარ ისურვეს.

ლანას კორპუსთან რომ მივიდნენ, ლევანი მანქანიდან გადმოვიდა და ქალს კარი გაუღო. სანამ ლევანი ლანას გადმოსვლაში ეხმარებოდა, თინიკო მანქანიდან მკვირცხლად გადმოსტა და დაქალს გვერდში ამოუდგა.

— ჩემთან მოდიხარ? — უკმაყოფილოდ ჰკითხა მას ლანამ.

— არა, დეიდა თამართან, — იხტიბარი არ გაიტეხა თინიკომ. — ღამისთევით ვარ დაპატიჟებული.

— მერე, ლაშა არ გაგიბრაზდება?..

— ლაშამ ჩემი გზა-კვალი მაშინ არკვიოს, როცა ამის ოფიციალური უფლება ექნება.

ლევანი გოგონებს სადარბაზოშიც შეჰყვა და როცა ისინი ლიფტში დაიგულა, მხოლოდ ამის შემდეგაა გაბრუნდა.

— რა იყო, გოგო, რას დაგვეგესლე?! — როგორც კი ლიფტი დაიძრა, მაშინვე ეცა ლანას თინიკო.

— ვისაც ჩემი გესლი ვნებს, გზა ფართოა... — მართლა გესლიანად უპასუხა ლანამ.

— კარგი, მესმის, რომ ჩემზე მართლა ძალიან გაბრაზებული ხარ... — არ ცხრებოდა თინიკო. — ჩემი სულელური ახირება რომ არა, ამ შარში საერთოდ არ გაეხვევოდი. მაგრამ ლევანმა რაღა დაგიშავა?

— რაღა გამითერთა?

— შენ რა, ამას სერიოზულად ამბობ? — ახლა კი, მართლა გაოგნდა თინიკო. — და ეს მას შემდეგ, რაც ამ კაცმა ორ-ორი ადვოკატი დაგიქირავა, ხუთიათასიანი გირაო გაგისტუმრა და შენ გამო გიგაურს კინალამ ცხვირ-პირი დაუნგრია?!

— გიგაურის ნახვა როდისლა მოასწრო? — გაუკვირდა ლანას.

მაგრამ ამასობაში, ლიფტიც გაჩერდა და დაქალბებმა ლაპარაკი შეწყვიტეს...

თამარმა შვილი გამეტებით ჩაიკრა გულში და აქვითინდა:

— შენ დაგიმინდეს, შვილო, დედაშენი!..

— კარგი, რა, დედა, რა მოგივიდა?! — თამარის მკლავებს თავი ძლივს დააღწინა ლანამ. — ნახევარი საქართველო

ციხეში ზის, მაგრამ... —

ნახევარი საქართველო ზის თუ მთელი, მე სად ვარკვიო?! — გაანწყვეტინა თამარმა. — ჩემი უდანაშაულო შვილის ბედი მადარდებს.

— რა იცი, რომ უდანაშაულო ვარ? — სევდიანად გაეღიმა ლანას. — იქნებ, ის ნარკოტიკი მართლა ჩემი იყო?..

— უშნოდ ნუ ხუმრობ, რა, შვილო! — ხმაში წყენა დაეტყო თამარს. — ჯერ ერთი, თინიკომ ყველაფერი მიაშობო და ზუსტად ვიცი, რა როგორ მოხდა... მაგრამ თინიკოც რომ პირზე დაგადგეს — ის წამალი შენი იყოო, — მე მაინც არაფრით დავიჯერებ, რომ ჩემი ალზრდილი შვილი ამას გააკეთებდა!

— აი, ხომ ხედავ?! — ნიშნის მოგებით დადგინდა ლანას თინიკომ. — საკუთარი დედისგან მაინც აიღე მაგალითი: დეიდა თამარმა ზუსტად იცის, შავს შავი რომ ჰქვია და თეთრს კიდეც — თეთრი. ხომ, ასეა, დეიდა თამარ? — ქალს მხარზე შინაურულად მოხვია ხელი თინიკომ.

— როგორც ჩანს, დრო ტყუილად არ დაგიკარგავთ და ჩემს არყოფნაში, მგონი, კიდეც ჩადაქალბულხართ... — უნდოდ გახედა ლანამ თამარსა და თინიკოს.

— მე თქვენებური დაქალმძაკობისა ბეჭად არაფერი გამეგება... — შუაოთახში ქალიშვილებს შეუძღვა თამარი. — მაგრამ თინიკო რომ არა, ამ მძიმე დღეებს მართო ნამდვილად ვერ გადავიტანდი.

— ა, ბატონო, ესეც მე ვარ?! — ისევ გადაჰკრა თინიკომ ლანას, თან, სავარძელში გულმოდგინედ მოკალათდა.

— რატომ მართო? — თინიკოს სიტყვები არად ჩააგდო ლანამ. — შენი შვილი და რძალი სადღა ბრძანდებოდნენ?..

— გაგიჟდი, გოგო?! — მაინც ჩაეჩარა საუბარში თინიკო. — რეზომ და მაკამ კი არა, შენი ამბავი ჩვენს სამსახურშიც ორმა-სამმა კაცმა თუ იცის.

— მორჩი, რა, ცრუშენტელობას! — შეუღრინა ლანამ დაქალს. — ბარე ათმა კაცმა მაინც დამინახა, გიგაურის მისაღებიდან „კანვოიმ“ როგორ გამომაბრძანა.

— ჯერ ერთი, „კანვოიმ“ კი არა, ორი ალმასივით ბიჭი გედგა მხარში აქეთ-იქიდან და მეორეც — ვინც მართლა გაიგო, რა მოხდა? ყველა შენს მხარეზეა!.. იცი, თამრიკომ და ნესტანმა რა მითხრეს?..

— ვინ?

— ბულალტერიის გოგონებმა... თუ გივი ლანას განირავს, სასამართლოზე მოვალთ და მთელ მის ბნელ საქმეებს გადმოვალაგებთო!.. ისე, დღესაც უნდოდათ მოსვლა, მაგრამ მე არ დავანებე.

— კარგი გიქნია.

— სხვათა შორის, დეიდა თამარსაც მე გადავაფიქრებინე სასამართლოზე მოსვლა. ყველაფერი წინასწარ კი იყო

გარკვეული, მაგრამ დედის გული ხომ იცი, მაინც ინერვიულებდა. თანაც, მერე გემრიელ რაზე-რუმეებს ვინლა მოგვიზადებდა და დაგვახვედრებდა?.. არა, დეიდა თამარ? — მიუბრუნდა თინიკო კარში დაუპატიჟებელი სტუმარივით ჩამდგარ, ჩაფიქრებულ თამარს.

— ჰო, შვილო, ჰო... — გამოეკვია თამარი. — გავალ ერთი, სადილს გავაცხებლებ.

როგორც კი თამარი სამზარეულოში გავიდა, ლანა მაშინვე თინიკოს მიუბრუნდა:

— მითხარი ერთი, ლევანის და გივის ამბავი... მართლა იჩხუბეს?

— იჩხუბესო?! — გაოცებისგან ხელები გაშალა თინიკომ. — იჩხუბეს კი არა, თავიდან, ლევანმა საცემრადაც კი გაინია, მაგრამ მერე, მაინც ყველაფერი მშვიდობიანად მოაგვარა... ვერ ნახე, პროცესზე გიგაურის ადვოკატი როგორ შექარყინულივით დნებოდა: ჩემი კლიენტი ადასტურებს, რომ მან ის წამლის ფირფიტა მართლა, როგორც ანალოგინი, ისე გადასცა ლანა მესხს და ამდენად, ეს უკანასკნელი უდანაშაულოა. თუმცა, სასამართლოს მალე ჩემი კლიენტის შეცდომაში შეყვანის დამამტკიცებელ საბუთებსაც უთუოდ წარმოვუდგენო... —

— საინტერესოა, გივი ვინლა „შეიყვანა შეცდომაში“?.. — სიმწრით გაეღიმა ლანას.

— მგონი, ვახოს უნდა აჰკიდონ ყველაფერი.

— რომელ ვახოს?.. გერმანიიდან რომ ჩამოუტანა ნარკოტიკები?

— ჰო... თუმცა, თავიდან, გივი ჩვენც მაგრად დაგვიდგა. ლაშამ ჩემი მობილურით გადაღებული კადრების ამბავი რომ უთხრა, აქეთ შემოგვიტია: მაგას კიდეც დამტკიცება უნდა!.. თუ არ შემეშვებოთ, ცილისნამებისთვის თქვენც ციხეში ამოგაყოფინებთ თავსო! — ციხეშიც შენ ჩაჯდები და შენს მფარველსაც გვერდით მოგისვამო! — აღარც ლაშა დარჩენია ვალში, მაგრამ ამასობაში, ლევანი რომ არ ჩამოსულიყო და საქმეში ის და მისი ადვოკატი არ ჩარეულიყვნენ, მართლა ძალიან გართულდებოდა ყველაფერი... —

— არ იცი, ასე მაინც რით დააშინა გიგაური ლევანმა? — დაინტერესდა ლანა.

— არა, მაგრამ რა პრობლემაა?.. შენ თვითონ ჰკითხე!

— ლევანს არაფერს ვკითხავ, — ამოიოხრა ლანამ. — და საერთოდაც... მასთან ურთიერთობის არანაირი სურვილი არ მაქვს.

— აუ! — ყურებზე ხელები გამეტებით მიიჭირა თინიკომ. — ისევ თავიდან არ დაინყო, რა!.. დღეს არ გაქვს სურვილი — ხვალ გექნება... —

— არა მგონია, — ცრემლი მოერიო ლანას. — როგორც ჩანს, ამ რამდენიმე დღეში, ჩემი ცხოვრება ორად გაიყო: ციხემდე და ციხის შემდეგ... —



— შენ ციხეში არ მჯდარხარ! — განწყვეტინა თინიკომ. — იმ ადგილს წინასწარი დაკავების იზოლაციური ჰქვია, სადაც, როგორც წესი, ათიდან ცხრა უდანაშაულო ხვდება...

— რატომღაც, ისეთი გრძობა მაქვს, რომ მე სწორედ ის მეთავე ვარ...

— არა, რა!.. — ფეხზე წამოხტა თინიკო. — შენთან ლაპარაკი ჯერ არ შეიძლება! ამიტომ, ახლა წავალ და მერე შემოგივლი. ანდა — თვითონ შემომხმინანე. თუ რა თქმა უნდა, ჩემი ნახვა საერთოდ მოგიწდება...

— უკვე მიდიხარ? — ოთახიდან სწრაფი ნაბიჯით გასულ თინიკოს ჰოლში შეეფეთა თამარმა.

— ჰო, დეიდა თამარ, თორემ, მერე დამალამდება...

— აკი ამალამ თქვენთან დავრჩებიო?! — შეწუხდა თამარი. — ერთად მაინც გვესადილა. უკვე ყველაფერი გავამზადე. — გმადლობ, დეიდა თამარ, მაგრამ ლაშამ დამირეკა, სასწრაფო საქმე მაქვსო და ახლავე უნდა შევხვდე!

— შემთხვევით, გაპარვას ხომ არ აპირებთ, თქვე ეშმაკებო? — თავადაც ეშმაკურად მოჭუტა თვალები თამარმა.

— არა, — იუარა თინიკომ, — ვის უნდა გავეპაროთ?! ან რაღა დროს ჩვენი გაპარვა?! ის კი არა და, შეიძლება, ქორწილი ცოტა ხნით გადავდოთ კიდეც...

— რატომ? — შეკრთა თამარი. — ასეთი რა მოხდა?

— სერიოზული არაფერი, მაგრამ ვატყობ, ლანას ჯერ ჩემი მეჯვარეობა გაუჭირდება, მე კი სხვა მეჯვარეს გვერდით არ დავიყენებ, — საბოლოოდ ბეჭედი დაუსვა თინიკომ...

თინიკოს წასვლის შემდეგ, ლანა საა-

ბაზანოში შეიკეტა, თამარი კი ისევ სამზარეულოს დაუბრუნდა. ახალგაზრდა ქალი შხაპის ქვეშ კარგა ხანს იდგა და უხეშ ღრუბელს ტანზე ისე გამეტებით ისვამდა, თითქოს რაღაც უხილავი ჭუჭყის მოცილება უნდოდა და ვერაფრით ახერხებდა... ბოლოს, ონკანი დაკეტა, სააბაზანო ხალათი პირდაპირ სველ ტანზე შემოიცვია, თავზე პირსახოცი ჩალმასავით დაიხვია და სამზარეულოს მიაშურა.

შვილის ლოდინით დაღლილი თამარი სუფრას მარტო მისჯდომოდა, თავი უმწეოდ ჩაეჩინდრა და თვლემდა. ლანა მის წინ ხმაურით დაჯდა და მაგიდაზე ხელისგულები დაატყავუნა:

— ქალბატონო თამარ, რა დროს ძილია, შვილი შიმშილით გიკვდება!

— გამოიდარე?! — მაშინვე ასწია თავი თამარმა.

— ეგ სიტყვა შენც იცი? — შეკრთა ლანა.

— რა ცოდნა უნდა?! — გაუკვირდა თამარს. — არ გახსოვს, პატარა რომ მყავდი და ტირილით გულს მინვრილებდი, როგორ გეხვეწებოდი — ბოლოს და ბოლოს, გამოიდარე-მეთქი?..

— ჰო, ალბათ... — დაბნეულად ჩაილაპარაკა ლანამ და ჩაფიქრდა.

— რაზე ფიქრობ? — ჰკითხა თამარმა, თან, ხორციანი კრძით სავსე თეფში დაუდგა წინ.

— რა ამბავია! — შეიცხადა ლანამ. — ამდენს რა შემაჭმევს?!

— ამასაც შეჭამ და ზედ ხაჭაპურის დიდ ნაჭერსაც დააყოლებ! ვერ ხედავ, ცარიელი თვალებილა რომ ხარ დარჩენილი?! — შეუტია თამარმა შვილს.

სადილის შემდეგ, თამარმა სურნელოვანი ყავაც მოაღულა. ლანამ ყავის პირვე-

ლი ყლუბი მოსვა და სიამოვნებისგან გაიზმორა:

— მაინც რა ცოტა ჰყოფნის ადამიანს, რომ თავი ბედნიერად თუ არა, კმაყოფილად მაინც იგრძნოს...

— ნუ გეშინია, შვილო, შენ ისეთი ყოჩალი მყავხარ, რომ ბედნიერებაც არაფრით აგივლის გვერდს, — დაამშვიდა თამარმა.

— ვნახოთ, ვნახოთ... — კიდეც ერთხელ გემრიელად გაიზმორა ლანა.

— მოიცა! — შეაჩერა ის თამარმა.

— რა იყო? — გაშლილი ხელები ჰაერში გაუშეშდა ლანას.

— აბა, ერთი, შენი მკლავები მაჩვენე!

— სასწრაფოდ სათვალე მოირგო თამარმა.

— დაინყო! — ხელები უკმაყოფილოდ გაუშვირა ლანამ — ახლა რაღა მოხდა?

— ყველაფერი კარგი და სასიამოვნო. — სახე ნელ-ნელა გაუნათდა თამარს.

— ვერ ხედავ, რომ ლაქები თითქმის აღარ გეტყობა?

— რომელი ლაქები? — უცბად ვეღარ გაიხსენა ლანამ.

— რომელი და გომელი!..

— ა-ა!.. — როგორც იქნა, მოეგო გონს ლანა და მკლავები თავადაც გულმოდგინედ დაითვალიერა: — მეგონი, მართლა გაუფერულებულა, ხომ იცი. ყოჩაღ, ქეთო! — დაინყო შენმა წამალმა აქტიური მოქმედება!

— იქნებ, ქეთოს კი არა, ექიმის გამოწერილმა იმოქმედა? — საკუთარი დედის ხელობაში მაინც ეჭვი შეიტანა თამარმა.

— რომელი ექიმის?! — შეუტია ლანამ. — დაგავინყდა, რომ ის წამალი საერთოდ არ დამილევიან? ეს ქეთოს „კუდიანობის“ შედეგია! დღეიდანვე გავაგრძელებ იმ ნაყენის სმას. მიდი, ერთი, ყელიც კარგად დამითვალიერე!..

თამარმა შვილს ყელიც გულმოდგინედ დაუთვალიერა, შემდეგ გულისპირი მოუშმისვა და კმაყოფილება ვეღარ დაფარა:

— ყელზე სულ რამდენიმე მკრთალი ლაქალა გაქვს, მკერდზე კი, საერთოდ აღარაფერი გეტყობა. მართლა ყოჩაღ, ქეთო! ახლავე დავურეკავ და ვახარებ!

— ჰო! ჯერ შენ დაურეკე, მერე, მეც აუცილებლად დაველაპარაკები, თორემ ძალიან მომენატრა...

— რას გეტყვი, იცი?.. — სათვალე მოიხსნა და მაგიდაზე ფრთხილად დადო თამარმა.

— რა იყო?

— რა და ცოტა ხნით საერთოდაც ქეთოსთან ხომ არ წასულიყავი?.. — შეაპარა თამარმა შვილს — დაისვენებდი, მოლონიერდებოდი... ამასობაში, აქაც ყველაფერი გაირკვეოდა და შენც მშვიდად დაბრუნდებოდი უკან.

— რაჭაში თუ წავედი, შეიძლება, უკან საერთოდ აღარც დავბრუნდე...

— თავისთვის ჩაილაპარაკა შეფიქრისანებულმა ლანამ...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მსახიობ ბორის ნიფურის მის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ვსტუმრობდით. ის საუცხოო მოსაუბრე გახლდათ და ძალიან ბევრი საინტერესო და სახალისო ამბავი გაიხსენა თავისი ცხოვრებიდან. მაშინ, ყველაფრის ერთ მასალაში ჩატევა ბუნებრივია, გამიჭირდა. ამიტომ რამდენიმე კუროზს სწორედ ახლა, კარგა ხნის შემდეგ გთავაზობთ.

იპოლიტე ხვიჩი „კალიასკაში“ — ახალი წლის დღეს...

ნიკო ჯაპახიძე

— ერთ-ერთ ახალ წელს, ჩემი ახალ-გაზრდობის მეგობრების — პავლესა და ვოვა დავითაიების ოჯახში შევხვდი. ოჯახის დიასახლისმა შესანიშნავი მასპინძლობა



კარში იპოლიტე დავაყენეთ, ზარი დავრეკეთ და გაიღო თუ არა კარი, ჟენია დეიდამ შეკვლა...

გავგინია. დილაზე ვიქეიფეთ. პირველი ინანვარია. გამოვედით ქუჩაში, ვერ შევიდობებოდა ერთმანეთს. უეცრად დავინახეთ, რომ მოგრიალედა მილიციელის „კალიასკიანი“ მოტოციკლეტი ყიფინითა და შეპახილებით: „გილოცავთ ახალ წელს! იყავით ბედნიერი!“ — და ა.შ. გამვლულებიც ყიფინითა და სისხარულით ეგებებოდნენ. მოგვიასლოვდნენ. მოედანზე წრე დაარტყეს და რას ვხედავ?! — „კალიასკაში“ იპოლიტე ხვიჩია ზის. გაბადრული, შამპანურით და შამფურით ხელში. ჩვენც მეტი რა გვინდოდა?

გადაველობეთ და მოტოციკლეტიდან ჩამოვსვით. ვთხოვეთ — ბატონო იპოლიტე, შევბრუნდეთ ოჯახში, დავითაიების მეკვლე იქნებით-თქო. აბა, იპოლიტე რის იპოლიტე იქნებოდა, ეს თხოვნა რომ არ შეესრულებინა?! ავედით. კარში იპოლიტე დავაყენეთ, ზარი დავრეკეთ და გაიღო თუ არა კარი, ჟენია დეიდამ შეკვლა — უიჟე, ამას ვის ვხედავო?! იპოლიტემაც გაშალა ხელები და გულში ჩაიხუტა ჟენია დეიდა. იყო სიმღერა, სიცილი, სიყვარული, სადღეგრძელო. გაიხარა ოჯახმა. ჟენია დეიდამ სუფრის გაშლისას მოუბოდიშა — ცოცხალი რომ იყოს ჩემი ქმარი, უკეთესად დაგხვდებოდი-

თო. ამის გაგონებაზე, წამოვარდა იპოლიტე, გაშალა ხელები და შეჰყვირა — ქვრივი ხარ, ჩემო ანგელოზო ქალბატონო, მოგიკვდეს ჩემი თავიო! — და ისე ჩაიხუტა დეიდა ჟენია, ხელიდან ძლივს გამოვვლი-ჯეთ... ის ახალი წელი არც მე და არც იმ ოჯახს არასდროს დაგვაგინდებია.

— ტრამპხით არ ვამბობ, მაგრამ კარგი თამადა ვარ. ხუთასკაციან ქორწილებშიც მითამადა, ყოჩიც მომიგია, ბუჭიც და გოჭის თავიც. ერთხელ, ჩემი მეგობრის — გივი გელენიძის ოჯახში ვქეიფობთ, ყველანი კარგ ხასიათზე ვართ. უეცრად გამახსენდა, რომ დილისთვის სახლში საჭმელი არაფერი მქონდა და მოვიწყინე. მეკითხებიან — რა მოგივიდა, რატომ გაჩუმდიო? უცებ მომავიქრდა ტყუილიც — სახლში პატარა ცუგრია მყავს, მთელი დღის უჭმელ-უსმელია, ამაღამ სად რა უნდა ვუყიდო, არ ვიცი, რა ვქნა, როგორ მოვიქცე-მეთქი... რაიმეს განსაკუთრებულს ჭამს თუ ჩვეულებრივად იკვებებაო? — მკითხეს. — რას ლაპარაკობთ, რა განსაკუთრებულს, ყველაფერს ჭამს — მოხარულ ქათამს, საქონლის სორცს, ხაჭაპურს ძალიან უყვარს-მეთქი. — მაშ, მაგის დარდი ნუ გექნებაო, — დამამშვიდეს. ორი მოზრდილი პარკი ჩაუდვით მანქანის საბარგულში. რა გინდა, სულ და გულო, იქ რომ არ იყო. აგამენათ ღმერთმა-მეთქი, — წამოვიძახე და ყველაფერს მაცივარში ვუკარი თავი... დილით ამოვვალაგე ხაჭაპური, მწვანილი, ჯონჯოლი, ერთი დედალი... დავურეკე ჩემს საყვარელ მეზობელს, საოპერო თეატრის სოლისტს — ლადო კანდელაკს და საუბრეზე მოვიწვიე. მალე, ჭიქების ჭახუნი ატყდა. ორ საათში კი, ლადომ თავისი „კარენი“ სოლო შეასრულა უაკომპანიმენტოდ. ბოლოს მკითხა — საიდან ამისთანა პურმარილიო? — ნუხელ თამადა ვიყავი და დამასაჩუქრეს-მეთქი, — ვუპასუხე. — ხშირად ითამადეო, — მთხოვა... მეც პირობა მივეცი და მართლაც, სხვა დროსაც ბევრჯერ მიზრუნია „ჩემს საწყალ ცუგრაზე“... ერთხელაც, მივედი სახლში ცუგრიას მოზრდილი უღუფით დატვირთული. პარკი მაცივარში შევდე და დილით ჩვეულებისამებრ, დავურეკე ლადოს. ისიც ჩამოვიდა, სამზარეულოში შევიდა და სუფრის განწყობა დაიწყო. მე საბაზანოში წვერს ვიპარსავდი. უეცრად, ლადოს შემზარავი ხმა გავიგონე: — მოდი, ჩქარა, აქ რა ამბავია!

— რა იყო, რა მოხდა?
— როგორ თუ რა მოხდა, პარკი სულ ძვლებით არის გატენილი! რა ხუმრობაა, ეს



როგორ გაკადრეს?
რა მექნა, იძულებული ვიყავი, ცუგას ამბავი მომეყოლა. თან დავამატე — უცხო ოჯახში ვიყავი, ქალაქგარეთ-მეთქი. ლადომ ერთი კი ჩაიბურტყუნა — ძალიან დამწვარ ოჯახში ყოფილხარო, — და წავიდა... აბა, ამას როგორ დავუვინყებდი იმ ოჯახს?! პირველსავე სუფრაზე მოვეყვი „ჩემი ცუგრიას გაბითურების“ ამბავი. განსაკუთრებული ტრაგიზმით აღვწერე, თუ როგორ არჩევდა ჩემი ცუგრია ამ ძვლებს და როგორ მოსდიოდა სისხლი ღრძილებიდან... ყველა შენუხებული მისმენდა. მასპინძლის შვილიშვილმა კი ტირილით მკითხა — რამდენი წლის არის თქვენი ცუგრიაო? — ორმოცდაცხრამეტის-მეთქი, — დაუფიქრებლად ვუპასუხე. უნდა მოგესმინათ, რა ხარხარი ატყდა, ყველა ყველაფერს მიხვდა და იმ ოჯახიდანაც ხელდამშვენებული წამოვედი. ლადოს კი ძალიან მოეწონა ჩემი გულახდილობა და მირჩია, ასე ჯობსო...

— ერთხელ, მე და ჩემმა უსაყვარლესმა მეგობარმა — შოთა გაბელიამ გადაწყვიტეთ, დასასვენებლად შავ ზღვაზე წავსულიყავით. კი, მაგრამ აზას (ცოლს) რა ვუთხრაო? — შენუხდა შოთა. — შენს ცოლს სვალ იმისთანა დეპეშას გაეუმანშალებ, თვითონ შეგეგვენება ნასვლას-მეთქი, — დავამშვიდე მეგობარი. — მეორე დღეს, აზამ ასეთი დეპეშა მიიღო: „В Одесскую киностудию приглашается на главную роль в кинокартине „Хождение по морям“ (რადგან ზღვით ვაპირებდით ნასვლას). Директор картины Триперков“. ნაიკითხა აზამ დეპეშა და — რას აპირებო? — ჰკითხა ქმარს. — რა უნდა ვქნა, ფული არა მაქვს და სად წავიდეო? — კითხვა შეუბრუნა შოთამ. — ამ შანსის ხელიდან გაშვება არ შეიძლებაო, — უთხრა აზამ, დატრიალდა და ფული უშოვა მეუღლეს. მოკვლევ, წავედით სოსუმში, დავტვირთეთ გემზე მანქანა და ოდესიდან კარპატებამდე გავყვით. ჩვენი მოგზაურობის დროს, ქოლერის ეპიდემია გაჩნდა. შეშინებულმა აზამ ოდესის კინოსტუდიაში დეპეშა აფრინა: „Сообщите здоровье актера Шоты Габелая, который снимается в фильме „Хождение по морям“, директор картины Триперков“. ოდესიდან მიიღო პასუხი: „Такой фильм у нас не снимается и такого директора мы не знаем“. ხომ მოგეხ-



ელენე ყიფშიძე, გიორგი ვიციანი, იპოლიტე ხვიჩია და ალექსანდრე მორგუნოვი

სენებათ, ტრიპერი რაც არის... მოკლედ, დამთავრდა ჩვენი მოგზაურობა და ვბრუნდებით უკან. შოთამ თქვა — ოჯახში ხელცარიელი ხომ არ დავბრუნდებით — და ცოლს ენ. „ნებიუში“ ჩაიდანნი უყიდა, თავისი ჭიქები. მივიდა სახლში და დაინცო ნუწუნნი — იმდენი გადაღება მქონდა, ქანცი გამიწყდა, ძალიან დავიღალეო. ნახევარი კი გადავიღეთ, მაგრამ ამინდი შეიცვალა და მომავალი წლისთვის, ზუსტად ამ დროისთვის გადავიღებო (ახალი ვოიაჟიც წინასწარ დავგეგმეთ) სად უნდა ნახვიდეო? — ჰკითხა შეპარვით ცოლმა. — როგორ თუ სად, ისევ ოდესის კინოსტუდიაშიო, — მიუგო მან. — რის კინო, რა კინოო! — იყვირა აზამ და ოდესიდან მიღებული დეპეშა ააფარა სახეზე. მიხვდა შოთა, საქმე ცუდად ჰქონდა და ტაქტიკაც შეცვალა — ვიცი, ჩემზე როგორ წერვიულობდი, ამიტომაც საჩუქარი ჩამოგიტანე, — „ნებიუში“ ჩაიდანნი, არასდროს გატყდებაო. ამის დასამტკიცებლად ჩაიდანს ხელი გაუშვა და... ეს ძვირფასი საჩუქარიც ნამსხვრევებად იქცა. ამის საპასუხოდ, აზამ მართლა „ნებიუში“ ჩაიდანნი სდრუხა თავში თავის მეორე ნახევარს. მოგვიანებით ცოლ-ქმარი შერიგდა, მაგრამ მე და შოთას გეგმები ჩაგვეშალა.

— სტამბოლში ჩემს მეგობართან — კუკური მეფარიძესთან გახლდით სტუმრად. მან ჩემს პატივსაცემად ვახშამი გამართა და თურქები დაპატიჟა. რესტორნის ფოიეში დათქმულ დროს შევიკრიბეთ. წარუდგინა ჩემი თავი. ჩამომართვა ერთმა ხელი. ბორისი-მეთქი, — გავცვანო. იმან მითხრა — მერაბო. გამიხარდა, ნაცნობი სახელი რომ გავიგონე — მერაბი ხომ ჩვენშიც ბევრს ჰქვია. მეორემაც — მერაბო, მესამემაც, მეოთხემაც, მეხუთემაც... მხოლოდ ერთმა მითხრა — „გამომარჯოს, ჯუშა“. ლაზი აღმოჩნდა. გამიკვირდა — ეს ხუთი მერაბა მაინც სად მოგროვდა-მეთქი?.. სადღეგრძელოების დროს, კარგა ხანს ყველას „მისტერ მერაბო“ მივმართავდი. ცოტა უხერხულობა შეიქმნა. ბოლოს კუკურიმაც ვეღარ მოითმინა და შენიშვნა მომცა — რა გაუჭირე საქმე ამ ხალხს, ამდენი „გამარჯობა“ არ არის საჭიროო. — რაზე ამბობ-მეთქი? — გამიკვირდა. — რაზე და ყოველ წუთში ყველას მერაბას რომ ეძახიო. თურმე „მერაბა“ გამარჯობას ნიშნავს. მე კი სახელი მეგონა და მთელი საღამო სულ გამარჯობას ვუბნებოდი თურქებს.

ბობდენე... ერთხელაც, ასეთ სიტუაციაში ერთი გოგონა ეუბნება მეორეს — შამპანურს რომ დავღვებო, მე მერე მივალ ტელეფონთან, ვითომ სახლში უნდა დავრეკო და ვიტყვი, რომ დედა გამხდარა ავად, ამიტომაც სახლში უნდა წავიდე, შენ მეტყვი — მარტოს ხომ არ გაგიშვებ, მეც უნდა გამოგყვე, — და ასე წავიდეთო... მოკლედ, მოვისმინეთ ეს ყველაფერი და დავბრუნდით სუფრასთან. ავნიე ჭიქა და ვთქვი — ამ ჭიქით მინდა, დავლიო ერთი სადღეგრძელო. ხომ გვეყავს საყვარელი ადამიანები — დედა, მამა, დედამამიშვილები. ერთ საათში დედათქვენი ცუდად გახდება, მარტო ხომ არ ნახვალთ, დაქალიც გამოგყვებით, ჰოდა, ახლა აქედან მოუსვით და მისედეთ დედებს-მეთქი... ასე ვერთობოდი. ამასობაში, ფული შემოგვეხარჯა, დაბრუნება კი არ გვიდლოდა. ვფიქრობდი, ვისთვის გავგეგვანა დეპეშა, რომ ფულით დაგვმარებოდა. ამ ფიქრში ვიყავით, როცა სასტუმროს ნომრის კარზე ბრაზხუნი ატყდა: შალვა ვარ, ბიჭებო, შალვა, კარი გამიღეთო, — ჩვენი მეგობარი შალვა ისაკაძე შეგვჩა ხელში. მაშინ თბილისში გამწვანების ტრესტის მმართველი იყო. ბოტანიკურ ბაღში ერთი ჩემი მეგობარი უნდა ენახო, გამომყვით და თან ბაღსაც დათვალიერებთო, — შემოგვთავაზა. სადილსაც დავგვირდა, ოღონდ — სასტუმროს ბუფეტში. სასტუმრომდე 50 კმ იყო, ჩვენ კი ძალიან გვემოდა. რამე უნდა მომეფიქრებინა, პურბარბილი დროზე რომ გვეკისრებინებინა. მოვიფიქრე კიდეც: მანქანა გავაჩერებინე და გადამოვედი, ვითომ ცუდად გავხდი. ჩემი რადიოგადამცემიც გავიყოლე თვალს მივფარე თუ არა, გადავშალე შალვას საქალაქოში ალმოჩენილი „კომუნისტის“ ახალი ნომერი და დავინწყე უკანასკნელი ცნობების კითხვა — „ლაპარაკობს თბილისი, თბილისის დროით ესა და ეს საათია. დღეს თბილისში ჩამოვიდა ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ინდირა განდი. ინდირა განდიმ დაათვალიერა ქალაქის ღირსშესანიშნაობები“ და ა.შ. ამ დროს მესმის ყვირილი — ბო-

რია, თბილისი დავიჭირე, თბილისი, მოდიო. მე ვაგრძელებ — „დღეს შედგა აღმასკომის რიგგარეშე პლენუმი. პლენუმმა დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლა ესა და ეს; მის ადგილზე დანიშნა მისი მოადგილე, ესა და ეს. ხოლო აღმასკომის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ დაინიშნა გამწვანების ტრესტის მმართველი შალვა ისაკაძე...“ დედა! მესმის კვილი, მაგრამ რა კვილი: ბორია, მოდი, მომილოცეო! — რა იყო-მეთქი? რა იყო და, თურმე, აღმასკომის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ დამინიშნესო! — ბინას თუ მომცემო? — ეკითხება ჩემი ძმაც-ცი. — რას ლაპარაკობ, ოთხოთახიან ბინას მოგცემ, შენ კი (მე მომიბრუნდა) — ბროთახიანსო. ვიფიქრე — ეს კაცი ჩემი დანიშნულებულია და მეტს როგორ არ იმეტებს-მეთქი?! არ მინდა ეგ შენი ბინა, სადილი იკისრე-მეთქი, — ვუთხარი. — სადაც გინდათ, გააჩერეთო, — გვითხრა, მაგრამ გზად არც ერთი რესტორანი არ მოგვეწონა და ნომერში გავაშლევინეთ არნახული სუფრა. შალვა შუა სუფრიდან წამოდგა და განაცხადა — ახლა თბილისში უნდა დავრეკო და დავაზუსტო ჩემი დანიშნვის ამბავიო. მისცა შეკვეთა. მაშინვე გავედი და მორიგეს მოვახსენებინე შეკვეთა. რამდენჯერაც მისცა შეკვეთა, იმდენჯერ მოვახსენებინე. გაეჩუდა შალვა — ადრე 10 წუთში გვაკავშირებდნენ, ახლა, ნეტავ, რა დაემართათო?.. მეორე დღეს გადაწყვიტა, სასწრაფოდ გაფრენილიყო თბილისში. არ გვიდლოდა, თბილისში გაეგო სიმართლე და არც ის ვიცოდით, როგორ გაგვეხილა. ქალაქგარეთ გასეირნება შევთავაზე. მე უკანა „სიღვინაზე“ დავსვი და დავინწყე გადაცემა: „ლაპარაკობს ისრაელი, ლაპარაკობს ისრაელი! ნუ დაუფერებთ წერილებს, რომლებსაც აქვეყნებენ, თითქოს აქ ცუდი ცხოვრება იყოს (მაშინ, საბჭოთა კავშირიდან ისრაელი ბევრი მიდიოდა და ამის სანინაღმდეგო პროპაგანდა იყო გაჩალებული). ეს არ არის მართალი. აქ ყველას ხელი მოემართა. ჩამოდიო, ჩვენო მეგობრებო, ოღონდ, ერთ რამეს გეტხოვრებ — თან წამოიყვანოთ ჩვენი ძმა და მეგობარი შალვა ისაკაძე...“ შალვა გამრა. გადმოიხედა უკანა და დაინახა, რომ გადამცემი ხელში მეჭირა. მიყურა, მიყურა და მკითხა — არა ვარ მოადგილეო? — არა, შალვა, გესურვებო, მაგრამ გული არ გაიტყბო, მომავალი წინ გაქვს-მეთქი, — დავამშვიდე..



მე და ჩემმა უსაყვარელმა მეგობარმა — შოთა გაბელაიამ გადავიწყვიტეთ, დასაყრდელად შევზღაპრე წაქუთიყავით. კი, მაგრამ აზას (ცოლს) რა ვუთხარი? — შეწუხდა შოთა. (კადრი ფილმიდან „სამანჩიელის დედინაცვალი“ — შოთა გაბელაია მარტენი)



Brabus-მა R კლასის „მეხედვის“ დახვეწის ჰიმოჯამა წაჩმოადგინა

ლყოფის შედეგად, 272 ცხ.დ. სიმძლავრეს განავითარებს.

სამოდელი რიგის ტოპვერსია — Mercedes R500, ფორსირებული ძრავას სახით V8-ს მიიღებს, რომლის სიმძლავრე 445 ცხ.დ-მდე გაიზრდება და მანქანას Brabus 6.1 S დაერქმევა. ტრადიციისამებრ, „ბრაბუსის“ სპეციალისტებმა აგრეგატის მოცულობა 6,1 ლ-მდე გაზარდეს. ეს მანქანა 100 კმ/სთ სიჩქარის განვითარებას 5,9 წმ-ს მოანდომებს, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი 265 კმ/სთ-ს მიაღწევს.

ატელიეს წინადადებები ეხება აგრეთვე, ძარას კონსტრუქციას, აეროდინამიკურ სისტემას, საკიდრის სრულყოფას, საბორბლე დისკებს, რომელთა ზომები 18-დან 22 დუიმს შორის მერყეობს და ბოლოს, „ბრაბუსი“ ჩვეულებისამებრ, მომხმარებლებს შესთავაზებს მათი გემოვნებისამებრ სალონის მოპირკეთებასა და სხვადასხვაგვარ მოწყობილობა-აქსესუარს. ■

სახელგანთქმულმა ატელიემ ე.წ. კროსოვერის — R კლასის „მეხედვის“ საკუთარი სატიუნინგო პროგრამა წარმოადგინა. გერმანული კომპანიის წინადადებები ამ მოდელის ყველა, მათ შორის დიზელისძრავიან მოდიფიკაციას შეეხება. „ბრაბუსის“ წინადადებით, ვერსია — Mercedes R350-ის ძრავა 332 ცხ.დ. სიმძლავრემდე უნდა გაძლიერდეს, ამასთან, მისი სამუშაო მოცულობა 4 ლ-მდე გაიზარდოს. დიზელისძრავიანი ვერსია, სრულ-

Volvo-მ S80-ის ახალი თაობა წაჩმოადგინა

შვედურმა კომპანიამ სედანის — Volvo S80 — ახალი თაობის ფოტოსურათები და პირველი ოფიციალური ინფორმაცია გაავრცელა. ამ მანქანის პრემიერა მარტისთვისაა დაგეგმილი და ჟენევის საერთაშორისო ავტოსალონზე გაიმართება, მისი წარმოება კი, უკვე ერთი თვის შემდეგ დაიწყება.

S80-ის ბაზას, ახალი პლატფორმა წარმოადგენს და მისი ძარაც განახლებული დიზაინით გამოირჩევა. ახლა სედანი უფრო ელეგანტურად და თანამედროვედ გამოიყურება, ამასთანავე, „მიზანსწრაფული“ პროფილით გამოირჩევა. არადა, S80 იმავე სტილშია შესრულებული, რომელიც ბოლო თაობის Volvo S40-ს ახასიათებს. მათ შორის მსგავსი სტილის ელემენტები არა მარტო ძარას დიზაინში, არამედ ინტერიერის გაფორმებაშიც შეინიშნება.

ახალი სედანი მხოლოდ თანამედროვე ძრავებით იქნება აღჭურვილი. მანქანის ტოპვერსიას 315 ცხ.დ. სიმძლავრის V8 ექნება, რომელსაც ის ყველგანმავალ XC90-ს დაესესხა. მეორე საფეხური, 238 ცხ.დ-ისა და 3,2 ლ მოცულობის აგრეგატს უკავია; მას მოჰყვება 2,5 ლ მოცულობის ხუთცილინდრიანი ტურბოდირავა, რომელიც 200 ცხ.დ. სიმძლავრეს ავითარებს და „ვოლვოს“ ზო-



გიერთ სხვა მოდელს აქვს; მეოთხე ძრავა, ასევე 2,5 ლ მოცულობის ტურბოდირავა, რომლის სიმძლავრეც 185 ცხ.დ-ს შეადგენს.

Volvo S80-ზე პირველად იქნება გამოყენებული ავტომობილსა და მძღოლს შორის დამაკავშირებელი სისტემა — Personal Car Communicator, რომელიც გარდა მულტიმედიური ფუნქციებისა, სხვა მანქანებთან დისტანციის კონტროლის, წინა სავარძლებში

მოკალათებულ მგზავრთა წონის კონტროლისა და ამის საფუძველზე, უსაფრთხოების ბალიშების მოქმედების რეჟიმის დაყენების შესაძლებლობასაც იძლევა.

Volvo S80-ის გასაღების ძირითად ბაზრად კომპანიის მესვეურები ჩრდილოეთ ამერიკას მოიაზრებენ. მათი გეგმების თანახმად, წელიწადში 50 ათასი მანქანა გაიყიდება. ■

Audi-ს სუპერმანქანა ტესტირებას გადის

ამ ცოტა ხნის წინ, ინტერნეტის საავტომობილო საიტებსა და ზოგიერთ პერიოდულ გამოცემაში გამოჩნდა ჯაშუშურად გადაღებული ფოტოსურათები, რომლებიც ადასტურებს, რომ კომპანია „აუდიმ“ მო-

მავალი სუპერმანქანის გამოცდა დაიწყო. ეს იქნება კონცეპტუალური მოდელის — Audi Le Mans Concept — სერიული მანქანა, რომელსაც სავარაუდოდ, Audi R8-ს დაარქმევენ.

მის ბაზას შეადგენს სრულამძრავიანი

პლატფორმა, რომელიც იტალიური მანქანის — Lamborghini Gallardo-ს საფუძველს წარმოადგენს. რაც შეეხება ძრავას — მისი სახეობა ჯერჯერობით ცნობილი არაა. ექსპერტთა ვარაუდით, შესაძლოა, ახალი მოდელი, Audi RS4-ის V8-ის ფორსირებული მოდიფიკაცია იყოს, რომლის სიმძლავრე 400 ცხ.დ-ს შეადგენს, ან ე.წ. ბიტურბინული 600 ცხ.დ-იანი V10. ეს, მეორე ვარიანტი სპეციალისტებს უფრო რეალურად ესახებათ, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ Audi R8, Mercedes McLaren SLR-ის მომავალ კონკურენტადაა მიჩნეული.

„აუდის“ სუპერმანქანის პრემიერა მხოლოდ მიმდინარე წლის დამლევისთვის ან 2007-ის დამდეგისთვისაა მოსალოდნელი. სწორედ მაშინ შეეცდობთ მის ზუსტ ტექნიკურ მახასიათებლებსაც. ■




ახალი სვირინგი ვიქტორიას წალსა

როგორც ჩანს, ვიქტორია ადამსმა კიდევ ერთი სვირინგი გაიკეთა. 31 წლის ყოფილმა „სპაის გელმა“, რომელიც პარიზში „მანელის“ სახლის მიწვევით იმყოფებოდა, მალაზიებში გასეირნებაზეც ვერ თქვა უარი. როდესაც ერთ-ერთი ბუტიკიდან გამოსული ვიქტორია მანქანაში ჯდებოდა, იქვე ჩასაფრებულმა ფოტოგრაფებმა მას წელზე ახალი სვირინგი შენიშნეს. ჯერ-ჯერობით უცნობია, თუ რას ნიშნავს ოთხი ვარსკვლავის ტატუ. უცნობია აგრეთვე, „შედევრის“ ავტორის ვინაობაც. ისე კი, შეიძლება, ბექჰემებს ტატუირების ოსტატის ვინაობის გამხელა არც სურდეთ. დაახლოებით ერთი წლის წინ, ვინმე მოლოდინ ვარსკვლავურ წყვილს რეკლამაში მის მიერ გაკეთებული სვირინგების გამოჩენა აუკრძალა. ამიტომ, რა გასაკვირია, რომ ზემოთ ხსენებული „ოთხი ვარსკვლავის“ შემქმნელმაც იგივე პირობა ნაუყენოს ვიქტორიას.




დიეგო ისავ საანდალზი გახვია



შესაძლოა, დიეგო მარადონა 3 წლით ციხეში აღმოჩნდეს. იგი კუნძულ ბორაბორაზე ერთ-ერთ ქალიშვილთან, ნათესავ გოგონასთან და მეგობრებთან, ერთად გასართობ ღონისძიებაზე იმყოფებოდა. თვითმხილველები იუწყებიან, რომ მთელი საღამოს მანძილზე არგენტინელი სუპერვარსკვლავი მშვიდი და თავდაჭერილი იყო. მოულოდნელად, რამ გამოიყვანა წონასწორობიდან 1986 წლის მუნდიალის გმირი, ვერავინ იხსენებს, მაგრამ იმას კი ყველა დაწვრილებით ჰყვება, რომ დონ დიეგო უეცრად გაღიზიანდა, ჯერ გინება დაიწყო, ხოლო შემდეგ „ბეისბოლისტის თვისებები“ გამოავლინა და ადგილობრივი სილამაზის დედოფალს შამპანურის ჭიქა პრიდაპირ თავში მოახვედრა. გოგონას 6 ნაკერი დაადეს. ბუნებრივია, ლამაზმანმა პოლიციას მიმართა. მარადონა უმაღლეს დააკავეს. არგენტინელმა ლამე პოლიციის განყოფილებაში გაატარა, რის შემდეგაც, ვითარების საბოლოოდ გარკვევამდე, ის გაათავისუფლეს. თუ დიეგოს დანაშაული დაუმტკიცდა, ის შეიძლება, რამდენიმე წლით ციხეში აღმოჩნდეს.

როცა მეზობელი მამაა ცი საუთარი ქარი გავრთება...

5 თვის წინ, 15 წლის ბიჭზე თავდასმაში ბრალდებულმა ჯიბრილ სისემ თავისი ფიზიკური შესაძლებლობების დემონსტრირება კვლავ მოახდინა, ამჯერად — საკუთარ ფეხბურთელებზე. 30 წლის ჯუდი, რომელიც ფეხბურთელზე ექვსი წლითაა უფროსი, იძულებული გახდა, პოლიციისთვის მიემართა, მას შემდეგ, რაც „ლივერპულის“ ფორვარდმა ცემა დაუწყო. „გამოძიების შედეგად, საკუთარ სახლში დააკავეს 24 წლის მამაკაცი. პოლიციის განყოფილებაში იგი ძალადობის ჩადენის ბრალდებით დაპატიმრეს“, — ნათქვამია სამართალდამცავთა მიერ გაკეთებულ განცხადებაში. სისე, თავად ჯუდის თხოვნის შედეგად გაათავისუფლეს, რომელმაც განაცხადა, რომ ქმრის მიმართ სიძულვილს არ განიცდიდა. „ჩვენ ყოველთვის ერთად ვართ“, — დასძინს ფეხბურთელის ცოლი, რომელმაც მშვენივრად იცის, რომ თუ ჯიბრილს ჯარიმის გადახდა მოუწევს, ამით მთელი ოჯახი დაზარალდება. სისე კი უფრო „შორს წავიდა“ და ცოტა არ იყოს, სალაღობო განცხადება გააკეთა — ცოლს მე კი არ ვცემდი, არამედ ჩემი



მეზობელი ურტყამდა, რომელიც ძალიან მგავსო... აი, ასეთი ამბებიც ხდება ხოლმე ფეხბურთელთა ოჯახებში.

ერთობლივი ძალაობით საფაზურთო ხულიგნების წინააღმდეგ

ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელიც მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორებს შეიძლება შეექმნათ, საფეხბურთო ხულიგნობაა. თანაც, სამართალდამცავები თავზე ხელაღებული ქომბაგების გააქტიურებას არა მარტო გერმანიაში, არამედ მუნდიალის მონაწილე სხვა ქვეყნებშიც ელოდებიან. ყველაზე სახიფათოდ კი, რა თქმა უნდა, ინგლისელებს მიიჩნევენ. სწორედ ამის გამო, ამჟამად, ალბიონელი და გერმანელი ძალოვანი სტრუქტურების წარმო-

მადგენლები ერთად განიხილავენ მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის უსაფრთხოების საკითხს. ისინი ერთმანეთისთვის დახმარების განცხადებას აბიურებენ. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა, ინგლისში გერმანელი პოლიციელები გამოჩნდნენ და — პირიქით. უკვე გადაწყვეტილია, რომ მუნდიალის მსვლელობისას, გერმანიაში ადგილობრივ სამართალდამცავებს ალბიონელი კოლეგებიც გაუწევენ დახმარებას. დიდი ბრიტანეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის, პოლ

გოგინსის განცხადებით, 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატი იქცევა პირველ ღონისძიებად, რომელზეც გერმანელი და ინგლისელი პოლიციელები ერთად იმუშავენ. აი, ბრიტანეთში გერმანელი პოლიციელების ჩასვლა კი, ჯერჯერობით, კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. „დარწმუნებული ვარ, ჩვენი პოლიციელები სხვისი დახმარების გარეშეც გაართმევენ თავს ქუჩებში წესრიგის დაცვას“, — ამბობს ბრიტანეთის პარლამენტის წევრი, სტივენ პაუნდი.

გაელობახას წინ ვერაფარი აღუდგება

არცთუ ისე სახარბიელოდ დაიწყო 2006 წელი, ზამთრის სპორტის სახეობების აშშ-ის ეროვნული ნაკრების ზოგიერთი წარმომადგენლისათვის. ჯერ კიდევ ახალი წლის დადგომამდე, სკელეტონისტთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ტიმ ნარდელი საკუთარი გუნდის გოგონების მიმართ სექსუალურ მაძიებლობაში ამხილეს და თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ათლეტთა ჯგუფმა, რომელთა შორისაც, 2002 წლის ზამთრის ოლიმპიადის ჩემპიონი, ტრისტან გელიცი იყო, აშშ-ის ბობსლეისა და სკელეტონის ფედერაციათა ხელმძღვანელებსა და მასმედიას მიმართა. მათი თქმით, ჯერ კიდევ 2002 წელს, მწვრთნელი შეუფერებლად იქცეოდა: უცენზურო გამოხატვებებს იყენებდა და სასტუმროს ნომრებში დაუთხოხვად შედიოდა, მაშინ, როდესაც იქ

გახდელი გოგონები იმყოფებოდნენ. რა თქმა უნდა, თავად ნარდელმ ბრალდება კატეგორიულად უარყო. რამდენიმე დღის წინ, მწვრთნელი თანამდებობაზე დააბრუნეს, რადგან მას დანაშაული არ დაუმტკიცდა... აშშ-ის ნაკრებისთვის კიდევ ერთ უსიამოვნებად იქცა ათლეტ ზაკ ლუნდის სისხლში აკრძალული პრეპარატის კვალის აღმოჩენა. იგი ფინასტერიდის მოხმარებაში ამხილეს. თავად სპორტსმენმა განაცხადა, რომ ეს ნივთიერება მის ორგანიზმში, გამელოტების საწინააღმდეგო წამლის მოხმარების შედეგად აღმოჩნდა. ამჯერად, ლუნდი შეიბრალეს და მას ტურინში ასპარეზობის შესაძლებლობა ექნება. „ეს ჯოჯოხ-



ეთური პერიოდი ჩვენთვის დასრულდა, — ამბობს ლუნდი, — ახლა მხოლოდ ოლიმპიურ თამაშებზე უნდა ვიფიქრო. უკვე მივიღე კარგი გაკვეთილი და დასკვნაც გამოვიტანე: თუ უფალს სურს, რომ მელოტი ვიყო, ამისთვის წინააღმდეგობის განცემა საჭირო აღარ არის“.

ლუკაშენკო ჰოჯის თამაშის მოყვარული ყოფილა

ბელორუსიის პრეზიდენტი, ალექსანდრ ლუკაშენკო ჰოჯისადმი დიდი სიყვარულითაა ცნობილი. მისი გუნდი ჩისტემატურად ატარებს ამხანაგურ მატჩებს და ხშირად იმარჯვებს კიდევც. ამჯერად, ლუკაშენკოს გუნდმა ანგარიშით 12:6 მინსკელი სტუდენტები დაამარცხა. ბელორუსიის თავკაცის გუნდის პირისპირ 7 უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენელთაგან დაკომპლექტებული ნაკრები თამაშობდა. თვითმხილველები იუწყებიან, რომ სპორტის სასახლის ყინულის მოედანზე საკმაოდ საინტერესო და დაძაბული ორთაბრძოლა მიმდინარეობდა. თამაშის მეშვიდე წუთზე ანგარიში პრეზიდენტის გუნდმა გახსნა. პირველი პერიოდი ფრედ — 2:2 დასრულდა, მაგრამ შემდეგ ლუკაშენკომ უფრო აქტიურად შეუტია და თავის გუნდს გამარჯვება მოაპოვებინა.




ევგენი კაფელნიკოვი „პოკერის“ მოყვარულთა ტურნირში მონაწილეობს. „პოკერისტთა“ აღმოსავლეთ ევროპის ჩემპიონატი 30 იანვრიდან 5 თებერვლამდე მოსკოვში მიმდინარეობს. მისი დირექტორი, „პოკერის“ საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი, თომას კრემსერია, რომლის აზრითაც, რუსეთის დედაქალაქში ასეთი მასშტაბის შეჯიბრება პირვე-

აფელნიკოვი „პოკერში“ ცდის ბაღს

ლად ტარდება. „ტურნირში დაახლოებით 100 მოთამაშე მონაწილეობს — ევროპიდან და ამერიკიდან. მათ შორის არიან ცნობილი პირებიც — მაგალითად, პირველი რუსი მსოფლიო ჩემპიონი „პოკერში“ კირილ გერასიმოვი და რუსეთის ყოფილი პირველი ჩოგანი, ევგენი კაფელნიკოვი“, — ნათქვამია ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენლის მიერ გაკეთებულ განცხადებაში. აღსანიშნავია, რომ სიდნის ოლიმპიური თამაშებისა და „დიდი მუზარადის“ ტურნირების გამარჯვებული ადრე, გოლფის შეჯიბრებებშიც მონაწილეობდა, თუმცა, სპორტის ამ სახეობაში მას დიდი წარმატებებისთვის არასოდეს მიუღწევია.

ნატალი და ფრედი გაუიფვლდნენ

ინგლისში მცხოვრებმა ცნობილმა რუსმა მოდელმა, ნატალია ვოდინაოვამ Calvin Klein-ის თეთრულის სარეკლამო კამპანიაში მიიღო მონაწილეობა. მას პარტნიორობას „არსენალის“ შვედი ნახევარმცველი, ფრედი იუნგბერგი უწევდა. 2003 წლიდან ვოდინაოვა Calvin Klein-ის სახეა, თუმცა სარეკლამო პლაკატებზე ამგვარად არასოდეს გამოჩენილა — ახალ პოსტერზე გაშიშვლებული სუპერმოდელი, ასევე გახდით იუნგბერგთან ერთადაა აღბეჭდილი. გადაღებები ნიუ-იორკში მიმდინარეობდა, ხოლო ფოტოგრაფად სტივენ კლი-აინი მუშაობდა. სენსაციური ფოტოები უზარმაზარ სარეკლამო აბრებზე თაიმს-სკვერში თებერვალშივე გამოჩნდება, სულ მალე კი, დამინტრიგებელ შავ-თეთრ სურათებს ცნობილი ჟურნალების მკითხველებიც იხილავენ. უკვე ცნობილია ისიც, რომ ფოტოსესიაში მონაწილეობისთვის სუპერმოდელმა და ფეხბურთელმა მრავალმილიონიანი ჰონორარი მიიღეს. გადაღებების შემდეგ, იუნგბერგმა განაცხადა — რუს ლამაზმანთან, კარგი ურთიერთობის დასამყარებლად, მის მშობლიურ ენაზე რამდენიმე სიტყვაც ვისწავლეო. სხვათა შორის, ფრედი Calvin Klein-ის სახეა 2003 წლიდან.



მაცხილი მისიისა - წმინდა მეფე დავით აღმაშენებელი

8 თებერვალი წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის მოხსენების დღეა. ეს არის დღე, როდესაც გარდაიცვალა დავით IV აღმაშენებელი, რომელიც საქართველოს ეკლესიის სინოდმა XIV საუკუნეში შერაცხა წმინდანად...

შორენა მერკვილაძე

დავით V დაიბადა 1073 წელს. სამეფო ტახტზე 1089-ში — 16 წლის ასაკში ავიდა. იმ პერიოდში, საქართველოს ძალზე მძიმე ხანა ედგა — თბილისი არაბებს ჰქონდათ დაპყრობილი, ქვეყნის ტერიტორიას ჩამოცილებული იყო კახეთ-ჰერეთი... ამ უბედურებას მინისძვრაც დაერთო და მრავალი ქალაქი და სოფელი დაინგრა...

სამეფო ტახტზე ასულმა დავითმა უპირველესად, დიდი თურქობის დროს გაქცეულ და მიუვალ ადგილებში გახიზნულ ქართველთა ძველ ნამოსახლარზე დასაბრუნებლად იზრუნა. შემდეგ, აზნაურებზე დაყრდნობით ქვეყნის გაერთიანებას მიჰყო ხელი.


ახალგაზრდა გვირგვინოსანი ხედავდა, რომ ქვეყნის უბედურების სათავე, რწმენის უგულვებელყოფა იყო, ამიტომ მისი მთავარი საზრუნავი ეკლესია გახდა. 1103 წელს, რუისისა და ურბნისის მახლობლად საეკლესიო კრება მოიწვია. ეს კრება რუის-ურბნისის სახელწოდებითაა ცნობილი ისტორიაში. კრებამ აღადგინა და გააძლიერა ეკლესიის ავტორიტეტი, აიკრძალა საეკლესიო თანამდებობების გაყიდვა, განიკვეთნენ უღირსი ღვთისმსახურნი და სხვა. ეკლესია, ერისა და სახელმწიფოს ძირითადი დასაყრდენი გახდა.

საეკლესიო რეფორმებთან ერთად, გვირგვინოსანი ქვეყნის გაერთიანებაზეც დღენიდავდა ზრუნავდა. უპირველესად, კახეთ-ჰერეთის შემოერთება განიზრახა, თურქებმა და მოღალატე ფეოდალებმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს მეფეს. ღვთის წყალობას მინდობილი დავით V, მცირერიცხოვანი ლაშქრით ერწუსთან უშიშრად შეებრძოლა თურქთა უზარმაზარ მხედრობას. მეფეც რიგითი ჯარისკაცივით იბრძოდა. 3 ცხენი მოუკვლეს ბრძოლაში, მეოთხეზე ამხედრებულმა ბრძოლა საკვირველი გამარჯვებით დაასრულა.

რამდენიმე წელი, დავით აღმაშენებელმა ქვეყნის საშინო საქმეების მოგვარებას მოახმარა, შემდეგ კი, თურქებთან საქართველოს განწმენდას შეუდგა.

თურქთა სულთანის — მუჰამედი 100-ათასკაციანი ლაშქრით დაიძრა საქართველოსკენ. დავითი 1500 მეომრით წავიდა თრიალეთისკენ და მტერს სასტიკი დამარცხება აგება. 1115 წელს, მტკვრის ხეობა მთლიანად შეუერთა საქართველოს. ერთი წლის შემდეგ, კარნიფორსა და ბასიანს შორის დაბანაკებული თურქებიც განდევნა...

სულ 60 დიდი და პატარა ომი გადაიხადა დავით აღმაშენებელმა, ბევრჯერ დაჭრილა, მაგრამ სამოცჯერვე გამარჯვებუ-



ლი დაბრუნდა ბრძოლის ველიდან. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი, დიდგორის ბრძოლა იყო, რომელიც 1121 წლის აგვისტოში გაიმართა. დიდგორის ბრძოლის დანების წინ, დავითმა შემდეგი სიტყვებით მიმართა ჯარს: „ეჰა, მეომარო ქრისტესანო! თუ ღმერთის სჯულის დასაცავად თავდადებით ვიბრძოლებთ, არამცთუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკსაც ადვილად დავაპარცხებთ. და ერთ რასმე გირჩევთ: ჩვენ ყველამ, ხელების ცისკენ აღმყრობით, ძლიერ ღმერთს აღთქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისთვის ამ ბრძოლის ველზე დავიხოცებით და არ გავიქვევით...“ მეფის სიტყვებმა საოცარი რწმენით ალავსო მე-ბრძოლნი. მოულოდნელად, ლაშქარმა ციდან დაშვებულ ღრუბლებში გახვეული, თეთრ ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგი იხილა: „რამეთუ პირველსავე ომსა იოტა ბანაკი მათი და ივლტოდა, რამეთუ ხელი მალღისა შეწეწოდა და ძალი ზეგარდმო ფარვიდა მას, და წმინდა მოწამე გიორგი განცხადებულად და ყოველთა სახილველად წინაუძღოდა მას და მკლავითა თვისითა მოსვრიდა ზედამოწეწულთა უსჯულოთა მათ წარმართთა, რომელ თვით იგი უსჯულონი და უმეცარნი... აღიარებდნენ და მოგვიტხორობდეს სასწაულსა ამას მთავარმოწამისა გიორგისსა“, — მოგვიტხორობს დიდგორის ბრძოლის შესახებ

დავითის მემკვიდრე... დიდგორის ბრძოლა 12 აგვისტოს (ძველი სტილით) დაიწყო და 15 აგვისტოს ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა...

1122 წელს, დავით მეფემ ოთხასწლიანი ტყვეობიდან გაათავისუფლა თბილისი. 1123 წელს, დმანისიც შემოიერთა და ამით საქართველოს გაერთიანება საბოლოოდ განასრულა.

დავით აღმაშენებლის მეფობის ჟამს, საქართველოში მრავალი ეკლესია და მონასტერი აიგო, რომელთა შორისაც, განსაკუთრებული ადგილი უკავია გელათის მონასტერს, რომლის მშენებლობაც 1106 წელს დაიწყო. გელათში წმინდა მეფემ საქართველოსა და უცხოეთში მოღვაწე ქართველი მეცნიერები და სიკეთით, სინამდითა და სათნოებით აღვსილი სასულიერო პირები მიიწვია. ასე დაედო სათავე უმაღლეს სასწავლებელს — გელათის აკადემიას, რომელიც ახალ ათენად იწოდებოდა. გელათის მონასტრის კომპლექსში შედიოდა ქსენონიც — სამკურნალო (საავადმყოფო), სადაც სწულთა მოსაწახლებლად თავად მეფე დავითი წმინდად მიდიოდა...

რამდენიმე წლის შემდეგ, დავით აღმაშენებლის მზრუნველობით, კახეთში იყალთოს აკადემია დაარსდა, გაძლიერდა შიომღვიმის საჯანოც...

დავითის მზრუნველობა არც საქართველოს ფარგლებს გარეთ მრავლად არსებულ ქართულ საჯანოს მოჭკლებია. ეს მარეზოდა საბერძნეთის, ასურეთის, კვიპროსის, შავი მთისა და პალესტინის ცენტრებში მოღვაწე ბერებს. დიდძალი საბოძვარი გაიღო იერუსალიმის წმინდა ადგილების შესანიშნავად...

ცნობილია, რომ დავით V თავისუფალ დროს, „სალმერთო წერილის“ კითხვასა და სხვა მეცნიერებათა წვდომას ანდობებდა. მას ნიგუნები ომებშიც კი თან დაჰქონდა.

დავით მეფე სწორუპოვარი ჰიმნოგრაფიც გახლდათ. მან დანერგა „გალობანი სინანულისანი“, რომელიც ღრმა სულიერებით გამოირჩევა. წმინდა მეფემ მწარე გოდებით მოიხსენია ყველა ცოცხალი, ნებსით თუ უნებლიეთ ჩადენილი, და შეწყალება გამოსთხოვა ყოველისმწყობრელ მსაჯულს — უფალს.

1125 წელს, საკუთარი ხელით დასვა ტახტზე თავისი ძე დემეტრე (შემდგომში, ღირსი დამიანე, დემეტრეყოფილი) და დაულოცა გზანი მეფობისანი. თავად კი, სულ მალე აღესრულა — 1125 წლის 26 იანვარს.

წმინდა დავით აღმაშენებელი, მის მიერ აგებული გელათის მონასტრის შესასვლელში დაასაფლავეს: „ესე არს განსასვენებელი ჩემი უკუნითი უკუნისამდე, ესე მთნავს, აქა დავემკვიდრე მე“, — ეს წარწერა დღემდე შემორჩა მისი საფლავის ქვაზე.

მაქსიმე აღმსარებელი და მის სუფლავზე აღსრულებული სასწაულები

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ერთ-ერთ უმთავრეს სინონდეს წარმოადგენს მაქსიმე აღმსარებლის საფლავი. მისი ცხედარი ცაგერის რაიონში, მურისციხის ხეობაში მდებარე წმინდა მაქსიმე აღმსარებლის სახელობის პატარა ეკლესიის ტრაპეზის ქვეშ განისვენებს. მაქსიმე აღმსარებელი უდიდესი ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი გახლდათ. მისი შრომების ნაწილი ასკეტური სწავლების წიგნშია შესული...

შორენა მერკვილაძე

წმინდა მაქსიმე აღმსარებელი დაიბადა 580 წელს, კონსტანტინოპოლში, კეთილმსახურ ქრისტიანთა ოჯახში. სიყმაწვილეში მრავალმხრივი განათლება მიიღო: სწავლობდა ფილოსოფიას, რიტორიკას, ღვთისმეტყველებას. თავისი განსწავლულობისა და კეთილსინდისიერების წყალობით, მალე იმპერატორ პერაკლეს (610-641) პირველი მდივანი გახდა. მაგრამ სამეფო კარის ცხოვრებას ვერ შეეგუა, ამიტომ დატოვა იქაურობა და ხრისოპოლის მონასტერში (ქალკედონის მახლობლად) ბერად აღიკვეცა. თავისი ლოცვით, მადლითა და შეგონებით, მრავალი ურწმუნო ადამიანი მოაქცია ჭეშმარიტ სჯულზე. წმინდა მაქსიმემ მალე, მონასტრის სამოსს გულწრფელი სიყვარული დაიმსახურა და მონასტრის წინამძღვარი გახდა. იმ პერიოდში სათავე დაედო მონოთელიტთა ცრუსწავლებას, რომელსაც მხარი დაუჭირეს ალექსანდრიის პატრიარქმა — კიროსმა, კონსტანტინოპოლის პატრიარქმა სერგიმ და იმპერატორმა პერაკლემ. მონოთელიტთა ცრუმოდღვრებას სასტიკად შეეწინააღმდეგა იერუსალიმის პატრიარქი სოფრონიუსი, რომლის თხოვნითაც, წმინდა მაქსიმე აღმსარებელმა დატოვა მონასტერი და მასთან ერთად დაიწყო ბრძოლა ცრუმოდღვრების მიმდევართა წინააღმდეგ.

მაქსიმე მხურვალედ იცავდა მართლმადიდებლობას, ქადაგებდა იესო ქრისტეს ორ ბუნებას — ღვთაებრივსა და კაცობრივს, რომელსაც თან ახლავს ორი ნება — ღვთაებრივი და კაცობრივი. ამის გამო, მას სასტიკად უსწორდებოდნენ — დევნიდნენ, ფიზიკურად შეურაცხყოფდნენ, რამდენჯერმე დაიჭირეს და დილეგში ჩააგდეს, მაგრამ მისი რწმენა ვერ გატყუეს. უშიშრად დადიოდა ქალაქიდან ქალაქში, ქვეყნიდან ქვეყანაში და ქადაგებდა ჭეშმარიტ სჯულს.

წმინდა მაქსიმეს ბოლოს, სასტიკად გაუსწორდნენ ცრუსწავლების მიმდევრები — მარჯვენა ხელი და ენა მოაჭრეს და დასავლეთ საქართველოში გადასასახლეს. როგორც ბერძენი სწავლულე-



ბი წერენ, მაქსიმე აღმსარებელმა სიცოცხლის უკანასკნელი წლები ლაზიკაში, სქიმარის ხეობაში — სხიმარისის ციხესიმაგრეში, ყველაზე მიუდგომელ ადგილზე გაატარა. საქართველოში ყოფნისას, წმინდა მაქსიმეს სასწაულებრივად აღუდგა მეტყველების უნარი, მარჯვენა ხელზე კი ჯოხი მოიბა და ისე წერდა ეპისტოლეებს (მისი მარჯვენა ხელი ათონის წმინდა მთაზე დავანებული).

წმინდა მაქსიმე ცაგერის რაიონში, მურის ხეობაში გარდაიცვალა და იქვე დაკრძალეს. ამჟამად, მაქსიმე აღმსარებლის გარდაცვალების ადგილას, წმინდანის სახელობის პატარა ბაზილიკა დგას, რომლის საკურთხევლის ტრაპეზის ქვეშ დავანებულია მისი წმინდა ნეშტი.

როგორც აღვნიშნეთ, ბერძენი სწავლულები, მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრების აღწერისას ბრძანებენ, რომ მან სიცოცხლის ბოლო წლები ლაზიკაში, სქიმარის ხეობაში გაატარა, რომელიც ცაგერის რაიონში მდებარეობს, თუმცა კონკრეტულად რა ადგილას მდე-

ბარეობდა სქიმარის ციხესიმაგრე, არავინ იცოდა. ამიტომ მრავალი წლის მანძილზე ეს ადგილი მეცნიერთა კვლევა-ძიების საგანს წარმოადგენდა. რამდენიმე წლის წინ, ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოსმა სტეფანემ სრულიად შემთხვევით მიაკვლია მას: „2003 წელს, ცაგერისა და ლენტეხის ეპარქიაში არსებული წმინდა ადგილების მონახულება გადაწყვიტეთ. მდინარე ხელედურის ხეობას გავყევით, მაგრამ მდინარე ადიდებული იყო და ძნელად სავალ გზებზე მსუბუქი ავტომობილი გზის გაგრძელება ვერ მოხერხდა. ამიტომ გზად მიმავალ „კამაზის“ ავტომობილს გავყევით. მძლოლი გზადაგზა იქაურ ადგილებს გვაცნობდა. ერთ მალაღმთიან ადგილზე კი მიგვანიშნა — იქ არის სკიმერი — ჩვენი საძოვრების ადგილიო. მაშინვე გავიფიქრე, სკიმერი ბერძენებმა სხიმარისად, სქიმარად ხომ არ თარგმნეს მეთქი. მეორე დღესვე გავმგზავრეთ სკიმერის ხეობისკენ, სადაც ჩვენი ვარაუდით, ციხესიმაგრის ნანგრევები უნდა დაგვხვედროდა, რაც იმაზე მიგვანიშნებდა, რომ სწორედ იქ არის წმინდა მაქსიმე აღმსარებლის გადასახლების ადგილი, ბერძნულ წყაროებში მოხსენიებული ციხესიმაგრე სხიმარისი. იქ მართლაც აღმოჩნდა ციხესიმაგრის ნანგრევები, სკიმერი ძალზედ ჰგავს ბერძენების მიერ აღწერილს“, — ბრძანებს მეუფე სტეფანე.

გადმოცემის თანახმად, წმინდა მაქსიმე აღმსარებლის საფლავზე ლამაღობით სამი ლამპარი ჩნდებოდა. ამ სასწაულის მხილველი, მრავალი ადამიანი იყო. წმინდანის საფლავზე სხვა მრავალი სასწაულიც აღსრულებულა — განკურნებულან სნეულნი და სხვა. წმინდა მაქსიმეს ასევე შესთხოვენ სარწმუნოებაში გაძლიერებას და განმტკიცებას. წმინდანის საფლავთან მორწმუნენი სხვა თხოვნითაც მიდიან — მაგალითად, ავდრის დროს, ცუდი ამინდის შეჩერებას შესთხოვენ, ხანგრძლივი გვალვის ჟამს — წვიმის მოსვლას. წმინდა მაქსიმე ადამიანებს მრავალ თხოვნას უსრულებს — მთავარია, წმინდა საფლავს რწმენითა და სასოებით მივეახლოთ.

წმინდა მაქსიმე აღმსარებელს ეკლესია წელიწადში ორჯერ — 3 თებერვალსა და 26 აგვისტოს იხსენიებს. 3 თებერვალს მას ენა და ხელი მოჰკვეთეს, 26 აგვისტოს კი მოიხსენიება მაქსიმე აღმსარებლის გარდაცვალების დღე.

ინოვაციური-შეხვედრითი კოლაჟი

ეოზა ღვალის უბის წიგნაკრები:

1. „ბორკილი“ და „ტიოლო“ სინონიმებია.
2. ზვიგენი 35 წელიწადს ცოცხლობს.
3. კლინტი ისტვუდი კორეის ომში იბრძოდა.
4. შვედარდისა და გავაზის ხმიანობას ყიყიპი ჰქვია.
5. „ჭეშმარიტება ღვინოშია“, — ამბობდნენ რომაელები.
6. ყაჯარი, უნაგირზე გადასაფარებელი მოქარგული ქსოვილია.



7. „რამდენი რამაა ამქვეყნად, რაც არ მჭირდება“, — ამბობდა სოკრატე.
8. „ყველაზე კარგი ბალიში — სუფთა სინდისია“, — ამბობდა ჰენრიკ იბსენი.
9. თემურ მღებრიშვილს ბავშვობაში, ხუჭუჭა თმის გამო, პუშკინას ეძახდნენ.
10. ავტომობილ „მერსედეს-ბენცის“ პატრონებს ზედმეტ კითხვებს არ უსვამენ.

11. კარლ მარქსი, პრომეთეს ყველაზე კეთილშობილ ნამებულ წმინდანს ეძახდა.
12. ახალ, ფოჩიან ხახვს, რომელსაც ჯერ ბოლქვი არა აქვს განვითარებული, თალიში ჰქვია.
13. „ნედავნო კალხოზ — „პუტ ლენინა“ პერეიმენოვლი ვ „ლენ პუტინა“, — არ ისვენებს მიხაილ ყვანეცკი.
14. „ჩემს ცხოვრებაში ცეცხლოვანი მხოლოდ სიგარეტი და სანთებელია“, — ოხრავს ვუპი გოლდბერგი.
15. ალექსანდრე მაკედონელის კარის მოქანდაკეს, ლისიპეს 1500-ზე მეტი ბრინჯაოს ქანდაკება ჰქონდა შექმნილი.

16. ალენ დელონმა თავისი სამსახიობო კარიერის განმავლობაში, 89 ფილმში ითამაშა, აქედან 86 ფილმში მთავარი როლი შეასრულა.
17. მადამ ტიუსოს მუზეუმს ლონდონში ყოველწლიურად, 3 მილიონი ადამიანი სტუმრობს, ორჯერ მეტი, ვიდრე თეთრ სახლს — ვაშინგტონში.
18. რაიმონდ პაულსმა 4 წლის ასაკში დაიწყო მუსიკის შესწავლა. მამამისს უთხრეს, რომ მისი შვილისგან არასდროს გამოვიდოდა პიანისტი, მას საამისოდ ძალიან მოკლე თითები აქვსო.

19. თხზულება — „რჩევები ახალგაზრდა ვაჭარს“ — ბენჯამინ ფრანკლინის მიერაა დაწერილი. სწორედ ამ ნაშრომში იხმარა მან პირველად გამოთქმა „დრო ფულია“, რომელიც მომავალში, მთელ ამერიკაში, ხოლო შემდგომ — მთელ მსოფლიოში გავრ-

ღიქვსატყობით გამდიდრებული ჰირველი მილიონერი მწეწაფი

ორი საუკუნის წინ დაიბადა მწერალი, ვისი წიგნებთანაც მსოფლიოს ყველა კუთხის ნორჩი მკითხველი ეცნობოდა ისტორიას. ეს ალექსანდრე დიუმა-მამა გახლდათ. ცოტა რომ წამოიზრდებოდნენ, იმავე მკითხველისთვის ნათელი ხდებოდა, რომ დიუმას რომანებში ნამდვილი ისტორიის ხსენებაც კი არ იყო. მაგრამ ეს სრულებითაც არ ანელებდა მილიონობით ადამიანს სიყვარულს „სამი მუშეცტერისა“ და „გრაფი მონტეკრისტოს“ ავტორისადმი. წიგნებმა დიუმა ლიტერატურის ისტორიაში პირველ მილიონერად აქცია, თუმცა, პირველი ბესტსელერების ავტორმა მთელი ცხოვრება იმის შიშში გაატარა, ვალდებისთვის ციხეში არ ეკრათ თავი და ამ შიშითვე გარდაიცვალა...



„შავი ტიტა“

ალექსანდრე დიუმას შემოქმედებითი ცხოვრება ნახევარი საუკუნეც არ გაგრძელებულა, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში, მან გამოსცა ასობით პიესა და პროზის ათასზე მეტი ტომი. ამით მან იმ დროისთვის აბსოლუტური რეკორდი დაამყარა. მწერალი დღე-ღამეში 12-15 საათს მუშაობდა შეუსვენებლად და თავისი დახვეწილი კალიგრაფიით ქაღალდის „მთებს“ ავსებდა. თვეში ის რამდენიმე ტომს უშვებდა. ალექსანდრე დიუმა რაღაც განსაკუთრებული, აულაგმავი ტემპერამენტით გამოირჩეოდა, რაც საშუალებას აძლევდა, ასეთი ტემპით ემუშავა და პარალელურად, ძალზე სისხლსავსე ცხოვრებით ეცხოვრა. ის ავანტიურისტიც იყო, ლოველასიც, აზარტული მოთამაშეც, დუელანტიც, ჟურნალისტიც, მოგზაურიც, მეთევზეც, მონადირეც, თეატრისა და რამდენიმე ჟურნალის მფლობელიც, ჯარისკაციც, პოლიტიკოსიც, რევოლუციონერიც და მოყვარული კულინარიც. ეს გამოირჩეული ტემპერამენტი ალექსანდრე დიუმას გენეტიკურადაც დაჰყვა. მწერლის პაპამ — მარკიზმა დავიდე ლა პაიეტრიმ, რომელმაც მეფის არტილერიის გენერალურ კომისრობას მიაღწია, საფრანგეთი დატოვა და კუნძულ ჰაიტის დასავლეთ ნაწილში, თავის პლანტაციოში დასახლდა. მაშინ ეს კუნძული საფრანგეთის კოლონია იყო და სან-დომინგოდ იწოდებოდა. იქ მარკიზი შეგვიანდნენ მონა ქალს დაუახლოვდა, რომელმაც მულატი ვაჟიშვილი გაუჩინა. ბიჭუნას ტომ-ალექსანდრე დაარქვეს.

სიცოცხლის ბოლოს, მშობლიურ ნორმანდიაში დაბრუნებულმა პლანტატორმა მარკიზმა ბიჭიც თან წაიყვანა. რევოლუციის წინა პერიოდის საფრანგეთში შავგვრემანმა, თავისი ასაკისთვის ძლიერმა ბიჭმა თავი ისე იგრძნო, როგორც თევზმა წყალში. 20 წლის ყმაწვილი რესპუბლიკელთა ჯარში შევიდა დედის გვარით — დიუმა და შესანიშნავი სამხედრო კარიერა გაიკეთა. მას ორი წელიწადიც კი არ დასჭირვებია, რომ კაპრალიბიდან არმიის გენერლობისთვის მიეღწია.

დიუმა-პირველი (ტრადიციის გათვალისწინებით) მას ალბათ დიუმა-პაპა უნდა ვუნოდოთ) მსახურობდა ნაპოლეონთან, მონაწილეობდა ეგვიპტისა და იტალიის ლაშქრობებში და სამხედრო საქმეში მიღწეული წარმატებებისთვის მარშლის კვერთხი ელოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ნაპოლეონმა თავი იმპერატორად გამოაცხადა, რესპუბლიკელი გენერალი დემონსტრაციულად გადადგა. ის შეთქმულებაში დაადანაშაულეს და გადაასახლეს. გადასახლებაში ტყვედ ჩაუვარდა ყოფილ მტრებს. მართალია, როგორღაც თავი დააღწია ტყვეობას, მაგრამ ჯანმრთელობა უკვე ისე ჰქონდა შერყეული, რომ ძალიან მალე, 44 წლისა გარდაიცვალა პროვინციულ ქალაქ ვილ-კოტრში და თავისი ქვრივი და 4 წლის შვილი ალექსანდრე თითქმის უსახსროდ დატოვა.

ასე რომ, მომავალ რომანისტს წინაპრებისგან ერგო: აულაგმავი კრეოლური სისხლი, ამოუწურავი სიცოცხლისუნარიანობა, ნებისყოფა, ენერგია, თავგადა-

სავლეთისკენ ლტოლვა და სიღარიბე, რომელიც მან ზემოთ ჩამოთვლილი თვისებების წყალობით დასძლია და დიდებდა და სიმდიდრედ აქცია.

ალექსანდრე დიუმას არანაირი განათლება არ მიუღია. მან ადგილობრივი აბატის ხელშეწყობით, თითქმის დამოუკიდებლად ისწავლა წერა-კითხვა. მოულოდნელად, თვითონვე აღმოაჩინა, რომ კალიგრაფიის ნიჭი ჰქონდა და 13 წლისამ, როგორც იშვიათი სიღამაზის ხელწერის მქონემ, ქალაქის ნოტარიუსთან დაიწყო მუშაობა. იმ დროს, მომავალი რომანისტი უკვე წერდა ლექსებს და ლიტერატურულ დიდებაზე ოცნებობდა. ოცნებამ კონკრეტული სახე მამინ შვიძინა, როცა მან შექსპირი „აღმოაჩინა“. ახალგაზრდა დიუმა უკვე დარწმუნებული იყო, რომ მისი პიესები პარიზს დაიპყრობდა.

მაგრამ ჯერ პარიზამდე უნდა ჩაეღწია. გასამგზავრებლად საჭირო თანხა მან სულ ერთი საღამოს მანძილზე იშოვა: ის კიდევ ერთი იშვიათი ნიჭით იყო და-ჯილდოებული — ბადალი არ ჰყავდა ბილიარდის მაგიდასთან. ალექსანდრემ ფუნდუკის მფლობელს 600 ჭიკა აბსენტი მოუგო, მაგრამ ამჯობინა, მონაგები ფულით მიეღო. ამ თანხამ ზუსტად 90 ფრანკი შეადგინა, რაც სავესებით საკმარისი იყო პარიზში გასამგზავრებლად და იმისთვისაც, რომ პირველ ხანებში თავი გაეტანა.

დარტანიანი პარიზში

თავისივე გმირი გასკონელის მსგავსად, პარიზის მომავალ დამპყრობს არც სახელი ჰქონდა, არც ფული და არც პროფესია. მისი სასტარტო კაპიტალი იყო მტკიცე ხელი, რომელშიც კალამი ეყარა და არა დაშნა, ხოლო სარეკომენდაციო წერილი მიჰქონდა არა დე ტრევილთან, არამედ მამის თანაპოლკველ გენერალ დე ფუასთან. და ეს სრულიად საკმარისი აღმოჩნდა: გენერლის პროტექციით, ახალგაზრდა დიუმამ გადაწერის ადგილი მიიღო ჰერცოგ ორლენელის კანცლარი-იანში, თვეში 100 ფრანკი ხელფასით.

ალექსანდრე დიუმამ დარტანიანს საშინელი უვიცობითაც ენათესავებოდა. მაგრამ თუ მებრძოლსა და დუელანტს წიგნები არც არაფერში სჭირდებოდა, მომავალ ლიტერატორს მით უმეტეს მსოფლიოს მამინდელ ლიტერატურულ დედაქალაქში, აუცილებლად უნდა ეფიქრა განათლებაზე. ამიტომ, კოლეგების დამციანი ნათქვამი — რაიმე მაინც წაგეკითხა, რომ საზოგადოებაში გამოჩენის არ შეგრცხვესო, — პროვინციელმა დიუმამ სავესებით სერიოზულად აღიქვა. ორი წლის განმავლობაში, მან უამრავი წიგნი წაიკითხა. კითხულობდა განურჩევლად ყველაფერს, რაც კი ხელში მოხვდებოდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში, უარს ამბობდა ყოველგვარ ახალგაზრდულ სიამეზე, უფრო მეტიც, ძილიც კი შეიზღუდა და საამისოდ მხოლოდ 4 საათი გაიმეტა...

მისი ფენომენური მეხსიერების გათვალისწინებით, ეს ორი წელი, რომელიც ერთი შეხედვით ქაოსურ, წალმა-უჭკულმა კითხვას მოანდომა, სისტემატურ, საუნივერსიტეტო კურსს უდრის.

პარალელურად დიუმა წერდა პიესებს და მოთხრობებს, როგორც წესი — მასსავით დამწყებ ლიტერატორებთან თანაგვტორობით. პირველმა პიესამ — „ნადირობა და სიყვარული“, რომელიც 1825 წელს დაიდგა სცენაზე, თეატრის რეპერტუარში ერთი წელიც ვერ გაძლო. მაგრამ მიუხედავად ამისა, მის თითოეულ სპექტაკლს სამი თანაგვტორისთვის 4-4 ფრანკი მაინც მოჰქონდა. ასე რომ, დიუმამ ამ პიესით 350 ფრანკი იშოვა. მეორე პიესამ თითქმის ორი ამდენი მოუტანა. მთელი გამომუშავებული თანხა მან თავისი ნოველების პირველი ტომის გამოცემას მოახმარა, რომელიც მთლიანად მისი ხარჯით გამოიცა. მიუხედავად იმისა, რომ სადებიუტო წიგნის წარმატება პიესებთან შედარებით კიდევ უფრო მოკრძალებული იყო და გამომცემელმა მხოლოდ მისი 4 ეგზემპლარის გაყიდვა შეძლო, ავტორი ამას ოდნავადაც არ შეუშფოთებია. ოცნებებში მას თავი არა მარტო სცენის მეფედ, არამედ უკვე ცნობილ რომანისტადაც კი წარმოედგინა, რომლის წიგნებს მთელი მსოფლიო ინტერესით კითხულობდა. ეს რომ სიმართლისგან არცთუ ისე შორს იყო, ძალიან მალე დამტკიცდა.

მაგრამ მანამდე, ალექსანდრე მწერალ-ნოვატორთა წრეს გაეცნო. ისინი თავს რომანტიკოსებს უწოდებდნენ. ახალ მიმდინარეობას მეთაურობდა ვიქტორ ჰიუგო, რომელმაც დიუმაც მოხიბლა. მან მაშინვე შეთხზა რამდენიმე რომანტიკული დრამა, ისტორიულ მასალაზე დაყრდნობით და ერთ-ერთმა მათგანმა — „ანრი და მისი კარი“, — რომელიც 1829 წელს ცნობილი თეატრის — „ოდონის“ სცენაზე დაიდგა, ალექსანდრე დიუმას მთელ პარიზში გაუთქვა სახელი.

პიესამ, რომელშიც მხოლოდ ბრმა ვერ დაინახავდა ანტიმონარქისტულ მოწოდებას, ფურორი მოახდინა ქვეყანაში, რომელიც მორიგი ბურჟუაზიული რევოლუციისკენ მიექანებოდა. მანამდე, წელიწადზე ნაკლები იყო დარჩენილი, პრემიერას ესწრებოდა 27 წლის დრამატურგიის „ბოსიც“ — ჰერცოგი ორლენელი, რომელიც მეფე შარლ მეათის იმხანად ზომიერ ოპოზიციას ედგა სათავეში. ჰერცოგი კმაყოფილი იყო თავისი პროტექციით. მეფემ ჯერ დააპირა, აეკრძალა ეს ფეთქებადსამიში პიესა, მაგრამ ანგარიში გაუწია საზოგადოებრივ აზრს და უკან დაიხია. ამან პოლიტიკური ქულები შემატა მის მოწინააღმდეგეს. ჰერცოგმა კი სამსახურში დაანინაურა დიუმა — თავის პირად ბიბლიოთეკარად დანიშნა. ეს იყო სინეკურა — თანამდებობა მოველეთის გარეშე, რომელიც წელიწადში 1.200 ფრანკს იძლეოდა. ახლა კი, როცა ახალგაზრდა დრამატურგის სახელი ყველას პირზე ეკრა, ხოლო მისი სხვა პიესები

ინფორმაციულ-მედიცინური კოლაჟი

ეკრა ღვალის უბის წიგნაკიდან:



ცვლდა. 20. XV საუკუნეში, მოდის მიმდევარი ქალბატონები ხშირად იყენებდნენ კორპის ბურთულებს და თავის ბენეს. კორპის ბურთულეში პირში, ლოყის შიგნით ჰქონდათ მოთავსებული, რათა სახისთვის მრგვალი ფორმა მიეცათ, თავის ბენესისგან კი, ხელოვნურ წარბებს ამზადებდნენ.

21. „ნუ შეაფასებთ ადამიანს ტანისამოსის მიხედვით, შეაფასეთ ცოლის ტანისამოსის მიხედვით“, — ამბობდა ამერიკელი მწერალი ტომას დიუარი.

22. სანქტ-პეტერბურგში დაარსებული პირველი კუნსტაკამერის (ასე ეძახდნენ თავდაპირველად, მუზეუმს) წესდებამში, რომელიც ჯერ კიდევ პეტრე პირველის დროს იყო დამტკიცებული, არსებობდა პუნქტი, რომლის მიხედვითაც, კუნსტაკამერის ნებისმიერ დამთვალეიერებელს უნდა გამასპინძლებოდნენ. P.S. ოლონდაც ვინმე შესულიყო დასათვალეიერებლად და...

23. ერთი ავსტრალიელი მხატვარი ბატის გამხმარი, დაფშენილი სკორესა და წებოს გამოყენებით ქმნის თავის ნახატებს. „ჩემი ნამუშევრები ჯერ ვერ გავყიდე, მაგრამ სამაგიეროდ, ფრჩხილების კვნეტას გადავჩვიე“, — განუცხადა მან ერთ-ერთ ტელეჟურნალისტს.

24. ერთხელ, საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო მეოთხემეტემ შესძახა: „ვერანაირი სამხედრო მარცხი ვერ შეედრება იმ დანაკარგებს, რომლებიც საკუთარ მეცნიერთა გულმოდგინებამ მომიტანა!“ ეს მეცნიერები, გეოგრაფები გახლდნენ: 1693 წელს, გრძედის პირველმა ზუსტმა გაზომვამ ცხადყო, რომ საფრანგეთის საზღვრები არც ისე უკიდევანო იყო, როგორც მანამდე ეგონათ.

25. 1140 წელს, ხანგრძლივი ალყის შემდეგ, რომის წმინდა იმპერიის მმართველის, კონრად მესამის ჯარმა ქალაქი ვეისბერგი აიღო. გამარჯვებულმა მეფემ სულგრძელობა გამოიჩინა და ქალაქში მცხოვრებ ქალებს თავისუფლება აჩუქა. მათ ნება ეძლეოდათ, თან წაეღოთ ყველაზე ძვირფასი, რის წაღებასაც ისინი შეძლებდნენ. ამ კეთილშობილური შესტის გამო, კონრად მესამემ დაკარგა ყველა ტყვე მამაკაცი, თუმცა ამას ნამდვილად არ ელოდა. ქალებმა საკუთარი ზურგებით გაიყვანეს ქმრები, ძმები, შვილები და მამები ქალაქიდან.

მთლიანად დაინანილეს ცოტად თუ ბევრად ცნობილმა თეატრებმა, დიუმას უკვე შექმლო, მუშაობა დაეწყო თავის დიდი ხნის ჩანაფიქრზე — ისტორიული რომანების სერიაზე.

მანამდე კი, მან მოგზაურობა გადაწყვიტა. ის უკვე მზად იყო ალჟირში გასამგზავრებლად, მაგრამ გეგმები ჩაეშალა. 1830 წლის ივლისში, პარიზელებმა მეფის წინააღმდეგ აჯანყება მოაწყვეს. დიუმას სისხლში მამის გენმა იყვილა — მონა ქალის შვილიშვილი და რესპუბლიკელი გენერლის ვაჟიშვილი თავიანთ-ფეხებიანად გადაეშვა აჯანყების მორევში. როგორც ყველა, ისიც მონაწილეობდა ქუჩის ბრძოლებში, აგებდა ბარიკადებს, მღეროდა „მარსელიეზას“ და მთელი ძალით იქნევდა სამფეროვან დროშას.

ეს რევოლუცია, როგორც ცნობილია, მხოლოდ დეკორაციის შეცვლით დამთავრდა. ძველი მეფის ნაცვლად, ფრანგებმა ახალი მეფე მიიღეს. ლუი-ფილიპის სახელით ტახტი დაიკავა დიუმას მფარველმა, ჰერცოგმა ორლენელმა. ტახტზე ის მსხვილი ბურჟუაზიამ აიყვანა და დღის ღობეზე იქცა მონოდება „გამდიდრდით!“ სწორედ ასე უპასუხა პრემიერ-მინისტრმა ოპოზიციის მოთხოვნებს, გაეფართოებინათ საარჩევნო უფლებები, რომელიც ქონებრივი ცენზით იყო შეზღუდული.

შუა გზაზე ჩამხრჩვალ რევოლუციას რესპუბლიკელი დიუმა ფილოსოფიურად მიუდგა. მწერალმა დიუმამ კი შექმლო სრულყოფილად შეეფასებინა ცვლილებები ქვეყნის საერთო ეკონომიკაში და ის ფაქტიც, რომ თუმცა ფორმალურად შენაშუენებული იყო მონარქია, ხელისუფლებაში მსხვილი ბურჟუაზია მოვიდა. ელვისუსწრაფესად გამდიდრებული „ახალი ფრანგები“ ცდილობდნენ, ერთმანეთისთვის ეჯობნათ არა მარტო მდიდრული სასახლეებით და თავიანთი სატროფობის თუ ცოლების საარაკო სამკაულებით, არამედ საკუთარი გაზეთებით და ჟურნალებით. რევოლუციამდე რამდენიმე წლით ადრე შექმნილმა, მექანიკურმა საბეჭდო დაზგამ შესაძლებელი გახადა, საფრანგეთში მასობრივი ლიტერატურის პირველი ნამდვილი ბაზარი ჩამოყალიბებულიყო. ავტორები, რომლებიც მანამდე მფარველთა შემთხვევის წყალობაზე იყვნენ დამოკიდებულნი, ახლა ქონებას ახალი ჟანრის — რომან-ფელეტონის საშუალებით იხვეჭდნენ. ასე ეწოდებოდა გასართობ-ავანტიურისტულ (მეტწილად — ისტორიულ) რომანს, რომელიც თავიდან, გაზეთებში, გაგრძელებებით იბეჭდებოდა. და მხოლოდ ამის შემდეგ გამოდიოდა ცალკე წიგნად.

რომანი-ფელეტონები გაზეთებს ასეულობით ათას ხელმოწერას სძენდა და ავტორებიც, ვისაც მკითხველის მიზიდვა შეეძლო, ახლა უკვე თვითონ კარნახობდნენ გამოცემლებს თავიანთ პირობებს. ერთ რომანში — „პარიზის საიდუმლოებანი“ — ეყენ სიუმ 100 ათასი ფრანკი მიიღო. მაგრამ ეს არნახული ჰონორარიც კი გა-

ფერმკრთალდა იმის ფონზე, რისი შოვნაც შექმლო რომან-ფელეტონების საშუალებით განუწყვეტილ მომუშავე ლიტერატურულმა მანქანამ, რომელსაც ალექსანდრე დიუმა ერქვა.

ოცი წლის შემდეგ

თავისი საუკეთესო ნაწარმოებები დიუმამ 1830-1850 წლებში შექმნა. მათ ძირითად ნაწილს წარმოადგენდა რომანების მრავალტომეული სერია, რომელიც ეძღვნებოდა საფრანგეთის ხუთი საუკუნის ისტორიას — „იზაბელა ბავარიელიდან“ (XV საუკუნე, შარლ მეშვიდის ეპოქა) დაწყებული, „გრავ მონტე-კრისტოთი“ დამთავრებული, რომლის მოქმედებაც XX საუკუნის პირველ ნახევარში, ბურბონების დინასტიის რესტავრაციის პერიოდში ხდება.

ისტორიის დიუმასეული ვერსია მკვეთრად განსხვავდება რეალური ისტორიისგან, რამდენადაც შეიძლება მასზე მსჯელობა ქრონიკების, ისტორიკოსთა შრომებისა და თანამედროვეთა მოგონებების მიხედვით. მწერალმა, ნამდვილ ისტორიულ რომანისტთაგან განსხვავებით, რომელთა შორის, მაშინ ძალზე პოპულარული იყო ვალტერ სკოტი, გამოიგონა თავისი განსაკუთრებული ჟანრი — ავანტიურისტულ-ისტორიული. ამ შეთანხმებაში კი, მთავარი, დატვირთვა პირველ სიტყვაზე მოდიოდა... დიუმა სწორად იმეორებდა: ისტორია ჩემთვის ის ლურსმანია, რომელზეც ჩემს სურათს ვკიდებო. მის რომანებში მთავარია, არა ნამდვილ მოვლენათა რეკონსტრუქცია ან ისტორიულ პირთა ბედი, მეფე იქნება ეს თუ მინისტრი, დედაოვალი თუ სახელგანთქმული მხედარმთავარი, არამედ თავგადასავლები და ინტრიგები, რომელთა გმირებიც ან ავტორის მიერაა გამოგონილი, ან მის მიერვე შეცვლილ-შეღამაზებული.

მაგრამ მკითხველს რაში ენაღვლებოდა, რომ დიუმას წიგნებში მეფე ანრი ნავარიელი ძალზე რომანტიზებულია, კარდინალი რიშელიე კი პირიქით — დემონიზებული? მკითხველი აგერ უკვე საუკუნე-ნახევარია გულისფანცქალით ადევნებს თვალყურს დ'არტანიანისა თუ ედმონ დანტესის თავგადასავლებს, რომელთაც ადგილი არ მოეძებნათ ისტორიის სახელმძღვანელოებში. დიუმა ხომ სწორედ ამ პერსონაჟებმა აქციეს „ისტორიული“ რომანის ნამდვილ მეფედ!

1840-1850 წლებში, მისმა დიდებამ ზენიტს მიაღწია. გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ დიუმას არა მარტო მთელი საფრანგეთი, არამედ ყველა კონტინენტის მკითხველი იცნობდა. როცა მწერალი სადმე სამოგზაუროდ მიდიოდა, მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში მას მეფურად ხვდებოდნენ: ალჟირში სამოგზაუროდ ხელისუფლებამ სამხედრო კორველით აღჭურვა, მადრიდში დიუმას, გვარდიელთა საპატიო ყარაული შეხვდა, ხოლო ტუნისში მის პატივსაცემად, ქვემეხებიდან სალუტი მისცეს. ერთი ჟურ-

ნალისტი წერდა: „ორივე ამერიკა გემების მთელ ფლოტილიებს აგზავნის ერთადერთი მიზნით — რაც შეიძლება სწრაფად ჩაიტანონ ევროპიდან დიუმას ახალი რომანების ტირაჟები. მისი სახელი დღეს უკვე ცნობილია ციმბირიდან კეიპტაუნამდე და ინგლისიდან ავსტრალიამდე“.

ლიტერატურული კონვეიერი უწყვეტად მუშაობდა. ჩვეულებრივ, დიუმა ერთდროულად რამდენიმე წიგნს წერდა, თან ახალ-ახალ კონტრაქტებსაც აფორმებდა და პარალელურად, სასამართლოებში დარბოდა, ხელნაწერების დაგვიანების გამო, გამოცემელთა სარჩელზე საპასუხო... ამ საოცარმა შრომისუნარიანობამ სრულად კანონზომიერად წარმოშვა ჭორები რაღაც ლიტერატურული სინდრეკტის არსებობის შესახებ. გაზეთებში წერდნენ იმის შესახებ, რომ სახელგანთქმული მწერალი სულაც არ თავილობს „ლიტერატურული ზანგების“ (სხვათა შორის, ეს ტერმინი იმ დროიდან მოდის) შრომის გამოყენებას და მათ უმოწყალოდ ყვლეფს. დიუმა კი, თუ საერთოდ უარყოფდა ამ ჭორებს, ძალზე უხალისოდ და დუნედ. მათში სიმართლის გარკვეული მარცვალი აშკარად იყო.

მართლაც, სიუჟეტების უმრავლესობას დიუმასთვის, მის მიერ დაქირავებული ცნობილი ლიტერატორები ამუშავებდნენ. მწერალი მათ — „ჩემს თანაშემწეებს“ უწოდებდა. სწორედ მისი თანაშემწეების მოვალეობა იყო, ისტორიული მასალების შეგროვება (დიუმამ, ვისაც საშუალო სკოლაც კი არ ჰქონდა დამთავრებული, ისტორია ცუდად იცოდა) და ხელნაწერების რედაქტირება. მეტრს ამისთვის არ ეცალა. მიუხედავად ამისა, მწერლის აშკარა მონაწილეობა დიუმამ აღიარებდნენ, რომ დიუმას ლიტერატურული ნიჭის გარეშე, ყველა ეს სიუჟეტი სამუდამოდ სიუჟეტებად დარჩებოდა — აგურებად, რომლებიც მხოლოდ არქიტექტორის სურვილისა და გეგმების შესაბამისად იქცევა შენობად...

ყველაზე ნაყოფიერი აღმოჩნდა დიუმას თანამშრომლობა ახალგაზრდა პროვინციულ პროფესორ-ისტორიკოსთან, ოგიუსტ მაკესთან. როცა ის პარიზის გამოცემლობაში მივიდა და შესთავაზა, დაებეჭდათ მისი ისტორიული რომანი — „შევალიე დარმანტალი“, ხელნაწერზე პროფესიონალის ერთი თვალის შევლენაც კი საკმარისი იყო იმის დასადგენად, რომ ასეთი რამის გამოცემა არ შეიძლებოდა. მაგრამ გამოცემელს სიუჟეტი საინტერესოდ მოეჩვენა, მასში გამოყენებული ისტორიული მასალა კი — ორიგინალურად და საფუძვლიანად. ჰოდა, მანაც დებიუტანტ ავტორს ურჩია, დიუმასთვის მიემართა. დიუმამ ტექსტს ოსტატის ხელით გადაურა და სიუჟეტიც გამოცოცხლდა.

როცა თანავტორობის საკითხი წარმოიშვა, გამოცემელმა მაკეს შემდეგი სურათი დაუხატა: რომანს დიუმას ხელმოწერით, თანავტორებისთვის, თი-

თოუელ სტრიქონში 3 ფრაკი მოაქვს. ხოლო რომანი დიუმასა და მაკეს ხელმონერით ათჯერ ნაკლებს მოუტანს. საბოლოოდ, წიგნი მხოლოდ დიუმას ხელმონერით გამოვიდა, მაკე კი 1.200 ფრანკს დასჯერდა. დიუმას, ამ ნაწარმოებმა ათეულობით ათასი ფრანკი მოუტანა. შემდეგ, ის და მაკე კიდევ რამდენიმე ათეულ რომანზე თანამშრომლობდნენ, მათ შორის, საუკეთესოებში — „სამ მუშეკეტერსა“ და „გრავ მონტე-კრისტოზე“.

დიდი ხნის შემდეგ, დიუმა-მამამ ანალოგიური სამუშაო შესთავაზა ვალებში ჩაფლულ თავის 20 წლის შვილს, ასევე ალექსანდრეს. მამა შვილს ყოველწლიურად 40-50 ათასი ფრანკის გადახდას პირდებოდა. პრესაში მის მიმართ გამოთქმული ბრალდებების საპასუხოდ კი, კრიტიკოსებს სთავაზობდა, შეედარებინათ მისი თანამემნეების მიერ წინასწარ მომზადებული მასალა და რომანის გამოქვეყნებული ვარიანტი.

მონტე-კრისტოს ციხესიმაგრის ტუსალი

1846 წელს, „სამი მუშეკეტერისა“ და მისი მიყოლებით გამოსული „გრავი მონტე-კრისტოს“ ნარმატივის შემდეგ, მწერალმა საკუთარი სახლის მშენებლობა დაიწყო პარიზის გარეუბან სენ-ჟერმენში. ციხესიმაგრე, რომელსაც პატრონმა „მონტე-კრისტო“ უწოდა, პროვინციელი მშენებელი ბიჭის ხორცშესხული ოცნება იყო, ბიჭის, რომელმაც შემდგომში დანერგა რომანი ფანტასტიკურად გამდიდრებულ უბრალო მარხულ მებრუნებელზე. გოტიკური შიშლები, ფიგურული აივნები, იტალიური ქანდაკებები ფრონტონზე, ვიტრაჟები, ხელოვნური ჩანჩქერები, საკუთარი თეატრი, საფრინველ და საჯინბო — ამ ყველაფერს უნდა დაეწოდებოდა მის მებობლად ნამოჭიმული, მილიონერი ბანკირების მდიდრული ვილები.

არქიტექტორი, როცა პროექტს გაეცნო, შეეცადა დაერწმუნებინა შემლილი დაპყვეთი, უარი ეთქვა თავის განზრახვაზე, რადგან იმ ადგილების თიხიანი ნიადაგი ასეთი შენობის წონას ვერ გაუძლებდა. — „მაშინ ამოთხარეთ მინა კლდოვან ქანებამდე — აუღელვებლად შესთავაზა დიუმამ, — ხოლო ფუნდამენტის გაჩენილ ღრუში შესაძლებელი იქნება ღვინის ვრცელი სარდაფების განთავსება“. „მაგრამ ეს ხომ 100 ათასი ფრანკი დაგიჯდებათ!“ — უკანასკნელად სცადა მისი დაყოლიება არქიტექტორმა. — „იმედი მაქვს, რომ ამაზე ნაკლები — არა“, — კმაყოფილმა უპასუხა მწერალმა. საბოლოოდ მართლაც 100 ათასი დაიხარჯა, მთლიანად ციხესიმაგრე კი, დიუმას მილიონ-ნახევარი დაუჯდა.

მწერალი არ მალავდა ფუფუნებისკენ მიდრეკილებას. ის იოლად მოულობდა მილიონებს და კიდევ უფრო იოლად ხარჯავდა ფულს. მას შეეძლო თვეობით ევლო გამომცემლებთან სადავოდ სასამართლოებში თითოეული სუსთვის,

მაგრამ იმავდროულად ათასობით ფრანკს ურიგებდა ყველა გაჭირვებულს. მონტე-კრისტოს ციხესიმაგრის პატრონის ხელგაშლილობაზე ლეგენდები დადიოდა. ნახევარი პარიზი მის კმაყოფაზე იყო.

ქეიფები და წვეულებები მის ციხესიმაგრეში, რომლებიც „ათას ერთი ღამის“ ზღაპრებს ჰგავდა, კვირაობით გრძელდებოდა. ხშირად ხდებოდა, რომ მასპინძელი — როცა დანამუხდებოდა, რომ მაგიდები ღამის დამტვრეულიყო კერძების სიმძიმისგან, მუსიკოსები გამალებით უკრავდნენ, ხოლო ფეიერვერკები სხვადასხვაფრად ანათებდა ღამის ცას, — ჩუმიად გაიპარებოდა თავის სამუშაო კაბინეტში და იქ რამდენიმე საათს ჩაპ-კიოკიტებდა ახალი რომანის ხელნაწერს. შემდეგ კი, თითქოს აქ არაფერი, სტუმრებს უბრუნდებოდა, რომელთაგან ბევრი, მონტე-კრისტოში რამდენიმე დღე, კვირა და თვეც კი რჩებოდა.

გარდა იმისა, დიუმამ პარიზში საკუთარი ისტორიული თეატრის მშენებლობაც წამოიწყო. თეატრის რეპერტუარი მხოლოდ მისი პიესებისგან უნდა შემდგარიყო. მან აგრეთვე დაიწყო ერთდროულად ორი ლიტერატურული ჟურნალის გამოცემა, რომლებსაც ძალზე უბრალოდ — „მონტე-კრისტო“ და „მუშეკეტერი“ დაარქვა, მაგრამ ძალიან მაღელვარებით და საგამომცემლო ბიზნესს შეეშვა.

ამ ყველაფერს არა მარტო სიამოვნება და კმაყოფილება მოჰქონდა ამ მოუსვენარი ბუნების ადამიანისთვის, არამედ ვალებიც. დიუმამ ცხოვრების უდიდესი მანჩილი, ვალების ხლართებში გაატარა, ცოლიც კი ვალების გამო მოიყვანა. მწერლის შეყვარებულის მეურვემ, რომელიც ვერა და ვერ ეღიროს, რომ მის მიერ აღზრდილის ხელი ეთხოვათ, უბრალოდ, იყიდა მისი თაყვანისმცემლის ყველა ვალი და დიუმა არჩევანის წინაშე დააყენა — ან ჯვრისწერა, ან ციხე ვალების გადაუხდელობისთვის...

დიუმას სძულდა კრედიტორები, მაგრამ ჯიუტად, ერთგვარი აზარტით ევლობოდა ახალ-ახალ ვალებში. ამასთან, მას სულაც არ მიაჩნდა სამარცხვინოდ, რომ სახელმწიფო ხაზინის ხარჯზეც ეცხოვრა. როცა დეპუტატებმა შეკითხვით მიმართეს ხელისუფლებას, მწერლის უზომო ხარჯების შესახებ საზღვარგარეთის ტურნეს დროს, სადაც ის სახელმწიფო ხარჯზე იმყოფებოდა, დიუმამ თავი შეურაცხყოფილად იგრძნო და მთელი პარლამენტი დუღელში გამოიწვია (!!), დეპუტატებმა გამოწვევა არ მიიღეს და ამის მიზეზად, პარლამენტის წევრთა ხელშეუხებლობა დაასახელეს.

კრედიტორებისგან ხსნას მწერალი არა მარტო შემოქმედებაში პოულობდა, არამედ პოლიტიკაშიც. 1848 წელს, საფრანგეთში კიდევ ერთმა რევოლუციამ იფეთქა. ამჯერად ხალხმა ჩამოაგდო დიუმას ყოფილი მფარველი მეფე — ლუი-ფილიპი. ჰოდა, მსოფლიოში სახელგანთქმულმა მწერლმა მიიჩნია, რომ ასე-

თი მოვლენა არ შეიძლებოდა, უმისოდ მომხდარიყო. დიუმა სათავეში ჩაუდგა სენ-ჟერმენის ეროვნულ გვარდიას, წამოაყენა ეროვნულ საკრებულოში, მაგრამ არჩევნებზე ჩაფლავდა...

ის იყო გარიბალდის მეგობარი და მის რევოლუციონერებს მატერიალურად ეხმარებოდა. სოლიდური ასაკის მიუხედავად, თვითონაც მონაწილეობდა ლეგენდარული გარიბალდის რამდენიმე ლაშქრობაში. 1866 წელს, როცა პრუსიასა და ავსტრიას შორის ომი დაიწყო, 64 წლის მწერალი დაჟინებით მოითხოვდა, რომ პარიზის ერთ-ერთ გაზეთს იგი საბრძოლო მოქმედებების ზონაში გაეგზავნა სამხედრო კორესპონდენტად.

სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში, დიუმა ბევრს მოგზაურობდა. 1858-1859 წლებში ის რუსეთსაც ესტუმრა, მიუხედავად იმისა, რომ იქ მისი „რუსული რომანი“, — „ფარიკაობის მასწავლებელი“ (1840 წ.) აკრძალული იყო. მწერლის მოგზაურობებს შედეგად მოჰყვა მისი სამგზავრო დღიურები, რომლებსაც ფრანგები არანაკლები ინტერესით კითხულობდნენ, ვიდრე მისსავე რომანებს. ქართველი მკითხველი კარგად იცნობს დიუმას სამოგზაურო წიგნებიდან ერთ-ერთს — „კავკასიას“, რომელშიც კავკასიაში მწერლის მოგზაურობაა აღწერილი. ეს წიგნი მრავალ საინტერესო ცნობას შეიცავს XX საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ.

დიუმას საქმეები სულ უფრო და უფრო ცუდად მისდიოდა. როგორც მწერალი, ის მოდიდა გამოვიდა: ცინიკურ და აპათიურ მეორე იმპერიასი მუშეკეტერების რომანტიკული თავგადასავლები სასახლის კარისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. მართალია, დიუმამ შეძლო განეხლებინა გენერალური კონტრაქტი რომანების ახალ სერიასზე, რომელთაგანაც თითოეულში, გამომცემელი მწერალს ავანსის სახით 1.000 ფრანკს უხდიდა, ლიტერატურული მანქანა ძველებურად ველარ მუშაობდა. დიუმა იწყებდა მორიგ წიგნს და შუა გზაზე მიაგდებდა ხოლმე, რადგან სიუჟეტს თავს ველარ ართმევდა. მის მანამდე ერთგულ „ლიტერატურულ ზანგებს“ კი, უკვე მოესწროთ სხვებთან გაქცევა, უფრო ენერგიული და პერსპექტიული ავტორები მოეძებნათ. რომ არ წამოშველებოდნენ შვილები — ალექსანდრე დიუმა-შვილი, რომელიც იმ დროისთვის უკვე ვითონაც საკმაოდ სახელგანთქმული მწერალი, ცნობილი ნაწარმოების „ქალი კამელიებით“ ავტორი გახლდათ და ქალიშვილი, ასევე მწერალი, — დიუმა-მამას, ვალების გამო, ციხეში უკრავდნენ თავს.

სწორედ ვაჟიშვილის სახლში გარდაიცვალა დიდი რომანისტი. ეს მოხდა 1870 წლის 5 დეკემბერს, როდესაც პრუსიის ჯარებმა აიღეს ქალაქი დიეპი, რაც მათ პარიზისკენ გზას უხსნიდა. ალექსანდრე დიუმა პარიზში დაკრძალეს.



პეკა მიწლაძე

— ვეზადები ძალზე მნიშვნელოვანი კონცერტისათვის, რომელსაც ერთ-ერთი სამშენებლო ფირმა აფინანსებს. კონცერტი სწორედ ამ ფირმის პრეზენტაციის დღეს გაიმართება. იქ ყველაფერი შოუს სახით იქნება წარმოდგენილი, რომლის რეჟისორია ბაკურ ბაკურაძე. ის ჩემი კოსტიუმების დიზაინერიც არის. 14 კომპოზიციას წარმოვადგენ. რეჟიტციები დაწყებულია და ალბათ, თებერვლის დასაწყისში გაიმართება ფირმის პრეზენტაციაც და ჩემი კონცერტიც. მინდა აღვნიშნო, რომ საზოგადოების წინაშე ახალი სიმღერებით წარვდგები. მოგეხსენებათ, პრეზენტაციაზე ბილეთები არ იყიდება და შესაბამისად, მაყურებელიც სხვა კატეგორიის იქნება. იქ უფრო ელიტარული მსმენელი მეყოლება და არა თინეიჯერები, ამიტომაც, უფრო სერიოზულ პროგრამას ვამზადებ.

რატიმ აირჩიე დიპლომატობა? ხომ შეგეძლო, მუსიკას გააყოლოდი?

— რა ვიცი. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვობიდან, ძალიან მიყვარს მუსიკა, მინდოდა, განსხვავებული პროფესია მქონოდა. ვფიქრობ, რომ მომღერლისთვის მთავარი პროფესია სხვა უნდა იყოს. მიუხედავად იმისა, რომ მუსიკალური ათნლედი დავამთავრე, გადავწყვიტე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამებარებინა დიპლომატიის ისტორიის ფაკულტეტი. არ ვიცი, რატომ, მაგრამ სულ მინდოდა, დიპლომატი ვყოფილიყავი. მართალია, ჯერ კურსზე ვარ, მაგრამ იმედო მაქვს, კარგად ვისწავლი და პროფესიონალი დიპლომატი გამოვალ. სხვათა შორის, როგორც მომღერალს, ასევე მჭირდება საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობა.

რამდენად დაგეხმარა გამოცდაზე ის, რომ მარიკა თხელიძე ხარ?

— იცი, რა, თუ იმ ქულებს ვერ დაავგროვებ, რაც საჭიროა, ეს ვერ გიშველის. ის, რომ მარიკა თხელიძე ვარ, საკმარისი არ არის გამოცდისთვის. ამის გამო, გადავწყვიტე, სერიოზულად მესწავლა, რომ ჩამებარებინა იქ, სადაც მსურდა. სხვათა შორის,

ახალგაზრდა მომღერალმა მბრძიპ თხელიძემ პროფესიონალი მუსიკოსის კარიერას, დიპლომატობა არჩია. მიუხედავად ამისა, ის არც სიმღერას ანებებს თავს. უფრო მეტიც — სულ მალე, მარიკა სოლო კონცერტს გამართავს და სერიოზული პროგრამით წარდგება მსმენელის წინაშე.

მომავალი დიპლომატი საძმუზენცაციო ყონცერტზე „ახალმოზილ“ ფიშმას ხხალ სიმღერებს მიუძღვნის

გუშინაც, ხუთი მივიღე ერთ-ერთ გამოცდაზე... პრივილეგია გამოცდებზე მართლაც, შეუძლებელია. ერთადერთი, შეიძლება ლექციებსა და სემინარებზე დასწრების საკითხში გამიწიონ შეღავათი.

— რაიმე სხვა სიახლე ხომ არ არის შენს შემოქმედებით ცხოვრებაში — მაგალითად, დუეტის ჩანერას ხომ არ აპირებ?

— ჯერჯერობით, არა. ვნახოთ, შეიძლება, მომავალში ჩავწერო, მაგრამ ვისთან — ჯერ არ ვიცი.

— შენს პირად ცხოვრებაში ხომ არაა რაიმე სიახლე?

— საერთოდ, პირად ცხოვრებაზე საუბარს ყოველთვის თავს ვარიდებ. ვთვლი, რომ ამაზე საჯაროდ ლაპარაკი საჭირო არ არის. თუმცა, რა მაქვს სალაპარაკო?! ისეთი არაფერი ხდება და რა ვილაპარაკო (იცინის)!.

— ეი. შეყვარებული არ გყავს? — არა.

— როგორ ფიქრობ — ადვილია შენი გულის მოგება?

— ვაიმე, არა (იცინის).. ისე, მართალი გითხრა, რომ ვუფიქრებდი, მართლაც, ძალზე ძნელია ჩემი გულის მოგება. თუ რაღაც ისეთი შევატყვე, რაც არ მომწონს, იმ ადამიანზე მამნივე მიცრუვდება გული. შეიძლება, ეს ცუდი ჩვევაა, მაგრამ მე ადამიანის ყოველ ნაბიჯს ვუკვირდები.

— თუ შეგიძლია მითხრა, მაინც



ყველაზე დიდი საჩუქარი იყო დიდი სათამაშო ლომი, რომლის შესახებც არაერთხელ დაიწერა და სამინელი სათაურებიც გაუკეთეს.

როგორი ბიჭები მოგწონს?

— ძალიან მომწონს სიმპათიური ბიჭები. არ ვეთანხმები იმათ, ვინც ამბობს — გარეგნობას მნიშვნელობა არა აქვსო. აი, ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის გარეგნობას. ბიჭს რომ შევხედავ, პირველ რიგში, ჯერ გარეგნობით უნდა მომეწონოს. გარდა ამისა, მამაკაცი უნდა იყოს განათლებული და სულიერად მდიდარი.

თავყვანისმცემლები ხშირად გიძღვნიან საჩუქარს?

— კი. ჩემდამი სიმპათიას უფრო ხშირად, საჩუქრით გამოხატავენ. ყველაზე დიდი საჩუქარი იყო დიდი სათამაშო ლომი, რომლის შესახებაც არაერთხელ დაინერა და სამინელი სათაურებიც გაუკეთეს... საჩუქარი ჩემთვის ბევრს მოუერთმეგვია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თუ ადამიანისაგან საჩუქარს მივიღებ, ე.ი. ამით მას რაიმის იმედს ვაძლევ...

შენი სუსტი წერტილი რა არის?

— რა ვიცი, ხან რა არის და ხან — რა. ვფიქრობ, ეს თავად ბიჭმა უნდა მოძებნოს...

მოდე, ბიჭებს მოაწონე თავი და მითხარო, როგორი დიასახლისი ხარ?

— სახლში დიასახლისობა ნაკლებად მინევს, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ჩემს ოთახს და ნივთებს თავად ვალაგებ. სხვა დანარჩენს ოჯახში დედა უძღვრავს. იმის გამო, რომ დედა და ბებია მშვენიერ კვრძებს მიმზადებენ, არ მიწევს საშარეულოში ფუსფუსი. ისე, რომ დამჭირდეს, რამეს მოვახერხებ.

მფლანგველი თუ ხარ?

— სამინელი. როცა ფული მივარდება ხელში, სულ მინდა, ბოლომდე დატარჯო. განსაკუთრებით მიყვარს საჩუქრების ყიდვა და ადამიანების გახარება.

შენი სიმღერებიდან ყველაზე მეტად რომელი გიყვარს?

— ყველა ჩემი სიმღერა მიყვარს, მაგრამ ერთს მაინც გამოვყოფ, იმას, რომელიც ჩემი სავიზიტო ბარათია — „ჩემს სიმღერას ვინ გაიგებს“.

საყვარელი მომღერალი თუ გყავს?

— ძალიან მიყვარს ბარბრა სტრეიზანდი. ალბათ იმიტომ, რომ მის რეპერტუარზე ვარ გაზრდილი. სხვათა შორის, მის რამდენიმე სიმღერასაც ვასრულებ. გარდა ამისა, ძალიან მომწონს სტინგიც.

ძაღვები და ძაღლის წელი

ძაღლი ადამიანის მეგობარი რომ არის, ამაზე არავინ კამათობს. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგჯერ ეს მეგობრობა ძაღვზე საავალალო შედეგით სრულდება. ბევრი, ძაღლს ოჯახის სრულყოფილებიან წევრად მიიჩნევს — ისინი ხომ ჩვენთან ერთად განიცდიან სიხარულსაც და მწუხარებაც. ერთი შეხედვით, მათთან ურთიერთობა ადვილია. მაგრამ მაინც არსებობს მთელი რიგი პრობლემებისა, რომელსაც მათთან კონტაქტისას ვაწყდებით.



2006 წელი, როგორც ცნობილია, ცეცხლოვანი ძაღლის წელიწადია და როგორც საქართველოს კინოლოგიური ფედერაციის პრეზიდენტი იუსუა ბერიძემ გვითხრა, ოპტიმისტებს ტყუილად აქვთ იმის იმედი, რომ ამ წელს მხოლოდ ერთგულებას, მეგობრობასა და დაზავებას უნდა ველოდოთ. თუ რატომ, — ამას ოდნავ მოგვიანებით შეიტყობთ. მანამდე კი, რამდენიმე ისტორიული ფაქტის შესახებ მოგითხრობთ, იმის დასამტკიცებლად, რომ ძაღლები არა მარტო პატრონის ერთგულები არიან, არამედ შესაძლოა, მთელი ქვეყნის ბედზეც კი მოახდინონ გავლენა.

ნიმო ჯავახიშვილი

საბერძნეთში, პელოპონესის ნახევარკუნძულზე, ჩვენს წელს X საუკუნეში, დორიელებმა დააარსეს ქალაქი-სახელმწიფო — კორინთი. გადმოცემის თანახმად, ძველბერძნული ქალაქი პოლისი სწორედ ძაღვებმა გადაარჩინეს.

ჩვენს წელს 394 წელს, სპარტელებთან ომის დროს, კორინთის ციტადელს თურმე, 50 ძაღლი იცავდა. ერთ ღამეს, როდესაც გარნიზონს ღრმა ძილით ეძინა, მონინაღმდეგის ფლოტილია ნავსადგურში უჩუმრად შეტყურდა. აკროპოლისის მისადგომებთან სამკდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაჩაღდა. ძაღლები თავდაუზოგავად ებრძოდნენ შეიარაღებულ

სპარტელებს. როდესაც კორინთის მცველებმა გამოიღვიძეს და დასახმარებლად მიიბრინეს, მხოლოდ ერთი ძაღლია გადარჩენილიყო ცოცხალი. მას სოტერი ერქვა. მტერი უკუიქცა და ქალაქი გადარჩა. სოტერმა კი სიმამაცისთვის მიიღო ვერცხლის საყულო წარწერით — „სოტერი-კორინთის მხსნელი და მცველი“. ამ გმირობის აღსანიშნავად, კორინთელებმა მარმარილოს ძაღლის ქანდაკება ქალაქის საპატიო ადგილზე აღმართეს.

ძველ რომში იუპიტერის ტაძარს ძაღვ-დასასრული მე-60-ე გვერდზე

„თქვენ უიღბლო არ ხართ, უბრალოდ ეშმაკს ჰყავხართ შავპრობილი“ ვინ შეძლებს ღვთის რწმენით ჩვენი ჯადოს მოხსნას?

ნათელმხილველმა ლია სუციშვილამ ეს ნიჭი შთამომავლობით მიიღო. მისი ბებია, ქალბატონი სონია, ასევე ცნობილი ნათელმხილველი ყოფილა. ალბათ, არ არსებობს ადამიანი, რომელსაც საკუთარი მომავლის წინასწარ განჭვრეტა არ სურს, თუმცა ბევრ მათგანს არ სჯერა მკითხაობის, მისწობის, ნათელმხილველობის. თამამად შეიტლება ითქვას, რომ ქალბატონ ლიის ბევრი ადამიანი ემადლიერება. ის ხსნის ჯადოს, ავ თვალს, ამზადებს დამცავ თილისმებს, ხსნის ჩავეტილ ბედს და ხშირად, მოსალოდნელ სიკვდილსაც აშორებს ადამიანს.



— ძაღვზე ღვთისმოსვი ოჯახში დავიბადე. მონათლული ვარ თელეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში. ბავშვობიდანვე მქონდა წინათგრძობები. ზოგჯერ ვიტყვოდი — ეს ასე იქნება-მეთქი, — და ჩემი ნათქვამი რომ ახდებოდა ხოლმე, ეს მე თვითონაც მიკვირდა.

— როგორც ვიცო, თქვენ წმინდა ბარბარე გამოგეცხადათ...

— ამ გამოცხადებამდე, გაიყვით ვიყავი, რალაცები მეჩვენებოდა (მაგალითად — მუთაქები და ბალიშებიც კი დამდევენ). ეშმაკი მებრძოდა. ერთ დღეს, თავადაც არ ვიცო, ძილში თუ ცხადში, სასაფლაოზე, წმინდა ბარბარეს სახელობის ეკლესიასთან აღმოჩნდი. უეცრად, საიდანლაც თამაყურული ქალი მომიახლოვდა, მხარზე ხელი დამადო და

მკითხა — ვინ ხარო? შიშისგან აკანკალებულმა ვუპასუხე — ლია ვარ-მეთქი. მითხრა — ლია კი არა, ბარბარე ხარ, რამ შეგაშინაო? მეც ვთხოვე — ეშმაკი მებრძობს და იქნებ, შენ მიშველო-მეთქი? მან კი მიპასუხა — ნუ გეშინია, მე წმინდა ბარბარე ვარ — სიკვდილისგან მხსნელი და ეშმაკის განმდევნელი; თუ გინდა გეშველოს, მამალი შეუთქვი, ხვალ კი, წმინდა ბარბარეს ეკლესიაში წადი და იქიდან ხატი წამოიღო... ამ ამბის შემდეგ, ხილვები დამეწყო, სანთლის დახმარებით, ყველაფერს ვიგებ — ვიცი, ჩემთან მოსული ადამიანი როდის ან როგორ მოკვდება. თავიდან, ამას ვამბობდი, მაგრამ ახლა ვმალავ ხოლმე...

— ადამიანი თქვენთან რომ მოვდიხარ, მას ნათელს უნებთ და ყველაფერს ეუბნებით?

— კი, რადგან მათ შესახებ ინფორმაცია ზემოდან მოდის, სურათიც რომ მოიტანონ, ამითაც შემიძლია ყველაფრის თქმა.

— როგორც ექვრობთ — ჯადო ნამდვილად არსებობს?

— რა თქმა უნდა, არსებობს და საშიშვლებით ყველაზე მეტი ჯადოს მოხსნა შეიძლება. ჩემთან ისეთი ადამიანებიც მოსულან, რომლებიც დაბადებიდან ჯადოთი არიან შეკრული და თავს უიღბლოებად თვლიან.

ხალხს, თქვენ უიღბლოები არ ხართ, უბრალოდ ეშმაკს ჰყავხართ შავპრობილი.

— ეშმაკის განსაფხვანდ, იმავე ჯადოს მოსახნელად, რა ხერხს იყენებართ?

— უნდა ეზიაროთ საიდუმლოს, რომელიც საკუთარ თავს დაეხმარებით. ამ საიდუმლოს კი, მე ნებისმიერ მსურველს ვაზიარებ. სხვათა შორის, ზოგმა არ იცის, რომ ყოველ ღამით ღვთისმშობელი ქვეყანაზე 3 წამით გამოდის. ამ 3 წამში, რასაც შესთხოვ, იმას აგისრულებს. მე ეს დრო ვიცი, მაგრამ ყველას ვერ გავუხმელ, რადგან, ამ საიდუმლოს ადამიანებს ღმერთის მინიშნებით ვუხმელ.

— ადამიანისთვის ხიფათის აცნობა შეგიძლიათ?

— რა თქმა უნდა. თუ დამიჯერებენ, სიკვდილიც შემიძლია ავაცილო, თუ ის ავარიის, ჩხუბის და ა.შ. შედეგად ეშუქრებათ. მაგრამ უძლური ვარ, თუ ინფარქტი ან რალაც ამგვარი უნერიათ.

— ქალბატონ ლია, ვთქვით, წმინდა ბარბარე გამოგეცხადათ და გითხრათ, რომ ნათელმხილველობა უნდა შეწყვიტოთ. რას იზამთ?

— დაუყოვნებლივ შევწყვეტ. ჩემში ღვთის რწმენა იმდენად დიდია, რომ მის ნებისმიერ მითითებას აღვასრულებ.

მის: დ. გურამიშვილის №48 (მ. „ღრმადღმესთან“), II სად, VII სართ, ბ. №40. ☎ 69-60-00, 61-87-21; 8(93) 21-52-33



59-ე გვერდიდან

ბი იცავდნენ. ომიანობისას რომელები ხშირად იყენებდნენ ოთხფეხა შიკრიკებს საიდუმლო შეტყობინების გადასაცემად. თუმცა, ოთხფეხა „ფოსტალიონის“ ბედი ძალზე სავალალო იყო. ძალღი პერგამენტზე დაწერილ შეტყობინებას საჭმელთან ერთად ყვალავდა. როდესაც შიკრიკი აღწევდა დანიშნულების ადგილას, მას კლავდნენ და წერილს შიგნეულობაში ეძებდნენ. განსაკუთრებული პოპულარობით კი რომში ოთახის ძაღლები სარგებლობდნენ. ისინი ისე უყვარდათ წარჩინებულ რომაელებს, რომ გაიუს იულიუს კესარს ერთხელ ასეთი რამეც კი უკითხავს: რომაელებმა მატრონებმა ხომ არ დაიწყეს ბავშვების მავივრად ფინიების გაჩენა?

ჩვენ აღმდე ათასწლეულის ირანულ ლიტერატურულ-რელიგიურ ძეგლში — „ავესტა“ ასეთი რამ წერია: „ძალღი დარაჯი და მეგობარია. იგი არ გთხოვს არც ტანსაცმელს და არც ფეხსაცმელს. ის გეხმარება ნადირობისას, დარაჯობს შენს ქონებას და გართობს დასვენებისას. ვაი მას, ვინც დაჩაგრავს ან საკვებს დაინანებს მისთვის. ასეთი კაცის სული სიკვდილის შემდეგ მარტოობაში იხეტიალებს, ძაღლიც კი არ გამოოვა მასთან შესახვედრად...“

ამ მოსაზრებას აბსოლუტურად ეთანხმება ბატონი იუზუა:

— ძაღლები შესანიშნავად ავსებენ სულიერ სიცარიელეს. ამ ცხოველისგან იმდენად დადებითი ენერჯია მოდის, რომ შენც ივსები, დადებითად იმუხტები. ამიტომაც არის, რომ ბავშვებს ყველა ცხოველზე მეტად ძაღლები უყვართ. უხსოვარი დროიდან ძაღლი ადამიანის მეგობარია. მას სათუთი მოპყრობა სჭირდება, რადგან ის ძალზე მგრძობიარეა — ყოფილა შემთხვევა, როცა ბატრონთან დიდი ხნის განშორების შემდეგ, მასთან შეხვედრისას, ძაღლს ინფარქტიც კი დამართვია. ოთხფეხა მეგობრებს ძალიან სწყინთ უყურადღებობა და სამაგიეროს იმით გვიხდიან, რომ დიდი ხნის მანძილზე არ გვეკონტაქტებიან — მოკლედ, ბუტიებიც არიან და კიდევ — ზედმეტად ეჭვიანები. შეიძლება, არ დამიჯეროთ, მაგრამ ცოლი რომ მოვიყვანე, ჩემი ძაღლი მას შემდეგ აღარ მეკარებოდა. ისე მოკვდა, რომ ვერ შემოვივრიდე... მათ არ სიაშივინებთ, როცა მათზე მეტ ყურადღებას სხვას აქცევ. ადამიანი, რომელსაც ჰყავს ძაღლი, აუცილებლად კეთილი უნდა იყოს და ამასთან ერთად, მასთან ურთიერთობაში პრინციპულობასაც იჩენდეს. თუმცა არც იმას მივესალმები, რომ ზოგი ზედმეტად ცდილობს ძაღლის „გაადამიანურებას“. ალბათ თქვენც გსმენიათ — „ჩემი ძაღლი ისეთი ჭკვიანია, რომ მაგალითად, ნავიდა და დედაჩემს დახვდა გაჩერებაზე“... ასეც არ შეიძლება!

— ახლა მითხაროთ, მოიმატა თუ არა ძაღლების შექმნის მსურველთა რიცხვა წელს და რას ურჩევდით

მათ, ვისაც პირველად უხდება ურთიერთობა ოთხფეხა მეგობართან?

— იმის გამო, რომ 2006 წელი ძაღლის წელიწადია, არ შეიძლება მაინცდამაინც დიდი გააქტიურება. იცით, რა არის? ხშირად მდიდარი ოჯახები ძაღლს მოდის გამო ყიდულობენ — იმის მიხედვით, მათი სასახლის ინტერიერს რომელი ჯიშის ძაღლი მოუხდება. ძაღლს იმის გამო თუ ყიდულობ, რომ ძაღლის წელიწადია, ეს არასერიოზულ საქციელად მიმაჩნია. იცით, რამდენი დრო, რამხელა სიტუბო და სიყვარული სჭირდება ცხოველს?! თანაც წინასწარ უნდა მოეზადო მასთან საურთიერთოდ. ასე რომ, ყველას ვურჩევ, ვიდრე გადაწყვეტენ შეიძინონ ძაღლი, ჯერ კარგად დაფიქრდნენ, სჭირდებათ თუ არა ის...

— რას ფიქრობთ, როგორი იქნება ცეცხლოვანი ძაღლის წელიწადი?

— ოპტიმისტები ამბობენ, რომ იქნება ერთგულების, სიყვარულის წელი, ვიქნებით მუდამ კარგ განწყობილებაზე, კარგ სპორტულ ფორმაში და ა.შ. პესიმისტები კი იტყვიან, რომ ეს წელი იქნება სიავის, ცოფიანობის, სიბინძურის წელი. თუ კარგი ადამიანი ხარ, გიყვარს ძაღლები და ბედიც გაგიღიმებს,



ამას რა სჯობს?!

— ბატონო იუზუა, გაიგებდით, რომ პოეტ კოტე ყუბანეშვილს საკუთარმა ძაღლმა ყური მოაჭამა. ეს არასწორი აღზრდის შედეგია თუ შეიძლება, რაიმე ისე განარისხოს ძაღლი, რომ ბატრონიც კი არ დაინდოს?..

— დიას, მეც გავიგე ეს სამწუხარო ამბავი. იცით, შეიძლება, ეს ძაღლის არასწორი აღზრდის შედეგი იყო, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ეს ძაღლის პროვოცირებით ყოფილიყო გამოწვეული. არ ხდება ისე, რომ უცებ გეცეს ძაღლი და მოგაჭამოს ყური ან გიკბინოს. ნორმალურ ძაღლს განონანსორებული ფსიქიკა უნდა ჰქონდეს. ზოგიერთი — ჯიშის ძაღლი უფრო დაბალი ტემპერამენტით გამოირჩევა — წყნარი და მშვიდია, ზოგი კი, საოცრად ფიცხი და მოუსვენარია. თუ ძაღლს აგრისიულად აღზრდი, რა თქმა უნდა, ის აგრესიული იქნება. ცნობილია, რომ აგრესიულები არიან ის ძაღლები, რომლებიც

ბატრონს ან გარკვეულ ტერიტორიას იცავენ. ბუნებრივია, ეს არ შეიძლება აგრესიად ჩაითვალოს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ძაღლი ვინმეს ფიზიკურად განაადგურებს. როდესაც სახლში ქურდი შეაღწევს და ძაღლი თავის ფუნქციას შესასრულებს, არის თუ არა ამ შემთხვევაში ის დამნაშავე? სადარაჯო ჯიშის ძაღლები ხომ სწორედ ამიტომაც ჰყავთ ბატრონებს?! როგორც გითხარით, ეს, აგრესიად არ ითვლება, მაგრამ ჩემთან თუ მეგობარი მოვიდა და მე ძაღლის ცალკე ოთახში ჩავკეტვა მინვეს, ეს უკვე ანომალიაა. ნებისმიერი ჯიშის ძაღლს უნდა ესმოდა, რომ ეტყვი ვინმეზე — ეს ჩვენიანია, უნდა გიჯერებდეს. გარკვეული ჯიშის ძაღლებმა კი აუცილებლად უნდა გაიარონ წვრთნის კურსები. ბატრონებმა კი უნდა დაიცვან სეირნობის წესები (საერთოდაც, უნდა აიკრძალოს სეირნობა ალიკაპის გარეშე). ძაღლს პატარაობიდანვე უნდა ჰქონდეს ურთიერთობა ადამიანებთან და არ უნდა ავლენდეს აგრესიას „საკუთარი ტერიტორიიდან“ გასვლის შემდეგ. კიდევ ერთი რამ — ყველანაირი გამოცდილების გარეშე არ უნდა შეიძინო ისეთი ჯიშის ძაღლი, რომელთა აღზრდა პროფესიონალებსაც კი უჭირთ ხოლმე. საუბრის დასასრულს, სენატორ ჯორჯ ვესტის მიერ 1870 წელს წარმოთქმულ ცნობილ სიტყვებს მოვიშველიებ მათ საყურადღებოდ, ვისაც არ უყვარს ძაღლები, იქნებ, აზრი შევაცვლევინო: „ამ ანგარებიან სამყაროში ადამიანის ერთადერთი უანგარო მეგობარი, რომელიც არასოდეს მიატოვებს მას, რომელიც არასოდეს იქნება უმადური და არ უღალატებს — არის ძაღლი. ძაღლი კაცის გვერდითაა ავადმყოფობის ყამს. ცივ მინაზეც დაიძინებს, სადაც უბერავს ზამთრის სასტიკი ქარბუქი და მოდის თოვლი, ოღონდ

ბატრონის გვერდით იყოს. ის მუდამ აგილოკავს ხელს, თუნდაც ამ ხელს საჭმლის მიცემა არ შეეძლოს. როდესაც ყველა მეგობარი მიგატოვებს, ის დარჩება შენთან. როდესაც მთელი სიმდიდრე შემოგეფანტება და ყველაფერი დაინგრევა შენ ირგვლივ, მაშინაც კი, მისი სიყვარული ისეთივე მარადიული იქნება, როგორც მზე ცის კამარზე...“ ასე რომ, გირჩევთ, იმეგობროთ ოთხფეხა მეგობრებთან და დაავასოთ მათი ერთგულება (მით უფრო წელს)! ქალებს კი განსაკუთრებით საყურადღებო და სასარგებლო რჩევას მივცემთ: თურმე ძაღლები ვერ იტანენ ალკოჰოლის სუნს და მთვრალი კაცის არაადეკვატური საქციელი მათში აგრესიას იწვევს. ეს პატარა უთანხმოება კი შეიძლება იმით დამთავრდეს, რომ საკუთარმა მეგობარმა გვარიანად დაგვბინოთ ან სულაც ყური მოგაჭამოთ... მოკლედ, გაითვალისწინეთ, შეიძინეთ ძაღლი და მუუდლის სასმელი გატაცებას ასე დაუპირისპირდით!

1 წარწერა საულოვის ქვზე
2 ღია სპორტული ავტომობილი
3 იაპონური ავტომობილი
4 ლვარდლიან დაცინვა
5 სასკოლო-წიფილი ავრიკაში
6 ტბორი
7 შხამიანი გველი
8 ინკლი-სური ლუდი
9 მონღოლი მომთაბარე ტომების ბანაკი
10 ... მონტანი
11 სკესამ-უშაო
12 ფინური აბანო
13 ბერ-ფასე-წვანი მტაცებელი
14 იტალიური ფიჭვი
15 ნანვის სახეობა
16 სხე რეპუტაცია
17 დიდი ხვლიკი
18 ვოლონის წინაპრი
19 დიდი ტალღა
20 ბუნებრივი წყალსაცავი
21 თმის საშრობი აპარატი
22 ხელოვნების დარგი
23 ღვინის საცავი
24 სამშობლო
25 რუსი მწერალი
26 იალქნის ასაწევი თოკი
27 ენა-ჩლონგი
28 ლაშქარი
29 ჩალის ზვინი
30 აკრძალვა
31 რქებ-დროლი ხარი
32 სპორტის სახეობა
33 კიევის დამარსებელი
34 ირანის ფულის ერთეული

წინა ნომრის სპანორადის პასუხები
 1. ვენერა; 2. სნუკერი; 3. ტრაპი; 4. ფიატი; 5. აბსურდი; 6. ლიკოპოდიუმი; 7. დიონისე; 8. მაგნატი; 9. მექა; 10. მეკარე; 11. რენომე; 12. აბი; 13. გრიზლი; 14. ზაქი; 15. ირლანდია; 16. ლენინი; 17. ანგოლა; 18. დებიუტი; 19. მალამო; 20. გალა; 21. მერინოსი; 22. მასრა; 23. ერესი; 24. კაპელანი; 25. ღარი; 26. ტარაკანი; 27. დინამიტი; 28. აფრა; 29. აიდა.
სურათზე: ველ კილმერი.

ეზოპეს ენა

სატონად ნიშნავს შენიღბულ ფორმებში, ალევორიებით აზრის გამოთქმას.

გადმოცემის თანახმად, ძველ საბერძნეთში სახელგანთქმული მეიგავე ეზოპე, იადმონის მონა იყო. მას, როგორც მონას, არ შეეძლო, ამკარად გამოეთქვა საკუთარი მამხილებელი აზრები. ამიტომ, შენიღბულ ფორმებს მიმართავდა — ალაპარაკებდა ცხოველებსა და უსულო საგნებს...

დრო ფულია!

საქმოსნების, ბიზნესმენების სამოქმედო

დო ლოზუნგი. ამერიკელმა მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ, ბენჯამინ ფრანკლინმა 1748 წელს გამოსცა წიგნი სახელწოდებით „რჩევა ახალგაზრდა ვაჭარს“, სადაც ის აღნიშნავს — დრო ფულიაო!

ათენური სატამოები (დამეები)

ამ გამოთქმაში იგულისხმება თავმუშავებელი ქეიფი, ღრეობა, ორგიები.

დონეუანი

საზოგადო სახელია, ხორციელი

სიამით გატაცებული მამაკაცისა, რომელიც ფესქვეშ თელავს საზოგადოების ზნეობრივ ნორმებს და არაფერს იშურებს იმისთვის, რომ სატრფიალო მიზნებს მიაღწიოს.

არსებობს ლეგენდა, რომ ძველად, ესპანეთში ცხოვრობდა რაინდი — დონ ჟუან ტენორიო. მისი სატრფიალო თავგადასავალი საფე იყო ავანტიურისტული შემთხვევებით. ბევრი სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა დონ ჟუან ტენორიომ, მაგრამ ყოველთვის დაუსჯელი რჩებოდა, რადგან მას ესპანეთის მეფე დონ პედრო (XVI) მფარველობდა.

ქართულ ენაში დაშვებები — გაშითქმები



ანექდოტები

გურულ ქალს ქმარი გარდაცვლილი ჰყავს, საყვარელთან ერთად ლოგინში წევს და ერთ ამბავშია, უცებ ქალი გაჩერდება, ახედავს სანოლის თავზე დაკიდებულ სურათს:

— პროკოფი, შენ რომ გიყვარდა, თვარა, ამის თავი მაქვს ახლა მეე?!

ნაზიკია მეგობარს შესჩივის

— რა ვქნა, ნინოია, გავთხოვდე? უკვე ასჯერ მთხოვეს დაჩოქილებმა.

— კი მარა, ვინ გთხოვა?
— მშობლებმა!

შვილიშვილი სოფელში ბებუასთან ნაშასთან ერთად ჩადის და გულს ხომ არ გაუხეხავენ — საცოლოეო ეუბნება...

დილით ბებო ოთახის დასალაგებლად შედის და ხედავს პრეზერვატივი აგდია:
— უიმე შვილო, ეგ ვინ მოიყვანე!..
— არა, ბებო, ნუ გეშინია, ეგ უბრალოდ ბოზია, ნუ ინერვიულებ!

— დედა შვილო, ბოზი და ჩათლახი მეც ქე ვიყავი, მარა, ტყავს კი არ ვაძრობდი კაცებს...

რუსი გვარის ქართველი ებრაელი ნოტარიუსთან მივა და ეკითხება, ჩემი რუსი ნათესავებისთვის თუ შეიძლება ანდერძის დანერაო.

ნოტარიუსი დააჯენს სკამზე და ეტყვის, დაწერე ბატონოო.

ორი საათის ფიქრის მერე, ებრაელი კითხვას სვამს:

— დაგენაცვლე, „ნი კამუ ნე ხრენა“ ერთად ინერება თუ ცალ-ცალკე?

ოპოზიციის გამოსვლიდან

„დროა, თბილისის მერიამ აღიაროს, რომ თბილისში გზები მაინც არ არის! თბილისში მხოლოდ მიმართულებებია!“

მიხო და მარო ზოპარკში: გაივ-

ლიან ლომის გალიასთან და გალიას ანერია, რომ ლომის სექსუალური აქტი 1 საათი გრძელდება. მარო ნიშნის მოგებით გახედავს მიხოს: ენდევ! მიხო ყურებს ჩამოყრის. გაივლიან ზებრას გალიასთან და ანერია, რომ მისი სექსუალური აქტი 40 წუთს გრძელდება.

მარო: ენდევ... მიხო ყურებჩამოყრილია. გაივლიან ირმის გალიასთან. ანერია, რომ მისი სექსუალური აქტი 5 წუთს გრძელდება. მიხოს გაუხარდება: ენდევ!

მარო: ენდე და მაგიტომაც ადგა მაგოდენა რქები!

დილით ქმარი სააბაზანოდან გამოდის:

— აუფ! რა კარგია გაპარსვა, ეგრევე თავს 10 წლით ახალგაზრდად ვგრძნობ!

ცოლი:

— მაშინ, ჯობია, ღამე გაიპარსო ხოლმე!

სექსოპათოლოგი:

— გასაგებია... და ეროტიკული სიზმრები განუხებთ?

— არა, პატივცემულო, პირიქით... მსიამოვნებს!

პარტიის წევრი ჭიჭიკია იგორ გიორგაძის პარტიაში დაიბარეს, კომპარტიის უკანასკნელ სხდომაზე რატომ არ იყავიო.

— რო მცოდნოდა უკანასკნელი იყო, რაეა არ მევიდოდი, პატივცემულო — უპასუხა ჭიჭიკიამ.

— თოვლის პაპა, დიდი მადლობაი საჩუქრისთვისა! — ეუბნება პატარა კასპელი თოვლის ბაბუას.

— რას ამბობ, არ ღირს...

— მეც ეგრე ვფიქრობ, მაგრამ დედამა მადლობაი მაინც გადაუხადეო...

განცხადება:

— იყიდება მიწა ქალაქის ცენტრში, მრგვალ ბაღთან, იაფად. ერთი კილო 5 ლარი.

ორი მამაკაცი საუბრობს:

— ჩემი სიდედრი პირდაპირ ქალის იდეალია, ბუნების სრულყოფილი ქმნილება. მხოლოდ ერთი ნაკლი აქვს.
— რა?
— სუნთქავს.

— წარმოგიდგენია, მან მომთხოვა დამემტკიცებინა მისთვის, რომ მე აქლემი არა ვარ.

— იმედია, დაუმტკიცე...

— არა, უბრალოდ მივაფურთხე და წამოვედი.

ნუ მიიღებთ ცხოვრებას სერიოზულად — იგი დროებითი მოვლენაა.

თვითმფრინავის პილოტი აფრენისას აცხადებს:

— ძვირფასო მგზავრებო. თვითმფრინავი მიფრინავს 10 ათას მეტრ სიმაღლეზე. ტემპერატურა ნორმალურია. გისურვებთ ბედნიერ მგზავრობას.

კაპიტანმა ჩართო ავტოპილოტი, მაგრამ მიკროფონის გამორთვა დაავიწყდა, გაიზმორა სავარძელში და ჩაილაპარაკა:

— ა! ახლა კარგი იქნებოდა ჭიქა ყავა და ქალი!

მგზავრებს გაელიმათ. სტიუარდესა კაპიტანსკენ გაიქცა კაპიტანის გასაფრთხილებლად, რომ სალონში მგზავრებს ყველაფერი ესმით. რაჭველმა მგზავრმა კი მიაძახა:

— ქვე ყავა არ დაგავიწყდეს, გოგონუკა!

ერთი კაცი ეუბნება მეორეს:

— იცი, მე ახლა გარდატეხის ასაკში ვარ.

— საიდან დაასკვენი?

— საიდან და... პენსიას ჯერაც არ მაძლევენ, ქალები კი უკვე აღარ მაძლევენ.

— გივიენა, სოკო გნებავთ? — შეაპარა ანდრომ სიდედრს.

— არა, გმადლობთ, მე მხოლოდ მოგროვება მიყვარს.

— შემიძლია იატაკზე მიმოვფანტო...



რაგონად აზარტული ადამიანი გრძნობებით?

იმისათვის, რომ ადამიანს აზარტი საბედისწერო დამოკიდებულებად არ ექცეს, აუცილებელია სიბრძნისა და შორსმჭვრეტელობის გამოვლენა. აზარტულობას ჩვენდა სასიკეთოდ გამოვიყენებთ თუ — საზიანოდ, ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული. უბასუხეთ ტესტის შეკითხვებს, გაარკვიეთ, რამდენად აზარტული ბრძანდებით და გაქვთ თუ არა თვითკონტროლის უნარი.



1. გრვევით თუ არა SMS-თამაშებითა და სხვადასხვაგვარი ლატარიის გათამაშებაში მონაწილეობით თავის შექცევა?

- ა) დიას, საკმაოდ ხშირად;
- ბ) იშვიათად;
- გ) არა, არასოდეს.

2. გიყვართ თუ არა კამათსა და დისკუსიაში მონაწილეობა?

- ა) დიას, მიყვარს კამათი;
- ბ) ზოგჯერ ანუ იმ შემთხვევაში, როცა ჩემთვის საინტერესო თემაზე მიმდინარეობს დისკუსია;
- გ) ვცდილობ, დისკუსიასა და კამათს თავი ავარიდო.

3. განასიათებთ თუ არა იმპულსურად მოქმედება?

- ა) დიას;
- ბ) ძალზე იშვიათად;
- გ) არა.

4. შესაძლოა, ისე გაგიტაცოთ იდეამ, რომ ამქვეყნად ყველაფერი დაგავინწყოს?

- ა) დიას, ასე ხდება ხოლმე;
- ბ) ჩვეულებრივ არა, მაგრამ არ გამოვირიცხავ, რომ ზოგიერთ სიტუაციაში მსგავსი რამ შესაძლოა, მეც დამემართოს;
- გ) გამოვირიცხე, ვერაფერი გამიტაცებს ისე, რომ ამქვეყნად ყველაფერი დამავინწყოს.

5. სპეციალური სათამაშო ავტომატ-დანადგარებით ოდესმე თუ გათამაშობთ?

- ა) დიას, არაერთგზის;
- ბ) რამდენჯერმე;
- გ) არა, არასოდეს.

6. გიყვართ თუ არა რისკის

განწევა?

- ა) „ვინც არ რისკავს, ის ვერ სვამს შამპანურს!“
- ბ) მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა წინასწარ ვიცი, რა მოჰყვება ამ სარისკო ნაბიჯს;
- გ) ჩვეულებრივ, ვცდილობ, სარისკო ნაბიჯი არ გადავდგა.

7. გათამაშობთ თუ არა ბოლო ფულით?

- ა) დიას, მქონია ასეთი შემთხვევა;
- ბ) არა, მაგრამ ამის შესაძლებლობას არ გამოვირიცხავ;
- გ) მსგავს რამეს არასოდეს ჩავიდენ.

8. ენდობით თუ არა საკუთარ ინტუიციას?

- ა) დიას, რადგან ჩვეულებრივ, ინტუიცია იშვიათად მალატობს;
- ბ) ჩემს შინაგან ხმას ყურს ვუგდებ, მაგრამ ბრმად არასოდეს ვენდობი;
- გ) ყველაფრის გონებით განჭვრეტას ვცდილობ.

9. გაქვთ თუ არა ჰობი?

- ა) რა თქმა უნდა, ჰობის გარეშე ხომ ცხოვრება ნაკლებად საინტერესო იქნებოდა;
- ბ) ადრე მქონდა ჰობი, მაგრამ ამჟამად ამისთვის დრო არ მყოფნის;
- გ) არა, არასოდეს მქონია.

10. გიტაცებთ თუ არა კომპიუტერული თამაშები და ბევრ დროს უთმობთ თუ არა თამაშს?

- ა) დიას, იმდენად მიტაცებს, რომ დღეში რამდენიმე საათს კომპიუტერთან ვატარებ;
- ბ) საკმაოდ გულგრილად ვუდგები

ამ გასართობს;

- გ) არა, კომპიუტერული თამაშები საერთოდ არ მაინტერესებს.

11. ხშირად განასიათებთ თუ არა გუნება-განწყობილების მკვეთრი ცვალებადობა?

- ა) დიას;
- ბ) იშვიათად;
- გ) პრაქტიკულად არასოდეს.

12. გაქვთ თუ არა იმის სურვილი, რომ ცხოვრებაში ერთხელ მაინც წახვიდეთ კაზინოში და დიდი ფსონი დადოთ?

- ა) არაერთგზის ვყოფილვარ კაზინოში და ფულიც მომიგია;
- ბ) დიას, თუკი საამისოდ (აუცილებელ ხარჯებზე მეტი თანხა) ფული მექნება;
- გ) არც არასოდეს მქონია ამის სურვილი.

დაავჯამეთ ქულები: დაავჯამეთ ქულები: ყოველ „ა“ ვარიანტში — დაინერეთ 3 ქულა, „ბ“ ვარიანტში — 2, „გ“ ვარიანტში კი — 1 ქულა.

ტესტის შედეგები

10-18 ქულა: შეიძლება ითქვას, რომ აზარტული ადამიანი არ ბრძანდებით, მაგრამ ერთი რამ გაითვალისწინეთ — აზარტის გარეშე ცხოვრება ხომ უფერული და მოსაწყენია. ვოლტერმა თქვა: „ვნება, ეს ის ქარია, რომელიც ხომალდის იალქანს ბერავს და მიმართულებას აძლევს. ზოგჯერ, შესაძლოა, ქარმა ხომალდი ჩაძიროს კიდევ, მაგრამ მის გარეშე ხომ ის საერთოდ ვერ გადაადგილდება“. გახსოვდეთ, ადამიანის სიძლიერე საკუთარი ვნებების მართვის ხელოვნებაში მდგომარეობს და არა გატაცებების გარეშე ცხოვრებაში.

19-28 ქულა: თქვენ ზომიერად აზარტული ადამიანი ბრძანდებით. თქვენ ხასიათის წყალობით, არც კაზინოში დიდძალი თანხის წაგება გემუქრებათ და

არც ამა თუ იმ საკითხზე გამართული კამათის სერიოზულ კონფლიქტამდე მიყვანა. საბედნიეროდ, თქვენ ზედმინეწით ზუსტად იცით, თუ რა დროს უნდა შეჩერდეთ და მხოლოდ ადრენალინის სისხლში ქარბად გამოყოფის მიზნით, არასოდეს გადაეშვებით სახიფათო მორევში.

29-36 ქულა: მეტისმეტად აზარტული ადამიანი ბრძანდებით. კარგი იქნება, თუკი ზოგჯერ მაინც საკუთარი ვნებების ალაგმვას შეძლებთ — განსაკუთრებით, აზარტული თამაშებისას. ზომიერების დაცვა გმართებთ, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში, ნეგატიური შედეგების თავიდან აცილებას ვერაფრით მოახერხებთ. კონკრეტულად კი, აზარტული თამაშებისადმი დამოკიდებულება გარანტირებული გექნებათ.

პატარა ჩოხოსანი შორეული ფერეიდანი



ვაჟკაცი, სადაც არ უნდა იყოს, დიდა თუ პატარა, — მინც ვაჟკაცია, რადგანაც მას სისხლი და ჯილაგი აქვს ვაჟკაცური. ამ ფოტოზე აღბეჭდილი ბიჭუნა, ქართულ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი და ქამარ-ხანჯლით მორთული პატარა ილიაა. მართალია, ის ძველი წინაპრის მინა-წყალზე არ დაბადებულა და არც ახლა დგას, მაგრამ მას ძარღვებში ქართველი ვაჟკაცის სისხლი უჩქეფს და რაც მთავარია, სიტყვა, რომელიც მან პირველად წარმოთქვა, იყო — „დედა-ა“ — სწორედ მისი „ძველების“ ენაზე...

პატარა ილია, რომელიც მალე 3 წლის გახდება, ჯერჯერობით, ლაპარაკობს იმ ენაზე, რომელზეც მის ქვეყანაში ლაპარაკობენ, რადგანაც მის წინაპრებს წესად დაუდგენიათ, რომ „ჯერ დედის ენა ისწავლონ და მერე — ფარსული“... პატარა ილიაც, მი-

უხედავად იმისა, რომ დაიბადა და იზრდება დიდი გურჯისტანიდან შორს, ფერეიდანში, ისეთსავე წესადათს მისდევს, როგორც მის წინაპრებს გაუტარებიათ ეს ნუთისოფელი.

თითქმის ოთხი საუკუნეა, იქაურ ქართველებს მათთვის უცხო მიწაზე ჩოხა-ახალუხი არ სცმიათ და ახლა სწორედ მას — ილიას ერგო ეს პირველობა. ამაზე თვალნათლივ მეტყველებს მის მიერ ვაჟკაცურად ჩაბლუჯული ხანჯალიც.

ეს ქართული სამოსი და ქამარ-ხანჯალი ილიას საჩუქრად გადასცა მისმა დიდმა სენიამ — საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ და პატარა ჩოხოსანმაც ის ვაჟკაცურად მოირგო...

ნოდარ კოჭლაშვილი

იაპონური სენსუსია

სუდოკუ

გთავაზობთ ციფრულ თავსატეხს სუდოკუს (იაპონურად „სუ“ ნიშნავს ციფრს, „დოკუ“ — ცალკე მდგომს). სუდოკუმ უკვე მოასწრო ევროპის კროსვორდომანების გულების დაპყრობა და ჩვენი ჟურნალის ფურცლებზეც გამოჩნდა. მის ამოსახსნელად ცარიელ უჯრებში უნდა ჩაწეროთ ციფრები 1-დან 9-მდე ისე, რომ არც ერთ სვეტსა და არც ერთ სტრიქონში ერთნაირი ციფრი არ გამოეორდეს. სწორად ამოსხნილ სუდოკუში აგრეთვე, არ მეორდება ციფრები ბლოკებში 3X3. ჩვენ გთავაზობთ მარტივ და საშუალო სუდოკუს. გისურვებთ წარმატებას!

ჩინა ნომრის სუდოკუს პასუხები

6	2	1	9	3	4	7	5	8
4	8	3	5	2	7	9	6	1
7	5	9	8	6	1	4	2	3
2	3	8	6	4	5	1	9	7
5	4	7	2	1	9	3	8	6
9	1	6	7	8	3	5	4	2
8	9	5	1	7	6	2	3	4
1	6	4	3	5	2	8	7	9
3	7	2	4	9	8	6	1	5

1	6	8	7	2	9	5	3	4
2	4	9	3	1	5	6	8	7
7	5	3	4	6	8	9	1	2
5	8	1	6	7	3	2	4	9
6	3	2	5	9	4	1	7	8
9	7	4	2	8	1	3	5	6
4	1	7	9	3	2	8	6	5
3	2	6	8	5	7	4	9	1
8	9	5	1	4	6	7	2	3



* მარტივი


	2			8				7
1	8			2		4	6	3
			7	4	1		5	8
		8				1	3	
4	5	6			8	7		9
		3		9	7	5	8	6
	9		2	7	6	3	4	5
	6	2	3		4	8		1
3	4	5		1	9	6	7	2

** საშუალო

		6		4	7	3	2	
	1		5	6			7	
9				2	3	1		
	9				2	8		3
3	8	5			4			7
7		4	3	9		5		
5		8	4		1			2
4	3							5
				2	3		6	8

ფოტოკუჩიოზები





TB STARS

პრემიუმი კლასის სახლი ბუჩაქიშვილებს

ბ24/6



ლხიძელა

ბუჩაქიშვილი



ინდივიდუალური გადახდის სისტემა

☎ 38-91-92 45-17-17
877-77-70-77 899-35-90-00

გურამიშვილის 78 (მეტრო "გურამიშვილთან")

ბინები 57 მ² - დან
თანამედროვე ლიფტი
სუპერმარკეტი
საბავშვო გალი
აუთიაჟი
სამედიცინო ცენტრი
მიწისქვეშა ავტოსადგომი
დაცვა
კაფე - ბარი
იზოლირებული,
კეთილმოწყობილი
ეზო 5000 მ²
მოპირკეთებული ქუჩა და
მიმდებარე ტერიტორია
თეთრი კარკასი